

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

**ა. სუსიუვილი**

# სტატისტიკური გონები ქართულში



გამომცემლობა „მეცნიერება“  
თბილისი  
1976

სტატიკურებია ქართულში ის ზმნები, რომლებიც გრამატიკული კატეგორიების წარმოებით უპირისპირდებიან დინამიკურებს: სტატიკურ ზმნებს გრამატიკული კატეგორიები ნაკლულად ეწარმოებათ, დინამიკურებს—სრულად. სტატიკურობა-დინამიკურობა ქართული ზმნის დაჯგუფების საფუძველია გარდამავლობა-გარდაუვალობასთან ერთად.

სტატიკური ზმნები ნაშრომში განხილულია ძველი და ახალი ქართულის, აგრეთვე მთის ზოგი დიალექტის მონაცემების საფუძველზე.

## შესავალი

### § 1. ზოგადი

შინაარსის მიხედვით ზმნების დაყოფა დინამიკურებად და სტატიკურებად ყველა ენას ახასიათებს. დინამიკური ზმნები გამოხატავენ მოქმედების პროცესს: წერს, აკეთებს, ჭრის... სტატიკური ზმნები გამოხატავენ მდგომარეობას, ვითარებას: არის, დგას, ცხოვრობს, აბია... შესაბამისად, სტატიკური ზმნები უფრო მცირე რაოდენობით უნდა გვხვდებოდეს დინამიკურებთან შედარებით.

სტატიკურობა-დინამიკურობა შეიქლება მორფოლოგიურადც გამოიხატებოდეს. ასეთ პირობებში სტატიკურ და დინამიკურ ზმნებს განსხვავებული ფორმა და უღვლილების განსხვავებული სისტემა ექნებათ.

### § 2. „მდგომარეობის“ ცნება ქართული ენის პრაქტიკულ გრამატიკებში

2. 1. მდგომარეობის (სტატიკის) ცნება ქართულ გრამატიკებში იოანე ქართველიშვილს შემოაქვს. გრამატიკოსი ასხვავებს აქტიურ და პასიურ მდგომარეობას<sup>1</sup>, ამდენად მდგომარეობის განსაზღვრა ხსენებულ გრამატიკაში თავისებურია: „საშუალი გვარის“ („გვარი“ სემანტიკურადაა გარჩეული) ორი ჯგუფიდან „ხატშემოქმედებითი“ აღნიშნავს „მოქმედებითს მდგომარეობას“, „ხატუნებითი“ — „ენებითს მდგომარეობას“: „ხატშემოქმედებითი ზმნარს იგი, რელიცა აღნიშნავს მოქმედებასა, ანუ მოქმედებითსა მდგომარეობასა პირისასა ანუ ნივთისასა...“ გრამატიკოსი ამ ჯგუფში ქვემდებარისა და შემასმენლის ისეთსავე ურთიერთობას ხედავს, რაც „შემოქმედებით“ (უღრის მოქმედებით გვარს) ზმნებთან გვაქვს:

<sup>1</sup> იოანე ქართველიშვილი, ქართული გრამატიკა, 1809, ტფილისი, გვ. 59.

„ვიდოდი მე უმანკობითა ვულისათა, განიხარა გულმან ჩემ-  
მან ღო-სა მიმართ, უცხოვერიეს მას კეთილად“. ასევე, „ხატ-  
ვნებითი“ ზმნა აღნიშნავს „ვნებასა, ანუ ვნებითსა მდგომარე-  
ობასა“ (ამ ჯგუფში გრამატიკოსი აერთიანებს იმ ზმნებს,  
რომელთაც ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში „უნიშნო  
ვნებითებს“ ან სხვანაირად „უგვარო დინამიკურ ზმნებს“ ეძახიან  
(თბებატისა).

მდგომარეობის (სტატიკის) ზემოაღნიშნული გაგება საყურად-  
ღებო დაკვირვებაა, თუმცა მის შინაარსში, მდგომარეობის გარდა,  
ირევა სხვა რიგის გრამატიკული ოდენობაც (გვარი, გარდამავლო-  
ბა...); გრამატიკოსისათვის მდგომარეობა მხოლოდ ერთ ვითარე-  
ბას არ გადმოსცემს, „მდგომარეობის“ შინაარსი არ უდრის მხო-  
ლოდ რეალურ მდგომარეობას; შეიძლება გვქონდეს „მოქმედები-  
თი მდგომარეობა“, „ვნებითი მდგომარეობა“... მდგომარეობის ამ-  
გვარი გაგება „სტატიკის“ ცნებას ქართულ საენათმეცნიერო ლი-  
ტერატურაში ახალ შინაარსს სძენს.

2. 2. მნიშვნელობის მიხედვით ქართული ზმნების კლასიფიკა-  
ცია მოქმედებისა და მდგომარეობის გამომხატველ ზმნებად დი-  
მიტრი ყიფიანს ეკუთვნის<sup>2</sup>. გრამატიკოსი შენიშნავს, რომ ზმნების  
დაყოფა მოქმედებითებად და მდგომარეობითებად „ეს ზოგადი მოვ-  
ლენაა, ყველა ენისთვის დამახასიათებელი“<sup>3</sup>, მაგრამ ქართულის  
თავისებურება, რაც მას სხვა ენებისაგან განასხვავებს, ისაა, რომ  
მდგომარეობის გამომხატველი ყოველი ზმნა შეიძლება მოქმედე-  
ბითად ვაქციოთ და პირიქით: „ევროპულ ენებს არა აქვთ ის წინან-  
დელზე უფრო შესანიშნავი თავისება, რომ თითქმის ყოველი „მდგო-  
მარეობითი“ ზმნა „მოქმედებითად“ გადიქცევოდეს და „მოქმედე-  
ბითი“ „მდგომარეობითად“: ვდგევარ, ვადგენ, ვამდგო-  
მარებ; მძინავს, ვაძინებ, ვამძინარებ...; ვაშენებ,  
ვშენდები, ვმშენებლობ; მტკივა, ვამტკივნებ,  
ვმტკივნეულობ. რუსულში არის რამდენიმე — *сижу, са-  
жаю; стою, ставлю; сплю, уснилияю*, მაგრამ  
უმეტესი ნაწილი კი არ გადამოქმედებითდება, *ლოკირი*, მაგალი-  
თად, *მცივა, მტკივა, ვსტირი, ვწუხვარ...* მამცივ-  
ნებს, მამტკივნებს, მატირებს, მაწუხებს მდგომარე-  
ობითდება, მოქმედებითდება“<sup>4</sup>.

<sup>2</sup> დიმიტრი ყიფიანი, ახალი ქართული გრამატიკა, თბილისი, 1982.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 68.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 74.



დომ. ყიფიანი ზმნას განმარტავს როგორც მოქმედებისა და მდგომარეობის გამოხატველ სიტყვას: ვაშენებ, მძინავს<sup>5</sup>. ზმნის შინაარსის მიხედვით ქართულში ორი „გვარი“ გამოიყოფა — „მოქმედებითი“ და „მდგომარეობითი“: ზმნა რა აზრსაც გამოგვიტყავს, რასაც გამოგვინატავს, ან რასაც ვაგვაგონებს, იმის მიხედვით იყოფა, როგორც წინათაც ვთქვით, — ორ უმთავრეს ხმად: *заним, la voix*: მოქმედებითად და მდგომარეობითად: ვ ს წ ე რ, ვ ა შ ე ნ ე ბ, ვ ა ძ ი ნ ე ბ, ვ ე წ ე რ ე ბ ი, ვ შ ე ნ დ ე ბ ი, ვ ი ძ ი ნ ე ბ<sup>6</sup>... „მდგომარეობითს“ ზმნებში შეტანილია, აგრეთვე, დამხმარე ზმნა „ვარ“. „მოქმედებითი“ და „მდგომარეობითი“ არის ზმნის ძირითადი საკლასიფიკაციო ნიშანი და ამგვარი დაყოფა მოიცავს ზმნის სხვა ყოველგვარ ცვლილებას: „რა ცვლილებაც უნდა მიეცეს ზმნას, რა სახელიც უნდა დაერქვას, „ვნებითი“, „უკუქცევითი“, „უმემშვეობითი“ თუ „ურთიერთარსობითი“, ზმნა მაინც ან მოქმედებითი იქნება, ან მდგომარეობითი. ამ ორ ბანაკს ვერც ერთი ვერ წაუტყავ“<sup>7</sup>. დომ. ყიფიანისეული კლასიფიკაცია, ჩვენი აზრით, ქართულ გრამატიკებში ზმნათა ძირითად საკლასიფიკაციო ერთეულად სტატიკურობისა და დინამიკურობის მიჩნევის პირველი ცდაა, თუმცა დომ. ყიფიანის „მდგომარეობითი“ არ ფარავს სტატიკურის ჩვენეულ გაგებას. გრამატიკოსი „მდგომარეობითს“ ზმნებში აერთიანებს როგორც საშუალო გვარის ზმნებს, ასევე ე-ნიან და დ-ონიან ვნებითებს. მისთვის „მდგომარეობითია“ როგორც ვ ბ ე რ ი კ ა ც ო ბ, ისე ვ ბ ე რ ი კ ა ც დ ე ბ ი ან ვ ე ბ ა რ უ ბ ი<sup>8</sup>... ამ ფორმებს კი გარდაუვალობა აერთიანებს — „ყველა თავისთავში ჰმდგომარებს“ და არა „მდგომარეობითობს“. ვ ბ ე რ ი კ ა ც დ ე ბ ი, ვ ე ბ ა რ ე ბ ი პროცესს აღნიშნავს, ვ ბ ე რ ი კ ა ც ო ბ — მდგომარეობას. ამ განსხვავებულ ფორმათა ერთად განხილვა იმითაა გამოწვეული, რომ გარდამავლობა, სტატიკურობა-დინამიკურობა და გვარი არ არის გამიჯნული, გრამატიკული კატეგორიები ჯერ არ არის ზმნაში გარჩეული.

დომ. ყიფიანის „მოქმედებითი“ უდრის გარდამავალი დინამიკური ზმნის მოქმედებით გვარს ახლანდელი გაგებით; „მდგომარეობითი“ აერთიანებს გარდაუვალ ზმნას — სტატიკურსა და დინამიკურს, ვნებითსა თუ საშუალებას. ეს გაურჩევლობა უნდა იყოს საფუძველი, რომ გრამატიკოსი „მოქმედებითი“ და „მდგომარეობითი“

<sup>5</sup> დომ. ყიფიანი, ახალი ქართული გრამატიკა, გვ. 64.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 69.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 114.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 112—113.

ზმნების უღვლილებაში განსხვავებას ვერ ხედავს: „ამათ მიმოხვრას დიდი განსხვავება არა მოუვა რა — ისეთი მაინც, რომ მოქმედებითი ზმნის მიმოხვრაში არ გვენახოს“<sup>9</sup>. თუკა, როგორც ციტატადან ჩანს, „მოქმედებითი“ ზმნის მიმოხვრა უფრო სრულად მიაჩნია და შესადაარებლადაც ისა აქვს აღებული.

დომ. ყიფიანმა შენიშნა, რომ „მდგომარეობითს“ ზმნებს არ ახასიათებს პირდაპირი მიმართების ობიექტური წყობის ფორმები, უფრო ზუსტად — პირთა შორის მიმართების ფორმები, გამოავლინა ის ერთ-ერთი მორფოლოგიური ნიშანი, რითაც გარდამავალი მოქმედებითი გვარის და გარდაუვალი (ვნებითისა და ინვერსიულის გამორიცხვით) ზმნები განსხვავდებიან. დომ. ყიფიანი ზუსტად განსაზღვრავს: „მდგომარეობითი ზმნის მიმოხვრას ბევრჯერ (ხაზი ჩვენია. მ. ს.) არა აქვს პირთა შორის ტრიაცილი და სხვა მნიშვნელობა, თუ არ პირველსახე — რადგან ყველა თავთავისთვის ჰმდგომარებს“<sup>10</sup>, რადგან „მდგომარეობით“ ზმნებში ის რელატიურ ვნებითებსაც გულისხმობს და ინვერსიულ ზმნებსაც, რომელთაც ორივე წყობის ფორმები უკეთდებათ.

ამრიგად, დომ. ყიფიანმა პირველმა სკადა ზმნათა ძირითად საკლასიფიკაციო ერთეულად ქართულში სტატიკურობა-დინამიკურობა („მდგომარეობითობა“ და „მოქმედებითობა“) გამოეყენებინა. მიუთითა ზმნათა ამგვარი დაყოფის ზოგად ხასიათზე, აჩვენა ქართულის თავისებურება. ასეთი კლასიფიკაცია, გრამატიკოსის აზრით, ზმნის ყველა გრამატიკულ ცვლილებას მოიცავს. მასვე ეკუთვნის ამ საკლასიფიკაციო ერთეულითა შორის მორფოლოგიური განსხვავების ძიების ცდა.

2. 3. დ. ჩუბინაშვილმა 1887 წლის გრამატიკაში<sup>11</sup> ძირითადად გაიმეორა ზმნათა ყიფიანისეული კლასიფიკაცია, ოღონდ „მდგომარეობითის“ ნაცვლად „უმეშვეობითი“ იხმარა. „უმეშვეობითი“ ზმნა აღნიშნავს „მოქმედებას ან მდგომარეობას სხვა საგანზე გადაუვლად“<sup>12</sup>. სტატიკურობა-დინამიკურობა, გარდამავლობა და გვარი არც ამ გრამატიკაშია გაშიჯნული. აქცენტი ამ კლასიფიკაციაში „გვარზეა“ გადატანილი.

2. 4. საინტერესოდ გვეჩვენება ამ მხრივ არ. ქუთათელაძის „პირველ-დაწყებითი ქართული გრამატიკა“ (ტფილისი, 1898). ზმნა

<sup>9</sup> დომ. ყიფიანი. ახალი ქართული გრამატიკა, გვ. 113.

<sup>10</sup> იქვე.

<sup>11</sup> დ. ჩუბინაშვილი. ქართული გრამატიკა, სანკტ-პეტერბურგი, 1887.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 19.

ამ გრამატიკაში მოქმედება-მდგომარეობის აღნიშვნელი სახელია. ვვარი საშია გამოყოფილი: მოქმედებითი, ვნებითი, უმეშვეობითი. ცალკეული განმარტება გვარებისა მოქმედების გამომხატველ ზმნებში ანაწილებს მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნებს: „მოქმედებითი გვარი იგივესებს ქვემდებარის მოქმედებას...“, „ვნებითი გვარი უჩვენებს, რომ თვითონ ქვემდებარე კი არ მოქმედებს, არამედ იგი იმყოფება სხვისი მოქმედების გავლენის ქვეშ“<sup>13</sup>. მდგომარეობის გამომხატველ ზმნებში „უმეშვეობითა“ ნაწილდება: „უმეშვეობითი ზმნა უჩვენებს, თუ რა მდგომარეობაშია ქვემდებარე“<sup>14</sup>. ე. ი. მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნები აღნიშნავენ მოქმედებას, „უმეშვეობითი“ — მდგომარეობას. „მოქმედების“ შინაარსი აქ უდრის დინამიკას, „მდგომარეობისა“ — სტატიკას.

2. 5. „მდგომარეობის“ საყურადღებო გაგებას გვთავაზობს პ. კვიციანიძე (ქართული სწორმეტყველება, თბილისი, 1888). „წმინდა მდგომარეობის“ ცნება მისთვის არ არსებობს. ზმნას იგი განმარტავს როგორც მოქმედების ან მდგომარეობის აღნიშვნელ სიტყვას. ამასთან, ამ განსაზღვრებაში ზედმეტადაა მიჩნეული „მდგომარეობის“ აღნიშვნა. რაც გრამატიკოსის სიტყვით „იგივე საგნის მოქმედებაა“. „საგანი ისე მდგომარეობაში ვერ ჩადგება (არ დევს, არ წევს, არ დგას, არ იწვის), თუ მასზე დროს იგი სხვა საგანს არ ეხება და მით ორნივე თავიანთის ურთიერთის შემხე ნაწილებით სიმჭირნეს რასშიმე, (მასასადამე) მოქმედებაში არ არიან“ (§ 153. ვვ. 110).

გვარი ოთხია გამოყოფილი: შემოქმედებითი, ვნებითი, უმეშვეობითი და იწობითი (ე. ი. დამხმარე ზმნა).

უმეშვეობით ზმნას საშუალიც („საშვალი“) ჰქვია, რადგან არც შემოქმედებითია და არც ვნებითი (მდგომარეობითსაც ეძახიან) — გვეუბნება გრამატიკოსი.

უმეშვეობითი ზმნები ორ ქვეჯგუფად იყოფა: ხატშემოქმედბრთად და ხატვნებითად. ხატშემოქმედბრითები სტატიკური ზმნებია: ვიბრძვი, იცინის, კიდისარ... ვხართ, ვლოცულობ.

2. 6. თ. ჟორდანიას მიერ (ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1889) ზმნათა საკლასიფიკაციო ერთეულად აღებული „მოქმედებითი“ და „მდგომარეობითი“ ზმნები უფრო ქვემდებარის აქტი-

<sup>13</sup> არ. ქუთათელაძე, პირველ-დაწყებითი ქართული გრამატიკა, გვ. 77.

<sup>14</sup> იქვე.

ვობისა და პასივობის თვალსაზრისით დაპირისპირებული სემანტიკური ჯგუფებია, ვიდრე სტატიკურობისა და დინამიკურობის მიხედვით. „მოქმედებითი“ უღრის აქტიურს (აქ „მედიაოპტიურებიც“ შედის), „მდგომარეობითი“ უღრის პასიურს (აქ „მედიაოპსიური“ ფორმებიც ერთიანდება).

2. 7. ზმნათა ძირითადი საკლასიფიკაციო ერთეულების ვაჩოყოჯა ქართული ენის პრაქტიკულ გრამატიკებში სემანტიკურ პრინციპს ემყარებოდა, ამიტომაც ვერ იმიჯნებოდა გარდა მ ა ვ ლ ო ბ ა, ს ტ ა ტ ი კ უ რ ო ბ ა-დ ი ნ ა მ ი კ უ რ ო ბ ა, გ ვ ა რ ი. ქართული ზმნის შესაძლებლობანი არ იყო მიკვლეული და გამოვლენილი.

ღღისათვის ქართული ზმნის დაჯგუფების საფუძვლად მიღებულია:


1. გვარის კატეგორიის ფორმები (ა. შანიძე);

2. გარდაშავლობა-გარდაუვალობა და სტატიკურობა-დინამიკურობა (არნ. ჩიქობავა).

ამ ორი განსხვავებული შეხედულების სათავე ქართული გრამატიკების ტრადიციაც არის.

### § 8. სტატიკურობა-დინამიკურობისათვის თანამედროვე ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში

3. 1. სტატუსისა და გვარის კატეგორიის ურთიერთობა ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად ორ თვალსაზრისს განასხვავებს: სტატიკური ზმნა ვნებითი გვარის ნაირსახეობაა: სტატიკურია მხოლოდ „სტატიკური ვნებითები“ (ა. შანიძე)<sup>15</sup>. ეს თვალსაზრისი გვარისა და სტატუსის ურთიერთობას ამგვარად წარმოადგენს:



15 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. 1, მორფოლოგია თბილისი, 1953, § 385.—392. გვ. 323—352. „საფუძვლების“ 1973 წ. გამოცემა განსახილველ საკითხში წინა (1953) გამოცემას იმეორებს.

16 1930 წ. გამოცემულ ქართული ენის გრამატიკაში, ა. შანიძე საშუალო გვარის ზმნებს უგვარო ზმნებად მიიჩნევს: „საშუალო ზმნები ის ჯგუფია უგვარო ზმნებისა, რომელნიც გარდაუვალნი არიან, მავრამ ფორმით მოქმედებითისა-გან არ განირჩევიან...“ იქვე, შენიშვნაში ა. შანიძე წერს: საშუალო ზმნები,

სხვა შეხედულების მიხედვით „სტატიკურობა“ არ უღრის „ენებითს“; სტატუსის ცნება ზმნაში უფრო ფართოა, ვიდრე გვარი. ეს შეხედულება სტატიკურ ზმნაში აერთიანებს საშუალო გვარის ზმნებს და „სტატიკურ ვნებიანებსაც“ (არნ. ჩიქობავა)<sup>17</sup>. ამგვარად გააზრებული სტატიკურობა სტატიკურობისა და გვარის (უგვარობით) თვალსაზრისით უპირისპირდება დინამიკურ (მოქმედებითი და ვნებითი გვარის) ზმნებს:

სტატიკური (უგვარო) დინამიკური / მოქმედებ. გვარი  
 („სტატიკური ვნებითი“, „საშუალო გვარი“  
 „მედიოაქტივი“ „მედიოპასივი“)

არსებობს ისეთი თვალსაზრისიც, რომელიც აღიარებს, როგორც საშუალო გვარს, ისე ამ გვარში გაერთიანებულ ზმნათა სტატიკურობას (ბ. ჯორბენაძე)<sup>18</sup>. „საშუალო გვარის“ ზმნათა სტატიკური ბუნება ადრეც იყო შენიშნული. ერთ-ერთ წერილში ქ. ლომთათიძე ახასიათებს „სტატიკურობის გამომხატველ“ საშუალო გვარის ზმნებს<sup>19</sup>; გ. მაქავარიანი მედიოაქტიურ ზმნათა შესახებ შენიშნავს: ისინი „ე. წ. საშუალო გვარს განეკუთვნებიან და სტატიკური ბუნებისა არიან“<sup>20</sup>. საშუალო გვარის სტატიკურ ზმნებს მიმოიხილავს ნ. ნათაძე<sup>21</sup>.

3. 2. ჩვენი აზრით, „სტატიკური ვნებიანებისა“ და საშუალო გვარის ზმნათა (მედიოაქტივი, მედიოპასივი) გაერთიანება სტატიკურობის ნიშნით შესაძლებელია. ყოველ შემთხვევაში „სტატიკური

საპირისპირო გვაროვნული ფორმების უქონლობის გამო, არაერთად უგვარო ზმნებია, მაგრამ ხშირად მათ ცალკე გვარს განუკუთვნებენ („საშუალო გვარი“).  
 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, I, მორფოლოგია, § 104.

<sup>17</sup> არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, 1948, თბილისი, გვ. 108; ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, 1950, თბილისი, გვ. 051; ქართული ზმნის უღვლილების სისტემის საკითხები, ივე XVI, 1968.

<sup>18</sup> ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბილისი, 1975, გვ. 33.

<sup>19</sup> ქ. ლომთათიძე, ქ სუფიქსისათვის მეგრულ ზმნებში, ივე I, 1946, გვ. 135.

<sup>20</sup> გ. მაქავარიანი, ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, 1974, გვ. 122.

<sup>21</sup> ნ. ნათაძე, თემის ნიშნები ქართველურ ენებში, ივე, XI, 1959, გვ. 130.

ენებითებისა“ და მედიოპასივების მსგავსება აღიარებულია; ა. შანიძე შენიშნავს: „საზოგადოდ უახლეს ქართულს აქვს ერთგვარი ტენდენცია, სტატიკურთა ფარგლებში მოაქციოს ისეთი ზმნებიც, რომლებიც ტიპობრივად მედიოპასივია“... და შემდგომ: „როგორც ვხედავთ, სტატიკურ ზმნათა რიგებში ექცევა ისეთი ზმნებიც, რომელთაც თემის ნიშნად მოუღის ა ვ (ა კ რ ა ვ ს, ჰ ხ უ რ ა ვ ს და სხვ.), ო ბ (ს ა ხ ლ ო ბ ს), ე ბ (ჰ მ მ ა რ თ ე ბ ს), ა მ (ჰ რ ე ვ ე რ ბ ი ა ნ ი ჩ ა ს დ ვ ა მ ს). ამგვარად იშლება ფორმალური ზღვარი მედიოპასივისა და სტატიკურებს შორის“<sup>22</sup>. ზ. კუმბურიძე „მოქმედების სახის“ მიხედვით „სტატიკურ ენებითებს“ და მედიოპასიურ ზმნებს აერთიანებს, თუმცა შენიშნავს, მწკრივთა წარმოების მიხედვით ამათ შორის თვალსაჩინო სხვაობააო; სახელდობრ: „წარსულ დროს მედიოპასივები მეტწილად უწყვეტლის მწკრივით გადმოგვეცემენ (ბ ი ნ ა დ რ ო ბ ს — ბ ი ნ ა დ რ ო ბ დ ა, შ ი შ ო ბ ს — შ ი შ ო ბ დ ა, ც ა ხ . ც ა ხ ე ბ ს — ც ა ხ ც ა ხ ე ბ დ ა და ა. შ.), მაშინ როცა სტატიკური ზმნები უწყვეტელს ვერ აწარმოებენ და სათანადო შემთხვევაში წყვეტელს მიმართავენ (ა გ დ ი ა — ე გ დ ო, ჰ ყ რ ი ა — ე ყ ა რ ა, ს წ ე რ ი ა — ე წ ე რ ა და ა. შ. მწკრივთა სხვადასხვაობის მიუხედავად ასპექტი ორივეგან უსრულია და ამ მხრივ ე ვ დ ო, ე ყ ა რ ა, ე წ ე რ ა და მათი მსგავსი ფორმები არ განსხვავდებიან ბ ი ნ ა დ რ ო ბ დ ა, შ ი შ ო ბ დ ა. ც ა ხ ც ა ხ ე ბ დ ა და სხვა ფორმებისაგან (შეადარეთ: ს ა ხ ლ ო ბ ს — ს ა ხ ლ ო ბ . დ ა / ე ს ა ხ ლ ა)“<sup>23</sup>.

ამგვარად. „მედიოპასივების“ სტატიკურ ზმნებად გავებას („სტატიკურ ენებითებთან“ გაერთიანებას) პრინციპულად თითქოს არაფერი უშლის ხელს (არც შინაარსი და არც ფორმა).

3. 3. სტატიკურობის ჩვეულებრივი გაგებით გაჭირდებოდა „მედიოაქტიური“ ზმნების (რბ-ი-ს, ხტ-ი-ს...) სტატიკურებად გაანზრება. „მედიოაქტიურ“ ზმნათა ფუძის შინაარსი თითქოს უფრო „დინამიკას“ (აქტივობას) გამოხატავს (თუმცა ყოველთვის არა: შდრ. ბ უ დ ო ბ ს, ფ ხ ი ზ ლ ო ბ ს, დ ა რ ბ ა ი ს ლ ო ბ ს, მ ე ფ ო ბ ს, მ წ ე ა ნ ო ბ ს, ვ ა ე ბ ს, ფ ა რ . ფ ა შ ე ბ ს, ო ხ რ ა ვ ს...), მაგრამ ესაა „დინამიკა სტატიკაში“. ბ. ჯორბენაძე განასხვავებს გრამატიკულ და რეალურ მდგომარეობას. გრამატიკული მდგომარეობის

<sup>22</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, § 392, გვ. 330—331.

<sup>23</sup> ზ. კუმბურიძე. მუთყადის წარმოება ქართველურ ენებში, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 1968, გვ. 41.

ცნებაში ავტორი გამოყოფს აბსოლუტურ და შეფარდებით მდგომარეობას: „1. ისეთ ფაქტიურად პასაურ მოქმედებას, როდესაც კონსტრუქციაში არ არის და არც იგულისხმება რეალურად მოქმედი პირი და ამიტომაც კონსტრუქციითაც და ზმნის შინაარსითაც მოქმედება ისეა წარმოდგენილი, რომ მოქმედი პირი თვით გრამატიკული სუბიექტია: წევს... 2. ისეთ არსებითად აქტიურ მოქმედებას, როდესაც კონსტრუქციაში არ არის და არც იგულისხმება რეალური (პირდაპირი) ობიექტი. ეს არის (თუ შეიძლება ასე ითქვას) მოქმედების პროცესის სტატიკურად წარმოსახვა, რადგან ეს მოქმედება არ ვრცელდება, არ გადადის რაიმე სამოქმედო საგანზე; პირველია აბსოლუტური მდგომარეობა, მეორე — შეფარდებითი მდგომარეობა“<sup>24</sup>. გრამატიკული მდგომარეობის ცნება რომ ერთგვარი არ არის, ამას ადრეც მიეცა ყურადღება (იოანე ქართველიშვილი, პ. კვიციანიძე).

გრამატიკული მდგომარეობისა და რეალური მდგომარეობის განსხვავება შესაძლებელს ხდის „მედიაქტიურ“ ზმნათა სტატიკურებად გააზრებას. დავუმატებდით, რომ „მედიაქტივების“ ერთი ჯგუფი შინაარსით აშკარად სტატკურია (პ ბ უ დ ო ბ ს, ფ ხ ი ზ ლ ო ბ ს... იხ. ზემოთ); საკუთარი ფორმა მედიაქტივებს არ გააჩნიათ.

3. 4. ახალ ქართულში თითქოს ფორმალური ნიშანიც ჩნდება სტატიკურ ზმნათა ამ ფართო ჯგუფის მახასიათებლად: ესაა მეშველი ზმნა, რომელიც ერთვის „სტატიკურ ვნებითებს“ და საშუალ ზმნათაგან „როგორც მდგომარეობის გამომხატველ ზმნებს ვ ზ ი ვ ა რ, ვ დ გ ა-ვ ა რ“... ასევე „მოქმედების გამომხატველ საშუალო გვარის ზმნებს: მ ი-ვ-დ ი-ვ ა რ, ე-ხ ტ ი-ვ ა რ“<sup>25</sup>... აღნიშნულია, რომ სალიტერატურო ქართული ზღუდავს ამ ფორმათა გავრცელებას, „მაგრამ, მიუხედავად ამისა, დიალექტებში თანდათან ფართოვდება მეშველი ზმნის გამოყენების არე და გვხვდება ვ ფ ი ქ რ ა-ვ ა რ (ვფიქრავ ვარ), ვ ჩ ი ვ ი-ვ ა რ (გურ.) და სხვ“<sup>26</sup>. სპეციალურ წერილში, რომელიც მეშველზმნიან ფორმათა ჩასახვას და განვითარებას ეძღვნება ქართულში, მკვლევარი (ლ. ბარამიძე) მეშველზმნიან ფორმათა საინტერესო ნიმუშებს ივანეწვის დიალექტებიდან: იცი-ნიხარ; დ ე რ -ო ვ-ს (\*მღერობს) მღერის: დ ე რ -ო ვ-ვ ა რ // ლ ო რ ი

24 ბ. ქორბენაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 177.

25 ქ. ლომთათიძე. ქ სუფიქსისათვის მეგრულ ზმნებში, გვ. 135.

26 იქვე.

ვარ//ღეროვ//ღოროვ (ემღერი) (ინგ.); კოქლ-ან-ს (კოქ-  
ლობს): კოქლან-ხარ (კოქლობ-ხარ, კოქლობ) (მესხური);  
გორავ-ხარ, სტვინავ-ხარ, ღელავ-ხარ, ხტუნავ-  
ხარ, ღოღავ-ხარ (გურ.)<sup>27</sup>.

მეშველი ზმნის დართვის შესაძლებლობა ამ რიგის ზმნათა  
სტატიკურობაზე უნდა მიუთითებდეს (აფხაზურსა და ყაბარდოულ-  
შიც, სტატიკურ ზმნებს ერთვის სუფიქსები, რომლებიც მეშველი  
ზმნებისაგან მოპდინარეობენ)<sup>28</sup>. სტატუსის თვალსაზრი-  
სით დგას, არის, სძინავს, ფიქრობს, ხტის, ხატი...  
მსგავსია.

3.5. ვნებითად გაგებულ სტატიკურ ზმნებს საშუალი გვარას  
ზმნებთან საერთო აქვს დროის ფორმათა წარმოება (თავისი ფუძით  
ეს ზმნები მართო ნაკვთთა პირველ წყებაში გვაქვს); სრული ასპექ-  
ტის ფორმების უქონლობა (ზმნისწინს თუ დაირთავენ მხოლოდ  
გეზისა და ორიენტაციის ფაქტორებს); გარდაუვალი და უგვარო  
ზმნებია; ქცევის ნაკლები სისტემა აქვთ — ოდენ საობიექტო; ერთ-  
ან ორპირიანები არიან მხოლოდ; არ ეწარმოებათ კაუზატივის ფორ-  
მები (ე. წ. „პირველად კაუზატივებს“ არ ვგულისხმობთ): ძალიან  
შეზღუდულად იწარმოებენ მასდარისა და მიმღეობის ფორმებს.

ზმნურ კატეგორიათა უსრულობით სტატიკური ზმნები უპირ-  
ისპირდებიან დინამიკურ ზმნებს, სადაც ეს კატეგორიები სრულ-  
ად გვაქვს წარმოდგენილი.

განსხვავებას „სტატიკურ ვნებითებსა“ და საშუალი გვარის  
ზმნებს შორის ქმნის სუფიქსაცია, მაგრამ, როგორც ა. შანიძე აღ-  
ნიშნავს, სტატიკური ზმნების ფარგლებში ექცევა -ავ, -ამ, -ებ.  
-ობ სუფიქსიანი საშუალი გვარის ზმნა (მედოპასიეი). „იმლება  
ფორმალური ზღვარი მედოპასიესა და სტატიკურებს შორის“<sup>29</sup>.  
უნდა აღინიშნოს, რომ სუფიქსების სიჭრელე თავისთავად „საშუალ“

27 ლ. ბარამიძე, ზოგიერთი ტიპის მეშველზმნიან ფორმათა ჩასახვა და  
განვითარება ქართულში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9, თბილისი,  
1964, გვ. 97, გვ. 128—129; სტატიკურობის საკითხში მკვლევარი განსხვავებულ  
თვალსაზრსზე დგას. მეშველი ზმნის დართვას საშუალი გვარის ზმნათა და  
სტატიკური ვნებითების ფუძეებზე სხვაგვარ კვალიფიკაციას აძლევს.

28 ჟ. ლომთათიძე, ქ სუფიქსისათვის მეგრულ ზმნებში, გვ. 134;  
I. В. Р о г а в а, Динамические и статические глаголы в адыгских языках.  
იკ. VIII, 1956, გვ. 459—460.

29 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, § 392. გვ. 320—  
331.



გვარში გაერთიანებულ ზმნებთანაც გვაქვს და „სტატიკური ვნებითები“ ცალკეც რომ გამოიყოს ამ ნიშნით, ამით სუფიქსაციის მრავალფეროვნების საკითხი ვერ გადაწყდება (სუფიქსათა სიჭრელე მოქმედებითი გვარის ზმნებთანაც ფაქტია).

„სტატიკურ ვნებითებს“ და საშუალი გვარის ზმნებს განასხვავებს აგრეთვე აწმყოს ნაკვეთის სხვადასხვანაირი წარმოება. „სტატიკური ვნებითები“ საკუთარი ფუძით მხოლოდ აწმყოს აწარმოებენ: ა ბ-ი-ა, ხ ა ტ-ი-ა... მხოლოდ აწმყო ეწარმოება რიგ საშუალი გვარის ზმნასაც: დ გ ა-ს, ზ-ი-ს, ღ ვ ი ძ-ა ვ-ს, ჰ მ ა რ თ-ე ბ-ს (როგორც წესი „მედიოპასივებს“).

საერთო უფრო მეტი გვაქვს, განსხვავებული — უფრო ნაკლები. საერთო არსებითია (უპირისპირდება დინამიკურ ზმნას), განსხვავებული ახსნას მოითხოვს.

3. 6. „სტატიკური ვნებითის“ ცნების შინაარსი, ჩვენი აზრით, წინააღმდეგობას შეიცავს. ვნებითის ნიშანი აქ არ გვაქვს. საპირისპირო მოქმედებითი მხოლოდ „დინამიკურ ვნებითს“ აქვს და არა „სტატიკურს“: წ ე რ ს-ი წ ე რ ე ბ ა; სტატუსის თვალსაზრისით წ ე რ ი ა თანაბრად უპირისპირდება, როგორც წ ე რ ს მოქმედებითი გვარის ფორმას, ასევე ი წ ე რ ე ბ ა ვნებითის ფორმას; მოქმედებითი გვარის ზმნებში „პროცესი განიხილება „სუბიექტიდან ამოსვლით“<sup>30</sup>, ვნებითი გვარის ზმნებში — „ობიექტიდან ამოსვლით“<sup>31</sup>. წ ე რ ი ა სტატიკურია, წ ე რ ს, ი/ე-წ ე რ ე ბ ა — დინამიკური. წინააღმდეგობრივია საშუალი გვარის ცნების შინაარსიც. ეს არაა გვარი: „ზოგი ნიშნის მიხედვით ეს ზმნა მოქმედებითს ჰგავს, ზოგით კი — ვნებითს: ფორმა უმეტესად მოქმედებითისა აქვს, ფუნქცია — ვნებითისა“<sup>32</sup>; არც მოქმედებითია და არც ვნებითი, არის გვარის კატეგორიის ნული ფორმა (ე. ი. უგვაროა); არის სტატიკური უგვარო ზმნა — აქვს საპირისპირო უგვარო დინამიკური ფორმა<sup>33</sup>: დ გ ა ს — დ გ ე ბ ა, წ ე ვ ს — წ ე ვ ე ბ ა, ზ ი ს — ჯ დ ე ბ ა, კ რ თ ი ს — კ რ თ ე ბ ა... ესაა პირველადი უგვარო სტატიკური და დინამიკური ზმნები და შოსალოდნელია ენაში ისინი მცირე რაოდენობით დადასტურდეს. „საშუალი გვარის“ უაჩყოფა და ამ ჯგუფის ზმნათა მიჩნევა უგვარო ზმნებად, ზმნის ფუძის განვითა-

30 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, გვ. 059—060.

31 იქვე.

32 ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, § 369, გვ. 312.

33 უგვარო დინამიკური ზმნების შესახებ იხ. ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, თ ბ ე ბ ა ტიპის ზმნათა ისტორიისათვის ქართულში, იკე, IV, 1953, გვ. 77—79.

რების ისტორიულ პერსპექტივასაც გულისხმობს: როგ შემთხვევაში მოქმედებითი გეარის (გარდამავალი ზმნის) წარმოებისათვის სტატიკური ზმნაა ამოსავალი<sup>34</sup>, ვნებითი მოქმედებითის შებრუნებული სახეა.

3. 7. და ბოლოს: ის საერთო უარყოფითი მორფოლოგიური ნიშანი, რაც სტატიკურ ზმნებში გრამატიკული კატეგორიების უქონლობით ან ნაკლებობით გამოიხატება დინამიკურობის საპირისპიროდ, ქართულში სტატიკა — დინამიკის ამგვარ გაგებას გულისხმობს: სტატიკურობა არის ზმნის ფუძის უნარი წარმოადგინოს ზმნის გრამატიკული შესაძლებლობანი შეზღუდულად, დინამიკურობა ზმნის გრამატიკულ შესაძლებლობათა სიმდიდრეს ნიშნავს.

ამ თვალსაზრისით მიმოვიხილავთ სტატიკურ ზმნებს ძველ ქართული ენის სამწერლობო მასალების, „ვეფხისტყაოსნის“, ახალი ქართულისა და ზოგიერთი დიალექტის მიხედვით (ფშაურა, ხევსურული). ქართული ენის მასალის კიდევ უფრო სრულად დამუშავება, განსახილველი საკითხის თვალსაზრისით ყველა დიალექტისა და ქართველურ ენათა მონაცემების მოხმობა, შემდგომი კვლევის საქმეა.

ქართულისა და ქართველური ენების სტატიკური ზმნის ბუნების გარკვევაში აუხაზური ენის ვითარების გათვალისწინება დაგეგმვარება.

#### § 4. სტატიკური ზმნებისათვის აფხაზურში<sup>35</sup>

4. 1. როგორც უკვე ითქვა, სტატიკურობა-დინამიკურობა შეიძლება მორფოლოგიურადაც გამოიხატებოდეს.

აფხაზური ენის ჩვენება სტატიკურობა-დინამიკურობის დაპირისპირების თვალსაზრისით საყურადღებო მონაცემია ქართველურ ენათა სტატიკურობა-დინამიკურობის გაგებისათვის.

34 არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, გვ. 061.

35 ვეყარებით პროფ. ქ. ლომთათიძის ნაშრომებს: სტატიკური და დინამიკური ზმნები აფხაზურში, იკე, VI, 1954, გვ. 257—271; რთულფუძიან ზმნათა აგებულება აფხაზურში, იკე, IV, 1953, გვ. 83—125; ზმნის უარყოფით ფორმათა წარმოება აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში, იკე, V, 1953, გვ. 213—214; ძირითად დროთა წარმოებისათვის აფხაზურში, ენიშენის მოამბე, II, 1938, გვ. 179—256; აფხაზური ენის ტრანსფორმირებული დიალექტი, თბილისი, 1944; აზნარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის, თბილისი, 1954.

აფხაზურის ზმნის უღვლილების მთელს სისტემაში დაპირის-პირება „სტატიკური“ — „დინამიკური“ მკვეთრად არის განაზღვრილი.

აფხაზური ზმნები სტატიკურებად და დინამიკურებად იყოფიან სემანტიკურ-გრამატიკული ნიშნების მიხედვით.

სტატიკური ზმნები მდგომარეობას აღნიშნავენ, დინამიკურები — მოქმედებას.

გრამატიკულად სტატიკური და დინამიკური ზმნები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან: პირიანობითა და გარდამავლობით, ფუძის სტრუქტურით, პრევერბების გამოყენებით, დრო-კილოთა ფორმების წარმოებით, უარყოფითი ფორმების, კაუზატივის, ქცევის, მასდარისა და მიმღეობის წარმოებით.

4. 2. გ ა რ დ ა მ ა ვ ე ლ ო ბ ა და პ ი რ ი ა ნ ო ბ ა. სტატიკური ზმნები აფხაზურში გარდაღვალაია, ერთ-ან ორპირიანი: ს ა რ ა ს რ უ ბ // ს ა კ ი უ ბ „მე ვარ“, ი ს გ მ ო უ ბ „მყავს, მივის“ და ა. შ. დინამიკური ზმნები გარდაღვალაიყაა და გარდამავალიც, ერთ-და მრავალპირიანიც. სტატიკური ზმნები (ისევე, როგორც დინამიკურები) შეიძლება იყოს პირდაპირი თუ ინვერსიული წყობისა (ღ გ - ა - გ ი - უ ბ „მეკუთვნის“).

4. 3. ს ტ ა ტ ი კ უ რ ი ზ მ ნ ე ბ ი ს ფ უ ძ ე. ა) ყოველი სახელის ფუძე გამოიყენება სტატიკური ზმნის ფუძედ: ღ - უ ა კ ვ - უ ბ - „(ის) აღამიანია“, ა - უ ა ჯ გ „აღამიანი“.

ჩხ - უ ბ „ცხენია“, ა - ჩხ გ „ცხენი“.

ბ) სტატიკური ზმნის ფუძე აქვს რიგ ზმნას — არსებობა, ყოფნა, ქონა, ნდობა..., რომელთა მომდინარეობა სახელისაგან ამჟამად ნათელი არ არის:

ს ა რ ა ს რ უ ბ „მე ვარ“.

ი ს გ მ ო უ ბ „ის (რალაც) მე მყავს, მაქვს“.

გ) სტატიკურ ზმნათა ფუძეების ძირითად ფონდს ე. წ. ფუძე-წინდებულები ქმნიან: -ხ ა -// -ხ(ღ), -ხ, -წა -// -წ (ღ), ნა -// -ჯ ნ(ღ) - და ბევრი სხვა. მთელ რიგ შემთხვევაში ამ წინდებულებს შერჩენილი აქვთ დამოუკიდებელი სახელის მნიშვნელობაც (ი შ თ ო რ უ ბ „ღევს“, შღ რ. შ თ ა „ძირს, ქვე, უკან, კვალზე“). ეს ფუძე-წინდებულები ერთვიან დინამიკურ ზმნებს და ადგილ-მიმართულებას გვიჩვენებენ: მაგ., ა გ გ ლ ა რ ა „(ა)დგომა“, ა შ თ ა გ გ ლ ა რ ა „კვალზე დადგომა“, „გამოღვენება“.

დ) ზოგი ზმნური ფუძიდან იწარმოება როგორც სტატიკური. ისე დინამიკური ზმნა:

სტატიკური: დ-ტ ი რ უ ჰ < \* დ-ტ ი ა-უ ჰ „ის (აღმ.) ზის“

დინამიკური: დ-ტ ი რ ა ტ < \* დ-ტ ი ა-ჟ ი ა ტ „ის (აღმ.) ჯდება“.

აღნიშნული ფუძეების მქონე სტატიკური ზმნები დინამიკურად გადაქცევისათვის საჭიროებს რიგი სუფიქსის დართვას, კერძოდ, ოდენსახელური ფუძის სტატიკური ზმნები დინამიკურად გადაქცევისათვის დაირთავენ ე. წ. ძირ-სუფიქსებს:

ე. წ. ზმნური ფუძე სტყოლუ ჰ „ვარ, ვარსებობ“, ასტმოლუ ჰ „მაქვს, მყავს“ დინამიკური შინაარსის გამოსახატავად იყენებს -ზაა// -ზა (ტაპ.-ზლა) სუფიქსს: სტყაზაა ჟეატ „ვიქნები, ვიმყოფები“.

რამდენიმე სტატიკური ზმნის ფუძე დაირთავს -ხა სუფიქსს და გადინამიკურდება: ილთახ-ჟჰ „მას (დედაკ.) ის (რალაც) უნდა“. (ათახ-რა „სურვილი“, „ნდომა“). და ილთახ-ხოატ// ილთახ-ხა-ჟეატ - „მას (დედაკ.) ის (რალაც) უნდება“. ეს -ხა სუფიქსი სახელთაგან აწარმოებს დინამიკურ ზმნებს გარდაქცევითობის მნიშვნელობით და სტატიკურ ზმნებში მისი გამოყენება საყურადღებოა.

აფხაზურში შეიძლება დინამიკური ზმნის გასტატიკურება: იქეჟჰ „ის (რალაც) მოთხრილია, დაფლულია“ (აქეარა „თხრა“ ზმნისაგან. ეს ეხება გარდამავალ დინამიკურ ზმნებს.

4. 4. პრევერბები სტატიკურ ზმნებში. მიმართულების გამოჩატველი პრევერბები სტატიკურ ზმნებს აფხაზურში არ ახასიათებს. მიმართულების გამოჩატველი პრევერბი სტატიკურ ზმნას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაერთოს, როდესაც ის გარდამავალი დინამიკური ზმნიდანაა ნაწარმოები (წინდებულები, რომლებიც სივრცეში ლოკალიზაციას გვიჩვენებენ, სტატიკურ ზმნათა ფუძეებია), გამოჩალინია რამდენიმე ზმნა, სადაც წინდებული გვხვდება:

ს-თა-გტლო-უ ჰ „შიგ ვღვავარ“.

ს-თა-ტიორ-უ ჰ „შიგ ვზივარ“.

მაგრამ ეს ისეთი ზმნებია, რომელთა ფუძიდან როგორც სტატიკური, ისე დინამიკური სახეობა იწარმოება.

4. 5. დრო-კილოთა წარმოება სტატიკურ ზმნებში. სტატიკურ ზმნათა უ-ჰ სუფიქსი შედგება ორი ელემენტისაგან: -ჰ გადმოსცემს ფინიტობას (იგი გვხვდება დინამიკური ზმნების მყოფადშიც), აწმყო დროის მაწარმოებელია -უ- (მდრ. ინფინიტური ი-ყა-უ- „რაც არის“). დინამიკური ზმნების აწმყოს ფინიტურ ფორმას აწარმოებს უა + იტ რთული სუფიქსი.

სტატიკურ ზმნათა აწმყოს წარმოებისას ქრელი ვითარება გვაქვს აშხარულ დიალექტში. აქ, ერთი მხრივ, პირაქეთა დიალექტთა შიგნით, გვაქვს -უბ სუფიქსიანი ფორმები: დღრტ-ო—ტჰ-კუვ. „ის (აღამ.) ჩემია, მე მეკუთვინის“. მეორე მხრივ, აფსუურის კილოკავში სტატიკურ ზმნათა აწმყოში გვხვდება დინამიკურ ზმნათა -იტ და -უტ სუფიქსები:

დღყჳ-დტ—კუვ. „ის (აღამ.) არის, იმყოფება“.

სარტაპირსაკ-ტტ — აფს. „მე ტაპირი ვარ“.

-უტ სუფიქსი აფსუური კილოკავის ფაქტია. კუვინსკის კილოკავი ამ შემთხვევაში ჩვეულებრივ -უბ სუფიქსს იყენებს.

აფსუურშია: (ისტ მე-დტ

(დღუტ-ტტ)

კუვინსკურშია (ისტ მე-დტ „მაქვს (რალა)“.

(დღუტ-ო-ტჰ „შენია ის (ვილა)“.

სტატიკურ ზმნათა ორ ჯგუფად დაყოფის ფაქტი აშხარულ დიალექტში ასე იხსნება:

1. თუ სტატიკური ზმნა იძლევა „სახელურ“ გაგებას, მაშინ აწმყოს ფინიტური ფორმა კუვინსკის კილოკავში ნაწარმოები იქნება -უბ სუფიქსით, ხოლო აფსუურის კილოკავში -უტ სუფიქსით.

2. თუ სტატიკური ფორმა ზმნური ფუძის გაგებას იძლევა, მაშინ ორსავე კილოკავში -იტ სუფიქსი გვექნება.

ფუძეები, რომლებიც სტატიკურ და დინამიკურ ფორმებსაც აწარმოებენ, კუვინსკის კილოკავში -უბ, ხოლო აფსუურის კილოკავში -უტ სუფიქსს დაირთავენ.

დიალექტური სხვაობა თავს იჩენს ტაპანთურშიც. სტატიკურ ზმნათა აწმყოს ფინიტურ ფორმაში გვაქვს -ბ//პ-ს სუფიქსი (დინამიკურ ზმნათა მყოფადის მსგავსად): ს-ყ ბ-ბ//პ „მე ვარ, ვიმყოფები“ (აწმყოს ინფინიტურ ფორმაში აქაც -უ გვექნება).

სტატიკურ ზმნათა ნამყო განუსაზღვრელის -ნ (იყ ა-ნ) როგორც სტატიკური, ისე დინამიკური ზმნებისათვის საერთოა.

სტატიკური ზმნის ფუძეებს, აწმყო და ნამყო განუსაზღვრელი დროის როგორც ფინიტური, ისე ინფინიტური, დადებითი, უარყოფითი, კითხვითი, ნატებითი და ბრძანებითი ფორმების წარმოება შეუძლია, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში დინამიკურ ზმნათგან განსხვავებული ვითარება გვაქვს.

4. 6. უარყოფითი ფორმების წარმოება სტატიკურ ზმნებში. სტატიკურ ზმნებში უარყოფითობის მაწარმოე-

ბელი მუდამ სუფიქსია (ფინიტურ და ინფინიტურ წარმოებაში):  
ფინიტური წარმოება ინფინიტური წარმოება

აწმყო: ს ტ ი ა მ-მ „არ ვზივარ“, სა ხ-ტ ი ა მ-მ „სადაც არ ვზივარ“..  
ნ. განუს: ს ტ ი ა მ-მ-ზ ტ „არ სა ხ-ტ ი ა მ-მ-ზ „სადაც არ ვიჯექი“  
ვიჯექი“.

დინამიკურ ზმნათა ფინიტურ წარმოებაში უარყოფითობის -მ-  
ზოგი დროის ფორმაში სუფიქსად არის (აწმყო, მყოფადი), ზოგში  
კიდევ — პრეფიქსად. დინამიკურ ზმნათა ინფინიტურ წარმოებაში  
მ- მუდამ პრეფიქსად გვაქვს.

4. 7. ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი კ ი ლ ო ს წ ა რ მ ო ე ბ ა ს ტ ა ტ ი კ უ რ  
ზ მ ნ ე ბ შ ი. ბრძანებითი კილოს საწარმოებლად დინამიკური ზმნა  
იღებს ფუძეს (აფხაზურში ზმნის აორისტი ფუძეს უდრის), მაშინ  
როდესაც სტატიკურ ზმნას უჩნდება რიგი სუფიქსი დიალექტთა  
მიხედვით:

დინამიკური  
უ-გ გ ლ (ა) „ადექი“

სტატიკური  
პირაქეთა: უ-გ გ ლ ა-ზ „იდექი!“  
ტაპ. უ-გ გ ლ ა-ზ ლა!  
(უ-გ გ ლ ა-ზ-ტ // დ!)  
აშხ. უ-გ გ ლ ა-ზ!  
(უ-გ გ ლ ა-ზ ტ!)

ეს სუფიქსები -ზ<-ზ ა// -ზ ა ა, ტაპ. -ზ ლ ა სტატიკური ზმნის  
ფუძეს დინამიკურობას სძენს (მისი დართვის შემდეგ სტატიკურა  
ზმნიდან იწარმოება დრო-კალოთა ყველა ფორმა). ე. ი. სტატიკური  
ზმნის ბრძანებითი კილოს ფორმისათვის გამოიყენება გადინამიკუ-  
რებული სტატიკური ზმნა.

4. 8. კ ა უ ზ ა ტ ი ვ ი ს ტ ა ტ ი კ უ რ ზ მ ნ ე ბ შ ი. სტატიკურა  
ზმნები ვერ იწარმოებს კაუზატივს, თუმცა გამორიცხული არ არის,  
რომ კაუზატივის რ- პრეფიქსი დაირთოს სახელური ფუძის სტატი-  
კურმა ზმნამ — დინამიკურ გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ზ მ ნ ა დ გადაქცევისას.

ა-რ-კ ა ტ ჰ რ ა „დამოკლება, მოკლედ გადაქცევა“ -ი-ს გ-რ-  
კ ა ტ ჰ ი ტ „ის მე დეამოკლე“. შდრ. ა კ ა ტ „მოკლე“.

4. 9. ქ ც ე ვ ა ს ტ ა ტ ი კ უ რ ზ მ ნ ე ბ შ ი. სტატიკურ ზმნებს  
მარტო საობიექტო ქცევა აქვს ზ- (ბზიფ. ზ.) და ც- პრეფიქსებით.  
ზ- პრეფიქსით გამოხატულია ირიბი ობიექტისაკენ მიმართული ქცე-  
ვა, ც- პრეფიქსი კი ირიბი ობიექტისაგან უკუქცევას გვიჩვენებს:

გ-ა-ზ-ბ ა გ ი ო-უ პ „ეახლოება“, „ახლოობს“.

გ-ა-ც ი გ-ხ ა რ-ო-უ პ „ემორება“, „შორავს (უშორავს)“.

4.10. მასდარი და მიმღეობა სტატიკურ ზმნებში. მასდარი და მიმღეობა აფხაზურში ახლად ჩამოყალიბებული კატეგორიებია. ისინი, შეიძლება ითქვას, დინამიკურ ზმნებს აქვთ მხოლოდ. სტატიკური ზმნის ფუძეზე მასდარის -რა სუფიქსის დართვით ვიღებთ აბსტრაქტული ცნების გამომხატველ სიტყვებს: აჭაჯ „აღამიანი“ — აჭაჯ-რ ა „აღამიანობა“. რაც შეეხება სტატიკურ ზმნათა ოდენ ზმნურ ფუძეებს, აქ ასეთი წარმოებაც კი არ გვაქვს. ამ ფუძეებიდან მასდარის წარმოება შესაძლებელია, თუ დაუერთავთ -ზ ა ა//ზ ა (ტაპ. -ზ ლ ა) სუფიქსს: აკი-ზ ა ა -რა „ყოფნა“, ა მ ა -ზ ა ა -რა „ქონა“, „ყოლა“. მაგრამ ასეთი მასდარი დინამიკური ზმნისაა. ასევე, მიმღეობის წარმოებაც სტატიკურ ზმნებს მხოლოდ ამ სუფიქსის დართვის შემდეგ შეუძლიათ: ა შ თ ა -ზ ა ა ჯ „მღევაარი“. ასეთი წარმოებაც ახალი ჩანს (შდრ. დინამიკური ზმნის მიმღეობა ანჯყი(ჯ) „სიარულის კაცი, მოსიარულე“ ზმნიდან — დნჯყიოჯტ „დადის“).

## თავი I

### სტატიკური ზმნები ძველ ქართულში

#### § 5. სტატიკურ ზმნათა ფუძის შედგენილობა

5. 1. სტატიკურ ზმნათა ფუძეების წარმოება ძველ ქართულში ერთგვაროვანი არ არის — სტატიკური ზმნის აწმყოს ფუძე სხვადასხვაგვარად ფორმდება. განსხვავებულად გაფორმებულ ფუძეებს შორის ზოგჯერ შინაარსობლივი სხვაობაც შესამჩნევია, მაგრამ ეს სხვაობა (შინაარსისა თუ ფორმისა) არ ცვლის ძირითადს — ზმნის სტატიკურობას, იმ გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ შ ი ნ ა ა რ ს ს, რაც ამ ცნებაში იგულისხმება.

სტატიკური ზმნის ფუძე შეიძლება იყოს ზმნური ან ნასახელარი. ამათგან პირველი მცირე რაოდენობით გვაქვს. ნასახელარი ზმნის ფუძედ ნებისმიერი სახელი გვხვდება.

ძველ ქართულში ფუძის გაფორმების მახედვით სტატიკურ ზმნათა შემდეგი ჯგუფები გვაქვს: 1. მ ა რ ტ ი ვ ფ უ ძ ი ა ნ ი ს ტ ა ტ ი კ უ რ ი ზ მ ნ ე ბ ი; 2. ს ტ ა ტ ი კ უ რ ი ზ მ ნ ე ბ ი, რ ო მ ე ლ-

თა ფუძე აწმყოში თემატური სუფიქსებით ფორმდებია. ეს სუფიქსებია: -ი, -იე, -ან, -ავ, -ევი, -ოვი (ი), -ებ, -ობ; როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, ეს სუფიქსები სხვადასხვა ოდენობაა, განსხვავებული წარმოშობისა თუ დიალექტური წრისა<sup>1</sup>.

ქვემოთ სტატიკურ ზმნათა თითოეულ ჯგუფს ცალკე განვიხილავთ უღვლილებს სისტემაში თუ სადერივაციო ერთეულებთან.

5. 2. მარტივფუძიანი სტატიკური ზმნები. მარტივფუძიანი ზმნა შეიძლება იყოს: ა) ნასახელარი (წითს, წკმს...), ბ) პირველადი (ღირს, სძაგს...). ასეთი გამიჯვნა პირობითია. ზოგი ზმნის სახელიდან წარმომავლობა ამჟამად ნათელი არ არის. შესაძლოა მეორეული იყოს ზოგი ზმნის მარტივფუძიანად გააზრებაც.

ა) ნასახელარი სტატიკური ზმნებია: წითს-: ყუდრო იყოს, რამეთუ წითს ცაჲ (მათ. 16,2).

წკმს-: მზე მისი აღმოავლინის ბოროტთა ზედა და კეთილთა და წკმნ (მათ. 5,45 c); სწკმდინ მას ზედა ჯალმობაჲ (იობისი 20, 23); რაჲთა არა წკმდეს წკმა... (გამოცხ. იოვ. 11,6).

ექუს-: რომელსა ვექუდი შემემთხვა მე (იობისი 3,25); არა ექუდეს საქმესა ჩემსა (კიმ. I, 185,2); შდრ. განწმიდა გული მისი ყრლისაგან იქუსა (კიმ. I, 26,10).

ს-ჭირს-: არაჲ გჭირს შენ არავისთვის (მათ. 22,16C); ნუ გარემიიქევე პირსა შენსა ჩემ-გან რლსა დღესა მჭირდეს მე (კიმ. I, 282,5); შდრ. და მე ვიხილე ჭირი იგი მათი (გამოსლგ. 3,9).

ჰმარჯუს-: ვითარმცა სიტყუას უგებდეს ადგილისათეს, სადამცა ვის-მე ჰმარჯუდა (ხანძთ. ♣ 53).

ს-ცალს-: და ვერცა პურის ჰამად ჰცალნ (მარკ. 6,31C); გცალს და მოცალე ხართ (გამოსლგ. 5, 17);

შურს-: რომლისა თანა არს სიყუარული, არა შურნ მონავები ცოდვილთაჲ (მამ. სწ. 235,25); რ მშურდა მე უკეთურთაჲ (კიმ. I, 64, 36—65,1); შდრ. და შეემთხვა მას შური თა ეშმაკისათა უძკრესი ბოროტი (კიმ. I, 337,34).

ს-წუნს-: ნუშცა გუწუნს ჩუენ სიმციარჲ ესე კრებულისაჲ ამის (სინ. მრ. 77,16).

---

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბილისი, 1948, გვ. 107.



ო-ხ-ს: ვინ გუეოხდა ჩუენ (სინ. მრ. 24,26); შდრ. ოხი-  
თა და ვედრებითა მისიდა შევირაცხნეთ მათ თანა (კიმ. I, 340, 20)

ჰ-მატ-ს: რავდენითა ადგილითა ჰმატან წყალნი სოფელსა  
(პარხ. 218 B 13,14); და არა რამით ვინ მმატს სახლსა ამას შინა  
(დაბ. 39,9); თუ მატდეს სიმაართლე თქუენი უფროჲს მწიგნობარ-  
თასა..., არასადა შეხვდეთ სასუფეველსა ცათასა (მათ. 5,20C); შდრ.  
ზოლო უკუეთუ ნამეტავის აგან ჩუენისა არა შევიწყალნეთ  
ძმანი ჩუენნი (მაშ. სწ. 49,29); მეტ/მატ: უკუეთუ კულა პური დ.  
ჰმეტდის მეორისა მსგეფისისა არღარა აღილიან (იოვ. და ეფთჳმეს  
ცხოვ. 104,20).

ბ) ე. წ. პირველადი სტატიკური ზმნები ჩანს:

უ-ბ-ნ: და ამათ ძირი არა უბნ, რომელთა-იგი ეამ ერთ  
პრწამს (ლ. 8,13 DE).

ა-კლ-ს: ნუ გულსა გაკლს (კიმ. II, 209,10; ლიმ. 98,31);  
რადღა მაკლს მე (მარკ. 10,20 DE); არა რამე გუაკლდა (ლ.  
22,35 DE).

უკვრ-ს: და რადღა გიკვრს? (სინ. მრ. 186,33); და უკვრ-  
და ყოველსა მას ერსა (ლ. 11,14C); უკვრდა ერსა მას სწავლად  
იგი მისი (მათ. 7,28C).

ჰ-მალ-ს: ჰმალდა მოძღურებამ იგი მისი (მარკ. 6,2C);  
ეტიმოლოგია ამ ზმნისა არაა ცნობილი.

ასხ-ს//ასხ-ენ: ფურცელი ასხს მარადის (სინ. მრ. 232,25);  
რამეთუ სულსა კორც და ძუალ არასხენ, ვითარცა მე მხედავთ,  
რამეთუ მასხენ (ლ. 24,39 DE); რამეთუ კორცნი ასხენ ედ  
ძესა მას ადამისსა (სინ. მრ. 113,20).

ღირ-ს: ღუმელით პატივისცემაჲ ღირს (სინ. მრ. 32,38);  
მაჲ-კაცსა არა უღირს დაბურვამ თავისაჲ (სინ. მრ. 124,18); არა  
ვღირდია ამბოზის ყოფად (დაბ. 31,28); ესე გიღირდა ყო-  
ფად და იგი არა დატეუებად (მათ. 23,23C).

ყეფ-ს: შენ შეპრისხნი ძალსა, ყეფენ რამ იგი (მაშ. სწ.  
148,4); ყეფდეს ურთიერთას და იტყოდეს (კიმ. I, 190,37).

უყუარ-ს: და მიქმენ მე საქმელი, ვითარ-იგი მიყუარს  
მე (დაბ. 27,4); უფალო, შენ უწყი, რამეთუ მიყუარ შენ (ი. 21,15);  
რამეთუ უყუარდეს იგინი ფრიად (სინ. მრ. 245,13).

ს-ძაგ-ს: აწ ნურას მერიდებით მე და ნუცალა გძაგ (შუშ.  
149,10); ნუ გძაგნ მსახურებამ მისი (კიმ. I, 230,23); სახელიცა მა-  
თი სძაგდა სმენად (შუშ. 36,17).

კ ა მ ს-: რ-მ ი ე მ ს მე ი გ ი (კიმ. I, 209,25); არა გამს მონაგებ-  
თა სიმრავლე (მამ. სწ. 7,34); რად უკმს ესე ღმერთსა (ლიმ. 140,15).

მარტივფუძიან ზმნათა ერთ ნაწილში შესაძლებლად მიიჩ-  
ნიათ - რ სუფიქსის აღდგენა მასდარის საშუალებით<sup>2</sup>. ეს ზმნებია:  
დ უ მ-ს, დ უ ლ-ს ტ ი რ-ს, ს-ძ უ ლ-ს, წ უ ხ-ს (შდრ. დ უ მ-ი-ლ-ი,  
დ უ ლ-ი-ლ-ი, ტ ი რ-ი-ლ-ი, ს ი-ძ უ ლ-ი-ლ-ი, წ უ ხ-ი-ლ-ი).

დ უ მ-ს//დ უ მ-ი-ს: ხოლო უფრო მს ბუნებისასა ვ დ უ მ ი (სინ.  
მრ. 32,36); ნუ ს დ უ შ ი, რამეთუ მე ვარ შენ თანა (საქმე 18,9):  
ვარიანტი: ს დ უ მ.

-ი სუფიქსი არ ჩანს ამ ზმნის ნამყო უსრულში:

რ არა წარწყმდეს ცხორებაჲ მათი რნი დ უ მ დ ე ნ (კიმ.  
I, 84,35); -ი სუფიქსი გვაქვს მასდარში: იყავნ თქუენდა დ უ მ ი-  
ლი (იობისი 13,5).

დ უ ლ-ს: და დ უ ღ ნ მუცელი მისი (კიმ. I, 327,10); რ-ეს  
ეშმაკი განმზიარულებული დ უ ლ და (კიმ. I, 133,2).

ტ ი რ-ს: ნუ ჰს ტ ი რ (ლ. 7,13 DE); ნუ ს ტ ი რ თ ჩემ ზედა,  
არამედ თავთა თქუენთა ჰს ტ ი რ ო დ ე თ (ლ. 23,28 DE); ტ ი რ ა ნ  
წარყვანებისათვის სულისა შენისა (მამ. სწ. 5,21); შდრ. ტ ი რ ი-  
ლი თ მითხრობდა მე (ლიმ. 14,6).

ს-ძ უ ლ-ს: ჰს ძ უ ღ მას ნათელი (ი. 3,20 DE); ხოლო მე  
ვ ს ძ უ ღ (ი. 7,7); შდრ. დავიშარხნეთ თავნი ჩუენნი ს ი-ძ უ ლ ი-  
ლის ა გ ა ნ და შფოთისა და ტყუილისა (მამ. სწ. 26,6).

წ უ ხ-ს უკუეთუ ესე ესრეთ წ უ ხ-ს, მაშა რად არ მივალ მათ თა-  
ნა (ლიმ. 116,20); არამცა ტიროდა და წ უ ხ და (სინ. მრ. 268,3); სო-  
ფელსა უხაროდის და თქუენ ჰს წ უ ხ დ ე თ (ი. 16,20).

5. 3. თ ე მ ა ტ უ რ ს უ ფ ი ქ ს ი ა ნ ი ს ტ ა ტ ი კ უ რ ი ზ მ ნ ე-  
ბ ი. 5. 3. 1. -ი სუფიქსიანი სტატიკური ზმნები. -ი სუფიქსით გა-  
ფორმებული სტატიკური ზმნები ძველ ქართულში მრავლადაა. აქაც  
შეიძლება გაიჩინოს ნასახელარი (ო ხ რ -ი-ს, ქ რ -ი-ს, ბ ო რ გ -ი-ს...)  
და ზმნური (არ-ს//ა რ -ი-ს, რ ბ -ი-ს, ი ვ ლ ტ -ი-ს...) ფუძეები. არ-ს//  
ა რ -ი-ს (ეს ზმნა ორფუძიანია: ა რ /ა რ -ი).

მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა (მათ. 28,20); გლახაკ  
და დავრდომილი ვარ ი მე (კიმ. I, 281,30); არა ღირს ხარ შენ  
(ლიმ. 24,28); რომელსა შინა ხარ ი შენ (ლიმ. 3. 10); რომელი იგი

2 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ე რ გ ა ტ ი უ ლ ი კ ო ნ ს ტ რ უ ქ ტ ი ო ს პ რ ო ბ ლ ე მ ა... I, გვ. 105.  
3 მეტი არის შრომაჲ ევე თქუენი, ცხ. ანტ. 60, I (მე-11 საუკუნე).

პირველად არან იგი მოვიდის (სინ. მრ. 36,6); რომელი ვალს ოზნითა, არაწმინდა არის იგი თქუენდა (ლევიტ. 11,27).

მხოლოდობითის მესამე პირში არა ი ფუძის ხმარების შემთხვევები იშვიათია. მრავლობითი რიცხვის მესამე პირში ყოველთვის არა ი გვაქვს: რომელთა ყოველნი უმეცარ არიან საიდუმლოთა, შეიწყნარე (სინ. მრ. 20,7).

ბორგო-ის: ეშმაკი არს მის თანა და ბორგის (ი. 10,20C); ნუ ჰბორგით თქუენცა სიბორგილისა მაგისისა მსგავსად (კიმ. I, 143,28).

უ-ვი-ის: რამეთუ დასასრულსა მვეცთავე შექმად უვი (ლიმ. 136,30); ერთი მიეის მამა (სინ. მრ. 99,4).

ზ-ის; რამათჳს შენ ჰზი მარტო (გამოსლვ. 18,14); ზ-ის: „ეკლესიათა შინა ზის კართა მცველად (პარხ. 46 A25, 26).

კუმ-ის: ზოლო მთა იგი სინაჲ კუმოლ<sup>4</sup> (გამოსლვ. 19,18).

კუნეს-ის: ყოველი ესე ქალაქი კუნესის მის-თჳს (კიმ. I, 136,12).

კლამ-ის: ყოველნივე განგებასა ვლამით (მამ. სწ. 267,1).

ელ-ის: ელით ცხორებასა საუკუნესა (სინ. მრ. 11,12); მელიან მე (მათ. 15,32 DE).

ელმ-ის: რომელთა ელმიჲს საქმე შენი (მამ. სწ. 114,16); მელმიან მე წელნი ჩემნი შენთჳს შვილო (კიმ. I, 145,16).

მზირ-ის: რამეთუ ლომი იგი მზირის შთანთქმად (მამ. სწ. 128, 15), ავაზაკნი მზირიან (მამ. სწ. 243,2).

ჰმში-ის-: რაჲმს ჰმშიინ აღადის პირი თჳსი. (სახ. სიტ. 4 25); მათ შიის და სხუათა ზრდიან (სინ. მრ. 36,16); პარალელურად გვხვდება ჰმში-ინ და ჰში-ან ფორმებიც. ჰმშიინ და არა პოვის ნადირი (სახ. სიტ. 71 3); ჰშიან მათ და არა აქუს საზრდელი კორცთაჲ (კიმ. II, 158,38).

ინან-ის ცოდვილ ვარ და ვიგლოი და ვინანი ცოდვათა ჩემთა-თჳს (კიმ. I, 57—6,7); მკუდარი არა ინანის (მამ. სწ. 256,24).

ოზრ-ის: დავა ეუუანი ოზრინ და ხმოზნ (სახ. სიტ. 49 20); და ვმითა ტკბილითა მოწლებისა მისისაჲთა ოზრიელ მალნარნი (სინ. მრ. 225,5).

<sup>4</sup> აკ. შანიძეს კუამს ფორმა მიჩნია ამოსავლად (იხ. სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში. ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, თბილისი, 1967, 124).

ქუ ვ-ი-ს: ვ ა სიპრავლე ფუტკართაჲ ქუ ო და (კიმ. I, 317,26).

რ ბ-ი-ს: სულია შენისათჳს ჰ რ ბ ი (სინ. მრ. 48,16); ჯონებაჲ შენი განუტევე და რ ბ ი ნ უბანთა და სახლებსა (მამ. სწ. 28—19,20).

უ-ძ ღ-ს: კეთილ არს ნათელ და პატიოსან და ყოვლისა სარგებელ რ კაცთა უ ძ ღ ს იგი სარგებლად (პარხ. 31A 18,20).

ჰ რ უ ლ-ი-ს: ვ ა არა ჰ რ უ ლ ი ნ, არცა დაძინის (სახ. სიტ. ხე 31); ხოლო მკარის ჰ რ უ ლ ო და (ხანძთ. 07 59).

ე-რ ჩ-ი-ს: ანუ ერთაჲ ე რ ჩ ი ნ და ერთი შეურაცხყვის (მათ. 6,24C); ქარნიცა და ზღუაჲცა ე რ ჩ ი ა ნ მას (მათ. 8,27).

ჰ-რ ც ხ უ ე-ი-ს: აწ არა ჰ რ ც ხ უ ე ნ ი ს იაკობს (სინ. მრ. 145,6); არცა კაცთაჲ მ რ ც ხ უ ე ნ ი ს (ლ. 18,4 DE).

ს უ რ-ი-ს: ვეძიებ მას და მისაცა მს უ რ ი ს (სინ. მრ. 229,9); რომელსა ს უ რ ი ს მისსა (კიმ. I, 57,36).

ს-წ ყ უ რ-ი-ს: ძილსა შინა ს წ ყ უ რ ი ნ (ესაიაჲსი 29,8) და თქოვა მ წ ყ ო ვ რ ი ს (კიმ. I, 91,9).

ს-ტ კ ი ვ-ი-ს: ცოდვაჲ არა გ ტ კ ი ვ ი ს (მამ. სწ. 68,20); ცოდვაჲ ს ტ კ ი ვ ი ს (მამ. სწ. 68,22).

ტ ყ უ ვ-ი-ს: ნუ ს ტ ყ უ ვ ი მეფე (კიმ. I, 148,21); არა მი ტ ყ უ ვ ი ს გონებაჲ (კიმ. I, 168,18).

ფ შ-ს: და სულნელად ფ შ-ს იგი (მამ. სწ. 58,11); და ფ შ-ს სურნელად (მამ. სწ. 141,2).

ქ რ-ი-ს: და რაჲჲს სამხრით ქარი ქ რ ი ნ, კსთქვთ, ვითარმედ სიცხმ იყოს (ლ. 12,55DE); სულსა ვიდრეცა უნებნ, ქ რ ი ნ (სინ. მრ. 188,12).

ყ ი ვ-ი-ს: და აწ ნუ ჰ ყ ი ვ ი თ, და ნუცა გეშინის (სინ. მრ. 274, 15); ნამყო ძირითადის გადმოსაცემად ოთხთავის რედაქციებში ყ ი ვ ა ფორმა გამოიყენება: ქათაჲ ყ ი ვ ა (მათ. 26,74; ლ. 22,60).

ყ უ ა ვ-ი-ს: ხოლო ადგილი იგი ვიდრე მოაქადმდე წყალობითა ღმრთისაჲთა ყ უ ა ვ ი ს (კიმ. II, 174,1); მარადის ჰ ყ უ ა ვ ი ვ ი-თარცა გვრგვნი (სინ. მრ. 59,9).

ე-შ ი ნ-ი-ს: სიგლაზაკისაგან გ ე შ ი ნ ი ს და ცოდვისაგან არა გ ე შ ი ნ ი ს ა? (მამ. სწ. 85,13).

ჰ-შ უ ე-ი-ს: რომელსა ჰ შ უ ე ნ ი ს ღიდებაჲ (სინ. მრ. 71,30; 39,6).

ი-ც ი ნ-ი-ს: ვაჲ თქუნდა, რომელნი ი ც ი ნ ი თ აწ (ლ. 6,25); თითოეული ჩუენი ე ც ი ნ ი ს მოყუასსა ჩუენსა და ეშმაკი მარტოჲ მე ც ი ნ ი ს ჩუენ ყოველთა (მამ. სწ. 276,15).

ც რ-ის: რა გამოაჩინეს ყნი დაფარულნი და სამოთხე იგო  
რ-ლ ც რ ო და (კიმ. I, 294,19).

ძ რ წ-ის: და არა ძ რ ის მროკვალისა მის გონებად (სინ. მრ.  
209,36); ს ძ რ წ ი და სარკვლელ ხარ (მამ. სწ. 89,2).

ს-წ ა დ-ის: ს წ ა დ ის სიკუდილი (იობისი 3,21); დღესასწაუ-  
ლობად მ წ ა დ ის (სინ. მრ. 32,18).

უ-ხ არ-ის: ხოლო მორწმუნეთა უ ხ ა რ ის (სინ. მრ. 235,25);  
ხოლო ამას ზედა ნუ გ ი ხ ა რ ი ნ (ლ. 10,20).

(დამო) ც ვ ე-ინ: გულს-წყრომად შენი მსგავს არს ფურ-  
ცლისა... რ-ლ და მ ო ც ვ ე ი ნ ხეთაგან (კიმ. I. 139,33); ფურცელი  
მისი არა და ს ც ვ ე ი ს (ფსალ. 1,3 ა); ფურცელი ხეთა და ვენაქთა  
გაქმა და ს ც ვ ო და (იოვ. და ეფთუმეს ცხრ. 32—55,3).

5. 3. 2. -ი-ე სუფიქსიანი სტატიკური ზმნები. -ი-ე სუფიქსიანი  
სტატიკური ზმნები ძველ ქართულში ცოტაა. -ი დოქრათიულობის  
სუფიქსი ჩანს<sup>5</sup>. გაურკვეველია -ე-ს ფუნქცია სპეციალურ ლიტე-  
რატურაში -ი-ე სუფიქსიანი ფორმები მიზნეულია მომენტური ას-  
პექტის ფორმად, რომელიც პერმანსივის ფუძეზე -ე სუფიქსის  
დართვით არის მიღებული. შემდეგში ეს ფორმები ამ ტიპის ზმნა-  
თა განსაკუთრებული თავისებურების გამო (რეზულტატიური ში-  
ნაარსი) აწმყოდ ქცეულან<sup>6</sup>.

ჰ-გ ი-ე-ს: განიწმიდენით გუამისაგან, რომელი ჰ გ ი ე ს ქეშმა-  
რიტად (სინ. მრ. 247,24); მტყიცედ ვ ჰ გ ი ე მე და მცნედ (კიმ. I,  
226,7); ჰ გ ი ა ნ ი გინი ვითარცა ცხოვარნი საუკუნენი (იობისი 21,11).

ჰ-გ ო ნ-ი-ე-ს: ვინ ვ ჰ გ ო ნ ი ე ერსა ამას (ლ. 9,18); ნუ ადვილ  
და მცირე გ გ ო ნ ი ე ს (სინ. მრ. 77,19); არა გ გ ო ნ ი ა ნ შენ დაბა-  
დებოვლნი ლთისა მიერ (კიმ. I, 45—7,8).

ჰ-მ ო ს ი-ე-ს: ჰ მ ო ს ი ე ს მას ძაძად (სინ. მრ. 80,37); გ მ ო ს ი-  
ე ს შენ სქემად წმიდათად (ლიმ. 124,31); განკრწნადნი კორცნი გ უ-  
მ ო ს ი ა ნ (მამ. სწ. 3,16).

<sup>5</sup> არს. ჩიქობავა, ერგატეული კონსტრუქციის პრობლემა..., I, გვ.  
98—101. გ. დეეტერსის აზრით, სტატიკური ზმნის -ი აწმყოში (მიპყრ-ი-ე-ს)  
და I თურმეობითის -ი სუფიქსი (შემირაცხ-ი-ეს) ერთი და იგივე ოდენობა და  
შეიძლება უკავშირდებოდეს ვენებითი გვარის აწმყოს -ი სუფიქსს (G. De-  
eters. Das Kharthwelische Verbum. Leipzig. 1930 გვ. 168—169).

<sup>6</sup> ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის.  
ძველ ქართულში, თბილისი, 1954, გვ. 183—184; გ. როგავა იზიარებს ამ მო-  
საზრებას, ოლონდ სტატიკური ზმნები უკყრ ი ე ს ტიპისა, ავტორის აზრით, ის-  
ტორიულად დინამიკური ზმნის აორისტის ფორმას წარმოადგენს. იხ. მისი ДИНА-  
МИЧ. И СТАТИЧ. И. ე. ე. VIII, გვ. 463.

უ-მ ტ კ მ-ი-ე-დ: პირი ზე უ მ ტ კ მ ი ე დ (სახ. სიტ. ხ<sup>1</sup>, 8,9).  
ჰ-ნ თ-ი-ე-ნ: სადაცა იგი ჰ ნ თ ი ე ნ ყ რ დ მ უ ნ არ ნ (სინ. მრ. 122,7).

უ-პ ყ რ-ი-ე-ს: უ პ ყ რ ი ე ს პირი საყდრისაჲ (იობისი 26,9); არ-  
ცა ლამპარნი მ ი პ ყ რ ი ა ნ აღნთებულნი (სინ. მრ. 32,19). უკვე ძველ  
ქართულში -ი-ე დაბოლოებას ცვლის -ი-ა: ჩუენი არსო და შენ  
რამსათვს გ ი პ ყ რ ი ა (სინ. მრ. 70,8). ხოლო შინაგან ა დ გ ი ა მას  
გვრგვნი სულიერი (კიმ. I, 206, 17).

მ გ ო ნ ი ა, ძმაო ჩემო, ცუდად მოვშურებით (პარხ. 192 B. 19).

5. 3. 3. -ან სუფიქსიანი სტატიკური ზმნები. -ან სუფიქსი რე-  
ლიეფურად დაჩნდება ხოლმე სტატიკურ ზმნათა უღვლილების პა-  
რადიგმაში — მრავლობითის მესამე პირსა თუ ნამყო უსრულის  
ფორმებში.

დ გ -ა-ს (დ გ -ა-ნ-ნ)<sup>7</sup> და მესათხველ<sup>8</sup> იგი ვითარცა გოდოლი  
შეურყეველად მტკიცედვე დ გ ა ს (სინ. მრ. 223, 38); ლოცვასა  
ყოვლადვე ეკლესიისა კართა თანა დ გ ა ნ ნ უხუცესი ეპიტრიტი-  
სი (იოვანესა და ეფთჳმეს ცხორ. 61,3); და ხენი იგი დ გ ა ნ ა ნ და  
წამებენ სათნობათა მისთა-თვის (კიმ. I, 27,2); კარნი არა უ დ გ ა-  
ნ ე დ და თესლი არა აქუნ (ლიმ. 8,29).

-ან ფორმანტს ერთგან -ენ ენაცვლება: სადა ქ<sup>9</sup> არა იკსენე-  
ბინ და სახ<sup>10</sup> ჭუარისაჲ მისისა არა ზ ე დ ა დ გ ე ნ, იგი ჩუენ საყო-  
ფელ არს<sup>11</sup> (კიმ. I, 191,9), გვხვდება ა დ გ ი ა ფორმა (იხ. ზევით);  
შდრ. რქაჲ ერთი ა დ გ ს თავსა მისსა (სახ. სიტ. ხ<sup>1</sup>, 7);

პ რ წ ა მ ს: მ რ წ მ ა ნ ა ნ მ ე ს ი ტ ყ უ ა ნ ი შენნი (მამ. სწ. 75—29);  
ესე სიტყუანი არა გ რ წ მ ა ნ ა ნ (სინ. მრ. 109,10); გარდამავალ  
ზმნას ნამყო ძირითადში -ენ სუფიქსი აქვს: მან ღმერთი ცათაჲ  
და ქუეყანათაჲ აღიარა და პ რ წ მ ე ნ ა (შუშ. 13,24).

თითქოს -ან სუფიქსს გვაგვარაუდებინებს ახს ზმნის ნამყო  
უსრულის ფორმა: მ ი ა ნ ნ დ ა ს ი კ უ დ ი დ (ი. 4,47 DE, მაგრამ C: მ ი-  
ა ნ ნ დ ა);

სნეულ იყო და მ ი ა ნ ნ დ ა აღსრულებად (ლ. 7,2); მ ი ა ნ ნ დ ა

7 -ან სუფიქსის შესახებ იხ. ლ. კიკნაძე, ძირეული და ნასახელარი  
ზმნები ქართულში, II, ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის პედინსტიტუტის  
შრომები, II, 1947, გვ. 126.

8 ეს მაგალითი მითითებული აქვს ივ. ქავთარაძეს (იხ. ზმნის ძირი-  
თადი კატეგორიების ისტორიისათვის..., გვ. 156).

სიკუდილსა (სინ. მრ. 227,22); აწმყოში -ნ (-ან) არ ჩანს: რომელი ახს ქალაქსა ემეწასა ათორმეტით მილიონით (კიმ. II, 14,38). იხილეთ ყანობარი ეგე. რამეთუ განთეთრებულ არიან და ახან მკაღ (ი. 4,35 c).

-ან აწმყოს თებატურ სუფიქსად გამოიყოფა აქუს, ჰყავს, ჰგავს, ჩანს ზმნებშიც<sup>9</sup>.

აქუ-ს: და ჰქონან მას კლიტენი (კიმ. I, 111, 19); და აქუნ მის თანა პური და წყალი (ლიმ. 9,2); ვითარმცა სრული აქუნ და მადლი (სინ. მრ. 84,33); აწმყოში გვაქვს აქს ფორმა: მიეცით მას, რომელსა აქს (მათ. 25,28E); შეგვხვდა ნამყო უსრულის ასეთი ფორმა: აქუნ და, აქუნ დეს, თუ აქუნ-სა და უს-ს აღრევა არ გვაქვს. რა აქუნ და მას სახელებს სამკედლებს: წარმატებოვლებ, იქცევისებ (კიმ. I, 117,18).

სახლისა ჩემისა-გან ნაწილი აქუნ დეს (კიმ. I, 163,10);

ჰყავს-ს: რომელთა ჰყავს უძღურები (კიმ. I, 257,12); და თანა ჰყავს დეს დომენტიანოს და საბა (კიმ. II, 146,35).

ჰგავს-ს: და ჰგავს იგი განმრყუნელსა მას დევსა (სინ. მრ. 113,10); და იხილეთ, ვითარ ჰგავს მარტკლნი უფალსა ჩუენსა (სინ. მრ. 256,8); ვარ ნავსა ჰგავს და (კიმ. I, 211,4).

ჩ-ან-ს<sup>10</sup>: ჩანს ვიდრე დასავალადმდე (მათ. 24,27 DE); ჩან ედ კაცთა წინაშე შეუნიერ (მათ. 23,27 DE).

კუმ-ან-ედ: მთანი კუმანედ (პარხ. 278 A 6).

5. 3. 4. -ავ სუფიქსიანი სტატიკური ზმნები. ახლ-ავ-ს: არცა ნათესავი ჩემი მახლავს (თეკლ. 112,25); არცა მსოფლიონი ერისკაცნი ახლავს (ხანძთ. ზ 43).

ჰბურ-ავ-ს: რა არს მუნ შინა დედაკაცი რლსა ჰბურავს თავსა ძონძი ძუელი (კიმ. I, 206,17).

ბრწყინ-ავ-ს: ანუ რაჟსათვს მზტ ბრწყინავს (სინ. მრ. 144,29); ბრწყინავს დასავალადმდე (მათ. 24,27C).

გორ-ავ-ს: დაეცის იგი ქყნასა და გორავს (კიმ. I, 238,37); აწცა გორვენ ქვანი პათიოსანნი ქყნასა ზრა (კიმ. I, 23,5).

დრტვნ-ავ-ს: ნუს დრტვნავ (მამ. სწ. 145,12); მრავალი ბრალი აღუწერიეს შენ-თვს და დრტვენ (კიმ. I, 136,13).

ე-ს-ავ-ს: და ვესავ ჩემსაცა აღრე მოსლვასა (სინ. მრ. 71,10);

<sup>9</sup> იხ. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, § 472, გვ. 426.

<sup>10</sup> ჩ-ან-ს ზმნაში -ან-ის სუფიქსისეულობა სათუთა.

შენ გესავეთ მკუდართა აღმადგინებელსა (კიმ. I, 288,21); ნუ  
ესავენ სივოცხლესა (იობისი 24,23).

ელ-ავ-ს: ელვიდა იგი მცხინვარედ (კიმ. I, 236,26).

ს-თრ-ავ-ს: რომელთა გთრავს თვნიერ ღვინსა (ებაიამსი  
28,1); არა ვითარ-იგი თქუნენ ჰგონებთ, ვითარმედ ამთსთრავს.  
და. რამეთუ გუთრავს ჩუენ, არა ვითარ-ეგე თქუნენ გულსა  
მოვიქდა, არამედ ვითარცა წერილ არს (სინ. მრ. 186,29).

ჰ-კი-და-ვ-ს: და შთასადებელი იგი მას ჰკიდავენ (ი. 12,6DE).

კსინ-ავ-ს: ზამთარი იყოს, რამეთუ კსინავს მწუხარედ ცაჲ  
(მათ. 16,3).

ს-თნ-ავ-ს: უკუეთუ ჰსთნავს ეგე (მათ. 27,43 DE); ესე არს ძმ  
ჩემი საყუარელი, რომელი მთნავს მე (მათ. 17,5C);

ჰ-მტე-რ-ავ-ს: და ჰმტერავს ხესა მას ზედა გუელი დიდი  
(სახ. სიტ. № 10).

ჰ-ნებ-ავ-ს: რამეთუ ჰნებავს ესრტთ უპატიოჲ იგი პატიო-  
სან ყოფად (სინ. მრ. 33,37); რომელთაგან მნებავს მოწილვად  
ვარდი იგი სათნოებებათა მათთაჲ (ლიმ. 1,24).

ნეფხუ-ავ-ს: ეამ ერთ ქრინ, და მერმე დაყუდნის, ეამ ერთ  
ნეფხუავს, მერმე დასტრის, (მამ. სწ. 311—13,14).

ჰ-რ-თ-ავ-ს: რამეთუ იგი ხოლო გუ.რთავს ჩუენ შორის მო-  
წამედ (სინ. მრ. 66,30); აწ ვინაჲ ჰრთავს ლუარძლი ესე? (მათ.  
13,27).

როკ-ავ-ს: არა კეთილ (ად) ვროკავა, ბერო? (ლიმ. 130,4);  
არათუ როკავს, არამედ უმეტჲს როკავს (სინ. მრ. 209,2).

ფრინ-ავ-ს: არა მეშინის მე შიშისაგან ღამისა და არცა ის-  
რისა-გან რი ფრინავს დღისი (კიმ. I, 225,28); ღრუბელ-  
თა თანა ფრინვენ (მამ. სწ. 264,34).

ჰ-ფარ-ავ-ს: წმიდათა ოხაჲ მარადის გფარავს (ხანძთ.  
ბძ 28, 29).

ს-ძინ-ავ-ს: ნუ ფძინავს ეამსა მკისასა (მამ. სწ. 290,19);  
რამეთუ ყრპაჲ იგი არა მომკულარ არს, არამედ სძინავს (მრკ.  
5,39).

ძნ-ავ-ს<sup>11</sup>: არა დაგპატიებთ, რომელი იგი ძნავს (ოქროპი-  
რი 119,4); არა გესმის რასა ენე იტყუიან? გიძნავსა არა ესე შენ  
(სინ. მრ. 147,11);

<sup>11</sup> იხ. არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართვე-  
ლურ ენებში, თბილისი, 1942, გვ. 37.



გიძნავს ფორმის გვერდით გვაქვს უძნ ფორმა: და უფრო  
როს ყოვლისა ესე უძნ წმიდასა მამასა ჩუენსა (იოვანესა და  
ეფთუმეს ცბორება 76,1); და უძნდა სიტყუა იგი (ლ. 11,55);  
უძნდა კეთილად წარმატება ქენათა (კიმ. 1, 61—34,35).

უ-ძ-ლ-ა-ვ-ს<sup>12</sup>: არამედ გიძლავს თუ რადმე. შეგუეწიე ჩუენ  
(მრკ. 9,22C);

გიძლავს შესუმად სასუმელისა მის (მათ. 20,22C):

პრქუეს მას: გუძლავს (მათ. 20,22C);

მიძლავს სასუმელი, რომელი შენდა შესუმად არს (სინ. მრ.  
196,29).

-ავ სუფიქსიანი (უ-ძ-ლ-ა-ვ-ს) ფორმის გვერდით დასტურდება  
ამ ზმნის -ი სუფიქსიანი ფორმა: შე-უ-ძ-ლ-ი-ან: და არცა ნათე-  
სავთა და მეგობართა შეუძლიან ჯსნად მისი სიკუდილისაგან  
(კლარჯული მრავალთავი [A—144], 72 V, 11—14)<sup>13</sup>.

ღე-ლ-ა-ვ-ს: რომელიმე ღე-ლ-ავს ზღუასა დიდსა სულიერსა  
(მამ. სწ. 189,1).

ჰ-ღ-ვ-ძ-ა-ვ-ს: მივედ უფლისა და ისმინე: სძინავს ძიანუ  
ჰღვძავს (ხანძთ. ჩ.4).

შორ-ა-ვ-ს: რომელი შორავს იერუსალმს ას სამეოც  
უტევან (ლ. 24, 13 DE); ხოლო უწყალოებად და შეურაცხებად  
ძმისად შორვან წესსა ქრისტიანობისასა (მამ. სწ. 175,33).

ხური-ნ-ა-ვ-ს: რაღსა სძე და ხური-ნ-ავს? (სინ. მრ. 163,17).

კმუნ-ა-ვ-ს: არა კმუნავს, არა მტკივნეულ არს (მამ.  
სწ. 141,5).

ცურ-ა-ვ-ს: რ-ვ-ა მუცელსა შინა წყალთასა სოფელი ესე  
ცურავს (პარხ. 219 A 7,8).

5. 3. 5. -ევ სუფიქსიანი სტატიკური ზმნები. სუფ-ე-ე-ს ერთად-  
ერთი მაგალითია, სადაც ასე თუ ისე ნათელია -ევ სუფიქსის ფორ-  
მანტისეულობა<sup>14</sup>: რ-ს-უფ-ე-ე ჩემ ზ-ა ღ-თო ღ-თო ჩემო  
(კიმ. 1, 285,8); და დავით თქუა: უფალი სუფ-ე-ე-ს (სინ. მრ. 180,19);  
რამეთუ სუფ-ე-ე-და სიკუდილი (სინ. მრ. 12,7); სუფ-ე-ე-ღ-ე სა-  
სუფეველსა მას შინა (კიმ. 1, 239,32).

<sup>12</sup> გიძლავს > გიძნავს (მ. ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები ძველ  
ქართულში, თბილისი, 1960, გვ. 104—108. ი. იმნაიშვილი, ქართული ენის  
ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. II, გვ. 123.

<sup>13</sup> მაგალითი მოგვაწოდა ხელნაწერთა ინსტიტუტის უფრ. მეცნ. თანამშრო-  
მელმა ზ. სარჯველაძემ.

<sup>14</sup> იხ. არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება..., გვ. 225.

აქვე შეჰოდის ვ-ღ უ მ ი ნ-ე ვ-ღ, ვ კ რ ი კ ი ნ-ე ვ-ღ, ნ უ კ-ე ვ-ღ-ე ს ზ მ ნ ე ბ ი ც, რომლებიც მხოლოდ აქ მოყვანილი ფორმითაა და-დასტურებული:

ვითარც ტრედი, ეგრე ვ ღ უ მ ი ნ ე ვ ღ (სახ. სიტ. 'ზ' 4); ვი-თარცა მერცხალი; ეგრე ვ კ რ ი კ ი ნ ე ვ ღ (სახ. სიტ. 'ზ' 3).

ყ'ლსა სოფლებსა და ქალაქებსა ფანვილოდეს და ნ უ კ ე ვ-ღ ე ს (პარხ. 182 B 1,2).

5. 3. 6. -ოვ სუფიქსიანი სტატიკური ზმნები. -ოვ სუფიქსიანი სტატიკურ ზმნათა ორგვარი წარმოება გვაქვს: 1. ოდენ -ოვ სუფიქ-სიანი (ა-ქს-ოვ-ს, ი-გლ-ოვ-ს...) და 2 -ი სუფიქსით გავრცობილი (პე რ-ო ვ-ი-ნ...) მეორე ჯგუფში სახელური ფუძე მკაფიოდ ჩანს.

1. ა-ქ ს-ო ვ-ს: ესემცა ფ ა ქ ს ო ვ ს, რაათა უწყოდით... (მამ. სწ. 195,19); ესევითარსა არარა ა ქ ს ო (ვ) ს (მამ. სწ. 20,19; 21,3).

-ო ვ-ს ერთგან -ო ბ სუფიქსი ენაცვლება:

ფ უ ა ქ ს ო ბ ს მ ც ა ესე დაუვიწყებელად (მამ. სწ. 24,24).

ი-გ ლ-ო ვ-ს // ი-გ ლ-ო ვ-ი-ს<sup>15</sup>: ეშპაკი ი გ ლ ო ვ ს (სინ. მრ. 75,27); ა ო ღ უ ფ რ ო მ ს ა დ ვ ი გ ლ ო ვ ც ხ ო რ ე ბ ა ს ა ჩ ე მ ს ა (კიმ. I, 70,17).

ი-გ ლ-ო ვ-ი-ს: ცოდვილ ვარ და ვივლო ი და ვინანი ცოდ-ვათა ჩემთათვს (კიმ. I, 57,7).

2. პე რ-ო ვ-ი-ნ: და პე რ ო ვ ი ნ და ძნიად განეშორის მისგან (ლ. 9,39; DE პე რ ო ვ ი ნ); და სადაცა დააპყრის იგი, დააკუეთის, და პე რ ო ვ ი ნ (მრკ. 9,18 DE)

- ც რ ე მ ლ-ო ვ-ი-ნ: ვ ც რ ე მ ლ ო ვ ი შ ი შ ი თ ა (იობოჟი 3,24); რ ო ღ ი მ ა შ ი ნ ე ვ ე ც რ ე მ ლ ო ვ ი ნ ჩ ე მ-თ ვ ს (კიმ. I, 155,37).

-ოვ სუფიქსს ერთ შემთხვევაში -ე ვ ენაცვლება: ვ ო ა იხილა იგი წ და მან თეოდოსია ც რ ე მ ლ ე ვ ო ღ ა ი გ ი ც ა (კიმ. I, 149,15).

შ ა ლ ლ-ო ვ-ი-ნ: არამედ ჰზუაობ და ჰ მ ა ლ ლ ო ვ ი (მამ. სწ. 311,39); ესრეთ ჰ მ ა ლ ლ ო ვ ი (მამ. სწ. 71,12); და ჩუენ მონანი ცოდვისანი, დიდად ვ მ ა ლ ლ ო ვ ი თ (მამ. სწ. 70,7).

ს ა ს ტ-ო ვ-ი-ნ: არა საშველად მიზნდა და მიიყვანა, არამედ თვთ თავადი უთქუმიდა და ს ა ს ტ ო ო ღ ა, რაათამცა დაათქა იგი (სინ. მრ. 105,2).

<sup>15</sup> ი გ ლ ო ვ ს ზ მ ნ ა შ ი -ო ვ-ის სუფიქსად გამოყოფა პირობითია ქართულის ნიადაგზე. ეურადღებას იქცევს ხევსურული ი გ ვ ლ ე ვ ს: იხ. ალ. ჰ ი ნ ჰ ა რ ა უ-ლი, ხევსურულის თავისებურებანი, თბილისი, 1960, გვ. 172—173. შესაძლოა ი გ ლ ო ვ ზ მ ნ ა ს დაუკავშირდეს გ ლ ა-ძირი: გ გ ლ ი ა ნ (შუშ. 154,23).

თესლოვინ-ნ: რამეთუ ქრთილი წარმოდგომილ იყო და სელი თესლოთა (გამოსლვ. 9,31).

ბუტკოვინ-ნ: რტონი მისნი დაჩჩიან და ფურცელი გამობუტკოინ (მათ. 24,32C).

პრულოვინ-ნ: პრულოთა მათ, რომელნი-იგა ზესხდეს ჰუნებსა (ფსალ. 75,7).

5. 3. 7. -ებ სუფიქსიანი სტატიკური ზმნები. -ებ სუფიქსიანი სტატიკური ზმნები ნასახელარი ზმნებია. ამ სუფიქსით სტატიკური ზმნები ძველ ქართულში ცოტა გვაქვს დადასტურებული.

ამპარტავნ-ებ-ს: ამპარტავნებდა და მდაბალი იგი თუალითა აცხოვნოს (იობისი. 22,29).

დურადურ-ებ-ს: პირი შენი ცუდად დურადურებნ (მამ. სწ. 28,20).

ვალალ-ებ-ს: ვალალებდა და იტყოდა (კიმ. I, 323,28).

ვაუ-ებ-ს: და ვაებდა ძლიერად (კიმ. I, 269,31).

მეტყველ-ებ-ს: ვრ იგი ცუდად მეტყვლებდა (კიმ. I. 127,26).

მეუფე-ებ-ს: და მეუფებდეს სახლსა ზედა იაკობისსა საუკუნოდ (ლ. 1,33).

ნებიერ-ებ-ს: არა თუ ნებიერებენ. არამედ... ყოველსავე სულგრძელად მოითმენენ (მამ. სწ. 155,11).

ორგულ-ებ-ს: ნუ ორგულობ მისგან (კიმ. I, 191,37). ხოლო იგინი ორგულებდესდა (სინ. მრ. 154,8).

რორინ-ებ-ს: აჰა ესერა მე და მამა შენი ვრორინებთ და გეძიებთ შენ (ლ. 2,48).

ეტყე-ებ-ს: ეტყებდეს მას ტყებითა დიდითა (დაბ. 50,10).

უფლ-ებ-ს: და იგი უფლებს ყოველსა ქუეყანასა (დაბ. 45,26), რომელი-იგი უფლებს ყოველთა ზედა ძალთა ცისათა (სინ. მრ. 9,26).

ჰფუფუნ-ებ-ს: და გფუფუნებდ შენ წიალთა ჩემთა (კიმ. I, 142,16).

ფსალმუნ-ებ-ს: დღე და ღამე ფსალმუნებნ (კიმ. I, 235,6); იყო სენაკსა შინა თესსა და ფსალმუნებდა (ლიმ. 62,7).

ღაღად-ებ-ს; საუკუნოთა სიტყვთა ვღაღადებ (კიმ. I, 153,28).

შფოთ-ებ-ს: ბრძანებნ და შფოთებნ (მამ. სწ. 265,16);

დიდსა წინააღდგომასა იქმოდეს და შფოთებდეს (კიმ. II, 213,21).

5. 3. 8. -ობ სუფიქსიანი სტატიკური ზმნება. -ობ სუფიქსით (ისევე, როგორც -ებ სუფიქსით) სტატიკურ ზმნათა დაფორმება შედარებით ახალი ფაქტი ჩანს. უმეტესობა ამ ზმნებისა ნასახე-  
ლარია.

მეფობ-ს: ესმა, რამეთუ არქელაოზ მეფობს პურიასტან-  
სა ზედა (მათ. 2,22); და მეფობდა ელომს ბალაჯ (დაბ. 36,32).

მთავრობ-ს: და მთავრობდეს და არავეინ იყო სიტყვის-  
მგებელ (ესაიახსი 22,22).

მღდელობ-ს: სხუაჲ ვინმე მღდელობს (სინ. მრ. 26,6);  
მღდელობდა იგი ეკლესიასა შინა (ლიბ. 119,6).

მწირობ-ს: და მიგცე შენ და ნათესაჲსა შენსა... ქუეყანა ეგე,  
რომელსა შენ ჰმწირობ (დაბ. 17,8); და მწირობდა ქუეყ-  
ნასა მადიამისასა (გამოსვლ. 2,15).

ვაჭრობ-ს: საქმით ჰყოფდეს და არა სიტყვით ვაჭრობდეს  
(ხანძთ. შჟ. 135.136); რაჲთა ვაჭრობდეს მიცემულსა მას  
(სინ. მრ. 86,37).

კელობ-ს: და კელობდა იგი ფიცხლად (კიმ. I, 244,31);  
კელობდა ბარკლითა მით (დაბ. 32,31 (32)).

მართლობ-ს: იხილეს დობად და მართლობენ ეგრე-  
ცა: უფალი მართლობს რასებთაჲ ღმრთავინ იხილა გარნა  
მხოლოდშობილმან (პარხ. 216A 26,29).

ნათობ-ს: და ნათელი იგი ბნელსა შინა ნათობს (ი. 1,5C);  
ეგრე ნათობდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა (მათ. 5,16C)

თავქედობ-ს: შორის მამთა ვთავედობ (მამ. სწ. 261,26).

ჰმეტყუელობ-ს: რაჲსა მცირისა ჰმეტყუელობ (სინ.  
მრ. 118,8); შდრ. ვრო იგი ცუდად მეტყულებდა (კიმ. I, 127,26).

ორგულობ-ს: ნურარას ორგულობ (იოვანესა და ეფთვემს  
ცხორ. 19,21); ხოლო სხუანი ორგულობდეს (კიმ. I, 254,36).

შაბათობ-ს: და შაბათობდა ერი იგი დღესა მას მემ-  
კდესა (გამოსვლ. 16,30).

დღესასწაულობ-ს: დღეს დღესასწაულობს ყო-  
ველი (სინ. მრ. 74,9).

გვანობ-ს: არარაჲ გვანობს და შორავს შენსა წარსლვა-  
სა სოფლისა ამისგან (მამ. სწ. 256,7).

ზუაობ-ს: და შენ ზუაობ მის ზედა (მამ. სწ. 86,20); რასა  
უკუე ზუაობ ურგებთათვს (მამ. სწ. 3,18); შდრ. რამეთუ იყავ სი-

კაბუტეკსა შენსა ზუავე (მამ. სწ. 256,17); (ზუაობს<\*ზუავე ბ-ს).

პ-მ ი ზ ე ზ-ო ბ-ს: აწ ნუ ქ მ ი ზ ე ზ ო ბ (მამ. სწ. 43,26); ნუუკუ-  
ემცა ქ მ ი ზ ე ზ ო ბ დ ი და სთქუ (მამ. სწ. 7,25);

უ ბ ნ-ო ბ-ს: მამათა თანა უ ბ ნ ო ბ ს (მამ. სწ. 265,25).

ს-ჯ ო ბ-ს: აწ ს ჯ ო ბ ს მეზობლობა ლომისაჲ, ვ<sup>ე</sup> გუელისა  
გესლიანისაჲ (კიმ. I, 168,9), უკუეთუ მისმინო და შჯდე შჯ ო ბ ს  
შენთვის (კიმ. I, 210,17).

ს-წ უ ნ-ო ბ-ს: შეურაცხ-ყვის და ს წ უ ნ ო ბ ნ (მამ. სწ. 244,7);  
ებრძვის სხუასა და ს წ უ ნ ო ბ ს (მამ. სწ. 267,21).

ჰ-მ ძ ლ ა ვ რ-ო ბ-ს: ყოველივე მას ჰ მ ძ ლ ა ვ რ ო ბ ს (ლ. 16,16  
C); ილოცედიოთ მათთვის, რომელნი გ მ ძ ლ ა ვ რ ო ბ დ ე ნ თქუენ  
(ლ. 6,28).

ჰ-მ ა დ ლ-ო ბ-ს: ღ<sup>ა</sup> ჩენსა ვ ჰ მ ა დ ლ ო ბ (კიმ. I, 46,20);  
გ მ ა დ ლ ო ბ შენ, მეუფეო საუკუნეო (სან. მრ. 248,25).

ს-ძ უ ლ-ო ბ-ს: მრავალნი უცხოთა სწყალობენ და თვსთა ს ძ უ-  
ლ ო ბ ე ნ (მამ. სწ. 307,32).

ჰ-ყ უ ა-რ-ო ბ-ს: ერთიერთსა ვიცნობთ და ვ ჰ ყ უ ა რ ო ბ თ (სინ.  
მრ. 234,24).

ს-წ ყ ა ლ-ო ბ-ს: გ წ ყ ა ლ ო ბ შენ (კიმ. I, 140,7); ვინაჲთგან  
არა ს წ ყ ა ლ ო ბ დ ე ს გლახაკთა, დაეკმა კარი წყალობისაჲ წი-  
ნაშე მათსა (მამ. სწ. 25—15,16).

ფ ი ც ხ ლ-ო ბ-ს: რაჲსა ჰ ფ ი ც ხ ლ ო ბ ამბავს (პარხ. 116  
B 2).

შ უ რ-ო ბ-ს: ხ<sup>რ</sup> ეშმაკი უკეთური რ<sup>ი</sup> მ<sup>დ</sup>ს შ უ რ ო ბ ს ო<sup>ს</sup>ა  
მადლსა და სიყუარულსა ცხოვრებისასა მორწმუნეთათვის (პარხ.  
147 B, 17—19).

### § 6. სტატიკურ ზმნათა სუფიქსებისათვის

იმ სუფიქსთაგან, რომლებიც სტატიკურ ზმნათა ფუძეებს დაერ-  
თვიან -ი, -ავ, -ევე, -ებ, -ობ დინამიკურ ზმნებთანაჲ გვხვდება. სტატი-  
კურ ზმნათათვის სპეციფიკური ჩანს -ი-ე, ოვ-ი, -ან სუფიქსები. ერ-  
თადერთი -ამ სუფიქსიანი მ ო ს ლ გ ა მ-ს ვასტატიკურებული დინა-  
მიკური ზმნაა. -ამ სუფიქსი დინამიკურ (მოქმედებითი გვარის) ზმნა-  
თა კუთვნილებაა.

როდესაც სტატიკური ზმნის ფუძე დინამიკურ ზმნათათვის და-  
მახასიათებელი სუფიქსებით ფორმდება, სტატიკური ზმნის ფუძის  
„ზმნურობა“ შედარებით უფრო გამოკვეთილია; რაც შეეხება

„სახელურ“<sup>16</sup> გაგებას იგი მიჩქმალულია: რ ბ-ის, ქ რ-ის, ძ რ წ-ის, გ ო რ-ა ვ-ს, ფ რ ი ნ-ა ვ-ს, დ რ ტ ვ ნ-ა ვ-ს, რო რ ი ნ-ე ბ-ს, დ უ რ-დ უ რ-ე ბ-ს, მ ე ტ ყ უ ე ლ-ე ბ-ს, შ ფ ო თ-ე ბ-ს, ე ა ქ რ-ო ბ-ს, ჰ-ყ უ ა რ-ო ბ-ს (თუმცა ყოველთვის ასე არ გვაქვს, შდრ. ყ უ ა ვ-ის, ჰ-შ ო რ-ა ვ-ს, ვ ა-ე ბ-ს, მ დ დ ე ლ-ო ბ-ს... ამ ფორმებში „სახელური“ შინაარსი ჭარბობს).

იმ შემთხვევაში, როდესაც სტატიკური ზმნის ფუძე გაფორმებულია სტატიკურ ზმნათა სპეციფიკური (-ი-ე, ო ვ-ი, -ან) სუფიქსებით, „ზმნური შინაარსი“ ფუძეში ნაყლებსაგრძნობია.

მობოვებული მასალის გათვალისწინებით სტატიკურ ზმნათა აწმყოს ფუძეში რიგი ცვლილება დასტურდება: ა) სუფიქსის დაკარგვა: ა რ-ის // ა რ-ს, დ უ მ ი-ის // დ უ მ-ს, ჰ მ შ ი-ის // ჰ მ შ ი-ნ. დ გ-ა-ს // დ გ-ა-ნ-ნ, შდრ. დ გ-ა-ნ-ან; ა ქ უ-ს, შდრ. ჰ-ქ ო ნ-ან (<\*ჰაქუ-ან-ან) და მისთ. ი-გ ლ-ო ვ-ის // ი გ ლ-ო ვ-ს; ჰ-რ უ ლ-ო ვ-ის (შდრ. ჰ რ უ ლ-ო-ო დ-ა) // ჰ-რ უ ლ-ი-ნ; ჰ-ნ ე ბ-ა-ვ-ნ: არა ჰ ნ ე-ბ ა ვ ნ იგი (მათ. 23,4) და უ-ნ ე ბ-ნ: რომელიცა უ ნ ე ბ ნ მათ (მათ. 27,15 DE) უ-ნ ე ბ-ნ ფორმაში -ავ სუფიქსის დაკარგვას თითქოს ქევის პრეფიქსი (უ-) იწვევს, მაგრამ ეს ფონეტიკური პროცესი ყოველთვის არ მოქმედებს, შდრ. და უფრომს ყოვლისა ესე უ ძ ნ წმიდასა მამასა ჩუენსა (იოვ. და ეფთ. ცხ. 76,1); პარალელურად იზარება -ავ სუფიქსიანი ფორმა: გ ი ძ ნ ა ვ ს ა არა ესე შენ (სინ. მრ. 147,11).

ბ) სუფიქსთა შენაცვლება: ა დ გ-ს (<\*ადგ-ან-ს//ად გ-ი-ა, დ გ-ა-ნ-ნ//დ გ-ენ (ერთადერთი შემთხვევა), ც რ ე მ ლ-ო ვ-ო დ ა//ც რ ე მ ლ-ე ვ-ო დ-ა (ერთადერთი შემთხვევა), ო რ გ უ ლ-ე ბ-ს // ო რ გ უ ლ-ო ბ-ს, ჰ მ ე ტ ყ უ ე ლ-ე ბ-ს // ჰ-მ ე ტ ყ უ ე ლ-ო ბ-ს, მ გ ო ნ-ი-ე-ს//მ-გონ-ი-ა, გუაქს-ოვ-ს//გუაქს-ობ-ს...

გაზარკვევია ა-სხ-ს // ა-სხ-ენ (შდრ. ა ს ხ ე ნ ა ნ, ს ხ ე ნ ა ნ) ფორმათა ურთიერთობა.

მეტი მასალა ფუძეში მომხდარი ცვლილების უფრო მეტ შემთხვევას გვიჩვენებს. ჩვენი ვარაუდი სტატიკურ ზმნათა სუფიქსების ფუნქციის შესახებ ასეთია: დ უ მ-ის, ჰ კ ი დ-ავ-ს, ჰ-გ ო ნ-ი-ე-ს. პერ-ო ვ-ი-ნ, ა-ჯ-ს-ოვ-ს, შ ფ ო თ-ე ბ-ს, მ თ ა ვ რ-ობ-ს... სტატიკურ ზმნებს აწმყოს შინაარსი აქვთ, მაგრამ -ი, -ავ, -ი-ე, -ე ბ, -ობ... სუფიქსები აქ აწმყოს ნიშანი ვერ იქნება, რადგან სტატიკურ ზმნებს აწმყო

16 ე. ი. როდესაც ზმნა „მინიმალურად განსხვავდება სახელისაგან (არნ. ჩიქობავა).

დროის საოპოზიციო ნაშრომითი ძირითადი საკუთარი ფუძიდან არ ეწარმოება.

ყველა ეს სუფიქსი სტატიკური ზმნის ფუძის ისეთსავე მაწარმოებლად გვევლინება, როგორც განგრძობითობის -ი სუფიქსი, რომლის დანიშნულება ზმნის ფუძით გადმოცემული ვითარების ჩვენებაა<sup>17</sup> (ეს შინაარსი მოგვააზრებინებს სტატიკურ ზმნებს აწმყო დროისად). განგრძობითობა სტატიკურ ზმნებში იგივე სტატიკურობაა.

ისტორიულად კი ეს სუფიქსები სხვადასხვა ოდენობანი არიან, ქრონოლოგიურად განსხვავებულნი — განსხვავებული წარმოშობისა თუ დიალექტური წრისა. „ნაირ-ნაირი მასალა მტკიცედლა შეკრული ძველი ქართულის მორფოლოგიურ სისტემაში“<sup>18</sup>.

### § 7. სტატიკურ ზმნათა აღწერითი წარმოება

სტატიკური შინაარსის ზმნები ძველ ქართულში ანალიზურადაც იწარმოება—სახელი + მეშველი ზმნა:

ვერ შე მძ ლ ე ბ ე ლ ვ არ ჯამლთა მისთა ტვრთვად (მათ. 3,11);  
კაცთაგან ესე შეუძლელ არს (მათ. 19,26); შეუძლებელ  
კაცთაგან შესაძლებელ არს ღმრთისა მიერ (ლ. 18,27); საკ-  
ვრველ არს სახელი შენი (სიმ. მრ. 135,35); კმა არს მოწაფისა  
მის, უკუეთუ იყოს ვითარცა მოძღუარი თვისი (მათ. 10,25); ამა ესე-  
რა მოწაფენი შენი იქმან, რომელი არა ჯერ-არს შაბათსა შინა  
საქმედ (მათ. 12,2); ცხოველ არს უფალი, რომლისა წინა მე  
ვდგა დღეს (ცხ. ანტ. 17,26); უფროხლა წეს-არს ქაბუკთა  
გულს-მოდგინედ მარხვად (ცხ. ანტ. 16,33).

ამგვარ აღწერით წარმოებაში მეშველი ზმნის ფუნქციით სხვა  
ზმნებიც გამოიყენება; მაგ., მიც (<მიძს), გიც (<გიძს), უც (<უძს);  
ვერ ძალ-მიც ვედრებად (მათ. 26,53). ვერ ძალ-გიც ეამ-ერთ  
მღვდარებად ჩემ თანა (მათ. 26,40); თავისა თვისისა ვერ ძალ-უც  
ცხოვნებად (მათ. 27,42).

გიჩს (<\*გიჩ-ანს-ს): ვითარ ჯერ-გიჩს (მათ. 22,17C), DE: რაა  
გნებაეს შენი; შეურაცხება და წუნობა უჩინს იგი (მამ. სწ. 39,23).  
ჯელ-ეწიფების: ვერ ჯელ-ეწიფების ძესა კაცისასა საქმედ თ-  
ვით თვისით არარაა (ი. 5,19C).

აქ ერთი რამ იქცევს ყურადღებას: მეშველ ზმნას სტატიკურ

<sup>17</sup> არნ. ჩიქობაეა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა, 1, გვ. 106, 107.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 107.

ზმნათა აღწერით წარმოებაში და სუფიქსებს ამავე ზმნათა ორგანულ წარმოებაში ერთნაირი ფუნქცია აკისრია; შდრ. გულისა მხიარულისაჲ პირიცა შუენიერნ არნ, ხოლო რომელნი მწუხარედ არიედ, მათი მწუხარე არნ (ცხ. ანტ. 56,22 ო); გულისა მხიარულისა პირი შუენინ, ხოლო მწუხარისაჲ-შეძრწუნებულ; შუენიერნ არნ=შუენი-ნ.

...ამათი სასოება ცათა შინა დამარხულ არს (ცხ. ანტ. 8—22,23); მოვედ შენ საფლავსა ჩემსა სადა ვჰმარხავ და მიილდე კელით-წერილი შენი (Sin 36,491 a, 2; ლიმ. 83,4)<sup>19</sup>; ვჰმარხავ ვმარხივარ, დამარხულ ვარ.

რომელი წინაშე კაცთა მალლოვ არს, პილწ არს წინაშე ღმრთისა (ლ. 16,15C); რამეთუ მან დიდებულმან სიმდაბლე შეიძოსა და შენ მტუერი და ნაცარი; ესრჱთ ჰმალლოვი (მამ. სწ. 71,12).

ნუ წუნობის გიჩს თქუენ იგი (მამ. სწ. 271,16); ნუმცა გუწუნს ჩუენ სიმცირჱ ესე კრებულისაჲ ამის (სინ. მრ. 77,16).

მიზეზ-იდგამ შენ უძლურებასა გუამისასა (მამ. სწ. 38,24); მიზეზობნ სალმობასა და ტკივილსა (მამ. სწ. 304,30).

ვერარას შემძლებელ ვარ (მამ. სწ. 286,23); საქმედ არა მიძლავს, თხოვად მრცხუენის (ლ. 16,3C). შემძლებელ ვარ=მიძლავს=ძალ-მიცი: ხოლო მათ ჰრქუეს: ძალ-გვც (მათ. 20,22 DE); ჰრქუეს მას: გვძლავს (მათ. 20,22 C).

ნუ, აჰმალდები ქებითა კაცთაჲთა და ნუცა მძიმე გიჩს გონებაჲ მათი (მამ. სწ. 10,2); გიძნავსა არა ესე შენ (სინ. მრ. 147,11).

რამეთუ კელმწიფე არს ძმ კაცისაჲ ქუეყანასა ზედა (მათ. 9,6 c); კელმწიფებაჲ აქუს ძესა კაცისასა ქუეყანასა ზედა (მათ. 9,6 DE); დიდ-დიდნი კელმწიფებედ მათ ზედა (მათ. 20,25).

მეშველ ზმნას (ან მეშველი ზმნის მონაცვლევებს) სტატიკურ ზმნათა აღწერით წარმოებაში და სუფიქსებს (-ი, -ოვ-ი, -ავ, -ებ, -ობ...) სტატიკურ ზმნათა ორგანულ წარმოებაში ერთი ფუნქცია აკისრიათ.

<sup>19</sup> ეს მაგალითი დადასტურებულია პროფ. ი. ინაიშვილის მიერ და აღნიშნულია, რომ -ავ- სუფიქსიანი სტატიკური ენებითის ეს ფორმა ემთხვევა მოქმედებითი გვარის აწმყოს ფორმას (იხ. ქრესტ., გვ. 273, 1972).



## § 8. პირიანობა სტატიკურ ზმნებში

8.1. სტატიკური ზმნა არის ერთ- ან ორპირიანი (დინამიკური ზმნა სამპირიანიც არის). ფუძის საწარმოებელ სუფიქსებს ზმნის პირიანობის გაგებისათვის მნიშვნელობა არა აქვს, ე. ი. განახვავებულად გაფორმებული სტატიკური ზმნების ფუძეები პირიანობის მიხედვით არ უპირისპირდებათ ერთმანეთს.

ერთპირიანი მარტივი ფუძის ზმნებია: წ ი თ-ს, წ ვ მ-ს, ღ ი რ-ს, ყ ე ფ-ს და სხვ.

ორპირიანი მარტივი ფუძის სტატიკური ზმნებია: ს-ქ ი რ-ს, ჰ-მ არ ჯ უ-ს, ჰ-შ უ რ-ს, ჰ-მ ა ტ-ს, ს-ძ ა გ-ს, ჰ-რ წ ა მ-ს, და სხვ.

ორპირიანებია ხმოვანპრეფიქსიანები: უ-კ ვ რ-ს, უ-ყ უ არ-ს, ა-კ ლ-ს, ა-ს ხ-ს და სხვ.

ერთპირიანი მარტივფუძიანი სტატიკური ზმნა ჩვეულებრივ უხმოვანპრეფიქსოა. ორპირიანი გვხვდება ხმოვანი პრეფიქსითაც და მის გარეშეც.

ერთპირიანი -ი სუფიქსიანი სტატიკური ზმნებია: ზ-ი-ს, ყ ი ვ-ი-ს, ფ შ ვ-ს, ე უ ვ-ი-ს, ყ უ ა ვ-ი-ს, კ უ მ-ი-ს, ძ რ წ-ი-ს, ქ რ-ი-ს, კ უ ნ ე ს-ი-ს, ო ხ რ-ი-ს და სხვ.

ორპირიანი -ი სუფიქსიანი სტატიკური ზმნებია: ტ კ ი ვ-ი-ს, ს-წ ა დ-ი-ს, ს-წ ყ უ რ-ი-ს, ჰ-მ შ ი-ი-ს, ე-ლ მ-ი-ს, ე-ლ-ი-ს, ე-რ ჩ-ი-ს, ჰ-ს უ რ-ი-ს, ჰ-რ ც ხ უ ე-ი-ს, ი-ც-ი-ს.

ერთპირიან -ი სუფიქსიან ზმნათა უმეტესობას არ გააჩნია ხმოვანი პრეფიქსი (გამონაკლისი: ი-ც ი ნ-ი-ს...). ორპირიანები გვხვდება როგორც ხმოვანი პრეფიქსით, ისე მის გარეშეც.

ერთპირიანი -ი-ე სუფიქსიანი სტატიკური ზმნებია: ჰ-გ ი-ე-ს, ჰ-ნ თ-ი-ე-დ; შღრ. მტკიცედ ვ ჰ გ ი ე მე (კიმ. I, 226,7).

სადაცა იგი ჰ ნ თ ი ე ნ ყ რ დ მუნ არნ (სინ. მრ. 122,7). ორპირიანი -ი-ე სუფიქსიანი სტატიკური ზმნებია: უ-პ ყ რ-ი-ე-ს, უ-მ ტ კ მ-ი-ე დ (ხმოვანპრეფიქსიანი სტატიკური ზმნები) და ჰ-გ ო ნ-ი-ე-ს, ჰ-მ ო ს-ი-ე-ს (უხმოვანპრეფიქსო).

ჰ-გ-ი-ე-ს, ჰ-ნ თ-ი-ე-ნ ერთპირიან ფორმებში ჰ-პრეფიქსი მართითეებს, რომ აქ წარმოშობით ორპირიან ზმნებთან უნდა გვეკონდღეს საქმე.

ერთპირიანი -ან სუფიქსიანი სტატიკური ზმნებია: დ გ-ან-ნ, ჩ ა ნ-ს. ორპირიანებია: ჰ ყ ა ვ-ს, ჰ-გ ა ვ-ს... ხმოვანი პრეფიქსილი: ა-ქ უ-ს, უ-ნ-ა (შღრ. გ ი ნ ა).

ერთპირიანი -ავ სუფიქსიანი სტატიკური ზმნებია: გ ო რ-ა ვ-ს,

დ რ ტ ვ ნ-ა ვ-ს, ხ უ რ ი ნ-ა ვ-ს, კ მ უ ნ-ა ვ-ს, ბ რ წ ყ ი ნ-ა ვ-ს, კ ს ი ნ-  
ა ვ-ს, ე ლ-ა ვ-ს და სხვ.

ორპირიანი -ა ვ სუფიქსიანი სტატიკური ზმნებია: ჰ-ბ უ რ-ა ვ-ს,  
ს-თ რ-ა ვ-ს, ჰ-ნ ე ბ-ა ვ-ს, ჰ-კ ი ღ-ა ვ-ს, ჰ-ს-თ ნ-ა ვ-ს... ხმოვანპრე-  
ფიქსიანები: უ-ძ ლ-ა ვ-ს, უ-ძ ნ-ა ვ-ს და სხვა.

-ე ვ სუფიქსიანი სტატიკური ზმნა ს უ ფ-ე ვ-ს ერთპირიანია.

-ო ვ სუფიქსიანი სტატიკური ზმნებიდან ერთპირიანებია -ი  
სუფიქსით გავრცობილი ფორმები: პ ე რ-ო ვ-ი-ნ, ც რ ე მ ლ-ო ვ-  
ი-ნ, მ ა ღ ლ-ო ვ-ი-ნ, თ ე ს ლ-ო ვ-ი-ნ და სხვა. ორპირიანებია ოდენ  
-ო ვ სუფიქსიანი ფორმებიდან ა კ ს-ო ვ-ს, ა ქ ერთი საყურადღებო  
ფაქტი გვაქვს: ი გ ლ-ო ვ-ს ზმნა ერთპირიანია (სიკუდილი განქარ-  
და, ბნელი იმხილა, ეშმაკი ი გ ლ ო ვ-ს სინ. მრ. 75,27). მაგრამ შდრ.  
ა რ ღ ო ვ ფ რ ო მს ა დ ვ ი გ ლ ო ვ ც ხ ო რ ე ბ ა ს ა ჩ ე მს ა (კიმ. I, 70,17)  
(მეორე მაგალითში ზმნა ორსახელიანია)<sup>20</sup>.

ერთპირიანობა ამ ზმნისა შემთხვევითი რომ არ არის, ამას  
ადასტურებს ორპირიანი ე გ ლ-ო ვ-ს; ი-გ ლ-ო ვ-ს, ე-გ ლ-ო ვ-ს: გარ-  
ნა წარმართნიცა ი გ ლ ო ვ დ ე ს (სინ. მრ. 235,38); ხოლო რომელი  
შეჯულსა ქუეშე იყვენს, ე გ ლ ო ვ დ ე ნ (სინ. მრ. 235,32).

ი-გ ლ-ო ვ-ს/ე-გ ლ-ო ვ-ს ფორმები ვნებითა გვარისად ვერ  
ჩაითვლება. ძველ ქართულში ამ ზმნის მოქმედებითი გვარის  
ფორმა არ დასტურდება.

ი-გ ლ-ო ვ-ს ფორმა დაირთავს -ი სუფიქსს და ერთპირიანია:  
ც ო ღ ვ ი ლ ვ არ და ვ ი გ ლ ო ი და ვ ი ნ ა ნ ი ც ო ღ ვ ა ა ჩ ე მ თ ა თ ვ ს (კიმ. I,  
57,7).

-ე ბ სუფიქსიანი სტატიკური ზმნებიდან ერთპირიანებია: მ ე-  
უ ფ-ე ბ-ს, ფ ს ა ლ მ უ ნ-ე ბ-ს, ა მ პ ა რ ტ ა ვ ნ-ე ბ-ს, ლ ა ღ ა დ-ე ბ-ს,  
ღ შ რ ღ უ რ-ე ბ-ს, ა ნ ე ბ ი ე რ-ე ბ-ს, შ ფ ო თ-ე ბ-ს და სხვ. ორპირ-  
იანებია: ჰ ფ უ ფ უ ნ-ე ბ-ს (და გ ფ უ ფ უ ნ ე ბ ღ შე ნ წ ი ა ღ თ ა  
ჩ ე მ თ ა, კიმ. I, 142,16); ხმოვანპრეფიქსიანი: უ-ფ ლ-ე ბ-ს ე-ტ ყ-  
ე ბ-ს...

-ო ბ სუფიქსიანი სტატიკური ზმნების უმრავლესობა ერთპირ-  
იანია: მ ე ფ-ო ბ-ს, მ ღ ღ ე ლ-ო ბ-ს, კ ე ლ-ო ბ-ს, თ ა ვ კ ე ღ-ო ბ-ს,  
ღ ღ ე ს ა ს წ ა უ ლ-ო ბ-ს, მ თ ა ვ რ-ო ბ-ს, მ წ ი რ-ო ბ-ს და ა. შ.  
სტატიკური შინაარსისა ჩანს ორპირიანი ს წ უ ნ-ო ბ-ს, ს-წ ყ ა ლ-  
ო ბ-ს, ჰ-მ ძ ლ ა ე რ-ო ბ-ს, ჰ-მ ა დ ლ-ო ბ-ს, ს-ძ უ ლ-ო ბ-ს, ჰ-ყ უ-  
ა რ-ო ბ-ს ფორმები.

<sup>20</sup> ზმნა შეიძლება რამდენიმე სახელს შეიწყობდეს, მაგრამ ფორმალურად  
ზმნაში ყველა სახელი არ აისახებოდა.

სტატიკური ზმნები უხმოვანპრეფიქსოდ ოდენ ერთპირიანი ჩანს<sup>21</sup>. ხმოვანპრეფიქსიან სტატიკურ ზმნათა ერთპირიანობა მეორეული ფაქტი უნდა იყოს, პირის დაკარგვის შედეგი; ი-ც ი ნ-ი-ს და მსგავსი ფორმებისათვის აშოსავალში ორპირიანობა შეიძლება ვივარაუდოთ, პირის (ობიექტის) დაკარგვა ამ ზმნაში ი- ხმოვანი პრეფიქსის სპეციფიკურ შინაარსს, მის რეფლექსურობას (ნ. მარ. ი. არნ. ჩიქობავა) უნდა მივაწეროთ. ი-ც ი ნ-ი-ს ნიშნავს, რომ ს ი-ც ი ლ ი (ობიექტი) არის სუბიექტის მდგომარეობა, თვისება (შდრ. ი-გ ლ-ო ვ-ს იგი მას და ი-გ ლ-ო ვ-ს იგი = გ ლ ო ვ ო ბ ს).

ორპირიანი სტატიკური ზმნები გვხვდება ხმოვანი პრეფიქსით და მის გარეშეც. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება რელატიურ ზმნებში უხმოვნობის მეორეულობის შესახებ<sup>22</sup>.

8.2. პირნაკლი ზმნებ ი<sup>23</sup>. სტატიკურ ზმნებში გამოიყოფა პირნაკლი ზმნები. მათი ერთი ნაწილი ბუნების მოვლენებს ასახავს და სემანტიკური შეზღუდულობის გამო მესამე სუბიექტური პირის მხოლოდობით რიცხვში იხმარება: წ ვ მ-ს, წ ი თ-ს, კ ს ი ნ-ა ვ-ს, ქ რ-ის, \*წ უ ე თ-ა ვ-ს, ნ ე ფ ხ უ-ა ვ-ს, ე ლ-ა ვ-ს... ამ ტიპის ზმნებში ნათლადაა გამოკვეთილი სახელური ფუძე<sup>24</sup>. მეორეული ჩანს პირნაკლობა ე ა მ-ს, მ ო ს დ გ ა მ-ს და მისთანებში. პირნაკლობა აქ სპეციფიკური შინაარსის მიღებასთან უნდა იყოს დაკავშირებული:

ა რ ა ე ა მ ს მ ო ნ ა გ ე ბ თ ა ს ი მ რ ა ვ ლ ე (მამ. სწ. 7,34) და აღმოსავალით მისა მთაჲ მ ო ს დ გ ა მ ს, ვითარცა კედელი (ციმ. I, 31,28); ქ ე ვ ე ს ფ ო რ მ ე ბ შ ი პ ი რ ის ნ ა კ ლ უ ლ ო ბ ა ი ვ ს ე ბ ა: ე ა მ ს-უ ვ მ ს, გ ი ვ მ ს, მ ი ვ მ ს. წ ვ მ-ს — ს წ ვ მ ს (\* < ე-ა-წ ვ მ ს): ს წ ვ მ-დ ი ნ მ ა ს ზ ე დ ა ს ა ლ მ ო ბ ა ე (იობისი 20,23); რ ი გ, წ ა რ მ ო მ ო ბ ი თ პ ი რ ნ ა კ ლ, ზ მ ნ ა ს ფ უ ნ ქ ე ი ის შე ე ც ვ ლ ა ს თ ა ნ ე რ თ ა დ პ ი რ ის ნ ა კ ლ უ ლ ი პ ა რ ა დ ი გ მ ა ც შე უ ე ს ი ა. ასეთი უნდა იყოს ჰ ბ უ რ ა ე ს ზ მ ნ ა: ჰ ბ უ რ ა ე ს თ ა ვ ს ა ძ ო ნ ბ ი ძ ე ვ ე ლ ი (ციმ. I, 206,17);

ჰ-ბ უ რ-ა ე-ს < ჰ-ა-ბ უ რ-ა ე-ს. აღმოსავალი მნიშვნელობა ამ ზმნის ფუძისა სახელში გვაქვს დაცული: ბ უ რ ი / ბ უ ე რ ა „მონათო-

21 არ-ს ზმნაში ქართულის დონეზე ძირად გამოიყოფა არ.

22 არნ. ჩიქობავა, ზოგი პრეფიქსული წარმოების ისტორიისათვის ქართულ ზმნებში, ივე, XI, 1959, გვ. 166.

23 ზმნათა პირნაკლობა განიხილება ივ. ქავთარაძის დასახელებულ ნაშრომში: ზმნის ძირითადი კატეგ. ისტორიისათვის, გვ. 209—215.

24 კ ს ი ნ ე ა ა ვ ა დ ა შ ლ ი ლ ი ე ი თ (საბა); ნ ე ფ ხ უ ა ხ მ ე ლ ი ე ი ნ ე ა ძ ნ ე ლ ი (ს ა ბ ა).

ვი ნისლი“ (საბა). პირვანდელი მნიშვნელობა ფუძისა ზმნაში აღარ ჩანს: დაჰბურეს თავსა და ჰგუემდეს მას (ლკ. 22,64); ფიჩკ დაჰბურიან პირსა მისსა (მრკ. 14,65C).

როგორც ჩანს, ანალოგიური ცვლილება განუცდია წყნ-ს ზმნის ფუძეს: და მე ვწუხ (ან. მრ. 98,19); ამოსავალი მნიშვნელობა ამ ფუძისა ზმნაში დაცული გვაქვს (=დახუქვა): თვალნი მათნი დაიწუხნეს (მათ. 13,15 DE).

ფუძის შინაარსის შეცვლა ზმნის სტრუქტურაზეც ცვლის.

## § 9. ხმოვანი პრეფიქსები სტატიკურ ზმნებში

9. 1. ხმოვან პრეფიქსად სტატიკურ ზმნებში (ისევე როგორც დინამიკურებში) გვხვდება ა-, ი-, უ-, ე- ხმოვნები. აქედან ი-/უ-კუთვნილებითობის პრეფიქსია, ა- ე. წ. „საზედაოს“ ნიშანი: ე-ს ფუნქცია გაურკვეველია (ვნებაობა სტატიკურ ზმნებში არ ივარაუდება). გაურკვეველი ჩანს ი-ს ფუნქციაც ი-ცინის და მისთანებში.

სტატიკური ზმნები ქვემოთ დალაგებულია მახასიათებელი ხმოვნის მიხედვით. აქ მხოლოდ ის ფორმები შევა, რომლებიც ნეიტრალურია სუბიექტ-ობიექტის ურთიერთობის თვალსაზრისით ძველ ქართულში, ე. ი. საპირისპირო ფორმები არ უჩანს.

9.2. ა- პრეფიქსიანი სტატიკური ზმნები. ა-ქუ-ს<sup>25</sup>: ყოვლითვე სრული აქუნდა, და აქუს (სინ. მრ. 47,33) მაგრამ: რადთამცა მგალობელნიცა უბიწონი ჰქონდეს (სინ. მრ. 137,18); ა-ხ-ს: რლი მიახს სიჭუდილად (კიმ. I, 300,2); შდრ. რომელი მიე-ხო-ს სიკუდილსა (მამ. სწ. 222,17).

ა-ხ-ლ-ავ-ს: არცა ნათესავი ჩემი მახლავს (თეკლ. 112,25).

ა-ქ-ს-ო-ვ-ს: ესევითარსა არარად აქსოვ/ს (მამ. სწ. 20,19; 21,3).

ძველი ქართლისათვის ოდენ ა- პრეფიქსიანი ჩანს ა-კლ-ს ფორმა; უ-კლ-ს ფორმა თითქოს არ დასტურდება.

ამ ზმნათა აბსოლუტური ფორმები არ გვაქვს. საპირისპირო ფორმების უქონლობა ნაკლებადაა საგრძნობი.

ზმნათა ნაწილში ა- პრეფიქსი ჩავარდნილი ჩანს<sup>26</sup>.

<sup>25</sup> იხ. არნ. ჩიქობავა, აქუს ფუძის უენობი ვარიანტები, უნივერსიტეტის შრომები, ტ. 30—31, 1947, გვ. 381—393.

<sup>26</sup> მისივე, ზოგი პრეფიქსული წარმოების ისტორიისათვის, გვ. 153, 159 და შემდეგ.

9.3. ი- პრეფიქსიანი სტატიკური ზმნები. ი-ბ ა ნ-ი-ს: მღვდელთ-  
მოძღუარი იგი ი ბ ა ნ ი ს (სინ. მრ. 85,24).

ი-ნ ა ნ-ი-ს: მკუდარი არა ი ნ ა ნ ი ს (მაპ. სწ. 256,24).

ი-ც-ი-ს: ე ი ც ნ ი ჩეჰნი იგი და მ ი ც ი ა ნ ჩეჰთა მათ (ი. 10,14  
DE);

ი ც ი ს გარდაშვალა ზმნა და ორპირიანი.

რიგ ი- ხმოვანპრეფიქსიან სტატიკურ ზმნას აქვს საპირისპირო  
ე- ხმოვანპრეფიქსიანი ორპირიანი ფორმები:

ი-ც ი ნ-ი-ს/ე-ც ი ნ-ი-ს: ი ც ი ნ ი ნ და განსცხრებინ (მაპ. სწ.  
246,9); თიხოვეული ჩუენი ე ც ი ნ ი ს მოყუასსა ჩუენსა, და ეშმაკო  
მარტოა მ ე ც ი ნ ი ს ჩუენ ყოველთა (მაპ. სწ. 276,15);

ასეთ ზმნებში ისეთივე ურთიერთობა ჩანს, რაც ვნებითი გვა-  
რის ფორმებთან გვაქვს (ერთპირიანი ი-ნიანი ვნებითი, ორპირია-  
ნი ე-ნიანი), თუმცა აქ ვნებითი გვარი გამორიცხული უნდა იყოს.

ი-ვ ლ ტ-ი-ს: ვიდრე ი ვ ლ ტ ი, ჰ კაცო? (სინ. მრ. 104,10); ნუ  
ე ვ ლ ტ ი გვრგვნსა (მაპ. სწ. 13,23); ასევეა: ი-გ ლ ო ვ ს/ე-გ ლ ო ვ ს.

ი- პრეფიქსი გვაქვს ხოლმე ზოგჯერ ვ ა კ რ-ო ბ-ს ზმნასთან<sup>27</sup>:  
საქმით ჰყოფდეს და არა სიტყვთ ვ ა კ რ ო ბ დ ე ს (ხანძთ. შჟ 135,  
136); მაგრამ: დაეშწნენთ, ი ვ ა კ რ ო ბ დ ი თ მას შინა (დაბ. 34,10).

ჰ-ყ უ ა რ-ო ბ-ს და ი-ყ უ ა რ-ო ბ-ს: ი ყ უ ა რ ო ბ დ ე თ უ რ-  
თიერთას (ი. 13,34C: 15,12).

ჩვენის აზრით, ვ ა კ რ ო ბ ს და ი-ვ ა კ რ ო ბ ს, ჰ ყ უ ა რ ო ბ ს  
და ი-ყ უ ა რ ო ბ ს განსხვავებული ოდენობებია.

9. 4. ი- /უ- პრეფიქსიანი სტატიკური ზმნები. ი-უ- ხმოვან-  
პრეფიქსიანი ზმნები „უ ქ ც ე ო“ ზმნებია. ეს ზმნები მხოლოდ საო-  
ბიექტო ქცევის ფუძითაა შემონახული, ამიტომაც ქცევა არ აისა-  
ხება.

უ-ვ-ი-ს: რამეთუ იგი ხოლო მარტოა მ ი ვ ი ს (ლ. 9,38); მტერი

<sup>27</sup> არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც აწმყოსა და ნამყო ძირითადის  
წრის ფორმათა დაპირისპირება ე. წ. მედიოაქტიურ ზმნებთან მეორეული მოვ-  
ლენაა. ძველი ქართულია და სხვა ქართველური ენების—სევანურისა და  
მეგრულ-ქანურის, მონაცემთა საფუძველზე გამოთქმულია ვარაუდი, რომ ის-  
ტორიულად მედიოაქტიური ზმნებისათვის ი-უ-პრეფიქსები დამახასიათებელი  
უნდა ყოფილიყო აწმყოს წყებაშიც. მედიოაქტივ ზმნათა უპრეფიქსო ფორმე-  
ბი აწმყოში შემდეგდროინდელია, მალებული პრეფიქსიანი ფორმებისაგან ხმოვნის  
დაკარგვის შედეგად. ვ ა კ რ ო ბ ს<ი- ვ ა კ რ ო ბ ს, ნამყო ძირითადი: ი-ე ა კ რ ა.  
ამდენად, ამ თვალსაზრისის თანახმად ე. წ. მედიოაქტიურ ზმნათა აწმყოს წრის  
ფორმები დინამიკურ ზმნათა ფორმებია (იხ. ლ. ნოზაძე, მედიოაქტივ ზმნა-  
თა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, იკე, XIX, 1974).

ვივის (მამ. სწ. 37,21): რამეთუ დასასრულსა მვეცთავე შეკმად უვი (ლიმ. 136,30).

უკვარს-: მიკვარს ურცხვობეჲა ეგე (შენი) (ლიმ. 139,26): გკკვარს მოთმინებაჲ იგი მათი (სინ. მრ. 274,9); უკვარდასასწაული იგი (სინ. მრ. 253,15).

უყუარს-: და მიქმენ მე საუმელი, ვითარ-იგი მიყუარს მე (დაბ. 27,4); რომელი უყუარან მას (მამ. სწ. 26,9).

უძლავს-: მიძლავს სასუმელი, რომელი შენდა შესუმად არს (სინ. მრ. 196,29); პრქუეს მას; გვძლავს (მათ. 20,22 C); ვერ უძლავს სიტყუად (კიმ. I, 144,24); ვერ უძლავს მისა მიმართ (დაბ. 32,25 (26)).

ამ სტატიკურ ზმნათა რიცხვს განეკუთვნება უნდა, უნებს, უძნავს// უძნს, უხარის, უპყრიეს და ა. შ. ყველა ეს ზმნა „მიცემითსუბიექტიანი“.

9. 5-ე- პრეფიქსიანი სტატიკური ზმნები. ე-ლ-ი-ს: აწ შენ ო-ო ჩემო ვის ელი (კიმ. I, 137,18); ელით ცხორებასა საუკუნესა (სინ. მრ. 11,11).

ე-ლ-მ-ი-ს: მწუხარე არს მისთვის და ელმინ (მამ. სწ. 235,27); შდრ. რა მათა არა თავი ჩუენი გუალმოს (მამ. სწ. 25,26).

ე-რ-ჩ-ი-ს: ჩუენ გერჩით სიტყუათა შენთა (სინ. მრ. 56,2); შდრ. რომელი ურჩიყოს (სინ. მრ. 197,16).

ე-შ-ი-ნ-ი-ს: ნუ ვის-გან გეშინინ (კიმ. I, 69,30); შდრ. მრავალფერთა სატანჯველითა აშინებდა მას (კიმ. I, 10,9).

ე-ტ-ყ-ე-ბ-ს: და ეტყებდეს მას ტყებითა დიდითა (დაბ. 50,10).

ე-ს-ა-ვ-ს: და ვესავ ჩემსაყა აღრე მოსლვასა (სინ. მრ. 71,10);

ამ ზმნაში გამოყოფენ -ს- ძირს და უკავშირებენ ს-ა-ს-ო საბელს<sup>28</sup>. მნიშვნელობით ისინი მართლაც უკავშირდებიან (შდრ. საბა: სასო-იშედი; ესავს — იშედნეულობს).

ე- ხმოვანპრეფიქსიანი ზმნები როგორც პირდაპირი (ელის. ერჩის...), ისე ინვერსიული წყობისანი არიან (ესავს, ელშის...).

მარჯვე ტერმინი აქვს ნახმარი ნ. მარს ე- პრეფიქსის დასახასიათებლად: „საურთიერთო“<sup>29</sup>. ტერმინი კარგად გადმოგვცემს 'ამ ნიშნის ფუნქციას.

<sup>28</sup> ივ. ქავთარაძე. ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის... 33. 120.

<sup>29</sup> Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1925, § 172, стр. 138.

ხმოვანი პრეფიქსების სისტემა ქართული ზმნის მთელ სისტემაში ბატონობს, ბ ა ტ ო ნ ო ბ ს იგი აგრეთვე, სტატიკურ ზმნათა მთელ სისტემაშიც. ჩვენ მახასიათებელ ხმოვანთა მიხედვით განვიხილეთ ისეთი ფორმები, სადაც ფორმას მნიშვნელობა აღარ აქვს სათანადო საპირისპირო ცალების უქონლობის გამო. ქეცვის ფორმანტის მნიშვნელობა სისტემაში უნდა იქნეს განხილული. სისტემა კი ყალიბდება და რიგ ფაქტებში შესაძლოა ჩამოუყალიბებელი საფეხური დადასტურდეს (ფორმისა და ფუნქციის განვითარების მხრივ). ეს ჩამოუყალიბებელი საფეხური ახალი სისტემისა შესაძლოა უფრო ძველი სისტემის ნაშთი იყოს.

### § 10. საქცეო ურთიერთობა სტატიკურ ზმნებში

სტატიკურ ზმნებში სუბიექტისა და ობიექტის დამოკიდებულების („საქცეო ურთიერთობის“) შემდეგი სახეები არსებობს:

1. დ გ ა-ს, ა-დ გ-ს, უ-დ გ-ს: მარადის მუხლ -დადგმით დ გ ან (სინ. მრ. 55,13); რქაჲ ერთი ა დ გ ს თავსა მისსა (სახ. სიტ. Է<sup>1</sup> 7);  
 ჯარნი არა უ დ გ ან ე-დ (ლიმ. 8,29).

ძ ე-ს, ა-ც, უ-ც: ადგილსა ძ ე ნ (მამ. სწ. 76,10); და სხუაჲ სამარადისოჲ სახმ ა-ც (სახ. სიტ. Գ 24); ხოლო მამასახლისსა უ ც ნ მცირედ პური უცხოთათვს (სინ. მრ. 267,9).

გვაქვს სამწვერიანი სისტემა. სისტემის პირველი წევრი (დ გ ა ს, ძ ე ს) ერთპირიანია, უხმოვანპრეფიქსო და, ბუნებრივია, ზმნაში საქცეო ურთიერთობა არ აისახება; მეორე წევრი (ა-დ გ-ს, ა-ც) ა- ხმოვანპრეფიქსიანია. ა- გვიჩვენებს „საზედაო“ ურთიერთობას სუბიექტისას ობიექტთან (ე. ი. ორპირიანია); მესამე წევრი ამ სისტემისა (უ-დ გ-ს, უ-ძ-ს...) ი-/უ- პრეფიქსით გვიჩვენებს, რომ სუბიექტი ობიექტს ეკუთვნის: და სხუანიცა ცხოვარნი მი დ-გ ა ნ (ი. 10,16 DE); გულსა შიდა მი ც იქუ (სინ. მრ. 243,16). მაგრამ აქ მნიშვნელობის გადაწევა გვაქვს, -ი/უ- პრეფიქსს სივრცეში განლაგება უნდა გამოეხატა ა-ს მსგავსად: ა-დ გ-ს „ზედ ადგას“. უ-დ გ-ს „წინ, გვერდით უდგას“. შდრ. მამასახლისი უ დ გ ა გვერდით მისა (კიმ. I, 38,17).

მნიშვნელობის გადაწევა მი დ გ ს „მყავს“, მი ც „მაქვს“ ადვილად აიხსნება.

დ გ ა ს, ძ ე ს უდავოდ სტატიკური ზმნებია. მნიშვნელობის შეცვლა ი-/უ- ქეცვიან ფორმებში ამგვარი ცვლილების შესაძლებლობას სხვა სტატიკურ ზმნათა ფუძეებშიც გვაპარაულებინებს; ასეთ

ცვლილებას სტატიკურ ზმნებში იმ სისტემის მოშლა უნდა გამოეწვიოს, რომელიც სუბიექტ-ობიექტის განლაგებას გვიჩვენებდა სივრცეში შდრ. სხ-ენ-ან, ა-ს-ს-ს // ა-ს-ს-ენ, უ-ს-ხენ-ან: რომელნი სხენან ბნელსა (ლკ. 1,79); ფურცელი ასხს მარადის (სინ. მრ. 232,25); რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ (მათ. 13,9); რავდუნნი გულითადნი მონანი უსხენან ღმერთს (ლიმ. 17,5). აქ სისტემის წევრებს შორის მნიშვნელობა დიფერენცირებულია. სხენან, მასდარი: დასხდომა; ასხ-ს, უსხ-ენ-ან — მასდარი: სხმა „დგმა“, „ქონება“.

2. ა-ბ-ს, უ-ბ-ნ: არა ცუდად ვრძალ აბს (პრომ. 13,4); და ამათ ძირი არა უბნ, რომელთა იგი ეამ ერთ პრწამნ (ლ. 8,13 DE).

ნეიტრალური წევრი დაკარგული ჩანს. მისი ადგილი „საზედო“ ფორმის (ა-ბ-ს) წევრს უკავია; ფორმის შესაბამისი ფუნქცია გამკრთალებული ჩანს. მოსალოდნელია, სისტემა საქვეო ურთიერთობისა ამ ზმნისათვის ასეთი სახით აღდგენს: \*ჰ-ბ-ი-ა (ან \*ჰ-ბაე)<sup>30</sup>, ა-ბ-ს, უ-ბ-ს.

ასევე: ეამ ერთ წკმნ (მამ. სწ. 311,13); „საზედო“: სწკმდინ < \*აწკმდინ: სწკმდინ მას ზედა საღმობაჲ (იობი-ს: 20,23); მოსალოდნელი იყო უწკმს ფორმაც (შდრ. დინამიკური ზმნის ნაყო ძირითადი: რამეთუ მაგან უწკმა ერსა მანანაჲ (სინ. მრ. 96,31).

3. სტატიკურ ზმნაში მხოლოდ კუთვნილებითი ურთიერთობა გვაქვს:

ვამ-ს, უ-ვამ-ს; არა ვამს მონაგებთა სიმრავლე (მამ. სწ. 7,34); არად მივამს (ლიმ. 140,23); რად უვამს ესე ღმერთსა (ლიმ. 140,15).

ტყუვი-ს, უ-ტყუვი-ს: ნუსტყუვი მეფე (კიმ. I, 148, 21); რამეთუ მიენდვის და უტყუვის (მამ. სწ. 304,27—28).

ჩან-ს, უ-ჩან-ს // უ-ჩ-ს: და ჩან ვიდრე დასავალადმდე (მათ. 24,27 DE).

პრქუა მას იესუ: მელთა კურელი უჩს და მფრინველთა ცისათა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიდრიკოს (ლკ. 5,8).

ღირ-ს, უ-ღირ-ს: თაყუანისმცემელთა მისთა სულითა და ჰემ-მარტებითა ღირს თაყუანის-ცემამ (ი. 4,24); მე სწავლა და მხი-

30 შდრ. ხევსურულში: „სხაე ხალხი“, „ზადრი ღბაე დეთა ზაგასა“ (იხ. აღ. კონკრათული, ხევსურულის თავისებურებანი, თბილისი, 1960, გვ. 327,21; 343,12).



ლებამ მიღირს და თქუნდა ჭერ-არს შეწყნარებამ (კავ. სწ. 88,31).

ძირითადი წევრი ერთპირიანია, ნეიტრალური და უნიშნო. სისტემის მეორე წევრი (ი-უ- ხმოვანპრეფიქსიანი) კუთვნილებით ურთიერთობას გამოხატავს. ძნელი სათქმელია, ამ შემთხვევაში, ძველი სისტემის ახალ სისტემად რეინტერპრეტაციის ფაქტი გვაქვს, რაც ფუნქციის ცვლილებით იქნებოდა გაპირობებული, თუ სტატიკურ ზმნებში ახალი კუთვნილების სისტემის ჩამოყალიბების ფაქტი.

კუთვნილების სისტემამ ვერ მიიღო მყარი სისტემის სახე სტატიკურ ზმნებში, რაც საოპოზიციო ცალების არათანაბარი ღირებულებითაა გამოწვეული — „უკუთვნელი“ წევრი უპირისპირდება კუთვნილებითობის მატარებელს. ორწევრა სისტემაში კი ყოველთვის მოსალოდნელია ფუნქციის შეცვლა;

მღრ. ჩ ა ნ-ს — უ-ჩ-ს: საფლავიცა მათი ჩ ა ს (სინ. მრ. 241,6): არა სირცხვლ მი ჩ ს ნაბრძოლი ესე კორცთა ჩემთაჲ (სინ. მრ. 173, 35); მარხვაჲ და სიწმიდჳ ნუვის უ ჩ ნ საშინელ და საზარელ (სინ. მრ. 100,17); უ ჩ ნ „მიაჩნია“.

ღ ი რ-ს, უ-ღ ი რ-ს: მამა-კაცსა არა უღირს დაბურვამ თავისაჲ (სინ. მრ. 124,18); უ ღ ი რ ს აქ — „სჭირდება“, „შეეფერება“.

ჭ გ ა ვ ს ზმნიდან პრევერბის დართვით მიღებულია შე ჰ გ ა ვ ს და შე უ გ ა ვ ს ფორმები, განსხვავება მათ მნიშვნელობებს შორის არ იგრძნობა: არა შე ჰ გ ა ვ ს ურჩებამ სიტყუასა მღღელისასა (ლიმ. 102,7); არა შე უ გ ა ვ ს დედაკაცსა ვითარმცა ქმარი ესუა (ციმ. II. 83,4); შე-ჭ-გ ა ვ ს // შე-უ-გ ა ვ ს „შეეფერება“.

შე- პრევერბის დართვით ჰ გ ა ვ ს ზმნამ ახალი მნიშვნელობა მიიღო: შეუძლებელი არ არის აქ გვექონოდა \*ჭ-ა-გ-ავ-ს (>ჭ-ავ-ს)<sup>31</sup> და უ-გ ა ვ-ს საპირისპირო ფორმები; შე- პრევერბის დართვამ კი ისინი მნიშვნელობით გაათანაბრა.

ფუნქციის გადაწევა ქცევიან ფორმებში (ნეიტრალურ წევრთან შედარებით) ზმნის სტრუქტურის ცვლილებას იწვევს. ეს ცვლილებანი აისახება ზმნის პირნაკლობაში, ხმოვანი პრეფიქსის დაკარგვაში, სუბიექტური წყობის არქონაში და სხვ. შესაძლოა ამ ცვლილების შედეგი იყოს „უქცეო“ და რიგი „ინვერსიული“ სტატიკური ზმნის წარმოქმნა.

<sup>31</sup> იხ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ზოგი პრეფიქსული წარმოების ისტორიისათვის..., გვ. 153.

## § 11. ინვერსიული სტატიკური ზმნები

ინვერსიული სტატიკური ზმნები უქცეო ზმნებია (ქცევის საოპოზიციო ცალები მათ არ უჩანს). ეს ზმნები ფუძის გაფორმებითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ზმნათა რიგს მოუპოვება როგორც ხმოვანი პრეფიქსი, ასევე სუფიქსიც: შ ე-უ-ძ ლ-ი-ა ნ // უ-ძ ლ-ა ვ-ს, უ-ბ ა რ-ი-ს, უ-პ ყ რ-ი-ე-ს და ა. შ. რიგ ზმნას მხოლოდ ხმოვანი პრეფიქსი აქვს, სუფიქსი კი არა: უ-ყ უ ა რ-ს, ა-კ ლ-ს, ა-ს ხ-ს, უ-ბ-ნ, ე-ლ მ-ი-ს, უ-ნ დ-ა, უ-კ ვ რ-ს და ა. შ. ზმნათა ნაწილი ოდენ სუფიქსიანია: ს-ძ ი ნ-ა ვ-ს, ჰ-ლ ვ ძ-ა ვ-ს, ჰ-კ ი ლ-ა ვ-ს, ჰ-ნ ე ბ-ა ვ-ს, ს თ ნ-ა ვ-ს, ტ კ ი ვ-ი-ს, ს-წ ა დ-ი-ს, ჰ-მ შ ი-ი-ს, ჰ-რ ც ხ უ ე ნ-ი-ს, ჰ-გ ო ნ-ი-ე-ს, ჰ-ნ თ-ი-ე-ნ და ა. შ. და ბოლოს—მიცემითსუბიექტია-ნი ზმნები, რომელთაც არც ქცევის ხმოვანი აქვთ და არც ფუძის გამაფორმებელი სუფიქსი: ს-ჰ ი რ-ს, ს-ძ ა გ-ს, ჰ-მ უ რ-ს, ს-ძ უ ლ-ს, ს-ც ა ლ-ს, ჰ-რ წ ა მ-ს, ჰ-მ ა ლ-ს და ა. შ.

რიგ უხმოვანპრეფიქსო და უსუფიქსო ინვერსიულ სტატიკურ ზმნაში აღდგება როგორც ხმოვანი პრეფიქსი, ასევე სუფიქსიც: ჰ-ყ ა ვ-ს < \*ჰ-ა-ყ ა ვ-ა ნ-ს, ჰ-გ ა ვ-ს < \*ჰ-ა-გ ა ვ-ა ნ-ს.<sup>32</sup>

ზოგიერთ ხმოვანპრეფიქსიან უსუფიქსო სტატიკურ ზმნასთან დაჩნდება სუფიქსი: ა-ქ უ-ს < \* ა-ქ უ-ა ნ-ს<sup>33</sup>, შღრ. ა-ქ უ-ა ნ-დ-ა.

რიგ, ერთი შეხედვით მარტივი ფუძის, ინვერსიულ სტატიკურ ზმნასთან აღდგება მარტო სუფიქსი: ჰ-რ წ ა მ-ს, ჰ-რ წ მ-ა ნ-ა ნ.

შეინიშნება პარალელური ხმარება ხმოვანპრეფიქსიანი და უხმოვანპრეფიქსო ფორმებისა: მიკვრს თუ რაჰასათვს მკითხავთ (კიმ. I, 78,32); ამას ხილვასა თქუენსა საჯნელად თქუენდა ეჰყოფ და მიკვრს (ცხ. ანტ. 77 Ⴀ 23); მიკვრს (ღ ).

და ზეცია იგი მეუფჳ უკვრს (სინ. მრ. 31,27); მრავალთა ჰკვრნ. (ცხ. ანტ. 16 Ⴀ 16); „უკვრნ“ (ღ); და ჰკვრნ ესე ყოველთა (ცხ. ანტ. 16 Ⴀ 19); ხოლო კეთილის-მოძულესა მტერსა ჰკვრნ (ცხ. ანტ. 19 Ⴀ 32,33).

პარალელურად იხმარება ერთი და იმავე ზმნის სუფიქსიანი და უსუფიქსო ფორმები — უ ძ ნ-ა ვ-ს // უ-ძ ნ-ნ: არა გუსმისა რასა ესე იტყუიან? გ ი ძ ნ ა ვ ს ა არა ესე შენ (სინ. მრ. 147,11); და უფროჰს

<sup>32</sup> არნ. ჩიქობავა, ზოგი პრეფიქსული წარმოების ისტორიისათვის..., გვ. 152, 153.

<sup>33</sup> არნ. ჩიქობავა, აქუს ფუძის უცნობი ვარიანტები, გვ. 381, 393.

ყოვლისა ესე უ ძ ნ წ წმიდასა მამასა ჩუენსა (იოვანესა და ეფთუმეს ცხოვრ. 76,1). და უ ძ ნ დ ა სიტყუა იგი (ლ. 11,53).

ა-ს-ხ-ს // ა-ს-ხ-ე-ნ: ფურცელი ა-ს-ხ-ს მარადის (სინ. მრ. 232,25); ხოლო სასწაული ეამთანი ვერ ძალ-გ-ის-ხ-ე-ნ გულის კმის -ყოფად (მათ. 16,3C);


-ე-ნ მრავლობითობას არ გამოხატავს და იმავე რიგის ფორმანტი ჩანს, რასაც დგ-ან-ან ფორმაში -ან წარმოადგენს, ამას უ-ს-ხ-ე-ნ-ან ფორმა ადასტურებს: რავდენნი გულითადნი მონანი უ<sup>ს</sup> ხ-ე-ნ-ან ღმერთს (ლიმ. 17,5).

ერთსა და იმავე ზმნის ფუძეში თუ ხმოვანპრეფიქსი არ გვაქვს, გვექნება სუფიქსი: ჰ-ნ-ე-ბ-ა-ვ-ს // უ-ნ-ე-ბ-ს: რავეთუ ჰ-ნ-ე-ბ-ა-ვ-ს ესრჭით უპატიოჲ იგი პატიოსან ყოფად (სინ. მრ. 33,37).

რამთამცა ღელვათა მათგან კეთილთა აღრე მიიწინეს, ვიდრეცა-იგი უ-ნ-ე-ბ-ნ (სინ. მრ. 232,9).

პირველ შემთხვევაში სუფიქსი ამოგდებს ხმოვან პრეფიქსს (ჰ-ნ-ე-ბ-ა-ვ-ს < \*ჰ-უ-ნ-ე-ბ-ა-ვ-ს), მეორე შემთხვევაში — პირიქით (უ-ნ-ე-ბ-ს < \*უ-ნ-ე-ბ-ა-ვ-ს), მაგრამ, როგორც ვნახეთ, ქცევის პრეფიქსს ერთსა და იმავე შემთხვევაში შეუძლია არ გამოიწვიოს, ან გამოიწვიოს რედუქციის<sup>34</sup>: უ-ძ-ნ-ა-ვ-ს და უ-ძ-ნ-ს; ანევე იქცევა სუფიქსიც: შე-ჰ-გ-ა-ვ-ს (< \*შ-ე-ჰ-ა-გ-ა-ვ-ს < \*შ-ე-ჰ-ა-გ-ა-ვ-ა-ნ-ს) და შე-უ-გ-ა-ვ-ს (< \*შ-ე-ჰ-უ-გ-ა-ვ-ა-ნ-ს).

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ცვლილება ინვერსიულ სტატისკურ ზმნებთან ასეთი სახით წარმოგვიდგება:



უ-ყ-უ-არ-ს, უ-კ-ვ-რ-ს, ა-კ-ლ-ს და ა. შ. ფორმებში თითქოს საქცეო ურთიერთობა გამოხატული: გვაქვს ნიშანი, ფუნქცია კი — არა (საოპოზიციო ცალები არ უჩანს). ფუნქციის გაქრობასთან ერთად ნიშანიც იკარგვის: უ-კ-ვ-რ-ს // ჰ-კ-ვ-რ-ს:

34. ძველს ქართულში დასტურდება ინტენსიური მოძრავი დინამიკური მახვილი (იხ. არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება..., გვ. 262).

ამ ზმნათა ინვერსია—გრამატიკული ობიექტი=რეალურ სუბიექტს და გრამატიკული სუბიექტი=რეალურ ობიექტს — ზმნის სტრუქტურაში მომზდარი ცვლილებების შესაძლო შედეგი ჩანს, რაც ფუნქციის ცვლით იქნებოდა გაპირობებული.

შდრ. ჩ ა ნ-ს, მაგრამ უ-ჩ-ს „მიაჩნია“; ქცევის ფორმაში ფუძემ მნიშვნელობა შეიცვალა და შესაძლოა ეს გახდა მიზეზი, რომ სუბიექტური წყობა ქცევის ფორმაში არ განვითარდა (ან პირიქით, დაიკარგა)\*. ვ უ ჩ; ასევე: ძ ე-ს, მაგრამ უ-ც „აქვს“, \*ვ უ ც არ გვაქვს; დ გ ა-ს, მაგრამ უ-დ გ-ს „ჰყავს“, \*ვ-უ-დ გ არ დასტურდება; ღ ი რ-ს, მაგრამ უ-ღ ი რ-ს „შეეფერება“, არ გვხვდება \*ვ-უ-ღ ი რ; ასევე: გვაქვს უ-ძ ნ-ს, უ-ძ ლ-ა ვ-ს, არა გვაქვს \*ვ-უ-ძ ნ, \*ვ-უ-ძ ლ-ა ვ-ს...

ყველა მოყვანილი მაგალითის (გამონაკლისია უ-ქ ლ-ა ვ-ს) ნეიტრალური წვერი გვაქვს<sup>35</sup>, მაგრამ ქცევის ფორმაში ფუნქციის შეცვლამ, ან მნიშვნელობის თავისებურებამ გამოიწვია სუბიექტური წყობის წარმოქმნის შეუძლებლობა (ან მისი მოშლა). სუბიექტური წყობის არქონამ კი შეცვალა ზმნის სტრუქტურა — გრამატიკული ობიექტი რეალური სუბიექტის როლში მოგვივილინა (საგნებისა და მოვლენების გააზრიანებისათვის სუბიექტის თვალსაზრისია ამოსავალი).

ინვერსიულ სტატიკურ ზმნათა უმეტესობას ძველ ქართულში სუბიექტური წყობა არ უჩანს. ზოგ ზმნას ეწარმოება სუბიექტური წყობაც: უ ყ უ ა რ მე მამასა ჩემსა (ი. 10,17C); ვინ ვ ჰ გ ო ნ ი ე მე ერსა ამას (ლ. 9,18 C); რომელსა მე არა ვ რ წ ა მ, ღმერთი არა რწამს (სინ. მრ. 147,25).

ეს მაგალითები ჩვენს მოსაზრებას ეწინააღმდეგება — საქციელ ფორმაში დასტურდება სუბიექტური და ობიექტური წყობაც, მაგრამ ზნა მაინც ინვერსიულია. შევეცდებით ახსნას:

1. სუბიექტური წყობა ამ ზმნებში ობიექტურ წყობაში მიღებული მნიშვნელობის გათვალისწინებით გაკეთდა, ე. ი. სუბიექტური წყობა ინვერსიულ ზმნებში მეორეულია, ობიექტური წყობის მნიშვნელობის შესაბამისი. გარდა ამისა, ინვერსიულ ზმნებს საოპოზიციო ნეიტრალური ცალი არა აქვთ, ამიტომ ოპოზიციანი წვერი (უ-კ ვ რ-ს...) მნიშვნელობით ერთპირიანი ნეიტრალური წვერის

---

<sup>35</sup> უ ქ ე ა ვ ს ფორმის ნეიტრალური წვერი იქნებოდა ქ ნ ა ვ ს, მაგალითი დადასტურებულია: „არა დაგპატიებთ, რომელი იგი ძ ნ ა ვ ს“ (ოქრობ. 119); იხ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება..., გვ. 37.

ადგილს იკავებს. ეს ერთი პირი არის რეალური სუბიექტი, რაც ობიექტურ წყობაში გრამატიკულ ობიექტს უტოლდება. შესაძლოა, ამან შედეგი იყოს ზოგ ინვერსიულ ზმნაში გრამატიკული სუბიექტის დაკარგვა: ს-ძ ი ნ-ა ვ-ს მას, ჰ-ღ ვ ძ-ა ვ-ს მას...

2. სტატიკურ ზმნებში გარკვეული საქვეო სისტემა გვაქვს: დ-გ-ს, ა-დ-გ-ს, უ-დ-გ-ს; ჩ-ა-ნ-ს, უ-ჩ-ს; ამ სისტემას შესაძლოა ისეთი ფაქტებიც გაჰყვას, სადაც შესაბამისი ფორმა გვქონდა, ფუნქცია კი არ იყო ჩამოყალიბებული. სისტემის ანალოგიით ეს ფაქტები ფუნქციითაც დაექვემდებარა ამ სისტემას.

## § 12. პირდაპირი წყობის ფორმები ინვერსიულ ზმნებთან

ინვერსიულ სტატიკურ ზმნათა ერთ ნაწილს პარალელურად პირდაპირი წყობის ფორმებიც აქვთ, რომლებიც შინაარსით და წარმოებით სტატიკურებს ემსგავსებიან: ს-ძ უ ლ-ს და ძ უ ლ-ო-ბ-ს: ამისთვის ს ძ უ ლ თ თქუენ სოფელსა (ი. 15,19); უყუეთუ სოფელი გ ძ უ ლ ო ბ ს თქუენ უწყოდეთ, რამეთუ პირველად მე მომიძულეს (ი. 15,18 DE). უ ყ უ ა რ-ს და ჰ-ყ უ ა რ-ო-ბ-ს: მამასა უ ყ უ ა რ ს ძმ (სინ. მრ. 189,12); რამეთუ ეშინის სწავლისაგან და ჰ-ყ უ ა რ ო ბ ს მაქებელთა მისთა (მამ. სწ. 304,34). ს-წ უ ნ-ს და ს-წ უ ნ-ო-ბ-ს: ნუმცა გ უ წ უ ნ ს ჩუენ სიძიარს ესე კრებულისაჲ ამის (სინ. მრ. 77,16); ხოლო ებრძვის სხუასა და ს წ უ ნ ო ბ ს (მამ. სწ. 267,21):

შ უ რ-ს და შ უ რ-ო-ბ-ს: რომლისა თანა არს სიყუარული, არა შ უ რ ნ მონაგები ცოდვილთაჲ (მამ. სწ. 235,24); ხ<sup>66</sup> ეშმაკი უკეთური რ<sup>67</sup>ი მ<sup>68</sup>დს შ უ რ ო ბ ს ო<sup>69</sup>ს ა მადლსა და სიყუარულსა ცხორებისასა მორწმუნეთათჳს (პარხ. 147 B 17,19).

ის ფაქტი, რომ ინვერსიულ სტატიკურ ზმნებს პირდაპირი წყობის საპირისპირო ცალეები უჩნდება, შეიძლება მიეწეროს სისტემაში ხარვეზების შევსებისაყენ ენის სწრაფვას; ეს ბუნებრივი პროცესი იქნებოდა, რადგანაც ინვერსია გარდამავალი ზმნის თვისებაა.

## § 13. გარდამავლობა და სტატიკურობა

სტატიკური ზმნები გარდაუვალი ზმნებია. უახლოესი ობიექტი სტატიკურ ზმნას არ დაესძის, მაგრამ განვითარებინ აღრეულ საფეხურზე გარდამავლობა სტატიკურობას არ გამოორიცხავდა<sup>36</sup>. ნი-

<sup>36</sup> არნ. ჩიქობაეა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა..., ი, გვ. 67, 68, 72, 73.

მუშა ამისა ი-ც-ი-ს და უწყ-ი-ს ზმნებია. ეს ზმნები სინონიმებია<sup>37</sup>. ძველი ქართულის ტექსტებში ხშირია მათი პარალელურად ხმარების შემთხვევები: რამეთუ იცის მამამან თქუენმან ზეცათამან (მათ. 6,8 DE); C. უწყის.

ამ ზმნათა შინაარსი სხვა მნიშვნელობებსაც ითავსებს: ნუმცა ვინ უწყის (მათ. 9,30 DE); C ნუმცა ვინ აგრძნობს.

ამ ზმნათა პოლისემია ცალკე საკვლევი საკითხია, როგორც შენიშნავენ, იცის ზმნის მნიშვნელობათა არეალი უფრო ფართოა<sup>38</sup>. ამას ალბათ ისიც განაპირობებს, რომ იცის ზმნა ნაწარმოები ფორმებით უფრო მდიდარი ჩანს.

ეს ზმნები რიგი საინტერესო თავისებურებით ხასიათდება. ეს თავისებურებები ქართული ზმნის ისტორიის ძირითად საკითხებს მოიცავს. სპეციალურ ლიტერატურაში ამ თავისებურებათა შესახებ გამოთქმული მოსაზრებანი ცნობილია<sup>39</sup>. ჩვენ მათ უბრალოდ გავიწეობთ.

იცის და უწყის გარდამავალი სტატიკური ზმნებია. ეს ზმნები გარდამავალი ზმნის ფუძის ჩამოყალიბების დასაწყის საფეხურს წარმოგვიღვენს.

ისტორიულად იცის და უწყის ხოლმეობითის ფორმებია. მათ აწმყოში შენარჩუნებული აქვთ ერგატიული კონსტრუქცია. რომელნი იცნი და რომელნი არა იცნი (მამ. სწ. 133,24); რამეთუ ღმერთმან მხოლომან უწყისის კეთილნი და ბოროტნი (მამ. სწ. 136,14).

გარდამავალი -ი სუფიქსიანი ზმნებისაგან განსხვავებით ეს ზმნები ნამყო უსრულის ფორმას -ოდ სუფიქსით აწარმოებს, გარდაუვალ სტატიკურ ზმნათა მსგავსად (შესაძლოა, ანალოგიითაც).

იცის და უწყის გარდამავალი უგვარო ზმნებია. მოქმედებითი და ვნებითი გვარი ამ ზმნებში არ უპირისპირდებათ ერთმანეთს. იც-ი-ს და უწყ-ი-ს ზმნები კაუზატივამდელი გარდამავალი ზმნებია.

უწყ-ი-ს ზმნა ერთასპექტიანია, არ ეწარმოება ნამყო ძირითადის ფორმა. ი-ც-ი-ს ზმნისათვის ნამყო ძირითადად ი-ც-ან//ც-ან ფორმა ჩანს: ცან, რამეთუ სხუაჲ არს კელსწიფებაჲ ღმერთი-

<sup>37</sup> არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა..., 1, გვ. 69.

<sup>38</sup> ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის... 33. 60.

<sup>39</sup> არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა..., 1, გვ. 65—70; 108—105.

ებისაჲ (სინ. მრ. 127,18); სოფელსა შინა იყო და სოფელმან არა იცნა იგი (სინ. მრ. 138,30).

ი ც ნ ა // ი-ც ნ-ა ფორმას „ცნობის“ მნიშვნელობა აქვს. შესაძლოა დაემთხვეს ი ც ნ ა ფორმის ხოლმეობითი ი-ც ნ-ი-ს და ი-ც-ი-ს ზმნის მრავლობითში დასმულ ობიექტიანი ფორმა: აწმყო — ი-ც-ნ-ი-ს მან იგინი: ხოლმეობითი — ი-ც-ნ-ი-ს მან იგი: მიერიტ-გან თვსნი ი ც ნ ი ს მშობელი (სახ. სიტ. 47 32).

როგორც აღნიშნული აქვს ივ. ქავთარაძეს<sup>40</sup>, შეიძლება პარალელური ხმარება ხოლმეობითისა და აწმყოთი (ი-ც-ი-ს წარმოშობით ხოლმეობითია): შენ ყოველი უწყი და შენ ყოველი ს ც ნ ა (ი. 21,17C); ყოველი შენ იცი და შენ ყოველი უწყი (DE).

შეიძლება ესაა მიზეზი, რომ თითქოს არ დასტურდება ხოლმეობითის მრავლობითში დასმულ ობიექტიანი ფორმა ი-ც ნ-ნ-ი-ს მან იგინი; ი-ც-ნ-ი-ს ფორმა გამოხატავს როგორც ხოლმეობითის ნაკვთის მხოლოდობითში, ასევე მრავლობითში დასმულ სახელს<sup>41</sup>.

უ წ ყ-ი-ს ზმნასთან ობიექტი ყოველთვის მესამე პირისა გვხვდება. ი-ც-ი-ს ზმნასთან ობიექტი პირველსა და მეორე პირშიაც დაისმის მ-ი-ც-ი-ს „მ ი ც ნ ო ბ ს“: ვინაჲ მ ი ც ი მე? (ი. 1,48); რ შე გ ი ც შენ (კიმ. I, 251,5).

ის ფაქტი, რომ გარდამავალი ზმნის ობიექტური წყობის ფორმები ორპირიანია: მ ი ც ი შენ მე, გ ი ც ი მე შენ და არ გვაქვს მოსალოდნელი უ ც ი ს ფორმა, გვაფიქრებინებს, რომ აქ დაკარგულია ერთი პირი, ან სამპირიანობა გარდამავალ ზმნაში მეორეული ფაქტია.

ი-ც-ი-ს „მცოდნეა“. კონკრეტული ობიექტი ამ ზმნისა არა ჩანს, ის სუბიექტის თვისებაა, სუბიექტის გარეთ არ არსებობს. „მ ი ც ი ს“ ნიშნავს, რომ მას ჩემს შესახებ „ც ო დ ნ ა“ აქვს.

ი-ც-ი-ს ზმნის შეპირისპირებით ნაწარმოებ ფორმებთან შესაძლებელი ხდება ი-ს პრეფიქსად გამოყოფა. უ წ ყ-ი-ს ზმნისათვის ასეთი საშუალება არ არსებობს<sup>42</sup>. მეტიც, კაუზატივის ფორმა ა-უ წ ყ-ე ბ-ს ფუძედ უ წ ყ-ს ვარაუდობს.

<sup>40</sup> იხ. მისი, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის..., გვ. 53.

<sup>41</sup> კავშირებითი II ი-ც-ნ-ე-თ ვარაუდობს ი-ც-ნ-ი-ს ფორმის შესაძლებლობას: ნაყოფთა მათთაგან ი ც ნ ე თ იგინი (მათ. 7,16; 7,20).

<sup>42</sup> ივარაუდება ძველი ქართულის დონე. შედარებით მეთოდის გამოყენება გვიჩვენებს, რომ უ-ქევის პრეფიქსია. იხ. დ. მაკავარიანი, უ წ ყ-ი-ს ზმნის ეტიმოლოგიისათვის, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XI, 1952—1953; თ. გამყრელიძე, ლეზაფრიკატიზაცია სვანურ-

უწყ-ის გარდამავალი ზმნაა და თუ უ- ხმოვანს ფუძისეულად არ ჩაკვლით, უნდა ვივარაუდოთ, რომ: 1. უწყ-ის ზმნა სამპირიანი იყო და შეზღვრულ დაუქარგავს ერთი პირი, ან 2. უთავსართი გარდამავალ ზმნებში თავიდანვე არ გულისხმობდა სამ პირს. ე. ი. უწყ-ის ფორმა ან რალაც სისტემის დიფერენციაციის შედეგია, ან ზმნის ფორმისა და ფუნქციის ჩამოყალიბების გარდამავალ საფეხურს ადასტურებს.

თუ უ-ს ფუძეს მივაკუთვნებთ, მაშინ გარდამავალ ზმნათა საქცეო სისტემაში მან უნდა დაიკავოს ნეიტრალური წევრის ადგილი, ნული ფორმითა და მნიშვნელობით, დაამყაროს მიმართება საქცეო სისტემის სხვა წევრებთან, რადგანაც საქცეო მიმართება ქართული ზმნის მთელ სისტემას მოიცავს<sup>43</sup>.

საქცეო სისტემა კი ქართულში გარდამავალი ზმნებისათვის ძირითადად ასეთ ვითარებას გვიჩვენებს<sup>44</sup>.

1. თუ ნეიტრალური წევრი გვაქვს, სასუბიექტო და საობიექტო ქცევები წარმოდგენილი გვექნება სათანადო ფორმითა და მნიშვნელობით: წერ-ს, იწერ-ს, უწერ-ს;

2. თუ არ გვაქვს ნეიტრალური წევრი და გვაქვს სასუბიექტო და საობიექტო ქცევის ფორმები, მაშინ საობიექტო ქცევის ფორმაში სათანადო მნიშვნელობა აისახება, ხოლო სასუბიექტო ქცევის ფორმაში ქცევის გაგება გამჭრალა და მნიშვნელობით ის ნეიტრალური წევრის ადგილს იკავებს<sup>45</sup> (პირიანობის მხრივ ცვლილება არ გვექნება): იწერ-ს, უწერ-ს (ა. შანიძე);

3. შეიძლება არ გვქონდეს ნეიტრალური და სასუბიექტო ქცევის ფორმები, მაშინ ზმნაში ერთი ობიექტი იკარგვის და საობიექტო ქცევის ფორმა მნიშვნელობით ნეიტრალური წევრი ადგილს იკავებს: უყურებ-ს.

თუ უ- ამ ფორმაში არ გამოიყოფა, მაშინ მოსალოდნელი საქცეო სისტემა ასეთი სახით აღდგებოდა: უწყ-ის, \*ი-უწყ-ის.

ში. „გადაწერის წესები დიპლომატიკურ ფონოლოგიაში“, თბილისი, 1968, გვ. 7; ზ. ალექსიძე, გ. მავარაძე, უძველესი ქართული სოციალური ტერმინები. თსუ შრ., 127, 1968, გვ. 397—398; სხვა თვალსაზრისისათვის იხ. ქ. ლომთათიძე, ცოდნის აღმნიშვნელი ფუძისათვის აფხაზურ-ადიღურ ენებში, თსუ შრ., B 3 (142), 1972.

<sup>43</sup> წინასწარ ვუშვებთ, რომ გარდამავალი ზმნა საქცეო სისტემის გარეშე (ნეიტრალური ფორმითა და ფუნქციით) ქართულში არა გვაქვს;

<sup>44</sup> მოყვანილი დებულებები ოდნავადაც ვერ ამოწურავს ქცევის სისტემის შესაძლებლობებს;

<sup>45</sup> აქ შეიძლება საობიექტო ქცევის ფორმაც დაიკარგოს.



\*უ-უ-წყ-ი-ს (იხ. დებულება 1). ამ სისტემის მოშლის შედეგი  
\*უ-უ-წყ-ი-ს ფორმა იქნებოდა (დებულება 3); ასეთი ფორმა არ  
დასტურდება.

თუ უ- ფუძისეული არ არის, მაშინ უწყ-ი-ს ფორმა უნდა  
განვიხილოთ, როგორც შემდეგი სისტემის მოშლის ფაქტი: \*წყ-ი-ს,  
\*ი-წყ-ი-ს, უ-წყ-ი-ს (დებულება 3); ფუძეს უ- შემდგომ შერწყმა,  
რადგანაც უფუნქციოდ დარჩებოდა. მაგრამ როდესაც სისტემის  
შესახებ ვლაპარაკობთ, სისტემის მოშლის ფაქტების პარალელუ-  
რად წარმოქმნის ხარვეზებიც უნდა ვივარაუდოთ, გარდამავალი  
საუხეხური ფორმისა და ფუნქციის ჩამოყალიბების მხრივ, რაც ის-  
ტორიულ ვითარებაში პუნებრუვია დადასტურდეს.

ა-უწყ-ე-ბ-ს წარმოების ანალოგიური იქნებოდა ცნა//ი-ცნა  
ფორმიდან ნაწარმოები ა-უცნ-ე-ბ-ს: უყუეთა ურცხვოდ დგენდა  
და როკვიდენ და ფერად-ფერად აუცნებდენ, ნუ შეშინდე-  
ბით (ეხ. ანტ. 38,11): უფრომსლა აუცნებდეს იგინი თავთა  
თვსთა (ეხ. ანტ. 28, 12, 2): ნუ იყოფთ ვითარცა ორგულნი, რამე-  
თუ უყუარნ მათ შორის შესაკრებელთა და ურაკპარაკთა თაყუა-  
ნის-ცემაჲ, რადთამცა აუცნეს კაცთა (მათ. 6,5 C); DE. რადთამ-  
ცა უჩუენონ კაცთა.

ი.ცნა—აუცნებს ფორმათა ურთიერთობა ცალკე საკვლევი  
საკითხია.

#### § 14. პრევერბები სტატიკურ ზმნებში და ასპექტის გამოხატვა

სტატიკური ზმნები განგრძობითი, უსრული ასპექტის ზმნე-  
ბია<sup>46</sup>. პრევერბის დაურთველობა სრული სახის გადმოსაცემად სტა-  
ტიკურ ზმნათა შინაარსიდან გამომდინარეობს. პრევერბის საშუა-  
ლებით სრული ასპექტის გამოხატვა ზმნაში ახალი მოვლენა<sup>47</sup>, მათი  
უძველესი ფუნქცია მოძრაობის მიმართულების, სივრცეში დეტერ-  
მინაციის გამოხატვა ყოფილა. ეს უძველესი ფუნქცია კარგადაა  
დაცული სტატიკურ ზმნებში.

დგ-ა-ს: სიმრავლმ იგი დღესასწაულთაჲ, ვითარცა გვრგვ-  
ნი, გარე მოადგს (ჰაბო 181,18); განუტევე ესე, რამეთუ ღდა-  
დებს და შეგვდგს ჩუენ (მათ. 15,23); შეგვდგს „მოგვეყვება“.

ჰ-ყ-ა-ვ-ს: ვითარმედ ღმერთსა წარჰყავს სული ჩემი (ლიმ.

<sup>46</sup> არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა... I. გვ. 106—108.

<sup>47</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, § 333, ევ. 274.

118,5); და ფართო არს ჭზად, რომელსა მიჰყავს წარსაწყემდე-  
ლად (მათ. 1,13); და მოჰყვანდა სულსა უღაბნოდ (ლ. 4,1);  
უცხოე შე მოჰყავს ბუნებისა სახმ (სინ. მრ. 34,29).

ა-ქ-უ-ს: მასვე მოაქუს სიხარული (სინ. მრ. 25,2); საკმე-  
ლი გამოაქუს (სინ. მრ. 191,9); ნუ წარმოგაქუს მისგან  
(ლომ. 78,24); მიჰქონან ჯორცნი ჩემნი (სინ. მრ. 34,3); მიმო-  
ჰქონედ ზრახვანი საშფოთებელნი (მამ. სწ. 242,2).

ა-ხ-ს: რომელი მიახნ და სიკუდილსა (სინ. მრ. 227,22).

ქ-რ-ი-ს: რა არა მიმოქროდის (კიმ. I, 16,4).

რ-ბ-ი-ს: და შეერბიოდა რაქელ (დაბ. 29,12); გარბიო-  
და შემთხუვეად მისა (დაბ. 29,13); და ზროხათა მირბიოდა  
აბრაჰამ (დაბ. 18,7); ხოლო გონიერთათუს ჯნაჲ იგი იოვანტსი ყურ-  
თა განუხუამს და მორბიან (სინ. მრ. 78,7).

ე-ლ-ი-ს: ვინაჲთგან მოელი შენ დღესა მას საშჯელისასა გან-  
კითხვად (მამ. სწ. 133,22); ამიერთაგან მიგელის სიმართლისა  
იგი გვრგვინი (ხანძთ. Q 32).

ე-რ-ჩ-ი-ს: და მათსავე ამოებისა ზრახვასა მიერ ჩიდა (კიმ.  
I, 127,2).

ი-ვ-ლ-ი-ს: შენდა მოვივლტი (მამ. სწ. 229,20); არა მი-  
ვივლტი მქურნალისა თნიერ შენსა (მამ. სწ. 231,9); განი-  
ვლტოდა და განერა (კიმ. II, 210,9).

ჰ-გ-ა-ვ-ს: ჰამეს და სუეს ვრა შეჰგავს ნაყროვანთა და მომ-  
თვრალეთა (კიმ. I, 85,27).

პრევერბის დართვამ ზმნას მნიშვნელობა შეუცვალა:

შეჰგავს- „შეეფერება“, ისევე როგორც მიაქუს, მოაქუს —  
„წაღებას“, მიჰყავს, მოჰყავს — „ტარებას“. შეგვდგს — „მოგ-  
ვეება“. როგორც ვხედავთ, პრევერბის დართვა სტატისკურ ზმნას  
ერთგვარ დინამიკურ ელფერსაც აძლევს.

რიგ შემთხვევაში პრევერბის დართვა სტატისკურ ზმნაზე გვაძ-  
ლევს სრული ასპექტის ფორმას (!): მარტივფუძიანი სტატისკურ  
ზმნის ნამყო უსრულის დონიანი ფორმა ემთხვევა დინამიკური  
ზმნის (დონიანი ვნებიითის) ნამყო ძირითადს:

დუღ-და და დადუღ-და, წუხ-და და შეწუხ-და,  
დუმ-და და დადუმ-და შდრ. დადუღ-და იგი მატლითა სა-  
შინელითა (კიმ. I, 316,23).

ეს დამთხვევა მეორეული ჩანს, ნამყო ძირითადის — დ<-ე ნ<sup>49</sup>:  
ა დ ლ უ ღ ნ ა გულის წყრომითა (სინ. მრ. 112,33); და ა დ ლ უ ღ  
ნ ა გულის წყრომითა მეფმ (კიმ. II, 185,35).

ასევე: შე წ უ ხ ნ ა გულსა შინა თვსსა (კიმ. I, 19,21); ნამყო  
ძირითადში ეს ფორმა უპრევერბოდაც გვხვდება: ესმა ესე წმი-  
დასა მას თეოდოსიასა... და წ უ ხ ნ ა ფრიად (კიმ. I, 149,10); ხო-  
ლო იგი დ უ მ ნ ა (მრკ. 14,61 C).

ასეთი დამთხვევა დასტურდება აგრეთვე მარტივფუძიანი ინ-  
ვერსიული ზმნების ნამყო უსრულსა და დინამიკურებას ნამყო  
ძირითადთან:

უ-კ-კ-რ-ს — უ-კ-კ-რ-დ-ა: ხოლო უ-კ-კ-რ-და და იტყოდეს (სინ.  
მრ. 188,9).

დინამიკ. უ-კ-კ-რ-დ-ე-ბ-ი-ს — უ-კ-კ-რ-დ-ე-ბ-ო-დ-ა — დ-ა-უ-კ-  
კ-რ-დ-ა: რეცა და -რამე- მიკ-კ-რ-დ-ე-ბ-ო-და და შევსულბი (სინ.  
მრ. 63,29); ფრიად განკერთეს და და-უ-კ-კ-რ-და ყოველთა (სინ.  
მრ. 80,17).

ა-კ-ლ-ს — ა-კ-ლ-და: ფრიად გულსა ა-კ-ლ-და (კიმ. II, 170,3).

დინამიკ. მ-ო-ა-კ-ლ-დ-ე-ბ-ი-ს — მ-ო-ა-კ-ლ-დ-ა: არა მ-ო-ა-კ-ლ-  
დ-ე-ბ-ი-ს ნათელი შენი (მამ. სწ. 137,5); რამეთუ მ-ო-ა-კ-ლ-დ-ე-ბ-ო-  
დ-ი-ს ნათელსა (სინ. მრ. 92,27); არა თუ დიდებასა მისსა მ-ო-  
რ-ა-ე-ა-კ-ლ-და (კიმ. I, 12,17).

ასევე: უ-ყ-უ-არ-დ-ა — შე-უ-ყ-უ-არ-დ-ა: მაშინ შე-უ-ყ-უ-არ-  
დ-ა ამირა მუმლსა სიტყვს გებაჲ მისი (კიმ. I, 168,3).

ს-ჭ-ი-რ-დ-ა — შე-ე-შ-ჭ-ი-რ-დ-ა: შე-ე-შ-ჭ-ი-რ-და მას (კიმ. II.  
161,33)..

უ-ძ-ნ-დ-ა — შე-უ-ძ-ნ-დ-ა: შე-უ-ძ-ნ-და ესე ყ<sup>1</sup>-ლსა მას ქა-  
ლაქსა ბიზანტიისასა (კიმ. I, 95,26).

პრევერბის არქონა განასხვავებს -ი სუფიქსიან რიგ სტატიკურ  
ფუძეს ხოლმეობითისაგან: ჰ-კ-რ-თ-ი-ს — გა-ნ-ჰ-კ-რ-თ-ი-ს: გა-ნ-  
ე-ჰ-კ-რ-თ-ი-მე-ყოველთა ზედა მტერთა ჩემთა (მამ. სწ. 204,15).  
ი-ნ-ა-ნ-ი-ს — შე-ი-ნ-ა-ნ-ი-ს: და ოდეს შე-ი-ნ-ა-ნ-ი-ს, შეჰმოსის ქრის-  
ტემან სამოსელი თვისი (მამ. სწ. 57,32). ი-ც-ი-ნ-ი-ს — გა-ნ-ი-ც-ი-ნ-  
ი-ს; უკუეთუ განვეციანნი მათა მიმართ, არა ჰრწაჲნი (იობისი 29,24).

პრევერბის დაურთველობა განასხვავებს -ი-ე სუფიქსიან სტა-

48 აკ. შ-ა-ნ-ი-ძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, § 357, გვ. 298. -დ//-(  
-ენ) ენებითობის სუფიქსთა გენეზისის საკითხისათვის იხ. აგრეთვე ფ. ე რ თ ე-  
ლი შ ე ი ლ ი ს ამავე სახელწოდების წერილი, თსუ შრ., ტ. 93, გვ. 77 და შემდგომ.

ტიკურ ზმნებს, ამავე ფუძიდან ნაწარმოებ გარდამავალ ზმნათა თერ-  
მეობითისაცან: პ-მ ო ს-ი-ე-ს — შ-ე-უ-მ ო ს-ი-ე-ს: რამეთუ არა ერ-  
თსა ასოსა შ ე უ მ ო ს ი ე ს ყოველი ცოცხი (სინ. მრ. 114,8).

უ-პ ყ რ-ი-ე-ს — შ-ე-უ-პ ყ რ-ი-ე-ს: ყ რ ლი ქ ყ ა ნ ა მ შ ე უ-  
პ ყ რ ი ე ს ძ რ წ ო ლ ა ს ა (კიმ. 1, 263,26).

პრევერბის დართვა-დაურთველობით სტატიკურ და დინა-  
მიკურ ზმნათა გარჩევა მეორეული ფაქტი ჩანს. აქ სტატიკურ და  
დინამიკურ ზმნათა ფუძეების საკითხი დგება (არნ. ჩიქობავა).

ჩვენ მიერ ჩამოთვლილი ზმნებიდან პრევერბებს სივრცეში  
დეტერმინაციის გადმოსაცემად დაირთავენ მ ა რ ტ ი ვ ფ უ ძ ი ა ნ ი  
და -ი, -ან, -ო ვ-ი („გამობუტკონი“ მათ. 24,32), -ა ვ ზ უ ფ ი ქ ს ი ა ნ -  
ზმნები. შეიძლება ითქვას, რომ პრევერბებს არ დაირთავენ -ებ, -ოზ  
და -ი-ე ს უ ფ ი ქ ს ი ა ნ ი ზმნები, ეს პირველთა უძველესობაზე პეტ-  
ყველებს.

საინტერესო ფაქტია, რომ პრევერბის დართვა გარდამავალი  
დინამიკური ზმნის გასტატიკურებას იწვევს: დ-გ-ა მ-ს, სტატ. მ ო-  
ს-დ-გ-ა-მ-ს: და აღმოსავლით მისა მთა მ ო ს დ გ ა მ ს, ვითარცა  
კედელი (კიმ. 1, 31,28).

დ-გ-ა მ-ს ზმნა დაირთავს წინ სახელს და სტატიკურ შინაარსს  
იღებს: მ ი ზ ე ზ-ი დ გ ა მ შ ე ნ უ ძ ლ ე რ ე ბ ა ს ა გ უ ა მ ი ს ა ს ა (მამ. სწ-  
38,24).

## § 15. გვარის საკითხი და კაუზატივი სტატიკურ ზმნებში

15. 1. გვარის კატეგორია ქართულში ორწევრიან სისტემას  
ქმნის: 1. უგვარო ზმნები; 2. მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნე-  
ბი. აქედან უგვარო ზმნები ამოსავალი ჩანს მოქმედებითი გვარის  
ზმნებისათვის, ვნებითი გვარის ფორმები კი მოქმედებითის შებ-  
რუნებულ სახეს წარმოადგენს.

სტატიკური ზმნები უგვარო ზმნებია. გვარი დინამიკურ ზმნა-  
თა კუთვნილებაა. კაუზატივი სტატიკურ ზმნებს არ ეწარმოებათ:  
სტატიკური ზმნის კაუზატივი დინამიკური გარდამავალი ზმნაა, მო-  
ქმედებითი გვარისა<sup>49</sup> (თუმცა ეს გზა ერთადერთი არაა მოქმედე-  
ბითი გვარის წარმოებისათვის).

15.2. მარტივფუძიან სტატიკურ ზმნათა „კაუზატივები“. წ ვ მ-ს

<sup>49</sup> არნ. ჩიქობავა, ერგატული კონსტრუქციის პრობლემა..., 1, გვ. 103.

—აწჳმ-ე-ბ-ს: და აწჳმებს მართალთა ზედა და ცოდვილთა (მამ. სწ. 51,26); აწჳმა ცეცხლი (ლ. 17,29).

ს-ჳი-რ-ს — ა-ჳი-რ-ე-ბ-ს // ა-ჳი-რ-ე-ბ-ს: ნუვის აჳი-რ-ე-ბ-თ და ნუცა ცილსა შესწამებთ (ლ. 3,14 DE); და აჳი-რ-ე-ბ-დ-ე-ს სა-ღმობით ცხორებასა მას მათსა (გამოსლვ. 1,14).

ს-ძ-ა-გ-ს — ს-ძ-ა-გ-ე-ბ-ს (<\*ჳ-ჳ-ძ-ა-გ-ე-ბ-ს): და არა სძაგებს ტყუვილსა ჭებად (სინ. მრ. 209,36). არა სძაგებდეს მოყუასსა თუსსა (მამ. სწ. 244,27).

ჳ-მ-ა-ტ-ს — \*ჳ-მ-ა-ტ-ე-ბ-ს / ჳ-მ-ა-ტ-ე-ბ-ს: შენ გარდაჳმ-ა-ტ-ე ჩემ ზედა მაღლი სულისა წმიდისაჲ (კიმ. II, 84—2,3).

ს-ც-ა-ლ-ს — ა-ც-ა-ლ-ე-ბ-ს: არცალა ჰერის ჳამად აცალე-ბ-დ-ე-ს (მრკ. 6,31 DE). \*ს-წ-უ-ე-თ-ს — ა-წ-უ-ე-თ-ე-ბ-ს: და წჳა არ-ღარა დასწუეთა ჳუეყანასა ზედა (გამოსლვ. 9,33).

ნაწუეთი სიტყუათა მათთა დამწუეთა (კიმ. II, 140,20).

ჳ-შ-უ-რ-ს — ი-შ-უ-რ-ე-ე-ბ-ს // ი-შ-უ-რ-ე-ბ-ს: შეიშურვა მისი ეშმაკმან (კიმ. I, 13,7); არცა იმტერებთან და არცა იშუ-რებენ (მამ. სწ. 267,17); დ-ა-გ-უ-ა-შ-უ-რ-ვ-ნ-ა სიურცხუნემან უღმ-როთმსამან (კიმ. II, 35,25).

უ-კ-ვ-რ-ს — ა-კ-ვ-რ-ე-ე-ბ-ს: განმაკვრეებს მე მარიამ მოიწოდომელი ეგე კელოენებით გამოკითხეჲ შენი (კიმ. I, 179,28).

უ-ყ-უ-ა-რ-ს — ი-ყ-უ-ა-რ-ე-ბ-ს: ფად შეიყუარა წესიერებაჲ და სიბრძნე მისი (კიმ. I, 61,10).

ს-ძ-უ-ლ-ს — ი-ძ-უ-ლ-ე-ბ-ს: და იძულებდ თავსა შენსა ყო-ველსა ეჲმს (მამ. სწ. 74,8); მოიძულე სწავლულებაჲ (მამ. სწ. 20—21, 22).

წ-უ-ხ-ს — ა-წ-უ-ხ-ე-ბ-ს: შემაწუხებს ჩუენ ოგი (ლიძ. 11.3).

დ-უ-მ-ს — ა-დ-უ-მ-ე-ბ-ს: აწ რაჲსაჲ და ადუმებენ ყრმებსა მას (სინ. მრ. 150,3).

წ-ი-თ-ს — გ-ან-გ-ვ-წ-ი-თ-ნ-ე-ს: და თუ:ღნი განგვწითნეს (მამ. სწ. 25,27).

შესაძლებელია, ასეთი კაუზატიური ფორმა აღწერითად იწარ-მოებოდეს:

არა ღირს გყოფ წყალსა მაგას მრღუეისა სუმად (სინ. მრ. 129,1); რღირს მყავ მე (კიმ. I, 156,17).

ყურადღებას იჳკვევს კაუზატივის ის ფორმები, რომლებიც სტა-ტიკური ზმნის ფუძესთან შედარებით განსხვავებას გვიჩვენებს:

ა-ჳი-რ-ე-ე-ბ-ს, ა-კ-ვ-რ-ე-ე-ბ-ს, ი-შ-უ-რ-ე-ე-ბ-ს... რა უნდა იყოს.

ეს დაჩენილი -ვ-, ფონეტიკური დანართი, თუ ფუძისეული ფორმანტი?

15. 3. -ი სუფიქსიან სტატიკურ ზმნათა „კაუზატივები“. ტკივი-ის — ა-ტკივი-ნ-ე-ბ-ს: ატკივი-ნ-ა მას ძლიერად (კიმ. I, 194,13); ნულარა მერამში ამიერიოთგან დამამტკივი-ნ-ე-ბ-მე (კიმ. I, 150,8):

ა-მ-ტკივი-ნ-ე-ბ-ს ფორმა ნაწარმოებია მიმღობის ფორმიდან: „მტკივან“ (მამ. სწ. 216,21); „მტკივენ“ (კიმ. I, 291,8).

ტყუ-ის — ა-ტყუ-ე-ბ-ს: ღმერთი მოატყუებს მას (მამ. სწ. 45,26; 112,8).

ბორგი-ის — აღ-ბორგი-ე-ბ-ს (>აღ-ნ-ბორგი-ე-ბ-ს): შღრ. მიმღობა: ესე აღბორგიე ბულ იყო (კიმ. II, 212,7).

ძრწ-ის — ა-ძრწ-უ-ნ-ე-ბ-ს: რომელმან ესოდენი ერი შეაძრწუნა (სინ. მრ. 80,30).

რბ-ის — ა-რბ-ე-ვ-ს: მოარბიეს ჩემ ზედა მძლავრთა (იობისი 16,15 (14)).

ინან-ის — შე-ინან-ე-ბ-ს: ნუ რაჲ გგლიან რ<sup>ა</sup> სახიერ არს ღ<sup>ი</sup> და შეიწყალებს რ<sup>ა</sup> შეინანებს ბოროტსა ჩ<sup>ნ</sup>სა ზ<sup>ა</sup> (პარხ. 11. 204 A 1.3).

ქრ-ის — ა-ქრ-ე-ვ-ს//ან-ქრ-ე-ვ-ს: ქარნი ძლიერად აქრევედეს (სინ. მრ. 119,21); ანქრევედეს ქარნი (მათ. 7,25C); მაგრამ აქარ-ე-ვ-ბ-ს ფორმაც უნდა გვქონოდა (შღრ. განხეთქა და განაქარვა, კიმ. I, 1,21).

ვარცხუენ-ის — ა-ვარცხუენ-ს: ვარცხუენ და დავსჯი სულსა ჩემსა (მამ. სწ. 233,19); ვარცხუენ თავსა ჩემსა (მამ. სწ. 17,6).

ივლტი-ის — ა-ოტი-ე-ბ-ს: აწ ნუ აოტებ ნადირსა მას (სინ. მრ. 81,15).

უხარ-ის — ა-ხარ-ე-ბ-ს: და ახარებენ ზეცისა გუნდნი ტომთა ქყნისათა (კიმ. I, 176,17).

ეშინ-ის — ა-შინ-ე-ბ-ს; და მრავალფეროთა სატანჯველითა აშინებდა მას (კიმ. I, 10,9).

კშუენ-ის — ა-შუენ-ე-ბ-ს: აშუენებენ ყამობასა (მამ. სწ. 246,29). გვაქვს -ობ სუფიქსიანი კაუზატივიც.

კრთ-ის — ა-კრთ-ობ-ს: შიში შენა ნუ განმაკრთობ მე (იობისი 13,21); ა-კრთ-ობ-ს < \*ა-კრთ-ე-ვ-ბ-ს<sup>50</sup>. შღრ. გან-ვაკრთენე ყოველნი ნათესავნი (გამოსლვ. 23,27).

<sup>50</sup> ვ-ებ >ობ. იხ. G. Deeters. Das Kharthwelische Verbum. 1930. გვ. 126: გამოთქმულია მოსაზრება, რომ -ობ-იანი მოქმედებითი ვერა უგვარო

-ი სუფიქსიან ზმნათაგან ყურადღებას იქცევს ქრ-ის ზმნის ორი კაუზატიური ფორმა: ა-ქ რ-ე ვ-ს და ა-ქ არ-ვ-ე ბ-ს. ა-ქ არ-ვ-ე ბ-ს ფორმისათვის გ. მაკვაძარიანს ამოსავლად შიჰნია სტატიკური \*ქარავს<sup>51</sup>. „ამ აღდგენილ ზმნას შესაძლებელია \*ქრ-ე ვ-ის, \*ქრ-ე-ის ფორმაჲ ჰქონოდა“<sup>52</sup> (შდრ. ჰრცხუენი-ს — არცხუენ-ს. ქრ-ე ვ-ის — ა-ქ რ-ე ვ-ს) -ვ- ფორმანტი დაჩნდება ჰ-ს უ რ-ის ზმნის მოქმედებითი გვარის ფორმაში: აღ-ა-ს უ რ-ე ვ-ე ბ-ს (შდრ. ე-ნიანი ვნებითი: აღ-ე ს უ რ-ვ-ა: აღესურვა ხილვად (კიმ. II, 144,12).

15.4. -ი-ე სუფიქსიან სტატიკურ ზმნათა კაუზატივები. ჰ-ნთ-ი-ე-ნ — აღ-ა-ნ თ-ე ბ-ს: კდ აღანთებდეს სანთელსა (კიმ. I, 249,15); არდ სარწმუნოებით მცირელი რაამე ზეთი აღანთიან (კიმ. I, 249,20).

ჰ-მ ოს-ი-ე-ს — შე-ი-მ ოს-ს: აჰა ესერა მე შეევიმოს კელით წერილსა შესა (ლიმ. 75,3); უზრუნველად შევიმოსს იგი მას ღმრთისა მიერ (მამ. სწ. 191,21).

ჰ-გ ო ნ-ი-ე-ს — იგონებს: გონებამ იგონებს საქმეთა ღუბჰირთა (მამ. სწ. 145,25 C, გგონებს).

უჰყრ-ი-ე-ს — მიუ-ჰყ რ-ო ბ-ს: ნუ მიუჰყ რ-ო ბ-სასმენელთა შენთა სიტყუათა მისთა (მამ. სწ. 279,13).

15. 5. -ან სუფიქსიან სტატიკურ ზმნათა „კაუზატივები“. დგ-ა-ს — აღ-ა-დ გ-ი-ნ-ე ბ-ს: და აღადგინებს მკუდართა (კიმ. I, 312,4). დგ-ამ-ს დასტურდება გაატატიკურებულ „მოსდგამს“ (სინ. მრ. 269,17) ფორმაში. შდრ. აკრთევე: „ინაჯიდგმიღენ“ (ლ. 13,29).

ჰ-ყ ავ-ს — მო-ი-ყ ვ-ა-ნ-ე ბ-ს: დიდი მოლუაწებამ მოიყვანებს მონაზონსა ამპარტაენებად (ლიმ. 141,12); რომელი შთაიყვანებს ქუესკენლთა ჯოჯოხეთისათა (მამ. სწ. 304,33).

ჰ-გ ავ-ს — ა-მ-ს გ ავ-ს-ე ბ-ს: და ამსგავსებდა იგი ვრმ-ცა უგუნური იყო (კიმ. I, 205,29); ვამსგავსო და ვთქუა (სინ. მრ. 139,11); ა-მ-ს გ ავ-ს-ე ბ-ს ნაწარმოებია მსგავს სახელიდან.

---

დინამიკურ ზმნათა წარმოება (იხ. ეკ. ოსიძე. ერთი ტიპის ზმნათა აწმყოს ფუძის აგებულებისათვის ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. III, თბილისი, 1963, გვ. 16).

51 გ. მაკვაძარიანი, „უნიშნო ვნებითები“ ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, თბილისი, გვ. 32C.

52 ეკ. ოსიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 13.

პ რ წ ა მ ს — ა რ წ მ უ ნ ე ბ ს: ხოლო ბერძნულ ა რ წ მ უ ნ ი ს მ ა ს (ლიმ. 85,18).

15. 6. - ა ე ს უ ფ ი ქ ს ი ა ნ ს ტ ა ტ ი კ უ რ ზ მ ნ ა თ ა „კ ა უ ზ ა ტ ი ე ვ ე ბ ი“. ჰ მ ო რ ა ე ს — გ ა ნ - ა შ ო რ ე ბ - ნ: რ ო მ ე ლ ი ი გ ი ღ მ ე რ ა თ მ ა ნ შ ე ა უ ლ - ლ ნ ა, კ ა ე ი ნ უ გ ა ნ ა შ ო რ ე ბ ნ (მ რ კ. 10,9 DE); ნ უ გ ა ნ მ ა შ ო რ ე ბ მ ა მ ა თ ა ჩ ე მ ა თ ა გ ა ნ (კ ი მ. I, 30,28).

ბ რ წ ყ ი ნ - ა ე ს — გ ა ნ - ა ბ რ წ ყ ი ნ - ე ბ - ს: და შ ე ნ გ ა ნ ა ბ რ წ ყ ი ნ ე ვ ე ბ გ ვ რ გ ვ ნ ს ა (მ ა მ. ს წ. 35,20); გ ა ნ ა ბ რ წ ყ ი ნ ე ვ ე გ ო ნ ე - ბ ა ღ ჩ ე მ ი (მ ა მ. ს წ. 21,21).

ჰ - ლ ვ ძ - ა ე ს — გ ა ნ - ა ლ ვ ძ - ე ბ - ს: ნ უ გ ა ნ ა ლ ვ ძ ე ბ მ ა გ ა ს (კ ი მ. I, 144,31); გ ა ნ ა ლ ვ ძ ე ბ დ ე ს და ე ტ ყ ო დ ე ს (ლ. 8,24 DE).

გ ო რ - ა ე ს — ა - გ ო რ - ე ე ბ - ს: და მ ი ა გ ო რ ვ ა ლ ო დ ი (მ რ კ. 15.46 c); მ ა ს დ ა რ ი გ ა რ დ ა გ ო რ ე ბ ა (კ ი მ. I, 225,33) ა - გ ო რ - ე ე ბ - ს ფ ო რ მ ის პ ა რ ა ლ ე ლ უ რ ა დ ვ ა რ ა უ ლ ო ბ ს ა - გ ო რ - ე ბ - ს ფ ო რ მ ა ს - ჰ - ნ ე ბ - ა ე ს — ა ნ ე ბ - ე ბ - ს: ა ნ ე შ ა მ ა თ და მ ის ც ა ს ე ნ ა ე ი ი გ ი (კ ი მ. II, 173,30).

ს - თ რ ა ე ს — დ ა - ა თ რ - ო ბ - ს: ი გ ი შ ე ჰ ყ რ ა ვ ს და ი გ ი დ ა ა თ - რ ო ბ ს (მ ა მ. ს წ. 276,16); ე ნ ე ბ ი თ ი: დ ა ი თ რ ე ე ნ ი თ ნ უ ლ ვ ნ - ს ა გ ა ნ (ე ს ა ი ა მ ს ი 29,9).

- ა ე ს უ ფ ი ქ ს ი ა ნ ს ტ ა ტ ი კ უ რ ზ მ ნ ა თ ა კ ა უ ზ ა ტ ი ე ვ ი ს ფ უ ძ ე შ ი ე უ - რ ა დ ლ ე ბ ა ს ი ქ ე ე ვ ს ი ს ფ ა ქ ტ ი, რ ო მ ს უ ფ ი ქ ს ი ს ე უ ლ ი - ე (<- ა ე) ს ჰ ო - რ ა დ ლ უ ლ ა დ დ ა ჩ ნ დ ე ბ ა ხ ო ლ მ ე: ბ რ წ ყ ი ნ ა ე ს და ა - ბ რ წ ყ ი ნ - ე ე ბ - ს, მ ა გ რ ა მ ჰ მ ო რ ა ე ს და ა - შ ო რ ე ბ - ს, გ ო რ - ა ე ს და ა - გ ო რ - ე ე ბ - ს // ა - გ ო რ - ე ბ - ს.

15. 7. - ე ბ და - ო ბ ს უ ფ ი ქ ს ი ა ნ ს ტ ა ტ ი კ უ რ ზ მ ნ ა თ ა „კ ა უ ზ ა ტ ი - ე ვ ე ბ ი“. შ ფ ო თ - ე ბ - ს — ა - შ ფ ო თ - ე ბ - ს: ნ უ მ ც ა ვ ი ნ ა წ ყ ი ნ ე ბ ს მ ა ს და ნ უ მ ც ა ა შ ფ ო თ ე ბ ს რ ა ს (კ ი მ. I, 19,20); შ ე გ ი ნ ე ბ უ ლ ს ა ა შ ფ ო - თ ე ბ ნ ს ი მ ყ რ ა ლ ი თ ა (მ ა მ. ს წ. 274,18).

უ ფ ლ - ე ბ - ს — ა - უ ფ ლ - ე ბ - ს: ნ უ ა უ ფ ლ ე ბ ს ა ხ ე დ ვ ე ლ თ ა შ ე ნ თ ა ხ ე ჯ ვ ა დ გ ა რ ე შ ე ს ი წ მ ი დ ის ა (მ ა მ. ს წ. 291,1); ე ნ ე ბ ი თ ი: დ ა ვ ი ნ ყ რ უ (გ ა რ ნ ა) რ ო მ ე ლ ნ ი — ი გ ი მ ა თ ე უ ფ ლ ე ბ ი ა ნ (ს ი ნ. მ რ. 143,36).

ნ ა თ - ო ბ - ს — გ ა ნ - ა ნ ა თ - ე ბ - ნ: ვ ი დ რ ე მ დ ის ჰ ა ე რ თ ა გ ა ნ ა ნ ა თ ე ბ ნ (მ ა მ. ს წ. 141,2).

წ ვ მ ს — ა - წ ვ მ - ე ბ - ს, ს - ც ა ლ - ს — ა - ც ა ლ - ე ბ - ს ა - კ ლ - ს — ა - კ ლ - ე ბ - ს, წ უ ხ - ს — ა - წ უ ხ - ე ბ - ს, ტ ყ უ ე - ი ს — ა ტ ყ უ ე - ე ბ - ს, უ ხ ა რ - ი ს — ა ხ ა რ - ე ბ - ს, ე - შ ი ნ - ი ს — ა - შ ი ნ - ე ბ - ს, უ წ ყ - ი ს —



ა-უ წ ყ-ე ბ-ს, ჰ-ნ თ-ი-ე-ნ — ა-ღ-ან-თ-ე ბ-ს, ჰ-შ ო რ-ა-ე-ს — გ ა ნ-  
ა-შ ო რ-ე ბ-ს, ბ რ წ ყ ი ნ-ა-ე-ს — გ ა ნ-ა-ბ რ წ ყ ი ნ-ე-ე ბ-ს, შ ფ ო-  
თ-ე ბ-ს — ა-შ ფ ო თ-ე ბ-ს, ნ ა თ-ო ბ-ს — გ ა ნ-ა-ნ ა თ-ე ბ-ს და ა . შ .

15. მ. ამ ზმნათა ფუძეების ანალიზი ცხადყოფს, რომ მოქმე-  
დებითი გვარის ზმნის ფუძე შეიცავს თავისთავში სტატიკური ზმნის  
ფუძეს, რიგ შემთხვევაში ეს ფუძე სახელია: წ კ მ-ს — ა-წ ვ მ-ე ბ-ს,  
ს-ც ა-ღ-ს — ა-ც ა-ღ-ე ბ-ს, შ ფ ო-თ-ე ბ-ს — ა შ ფ ო-თ-ე ბ-ს და  
სხვ.

რიგი სტატიკური ზმნიდან ნაწარმოები მოქმედებითი გვარის  
ზმნა სტატიკური ზმნის ფუძესთან შედარებით განსხვავებას გვიჩ-  
ვენებს:

ს-ჰ ი რ-ს — ა-ჰ ი რ-ე ბ-ს // ა-ჰ ი რ-ე-ე ბ-ს; ჰ-შ უ რ-ს — ი-შ უ-  
რ-ე ბ-ს // ი-შ უ რ-ე-ე ბ-ს; უ-კ ვ რ-ს — ა-კ ვ რ-ე-ე ბ-ს; ჰ-ს უ რ-ი-ს —  
ა-ს უ რ-ე-ე ბ-ს; ჰ-რ-ი-ს — ა-ჰ რ-ე-ე-ს // ა-ჰ რ-ე-ე-ბ-ს.

ეს დაჩენილი -ვ შეიძლება იყოს ფონეტიკური დანართი ან  
ფუძისეული ფორმანტი. მის ფონეტიკურ წარმოშობას თითქოს  
მხარს უჭერს ის ფაქტი, რომ იგი რ სონანტაა და ხმოვანს შუა  
გვაქვს. აქ მისი გაჩენის რეალური საფუძველი მართლაც არსებობს,  
მაგრამ მაშინ ასახსნელი იქნება ა-ჰ ი რ-ე-ე ბ-ს // ა-ჰ ი რ-ე ბ-ს,  
ი-შ უ რ-ე-ე ბ-ს // ი-შ უ რ-ე ბ-ს. ასახსნელი გვექნება მისი გაუჩენ-  
ლობა ა-ხ ა რ-ე ბ-ს, ა-ტ ი რ-ე ბ-ს და მგავს პოზიციებში.

-ვ სუფიქსი მოქმედებითი გვარის ზმნებში მაშინ დაჩენდება  
ხოლმე, როცა ის ახლავს სტატიკურ ზმნას:

ბ რ წ ყ ი ნ-ა-ე-ს — გ ა ნ-ა-ბ რ წ ყ ი ნ-ე-ე ბ-ს; გ ო რ-ა-ე-ს —  
ა-გ ო რ-ე-ე ბ-ს, მაგრამ ა-გ ო რ-ე ბ-ს; ს-თ რ-ა-ე-ს — დ ა-ა-თ რ-  
ო ბ-ს (<\*დ ა-ა-თ რ-ე-ე ბ-ს).

თუმცა შესაძლოა -ავ სუფიქსი სტატიკურ ზმნაში გვეკონდეს,  
მაგრამ მოქმედებითი გვარის ფორმაში არ გადაჰყვეს: ჰ-ღ კ ძ-ა-ე-ს —  
გ ა ნ-ა-ღ კ ძ-ე ბ-ს; ჰ-შ ო რ-ა-ე-ს — გ ა ნ-ა-შ ო რ-ე ბ-ს (მაგრამ, შდრ.  
გ ა ნ შ ო ვ რ ე ბ უ ლ არს ჩემგან. მათ. 15,8; გ ა ნ შ ო ვ რ ე ბ უ ლ <  
გ ა ნ შ ო რ ე ე ბ უ ლ).

ჩვენი აზრით, ამ რიგის ფაქტებში -ვ-ს არქონა მეორეული უნ-  
და იყოს (შდრ. ა-ჰ ი რ-ე-ე ბ-ს // ა-ჰ ი რ-ე ბ-ს).

-ვ ფორმანტი კაუზატივის ფორმებში შესაძლო მორფოლოგიუ-  
რი ფაქტი ჩანს. მისი სპორადული გამოვლენა იმას უნდა ნიშნავდეს  
მხოლოდ, რომ მას აქ ფუნქცია არა აქვს; ის სტატიკური ზმნის კუთ-  
ვნილებაა (ის თვითონ სტატიკურ ზმნაშიც დაკარგული ჩანს. შდრ.  
უ-ძ ნ-ა-ე-ს // უ-ძ ნ-ს). თუ ეს ასეა, მაშინ სტატიკური ზმნების პირ-

ვანდელი სახე ამგვარად აღდგებოდა: \*ა-ჰ ი რ-ა ვ-ს, \*ჰ-კ ვ რ-ა ვ-ს, \*ჰ-შ უ რ-ა ვ-ს, \*ჰ-ს უ რ-ა ვ-ს<sup>53</sup> და ა. შ.

სტატიკურ ზმნებს მოქმედებითი გვარის ფორმაში შეიძლება -ან სუფიქსიც გადაჰყვეს:

ჰ-ყ ა ვ-ს (< \*ჰ-ა-ყ ა ვ-ა ნ-ს) — მ ო-ი-ყ ვ-ა ნ-ე ბ-ს.

სტატიკურ ზმნათა -ან ფორმანტი მოქმედებითი გვარის ფორმაში -ი ნ, -უ <sup>54</sup> რეფლექსებს გვაძლევს: ჰ-რ წ ა მ-ს, ჰ-რ წ მ-ა ნ-ა ნ (შდრ. ხოლო ბერმან არ წ მ უ ნ ი ს მას, ლიმ. 85,18). დ გ-ა-ს, ა ლ-ა-დ გ-ი ნ-ე ბ-ს.

კიდევ ერთი საკითხი: ჰ-შ უ ე ნ-ის ზმნის „კაუზატივად“ ა-შ უ ე ნ-ე ბ-ნ ფორმა დასტურდება: და ა შ უ ე ნ ე ბ ნ ეამოზასა (მამ. სწ. 246,28);

ა-შ უ ე ნ-ე ბ-ნ ორპირიანია, ამოსავლად ის ვარაუდობს ერთპირიან სტატიკურ ფორმას შ უ ე ნ ი ს იგი „მშენიერი“ა. ასეთი მაგალითები დასტურდება: გულისა მხიარულისა პირი შ უ ე ნ ი ნ, ხოლო მწუხარისა შეძრწუნებულ (ცხ. ანტ. 56,22); შდრ. „გულისა მხიარულისა პირიცა შ უ ე ნ ი ე რ ნ არ ნ, ხოლო რომელნი მწუხარედ არიედ, მათი მწუხარე არნ“. ესრე შ უ ე ნ ი ს ჩუენდა აღსრულეზად ყოვლისა იმართლისა (მათ. 3,15 C).

ეს მაგალითები განამტკიცებდა ჩვენს მოსაზრებას მიგვეჩინა რიგი ინვერსიული სტატიკური ზმნა საქციო სისტემის მოშლის ფაქტად.

ძველ ქართულში დადასტურებულია „შ ე მ ა შ უ ს“ ფორმა, რაც აღგვადგენინებს \*ჰ-ა-შ უ ე ნ-ს სტატიკურ ზმნას „საზედაოს“ ფორმაში: ფრიად მთნავს და შ ე მ ა შ უ ს ცხორებაჲ იგი<sup>55</sup>.

ნამყო უსრული: „ვიცი არა გა შ უ ნ დ ე ს საქმელი ესე“ (კიმ. II, 172,18). აწმყოსათვის ივარაუდება ჰ-ა-შ უ ე ნ-ს ფორმა<sup>56</sup>.

ა-შ უ ე ნ-ე ბ-ნ ფორმის გარდა, ამოსავალში ერთპირიან ფორმებს ვარაუდობს ა-ჰ ი რ-ე-ე ბ-ს: ნუვის ა ჰ ი რ ე ე ბ თ და ნუცა

53 ევ. ოსიძეს შესაძლებლად მიაჩნია \*ჰ-ს უ რ-ა ე-ი-ს, \*ჰ-ს უ რ-ე ვ-ს და ა. შ. ფორმათა აღდგენა (იხ. ერთი ტიპის ზმნათა აწმყოს ფუძის ავებულებისათვის, გვ. 13).

54 უ-ნ-იანი ფორმა — კაუზატივისა -ი სუფიქსიან სტატიკურ ზმნებსაც აქვთ: ც ბ-ის, ა-ც ბ უ ე ნ-ე ბ-ს (შდრ. „მეცბუნდეს“ მრკ. 9,15).

55 დამოწმება მოგვეყავს არნ. ჩიქობავას ნაშრომიდან „სახელის ფუძის უძველესი ავებულება...“, გვ. 83.

56 ანალოგიური ვითარებაა ა-ქ უ-ს — ა-ქ უ ნ-და ფუძეში მომხდარი ცვლილებისა; იხ. არნ. ჩიქობავა, ა ქ უ ს ფუძის უცნობი ვარიანტები, გვ. 581—393.

ცილს შესწამებთ (ლ. 3,14 DE); ა-რ ც ხ უ-ე ნ-ს: ვარცხუენ და დავ-სჯი სულსა ჩემსა (მ. სწ. 233,19). ასევე: ს-ძ ა გ-ე ბ-ს, ა-ლ ვ ძ-ე ბ-ს, ა-ძ ი ნ-ე ბ-ს და სხვა ფორმები.

სტატუკურ ზმნათა „კაუზატივები“ ალგვადგენინებს პირუან-დელ სტატუკურ ფორმებს -ა ვ და -ან ფორმანტი. ეგევე სუფიქ-სები დაჩნდება სტატუკურ ზმნათა ნამყო უსრულის ფორმებში, სტატუკურ ზმნებიდან ნაწარმოებ ნაზმნარ სააელებში.

## § 16. ნამყო უსრულის წარმოება სტატუკურ ზმნებში

16. 1. ზოგი სტატუკური ზმნა მხოლოდ აწმყოს ფუძით გვხვდებ-და და ნამყო უსრულის ფორმებს ვერ იწარმოებს: ა რ-ს, დ გ-ა-ს, ზ-ი-ს, ძ ე-ს, უ-ე-ი-ს, ა-ს-ხ-ს, ჰ-ლ ვ ძ-ა-ე-ს, ს-ძ ი ნ-ა-ე-ს, ჰ-კ ი დ-ა-ე-ს და ა. შ. ყველა -ი-ე სუფიქსიანი სტატუკური ზმნა. აქ შედის ერთპირიანი და ორპირიანი ზმნაც, პირდაპირი თუ ინვერსიული წყობისა, ნასახელარი თუ პირველადი ფუძე, ე. ი. აქ ჩამოთვლილ უაქტორებს აწმყოს წყების პარადიგმის ნაკლულობისათვის მნიშ-ვნელობა არ უნდა ჰქონდეს. მიზეზი სტატუკურ ზმნათა სემანტი-კური შეზღუდულობაა.

16. 1. მარტივეფუძიან სტატუკურ ზმნათა ნამყო უსრულის წარ-მოება. მარტივეფუძიან სტატუკურ ზმნათა უმეტესობა ნამყო უსრუ-ლის ფორმებს ჩვეულებრივ -დ სუფიქსით იწარმოებს.

ჰ-მ ა ლ-ს: ჰ მ ა ლ და მიძღურებაჲ იგი მისი (მრკ. 6,2 C).

ჰ-მ ა რ ჯ უ-ს: სადამცა ვის ჰ მ ა რ ჯ უ და (ხანძთ. ზ 53).

ე ჰ უ-ს: რომელსა ვ ე ჰ უ დ ი შემემთხვა მე (იობისი 3,25); კავშ. I. არა ე ჰ უ დ ეს საქმესა ჩემსა (კიმ. I, 185,2).

ღ ი რ-ს: არა ვ ღ ი რ დ ი ა ამბორის-ყოფად (დაბ. 31,2); კავშ.

I. და მიგცე შენ რაჲ იგი ღ ი რ დ ეს (კიმ. I, 296,28).

ს-ძ ა გ-ს: არამედ სახელიცა მათი ს ძ ა გ და სმენად. (შუშ. 156,7).

წ ვ მ-ს: კავშ. I. რაჲთა არა წ ვ მ დ ეს წ ვ მა (გამოცხ. იოვ. 11,6).

ს-ჰ ი რ-ს: კავშ. I. ნუ გარემიჩქევე პირსა შენსა ჩემგან რ ო ლსა დღესა მ ჰ ი რ დ ეს მე (კიმ. I, 282,5).

ჰ-მ ა ტ-ს: კავშ. 1. თუ მ ა ტ დ ეს სიმაართლე თქუენი უფრომს მწიგნობართასა და ფარისეველთასა, არსადა შეხვდეთ სასუფეველ-სა ცათასა (მათ. 5,20C); შღრ. უკუეთუ კულა პური და ჰ მ ე ტ დ ი ს, მეორისა მსგეფსისა არლარა აღიღიან (იოვანესა და ეფთუმეს ცხორ. 104,20).

ზოგ მარტივფუძიან ზმნას ნამყო უსრული -ოდ სუფიქსით ეწარმოება:

ტირ-ს — ტირ-ოდ-ა, ტიროდეს და იტყოდეს (სინ. მრ. 246,27); შდრ. მასდარი ტირ-ი-ლ-ი.

ჩიგ ზმნაში მასდარი აწმყოში ვარაუდობს -ი სუფიქსს, ნამყო უსრულში -ი არ დაჩნდება. წ ე ხ-ს (< \*წ უ ხ-ი-ს)<sup>57</sup> შდრ. წ უ ხ-ი-ლ-ი. ფრიად წ უ ხ და გული მისი (ხანძთ. 72).

ასეთი ზმნებია: დ უ მ-ს, დ უ ლ-ს, ს-ძ უ ლ-ს და სხვა., შდრ. ტირ-ს — ტირ-ოდ-ა, ტირ-ი-ლ-ი.

16.2. -ი სუფიქსიან სტატიკურ ზმნათა ნამყო უსრულის წარმოება. -ი სუფიქსიანი სტატიკური ზმნები ნამყო უსრულის წარმოების მიხედვით რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დიყოს.

ა) ზმნები, რომლებიც ნამყო უსრულის ფორმას არ იწარმოებენ. ესენი ოდენ სტატიკური ზმნებია და -ი სუფიქსის გამოვლენა მათ ფუძეში ფასეულია.

უ-ვ-ი-ს: არა გ კ ვ ი ს ჩუენ მეუფე (ი. 19,15).

ზ-ი-ს: რომელი ზ ი ს ქერობინთა ზედა (სინ. მრ. 134,31).

გ-გ-ლ-ი-ან: ნურარაა გ გ ლ ი ა ნ, უტე მოკუდეს (შუშ. 154,23).

ბ) ამ ჯგუფში გაერთიანდება -ი სუფიქსიან სტატიკურ ზმნათა უმეტესობა, რომლებიც -ოდ სუფიქსით აწარმოებენ ნამყო უსრულს:

ს უ რ-ი-ს: ს უ რ ო დ ა სულსა ჩეშსა (კიმ. I, 208,7).

ე-ში ნ-ი-ს: ე შ ი ნ ო დ ა ერისა მისგან (მათ. 14,5 DE).

უ-ხ-არ-ი-ს: არამედ მახლობელთა ყოველთა უ ხ ა რ ო დ ა (სინ. მრ. 230,6).

ი-ც ი ნ-ი-ს: ნეტარ ხართ რომელნი სტირთ აწ, რამეთუ ი ც ი ნ ო დ ი თ<sup>58</sup> (ლ. 6,21).

პ-ლ ა მ-ი-ს: ხოლო იგა არა ლ ა მ ო დ ა სიმღაბლით (ლიმ. 67,8).

ი-ვ ლ ტ-ი-ს: რამეთუ მოღუაწჷ იგი ი ვ ლ ტ ო დ ა (სინ. მრ. 121,6).

ე-ლ მ-ი-ს: ფრიად ე ლ მ ო დ ა და განილეოდა შურით (იოვა-ნესა და ეფთუმეს ცხორ. 105,4).

ძ რ წ-ი-ს: ძალნი ცათანი შიშითა ძ რ წ ო დ ი ა ნ (მამ. სწ. 14,10).

57 ოხ. არნ. ჩიქობავა, ერატიული კონსტრუქციის პრობლემა..., I, გვ. 104—105.

58 კავშირებით I. სხვა შემთხვევაში აღარ მიევთითებთ ნამყო უსრულით კავშირებით I (ან ნამყო უსრულის ხოლმეობითი კარიანტი).

ე უ ვ-ი-ს: ვ ა სიმრავლე ფუტკართად ე უ ო დ ა (კიმ. I, 317,26).

ფ შ უ-ი-ს: და სული საკუმეველისა და ნელსაცხებელისა და შ ო ო დ ა მისგან (კიმ. I, 245,13).

ყ უ ა ვ-ი-ს: არა მოივსენა, ვითარ-იგი მის თანა პატივსა ზედა ყ უ ა ო დ ა (სინ. მრ. 214,36).

ტ ყ უ ვ-ი-ს: რომელი ისმენდეს ტყუეფილსა, იგი უშეგინებულეს არს მისა, რომელი ტ ყ უ ო დ ი ს (მამ. სწ. 279—6,7).

ე-ლ-ი-ს: მსთუად მო ე ლ ო დ ე აღდგონასა (სინ. მრ. 157,30).

ჩვენ აქ მხოლოდ იმ ზმნებს მოვიყვანთ, რომლებიც -ოდ სუფიქსიანი ნამყო-უსრულის წარმოებაში ერთგვარ გამოწვევას ქმნიან<sup>59</sup>:

ქ რ-ი-ს: აღდგეს მდინარენი და ქ რ ო დ ე ს ქ არ ნი (მათ. 7,25 DE); ქ რ ი ო დ ე ს ქ არ ნი (მათ. 7,27 C). ქ რ-ო-და // ქ რ-ი-ო-და.

რ ბ-ი-ს: და ზროხათა მი რ ბ ი ო დ ა აბრაჰამ (დაბ. 18,7); ოდეს იგი რ ბ ი ო დ ი ს გუნდნი წმიდათა ანგელოზთად (მამ. სწ. 92,31); მი რ ბ ი ო დ ე ს მრავალნი მუნწყოფნი ხილვად მისა (კიმ. I, 311,39).

-ოდ სუფიქსით აწარმოებენ ნამყო უსრულის ფორმას გარდამავალი სტატიკური (ი-ც-ი-ს, უ-წყ-ი-ს) ზმნები: ი ც ო დ ა ეს ბოროტმან მან ათანასეცა (კიმ. I, 62,23); რომლისა იგი მეოტობად წინადაწარ უ წ ყ ო დ ა (სინ. მრ. 102,26).

გ) რამდენიმე სტატიკური ზნა ნამყო უსრულის ფუძეს გარდამავალ ზმნასავით აწარმოებს:

ო ხ რ-ი-ს: საყვრი ზეცისა და ო ხ რ ი დ ა (სინ. მრ. 187,5); ო ხ რ ი დ ა ქუეყანად (სინ. მრ. 150,6);

ჰ-ნატრ-ი-ს: და ფ რ დ ჰ ნ ა ტ რ ი დ ა მათ (კიმ. I, 59,25);

დ) აქ ის ზმნები გაერთიანდება, რომელთაც აწმყოში -ი სუფიქსი აქვთ, მაგრამ ნამყო უსრულში არ გადაწყევბათ:

დ უ მ-ი-ს: კავშ. I. არა წარწყმდეს ცხორება მათი, რომელნი დ უ მ დ ე ნ (კიმ. I, 84,35).

ი-ნ-ი-ს: „უამ ერთ ვ ი ნ ა ნ დ ი“ (მამ. სწ. 231,18); დაატურდება ი-ნ-ი-ო-და ფორმაც: ი ნ ა ნ ო დ ა ცემისა მისთვის (ბრონ, 301,16)<sup>60</sup>.

<sup>59</sup> უკრადლებას იქცევს ჰ-მ-შ-ი-ი-ს ფორმა. ნამყო უსრულში ჰ-მ-ი-ო-და გვაქვს: შ ი ო დ ა ვითარცა კაცსა (სინ. მრ. 50,9); ჩვეულებრივი -ოდ-იანი ნამყო უსრული ჩანს, თუ არ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ჰ-მ-შ-ი-ი-ს გვერდით ჰ-მ-შ-ი-ნ და ჰ-მ-ი-ი-ან ფორმებიც დასტურდება.

<sup>60</sup> ვიმოწმებთ ივ. ქავთარაძის ნაშრომიდან: ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის..., გვ. 257.

-ოღ სუფიქსი აქვო ნამყო უსრულში -ოვ-ი სუფიქსით დაბოლოებულ სტატიკურ ზმნებს, ამიტომ აქვე განვიჩინოთ:

თესლოვ-ი-ნ: რამეთუ ქრთილი წარმოდგომილ იყო და სელი თესლოოდა (გამოსლვ. 9,31).

მადლოვ-ი-ნ: რომელ არს ღმერთი, არა მადლოოდა. და ჩუენ, მონანი ცოდვისანი, დიდად ვმადლოვით (მამ. სწ. 70-7,8).

პეროვ-ი-ნ: ეშაქისგან იშთებოდა და პეროოდა (ლრმ. 111,21).

სასტოვ-ი-ნ: არამედ თვთ თავადი უთქემიდა და სასტოოდა, რაჯთაჲცა დაათჲა იგი (სინ. მრ. 105,2).

ცრემლოვ-ი-ნ: იტყოდა და ცრემლოოდა (კიმ. I, 170,35); ცრემლოდა (კიმ. I, 281,1)<sup>61</sup>.

ნამყო უსრულის ფუძეში -ოვ-ს ერთგან -ევ ენა(ცვლება: ცრემლევოდა იგიცა (კიმ. I, 149,15)<sup>62</sup> (თუ ეს ფორმა შემთხვევითი არაა; შეიძლება დავუშვათ, რომ -ოვ და -ევ ერთი და იმავე მორფემის სხვადასხვა ვარიანტია).

იგლოვ-ი-ს ფორმა ი-ს გარეშეც გვხვდება: იგლოვ-ს; ნამყო უსრული მარტივი ფორმიდან ჩანს ნაწარმოები: აწ უკუე იგლოვდი მარადის (მამ. სწ. 133,26).

ნამყო უსრულის ჰრულ-ო-ო-და (ჰრულ-ო-ო-და მათ, რომელნი-იგი ზე-სხდეს ჰუნებსა ფს. 75 Ⴀ 7 Ⴀ 7) ამოსავლად ვარაუდობს ჰრულ-ო-ვ-ი-ნ ფორმას; ასეთი არ შეგვხვდებოდა; სავაგიეროდ დასტურდება ჰრულ-ი-ნ, რომლის ნამყო უსრული იქნებოდა ჰრულ-ო-და, ნამყო უსრულის ამგვარი ფორმა ძველ ქართულში გვაქვს (იხ. ფსალ. Ⴀ რედაქციის A ხელნაწერის და Ⴀ რედაქციის D და E ხელნაწერების 75,7). ჰრულ-ო-და ფორმისათვის აწმყოდ შეიძლება ვივარაუდოთ, როგორც ჰრულ-ი-ნ (შდრ. სურ-ი-ს, სურ-ო-და), ასევე ჰრულ-ო-ვ-ი-ნ ფორმა. ჰრულ-ო-ვ-ი-ნ, ჰრულ-ო-ვ-ო-და > //ჰრულ-ო-და (შდრ. ცრემლოვ-ო-და > ცრემლო-და). ჰრულ-ო-ვ-ი-ნ და ჰრულ-ი-ნ ფორმათა ურთიერთობა საკვლევეია. ნამყო უსრულში გვაქვს კუმოდა (კუმამლ სახელიდან). აწმყოში ეს ზმნა მხოლოდ მრავ-

<sup>61</sup> ცრემლოვ-ო-და > ცრემლო-ო-და > ცრემლო-და.

<sup>62</sup> იხ. ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის..., გვ. 145, აქვე გამოთქმულია მოსაზრება, რომ -ოვ-და -ევ- გარკვეულ შემთხვევაში შეიძლება ერთი და იმავე ძირის საწარმოებლად დადასტურდეს.

ლობითის ფორმაში დასტურდება კუ მ-ან-ე დ (-ან იგივე ოდენობაა, რაც დ გ-ან-ან და მისთანებში გვაქვს), ნამყო უსრულის -ო დ სუფიქსი აწმყოსათვის \*კუ მ-ი-ს ფორმას გვაზარულებინებს. აქ -ან და -ი სუფიქსთა ურთიერთობის საკითხი დგება.

16. 3. -ავ სუფიქსიან სტატიკურ ზმნათა ნამყო უსრულის წარმოება. ა) ყველა -ავ სუფიქსიანი სტატიკურა ზმნა არ იწარმოებს ნამყო უსრულს: ჰ-კ ი დ-ავ-ს, ს-თ ნ-ავ-ს, ჰ-დ ე ძ-ავ-ს, ს-ძ ი ნ-ავ-ს, ჰ-ბ უ რ-ავ-ს და სხვა. ყველა ეს ზმნა მიცემითა სუბიექტიანია. ნამყო უსრულის მაგივრობას აქ დინამიკურ ზმნათა ნამყო ძირითადი ცვლის.

ჰ-კ ი დ-ავ-ს: თაეი მისი ტყავითა ოდენ ე კ ი და ქედსა მისსა (ციმ. 1, 30,14):

ს-თ ნ-ავ-ს: და სთნ და ჰეროდეს (მათ. 14,6) და ა. შ.

ბ) სტატიკური ზმნა აწმყოში -ავ სუფიქსით წარმოგვიდგება, მაგრამ ნამყო უსრულში -ო დ გვაქვს.

ს-თ რ-ავ-ს: სთრავს, რანეთუ სუეს ცნობადისაჲ მის ვენაჯისაჲ (სინ. მრ. 189,1); სთრო და მთრვალობითა მით ჰიფრთხილისაჲთა (სინ. მრ. 188,32).

აწმყოს ფუძე \*წუ ე თ-ავ-ს ძველ ქართულში არ დასტურდება, გვაქვს ნამყო უსრულის ფორმები: და ცრემლნი მათნი სწოთოდ ეს თუალთა მათთაგან (სინ. მრ. 160,15); და წინაშე მისსა წუთოდ ედ თუალნი ჩემნი (იობისი, 16,21 (20)).

გ) ნამყო უსრულის ორგვარი წარმოება გვაქვს<sup>63</sup>:

1. ე-ს-ე-ვ-დ: ანუ მე არა მას ვესევე დ (იობისი 6,13). ესევე დ ი თ ტყუ ვ ი ლ ს ა (ესაიასი 30,12); 2. ვინაჲთგან არა ჰიმართლეთა თვსთა ესევი და, არამედ ღმრთისა მხოლოდსა მინდობითა მოიყვანა მოძღუარი თვისი და სულიერი ძმია შემწედ (ხანძთ. ზღ. 18). ასევე: რამეთუ სდ რ ტ ვ ნ ე ვ დ ი თ (ესაიასი 30,12). გლახაკი იყო და არა დ რ ტ ვ ნ ვ და (მამ. სწ. 84,11).

ანალოგიურად იწარმოება შორ-ავ-ს, ფრი ნ-ავ-ს, ბრწყინ-ავ-ს, გორ-ავ-ს, ზრუნ-ავ-ს, ხური ნ-ავ-ს და ა. შ. ზმნათა ნამყო უსრულის ფორმებია.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ აქ ორგვარი წარმოება გვაქვს

<sup>63</sup> -ავ სუფიქსიან სტატიკურ ზმნათა ნამყო უსრული იმეორებს იმ თავისებურებას, რაც საერთოდ ახასიათებს -ავ, -აჰ სუფიქსიან ზმნათა წარმოებას ძველ ქართულში.

-ე ვ და -ა ვ სუფიქსიანი აწმყოსი. ამათგან -ა ვ სუფიქსს -ი დაერ-  
თვოდა<sup>64</sup>.

შესაძლოა -ა ვ და-ე ვ სუფიქსი ფონეტიკური ვარიანტები  
იყოს<sup>65</sup>.

16. 4. -ან სუფიქსიან სტატიკურ ზმნათა ნამყო უსრულის წარ-  
მოება. ყველა -ან სუფიქსიან ზმნას არ ეწარმოება ნამყო უსრულის  
ფორმა: დ გ-ას, ჰ-რ წ ა მ-ს.

ზმნათა ნაწილში ნამყო უსრულია ერთ-ერთი (ზოგ შემთხვე-  
ვაში ერთადერთი) საშუალება -ან ფორმანტის აღდგენისა-

ჰ ყ-ა ვ-ს: და მოუჭდა მას ერი მრავალი, რომელთა ჰ ყ ვ ა ნ-  
და მათ თანა მკელობრები, ბრჰები (მათ, 15,30 DE).

ა-ქ უ-ს: ხოლო უბრწყინვალეს უფროეს თოვლისა ა ქ უ ნ და  
გონებაჲ (სინ. მრ. 9,33). გვხვდება ა ქ ვ ნ და ფორმაც (თუ ა ქ ვ-სა  
უ-ს აღრევა არ გვაქვს): რ ა ქ ვ ნ და მას სახელებ სამკედლებ: წარ-  
მატებულეებ, იქვევიებ... (კიმ. I, 117,18); სახლისა ჩემისგან ნაწილი  
ა ქ ვ ნ დ ე ს (კიმ. I, 163,10).

ჰ-გ ა ვ-ს: ვ რ ნავსა ჰ გ ვ ა ნ და (კიმ. I, 211,4).

ა-ხ-ს: რომელი მი ა ხ ნ და სიკუდილსა (სინ. მრ. 227,22).

ქ უ მ-ა ნ-ე დ, ქ უ მ-ო დ-ა ფორმათა შესახებ ზემოთ გვქონდა  
მსჯელობა.

ოდენ -დ სუფიქსითაა ნაწარმოები -ე ვ, -ე ბ, -ო ბ სუფიქსიან  
სტატიკურ ზმნათა ნამყო უსრული:

ს უ ფ-ე ვ-ს: რამეთუ ს უ ფ ე ვ და სიკუდილი (სინ. მრ. 12,7).

ს უ ლ გ რ ძ ე ლ-ე ბ-ს: ა დ ს უ ლ გ რ ძ ე ლ ე ბ და მის ზ ა  
მრავალეამ (კიმ. I, 324,10).

ვ ა-ე ბ-ს: და ვ ა ე ბ და ძლიერად (კიმ. I, 269,31).

ვ ა ლ ა ლ-ე ბ-ს: ვ ა ლ ა ლ ე ბ და და იტყოდა (კიმ. I, 323,28).

ფ ს ა ლ მ უ ნ-ე ბ-ს: ...იყო იგი სენაკსა შინა თვისსა და ფ ს ა ლ-  
მ უ ნ ე ბ და (ლიმ. 62,7).

მ წ ი რ-ო ბ-ს: და მ წ ი რ ო ბ და ქუეყანასა მადიამისასა (გა-  
მოსლვ. 2,15).

მ ე ფ-ო ბ-ს: და მ ე ფ ო ბ და ედომს ბალააკ (დაბ. 36,32).

ქ ე ლ-ო ბ-ს: ქ ე ლ ო ბ და ბარკლითა მით (დაბ. 32,31 (32)).

<sup>64</sup> არნ. ჩიქობავა, ერატიული კონსტრუქციის პრობლემა, I, გვ. 99,10.

<sup>65</sup> G. Deeters, Das kharliwelische Verbum, § 232, გვ. 134;  
ლ. კიკნაძე, პირველი სერიის მწკრივთა წარმოებასთან დაკავშირებული  
საკითხები, თსუ შრომები, XXX—XXXI, 1947, გვ. 340.



მოცემული ფაქტების გათვალისწინებით, სტატისტიკური ზმნათა ნამყო უსრულის წარმოების შესახებ ასეთი დასკვნა გაკეთდება: სტატისტიკური ზმნა შეიძლება არ აწარმოებდეს ან აწარმოებდეს ნამყო უსრულის ფორმებს, მაწარმოებლად გვევლინება -დ ან -ო დ სუფიქსი.

-ო დ სუფიქსს მკვლევართა უმეტესობა შლის: ო-დ (ა. შანიძე, ვ. თოფურია, არნ. ჩიქობავა, გ. მაქავარიანი და სხვანი)<sup>66</sup>. ზოგს -ო დ დაუშლელად მიაჩნია (ლ. კიკნაძე)<sup>67</sup>, ო-ს (ო დ < \*ვ-ი-დ) ფუძისეული -ვ-სა და მომდევნო -ი-ს შერწყმის შედეგად მიღებულად თვლის არნ. ჩიქობავა, ე.კ. ოსიძე<sup>68</sup>.

ფონეტიკური პროცესი -ვ-ი > ო არც ძველსა და არც ახალ ქართულში (არც დიალექტებში) არ ჩანს, -ა ვ სუფიქსიან ზმნებში მომდევნო -ი-ს დართვა -ო-ს არ გვაძლევს.

როგორ არის განაწილებული ნამყო უსრულის -ო დ სუფიქსი სტატისტიკურ ზმნებში?

-ო დ სუფიქსი ნამყო უსრულში დასტურდება -ი სუფიქსიან სტატისტიკურ ზმნებთან (მცირე გამოჩაყლისის გარდა), რამდენიმე -ა ვ სუფიქსიან სტატისტიკურ ზმნასთან და ზოგჯერ მარტივფუძიან სტატისტიკურ ზმნასთანაც: ტ ი რ-ს — ტ ი რ-ო-და (ტ ი რ-ს ზმნის მარტივფუძიანობა მეორეული ჩანს: ტ ი რ-ს < \*ტ ი რ-ი-ს, შდრ. ტ ი რ-ი-ლ). აქ შეიძლება შემდეგი ვარაუდი გამოვთქვათ: 1. -ო დ სუფიქსი ნამყო უსრულის ისეთივე მაწარმოებელია, როგორც დ-ონი: შდრ. ქ რ-ი-ო-და, რ ბ-ი-ო-და; -ი სუფიქსის დაკარგვა ნამყო უსრულის ფუძეში მეორეულია: ქ რ-ი-ო-და, // ქ რ-ო-და, \*ჰ-ს უ რ-ი-ო-და > ჰ-ს უ რ-ო-და<sup>69</sup>. \*ს-წ ყ უ რ-ი-ო-და > ს-წ ყ უ რ-ო-და

66 ა) ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, § 473, გვ. 427, ოდ ოლ-დ; ბ) ვ. თოფურია, შრომები, I, სვანური ენა, ზმნა, თბილისი, 1967, გვ. 103; გ) არნ. ჩიქობავა, ერგატული კონსტრუქციის პრობლემა..., I, გვ. 98; დ) გ. მაქავარიანი. ნამყო უსრული სვანურში და მისი ადგილი ქართველურ ენათა უღვივლების სისტემაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1957 წლის სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები, გვ. 11—12.

67 ლ. კიკნაძე, პირველი სერიის მწყობრითა წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები, გვ. 317.

68 არნ. ჩიქობავა, ერგატული კონსტრუქციის პრობლემა..., I, გვ. 87; ე.კ. ოსიძე, ერთი ტიპის ზმნათა აწმყოს ფუძის აგებულებისათვის, გვ. 11—18.

69 ჰ-ს უ რ-ო-და, ს-წ ყ უ რ-ო-და ფორმებისათვის ამოსავლად შეიძლება \*ჰ-ს უ რ-ს (> ჰ-ს უ რ-ი-ს). \*ს-წ ყ უ რ-ს > ს-წ ყ უ რ-ი-ს ფორმები ვივარა-

და ა. შ. ს-თ რ-ო დ-ა < \*ს-თ რ-ვ-ო დ-ა < \*ს-თ რ-ა ვ-ო დ-ა, ს-წ თ-ო დ-ა < \*ს-წ თ-ვ-ო დ-ა < \*ს-წ თ-ა ვ-ო დ-ა; თუ გავითვალისწინებთ იმ კანონზომიერებას, რომ ნამყო უსრულში დარჩება აწმყოს სუფიქსი. მაშინ -ა ვ სუფიქსივ დაკარგულად უნდა ჩაითვალოს ს-თ რ-ა ვ-ს — ს თ რ-ო დ-ა ფორმაში.

2. -ო დ სუფიქსი ფონეტიკური გზითაა მიღებული, ფუძისეული -ვ-სა და მოძღვენო -ი სუფიქსის შერწყმის შედეგად; შესაბამისად სტატიკურ ზმნათა ნამყო უსრულის -ო დ სუფიქსი აწმყოში აღგვადგენინებს \*ჰ-ს უ რ-ა ვ-ი-ს, \*ს-წ ყ უ რ-ა ვ-ი-ს, \*ქ ა რ-ა ვ-ი-ს, \*ს-თ რ-ა ვ-ი-ს და ა. შ. სტატიკურ ფორმებს (სპეციალურ ლიტერატურაში ასეთი სახის ცდა არსებობს)<sup>70</sup>. შესაბამისად, ქ რ-ი-ო დ-ა, რ ბ-ი-ო დ-ა ფორმებში დაჩენილი -ი, -ა ვ//ე ვ სუფიქსის სახეცვლილებად უნდა ჩავთვალოთ<sup>71</sup>; \*ქ რ ე ვ-ი-დ-ა > \*ქ რ-ი ვ-ი-დ-ა > \*ქ რ-ი-ო დ-ა // ქ რ-ო დ-ა (შდრ. ა-ქ რ ე ვ ს).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფონეტიკური პროცესი -ვი > -ო ქართულში არ დასტურდება. გარდა ამისა, -ა ვ სუფიქსიან ზმნებთან -ვი- კომპლექსი -ო-ს არ გვაძლევს (ბ რ წ ყ ი ნ-ვი-დ-ა); ე. ი. ერთ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ -ვი > -ო-ს (ს-თ რ-ა ვ-ს < \*ს-თ რ ა ვ-ი-ს, ს თ რ-ო დ-ა), მეორე შემთხვევაში -ვი-ო-ს არ გვაძლევს. ასეთი ფაქტები სხვადასხვა სიძველისა და განსხვავებული დიალექტისა უნდა იყოს (თუ, რა თქმა უნდა, ო < -ვი ფონეტიკურ პროცესს მაინც დავუშვებთ).

თუ გავითვალისწინებთ, რომ აწმყო სუფიქსი დაჩნდება ნამყო უსრულში (-ო დ სუფიქსიანი ნამყო უსრულისათვის კი აწმყოში -ი, -ა ვ და -ო სუფიქსი გვაქვს), შეიძლება დავუშვათ:

1. -ოდ არ იშლება: მაშინ ო დ-ის წინ -ი და -ა ვ დაკარგულად უნდა ვივარაუდოთ (შდრ., ქ რ-ი-ო დ-ა // ქ რ-ო დ-ა).

2. -ო დ- იშლება: ა) მაშინ -ო -ა ვ და -ი- სუფიქსის შერწყმის შედეგია; ბ) -ო- ენაცვლება აწმყოს -ი, -ა ვ და -ო სუფიქსს.

ასეა თუ ისე, -ა ვ და -ი სუფიქსი -ოდ სუფიქსიანი ნამყო უსრულში

უდოთ (შდრ. ტ ი რ-ს, ტ ი რ-ო დ-ა); აქ -ი სუფიქსის მეორეულობის საკითხი უნდა დაისვას.

<sup>70</sup> გ. მაქ ა ე ვ ა რ ი ა ნ ი, უნიშნო ენებითი ქართველურ ენებში, გვ. 320; ეკ. ო ს ი ძ ე, ერთი ტიპის ზმნათა აწმყოს ფუძის აგებულებისათვის ქართულში, გვ. 13, 14.

<sup>71</sup> \*ჰ მ შ-ე-ვ-ს \*ჰ მ შ-ი-ვ-ი-ს > ჰ მ შ-ი-ი-ს (იხ. ივ. ქ ა ე თ ა რ ა ძ ე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის, გვ. 75, 260).

ლის მქონე სტატიკურ ზმნების აწმყოში ფაქტია<sup>72</sup> (ერთადერთი გამოხატვისი: კ უ მ-ა-ნ-ე დ, კ უ მ-ო-ღ-ა).

### § 17. ბრძანებითი კილოს წარმოება სტატიკურ ზმნებში

სტატიკურ ზმნებს ძველ ქართულში მხოლოდ აწმყოს ჯგუფის ბრძანებითი კილოს ფორმები აქვს, ნამყო უსრულიდან ნაწარმოები (ზმნებს, რომელთაც ნამყო უსრული არ ეწარმოებათ, რა თქმა უნდა. ამგვარი წარმოების ბრძანებითიც არ ექნებათ). უკუთქმითა ბრძანებითი სტატიკური ზმნისა ნ უ ნაწილაკიანია, იყენებს აწმყო დროის ფორმას (ნ უ ნაწილაკიანი უკუთქმითი ბრძანებითი ყველა სტატიკურ ზმნას ექნება), ხოლო რაც შეეხება არ ნაწილაკიან უარყოფითი ბრძანებითის ფორმას (მომავალი დროისას), ის დინამიკურ ზმნათა კავშირებითი II-დან იწარმოება.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი 1: გ ი კ ვ რ დ ი ნ და განჭკრთით (ესაიაჲსი 29,9). ზ კ ა ც ო, გ ი ყ უ ა რ დ ი ნ მოთმინებაჲ (მამ. სწ. 12,15). და ესე ვ ძ ა გ დ ი ნ მფრინველთაგან (ლევ. 11,13). ი ნ ა ნ დ ი თ რ ა მ ე-თუ მოახლებულ არს სასუფეველი ზეცათაჲ (მათ. 4,17C). ყ უ ა ო-დ ი ნ ვითარცა შროშანი (კიმ. II, 219,11). ი ვ ლ ტ ო დ ე თ ე გ ვ პ ტ ე დ და იყავ მუნ (მათ. 2,13). ესე გაქუნდინ დაფარვად (კიმ. I, 314,1). ვ ა ჳ რ ო ბ დ ი თ ამას, ვიდრემდე მოვიდე (ლ. 19,13 DE), ეგრე ნ ა თ ო ბ დ ი ნ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა (მათ. 5,16C).

-ა ვ სუფიქსიანი ზმნები ბრძანებათი კილოსათვის იყენებენ ნამყო უსრულის -ე ვ-დ ვარიანტიან ფორმას: ეგრე ბ რ წ ყ ი ნ ე ვ-დ ი ნ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა (მათ. 5,16 DE). ფ რ ი ნ ე ვ-დ ი თ და მომიცენეთ მე ცხოველი (კიმ. I, 115—15,16). ესე ვ-დ ი თ ტყუვილსა (ესაიაჲსი, 30,12).

უკუთქმითი ბრძანებითის ფორმები: და ნუ გ ი კ ვ რ ნ ესე, ღირსო მამანო (კიმ. II, 195,14). ნუ გ ე შ ი ნ ი ნ მათგან (კიმ. I, 9,30). ხოლო აწ ნუ ს ძ რ წ ი თ (დაბ. 45,5); ნუ ე ვ ლ ტ ი გ ვ რ გ ვ ნ ს ა (მამ. სწ. 13,23). წარვედ და ნუ ს დ რ ო ე ბ (პარზ. 212 A 27).

---

<sup>72</sup> ძველ ქართულში გვაქვს პ-ღ-მ-ი-ს ფორმა, ნამყო უსრული — ღ ა მ-ო-ღ-ა: ხოლო იგი არა ღ ა მ ო ღ ა სიმდაბლით (ლიმ. 67,8); ხევსურულ დიალექტში ამ ზმნის ნამყო უსრულში ღ ა მ-ე-ვ-დ ფორმა გვაქვს: დაგროვდეს შაბეს ქალაჩი. კუთხისკე ღ ა მ ე ე დ ი ა ნ ო — ხევს. პოეზია, 175.3 (იხ. ალ. ჭინკა-რაუღი, ხევსურულის თავისებურებანი, გვ. 158). აწმყოში აქ აღდგება ღ ა მ-ე-ვ-ს ფორმა.

## § 18. მასდარი და მიმღობა სტატიკური ზმნისა

მასდარი და მიმღობა ნაზმნარი სახელებია. ასეთი წარმოება სტატიკური ზმნებისათვის დამახასიათებელი არ უნდა ყოფილიყო. რადგან სტატიკური ზმნის ფუძე მინიმალურად განსხვავდება სახელისაგან<sup>73</sup> და ზოგ შემთხვევაში კიდევაც თანხვედრა მას. ძველ ქართულში ყველა სტატიკური ზმნა არ იწარმოებს. მასდარსა და მიმღობას, და თუკი ასეთი წარმოება გვაქვს, იგი ყურადღებას იქცევს, რადგანაც ფუძის პირვანდელი შედგენილობა შესაძლოა ნაზმნარ სახელებში იყოს დაცული.

18. 1. მასდარი. მარტივფუძიან სტატიკურ ზმნებს (წ.მ-ს, ე.ა-მ-ს, ს-ძ ა-გ-ს, წი-თ-ს და ა. შ.) მასდარი არ ეწარმოება.

-ი სუფიქსიან ზმნებში აწმყოსეული სუფიქსი მასდარში ღაჩნდება (ზოგ შემთხვევაში მასდარი აღგვადგენინებს აწმყოსეულ ფუძეს)<sup>74</sup>

ს-წ ად-ი-ს: აღესრულა ჩემი წადილი (სინ. მრ. 243,15).

ყ ი ვ ი ს: და მასვე უამსა ისმა ემაჲ, ვითარცა ყ ი ვ ი ლ ი ე რ ი-სა მრავლისა (იოვ. და ეფთუმეს ცხ. 56,8).

ტ ყ უ-ი-ს: ტყუილი საქმე არს ეშმაქისაჲ (მამ. სწ. 9,25).

ტ კ ი ვ-ი-ს: რამთა განერეს ტკივილთა მათგან (მამ. სწ. 68,24).

რიგ, -ი სუფიქსიან სტატიკურ ზმნათა მასდარში -ვ ელემენტი ღაჩნდება: ს-წ ყ უ რ-ი-ს: აღავსე წყუერილი მისი (მამ. სწ. 173, 35), მაგრამ: ძმაჲ ვინმე სულმოკლე იქმნა წყუერვილთა (კიმ. I, 299,35). წყუერი-ლ // წყუერი-ვი-ლ.

ჰ-ს უ რ-ის: სუერვილი და წრათჲა აქუნდა მონაზონებისათვის (ცხ. ანტ. 10,14); რამეთუ არა შეპრაცხნ ეამთა მრავლად სათნოებისა გზიანთა და არცა მისგან განყენებასა, არამედ სუერვილსა და წადიერებასა (ცხ. ანტ. 17,12).

გვაქვს -ი სუფიქსიან სტატიკურ ზმნათა მასდარების პრეფიქს-სუფიქსიანი წარმოებაც.

ც ბ-ი-ს: ა დ ს ი ც ბ ი ლ ი იგი ჰურიისაჲ მის ჰგონეს საკსარად (კიმ. I, 316,4).

რ-ბ-ი-ს: დაწყნარდიდ შვოთისაგან და ს ი რ ბ ი ლ ი ს ა (მამ. სწ. 139,8); ამ ზმნას ს—ათი წარმოებული მასდარიც უჩანს: ს-რ-ბ-ა: მიჰმალდა მათ ს რ ბ ა ე (სინ. მრ. 159,21).

<sup>73</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, გვ. 251:

<sup>74</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, ერატიული კონსტრუქციის პრობლემა..., I, გვ. 104.

ჰ-რ ცხუენი-ს: სირცხვლი საეუნომ დაიკვდრა (კიმ. I. 107--17,18); ჰ-რ ცხუენი-ს — სირცხვლ-ი.

ჰ-რ ცხუენი-ს სტატიკური ზმნის პირვანდელ სახედ \*რცხვს ფორმა აღდგება. -ენ-, ჰ-რ ცხუენი-ს ზმნაში, ფორმანტად გამოიყოფა.

ჰ-მ ში-ი-ს: ვერცა სიჰშილსა დაუთმობთ (კიმ. II, 196,3). თუ სი-მ ში-ლ-ი, ჰ-მ ში-ი-ს ფორმიდანაა ნაწარმოები, მასდარში ერთი -ი- დაკარგულად უნდა ვივარაუდოთ: \*სი-მ ში-ი-ლ-ი; შესაძლოა მასდარისათვის ჰ-მ-ში-ი-ს ფორმა ამოსავალი.

ბორგ-ი-ს: ესმოდა მისი იგი სიბორგილე (კიმ. I, 324--9,10).

რიგ ზმნაში -ი სუფიქსი არ ჩანს, მასდარში კი დაჩნდება:

ძულ-ს: დავიპარხნეთ თავნი ჩუენნი... სიძულილია აგან და შფოთისა და ტყუილისა (მამ. სწ. 26,6).

ტირ-ს: ტირილით მითხრობდა მე (ლიმ. 14,6).

დუმი-ს//დუმი-ს: იყავნ თქუენდა დუმილი (იობისი 13,5). რიგი -ი სუფიქსიანი სტატიკური ზმნის მასდარში ი-ს აღგილას -უ გვაქვს (ი-ლ/უ-ლ).

ინანი-ს: ინანდეთ სინანულითა უსარგებლოთა (მამ. სწ. 269—31,32).

უ-ყუარ-ს მარტივუქიანი სტატიკური ზმნაა, მასდარში კი ეგევე -უ დაჩნდება: გყუარობდი თქუენ სიყუარულითა მიუ საეშაკოთა (ლიმ. 14,25).

აწმყოს ფუძეში -ავ სუფიქსი გვაქვს, მასდარში -ი<sup>75</sup>; ს-ძინ-ავ-ს: დაძილი საუკუნოა დაგუათინოს ჩუენ (სინ. მრ. 153,3).

მასდარსა და აწმყოს ფუძეს შორის ანეთი დამოკიდებულება გვაქვს: 1. თუ აწმყოს ფუძე -ი სუფიქსიანია, მასდარში მოსალოდნელია -ი, -ვ-ი, ან -უ სუფიქსი; 2. აწმყოს ფუძეში გვაქვს -ავ, მასდარში შეიძლება გვეკონდეს -ი; 3. აწმყოს ფუძე მარტივია; მასდარში მოსალოდნელია -ი ან -უ.

-უ შეიძლება -ი-ს ლაბიალიზაციის შედეგი იყოს<sup>76</sup> -უ < \*ვ-ი: სი-ყუარ-უ-ლ-ი < \*სი-ყუარ-ვ-ი-ლ-ი; აწმყოსში მაშინ შესაბამისად \*ყუარ-ავ-ი-ს ფორმა აღდგებოდა.

<sup>75</sup> შდრ. ღვძაე-ს — ღვძი-ლ-ი.

<sup>76</sup> G. Deeters, Das Kharthwelische Verbum, § 424, გვ. 225, შდრ. ჰ-ს უ რ-ი-ს — ს უ რ-ი-ლ-ი, ხეს, სურ-უ-ლ-ი. (ბესარიონ გაბუური, გვესურული მასალები, 204, 18; 206, 31); ყივი-ი-ლ-ი — დიალექტ. ყიუ-ლ-ი; მესამე კათამციულ სქლ აწაღენ შინა (ფშ., 129, 23).

უძველესი ჩანს -ო ლ და -ომ სუფიქსიანი მასდარები:

ნუ განიშორებ მას ნუცა სლვასა და ნუცა ჯ დ ო მ ა ს ა, ნუ სა-  
ქმესა და ნუ წო ლ ა ს ა (მამ. სწ. 62--13,14): სადა იგი იყო ს  
ძ რ წ ო ლ ა ა (მამ. სწ. 6,4).

გვაქვს სტატიკურ ზმნათა მასდარის -ა სუფიქსიანი წარმოებაც.

ფ რ ი ნ -ა ვ -ს — ფ რ ი ნ -ვ -ა: შიშით და ძრწოლოთ იწყონ ფ რ ი ნ -  
ვ ი თ მიგებებად მისა (მამ. სწ. 125,2).

გ რ გ ვ ნ -ა ვ -ს — გ რ გ ვ ნ -ვ -ა: ზარს-ცემდა გ რ გ ვ ნ ვ ი თ  
(კიმ. I, 252,31).

ქ მ უ ნ -ა ვ -ს — ქ მ უ ნ -ვ -ა: არცა ძლევამ იქმნების თვნიერ  
ბრძოლისა... არცა მხიარულება თვნიერ ქ მ უ ნ ვ ი ს ა (მამ. სწ.  
304,23).

ს უ ფ -ე ვ -ს — ს უ ფ -ე ვ -ა: უჩუენნა მას ყოველნი ს უ ფ ე -  
ვ ა ნ ი ს ო ფ ლ ის ა ნ ი (მათ. 4,8 DE).

ი -გ ლ -ო ვ -ს — გ ლ ო ვ -ა, ე -ტ ყ -ე ბ -ს — ტ ყ ე ბ ა: მოაქცია  
გ ლ ო ვ ა ა ჩემი სიხარულად (ფს. 29,12): ღალატებდნენ გ ლ ო ი თ  
და ტ ყ ე ბ ი თ (მამ. სწ. 16,23).

ზ უ ა -ო ბ -ს: განაგდე შენგან ზ უ ა ო ბ ა ა (მამ. სწ. 3,23):

გვაქვს ც რ ე მ ლ -ო ვ -ი ნ ფორმა. დასტურდება ერთგან ც რ ე -  
მ ლ -ო ვ -ა მასდარი: იწყო ც რ ე მ ლ ო ვ ა დ (კიმ. I, 227, 24). გვაქვს  
აგრეთვე ც რ ე მ ლ -ვ -ა: იწყო დედაკაცმან მან ც რ ე მ ლ ვ ა დ (კიმ. I,  
218,7); ც რ ე მ ლ -ო ვ -ი ნ // ც რ ე მ ლ -ა ვ -ს, ო ვ // ა ვ; შდრ აგრეთ-  
ვე „ც რ ე მ ლ ე ვ ო დ ა“ (კიმ. I, 149,15); მონაცვლეობენ -ო ვ, -ა ვ  
და -ე ვ სუფიქსები<sup>77</sup>.

18. 2. მიმღეობა. მიმღეობა, ისევე როგორც მასდარი, ყველა  
სტატიკურ ზმნას არ ეწარმოება წარმოების მხრივ სტატიკურ ზმნა-  
თა მიმღეობა თითქმის არ განსხვავდება დინამიკურ ზმნათა მიმღეო-  
ბის წარმოებისაგან. სტატიკურ ზმნებში გვაქვს მიმღეობის როგორც  
პრეფიქს-სუფიქსიანი, ისე ოდენპრეფიქსიანი, ან სუფიქსიანი წარ-  
მოება. სტატიკურ ზმნათა მიმღეობებში დროული გაგება არ გვაქვს.  
„ერთპირიან სტატიკურ ზმნებს მხოლოდ სასუბიექტო მიმღეობა  
აქვს, ინვერსიულებს კი ორი ფორმა მიმღეობისა“<sup>78</sup>. შესაბამისად,

77 იხ. ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათ-  
ვის..., გვ. 145.

78 ეკ. ო ს ი ძ ე, მიმღეობის წარმოება ქართულში, თსუ შრ. ტ. 67, 1957,  
გვ. 188;

ინვერსიულ ზმნათა მიძლეობის ფორმებში -ა ვ და -ან ფორმანტი გვაქვს<sup>79</sup>.

უ-კ ვ რ-ს: ს ა კ ვ რ ვ ე ლ არს სახელი შენი (სიწ. მრ. 135,25); შდრ. ა-კ ვ რ-ვ-ე ბ-ს, ს ა-კ ვ რ-ვ-ე ლ.

ს ა-კ ვ რ-ვ-ე-ლ საობიექტო მიძლეობაა, სასუბიექტოში -(ა) ნ-ფორმანტი გვაქვს: მ ო-კ ვ რ-ნ-ე: და ვიყავ რაჲ ამის საქმისათჳს მ ო კ ვ რ ნ ე (კიმ. I, 297,20).

შ უ რ-ს: არსმცა იგი ყ თა-თჳს უ შ უ რ ვ ე ლ (კიმ. I, 229—23. 24); ფ ო დ მ ო შ უ რ ნ ე ი ყ ო ს არწმუნობისა-თჳს (კიმ. I, 4,13); უ-შ უ რ-ვ-ე ლ — მ ო-შ უ რ-ნ-ე.

ჰ-ს უ რ-ი-ს: და მოვიდა მათდა ს ა ს უ რ ვ ე ლ ი იგი კაცი ღმრთისა მ ო ს უ რ ნ ე თ ა მათ თანა (ხანძთ. 67 12); ს ა-ს უ რ-ვ-ე ლ — მ ო-ს უ რ-ნ-ე.

ჰ-ს უ რ-ი-ს ზმნას აქვს „ს უ რ ვ ი ე ლ“ მიძლეობის ფორმაც: მისთვის ს უ რ ვ ი ე ლ არს სული მისი (მამ. სწ. 193,8); რომელნი ს უ რ ვ ი ე ლ და წადიერ არიან წინამძღუარობასა ( მამ. სწ. 82,17). ასევე: წ ყ უ რ-ი-ს — წ ყ უ რ-ი-ე ლ: არამედ იყავნ შენ ვითარცა ირე-მი წ ყ უ რ ი ე ლ ი (მამ. სწ. 74,29);

„წ ყ უ რ ი ე ლ“ მიძლეობის პირველსახედ ე.ე. ო ს ი ძ ე \* წ ყ უ რ-ე ვ ე ლ > \* წ ყ უ რ ი ვ ე ლ > წ ყ უ რ ი ე ლ ფორმას აღადგენს<sup>80</sup>.

ანალოგიური ფორმები მიძლეობისა აქვს ს წ ა დ-ი-ს, ჰ-მ შ ი-ი-ს, ჰ შ უ ე ნ-ი-ს ზმნებსაც<sup>81</sup>: რომელნი ს უ რ ვ ი ე ლ და წ ა დ ი ე რ არიან (მამ. სწ. 82,17) უფალო, ოდეს გიხილეთ შენ მ შ ი ე რ ი და გამოგზარდეთ (მათ. 25,37); და გამოსცა ქაშა თჳსსა ნაყოფი შ უ ე ნ ი ე რ ი (კიმ. I, 61—1,2). ასეთივე მიძლეობა ეწარმოება შ ო რ-ა ვ-ს ზმნას: რ ო რ ა დაშთა ქ ყ ა ნ ა შ ო რ ი ე ლ ი (კიმ. I, 107,5).

-ვ დაჩნდება ს ა-ჰ ი რ-ვ-ე ლ მიძლეობის ფორმაში (შდრ. ჰ ი რ-ს): გარდაიცვალა ს ა ჰ ი რ ვ ე ლ ი ს ა ამის-გან სოფლოსა (ხანძთ. 97 35); შდრ. ა ჰ ი რ-ვ-ე ბ-ს (// ა ჰ ი რ-ე ბ-ს).

79 სტატიკურ ზმნათა ფუძის ანალიზისათვის მოქმედებითი გვარის მიძლეობათა ფორმებსაც მიუთითებთ, როცა მოქმედებითი გვარი კაუზატიურადაა მიღებული სტატიკური ზმნიდან.

80 ე.ე. ო ს ი ძ ე, ერთი ტიპის ზმნათა აწმყოს ფუძის აგებულებისათვის, გვ. 14.

81 საინტერესოა ა-ჰ უ-ს ზმნიდან ნაწარმოები „მ ა ჰ უ ს ი ე რ“ მიძლეობა (ეოტხალ და მ ა ჰ უ ს ი ე რ ხარ. მამ. სწ. 174,24; საბა: მაქესიერი — „მოკონებელი“).

ს-ტკივი-ის ზმნის მასდარში -ი გვაქვს. მიმღობაში -ან, მ-ტკივი-ან // მ-ტკივი-ნ-ე. რაღა მტკივან არს ალი ესე მოტყინარე (მამ. სწ. 216,21); დღე-კაცი ვინმე ძუქუთა მტკივენ ევეღრებოდა წდასა მას (კიმ. I, 291,8); ეს -ნ „კაუზატრებში“ დასტურდება: ატკიენა მას ძლიერად (კიმ. I, 194,13).

ს-ტკივი-ის ფორმის პარალელურად ხომ არ უნდა ვივარაუდოთ \*ს-ტკივი-ან ფორმა (შდრ. ახ. ქართული: ს-ტკივიან).

ზოგჯერ სტატიკური ზმნის პირიანი ფორმა გამოიყენება მიმღობად: უკეთუ მსგავს მისა იყო შენ (კიმ. I, 169,15);

ამავე ჰგავს ზმნას უნდა ჰქონოდა უფრო ძველი ფორმა მიმღობისა: შეუგვანებელ არს საკთურისა არა მოსლვაჲ (ლ. 17,1 DE); „შეუგვანებელ“ არის უარყოფითი მიმღობა აგვანებს ზმნისა, რომელიც \*ჰგავან-ს > (ჰგავს) სტატიკური ფორმიდან ჩანს ნაწარმოები. მიმღობის ფორმად აქ მგვანი აღდგებოდა.

-ვ და -ნ (სა-ს ურ-ვ-ე ლ- მო-ს ურ-ნ-ე // ს ურ-ვ-ნ-ე ლ) სტატიკური ზმნის ფუძის კუთვნილება ჩანს. მათი მონაცვლეობა მიმღობებში მორფოლოგიურად არ უნდა იყოს გაპირობებული (შდრ. მოს ურ-ნ-ე და მ-ს ურ-ვ-ე ლ ი...). ეს მონაცვლეობა შესაძლოა სხვადასხვა დიალექტის ფაქტი იყოს.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ -ან ფორმანტი მხოლოდ სტატიკურ ზმნათა „აწყო დროის“ მიმღობებში გვაქვს<sup>82</sup>. დროის გამოხატვა მიმღობებში<sup>83</sup>, ისევე როგორც ზმნებში, მერე ულადა მიჩნეული. სტატიკურ ზმნებში მით უმეტეს დროის საკითხი არ დგას.

## § 19. დასკვნები

1. სტატიკური ზმნის ფუძე შეიძლება იყოს მარტივი ან სუფიქს-დართული. ეს სუფიქსები ნაირგვარია (-ი, -ი-ე, -ან, -ავ, -ევ, -ო-ვ, -ოვ-ი, -ებ, -ობ). საკუთრივ სტატიკური ზმნის სუფიქსი ჩანს -ან (-ი-ე და -ოვ-ი რთული შედგენილობისა). სუფიქსების ძირითადი ნაწილი (-ი, -ავ, -ევ, -ოვ, -ებ, -ობ) სტატიკურ ზმნებს საზიარო აქვთ დინამიკურ ზმნებთან. ამ „საზიარო“ სუფიქსებით გაფორმებული სტატიკური ზმნის ფუძის „ზმნური“ შინაარსი უფრო გამოკვეთილია.

<sup>82</sup> არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება..., გვ. 95.

<sup>83</sup> ეკ. ოსიძე, მიმღობის წარმოება ქართულში, გვ. 212.



2. -ან სუფიქსი სრული სახით წარმოდგენილია რიგი სტატიკური ზმნის მრავლობითისა თუ ნამყო უსრულის ფორმებში: დ-გ-ან, დ-გ-ან-ან; აქუ-ს//აქუ-ნ-ს (მათ. 21,26 ც), ჰქონ-ან, აქუ-ან-და//ჰქონდა; ჰყავ-ს, ჰყავ-ან-ან, ჰყავ-ან-და, ჰგავ-ს, ჰგვან-ან, ჰგვან-და... -ან ფორმანტი ზოგიერთ შემთხვევაში ამ ზმნათა „კაუზატივის“ თუ მასდარის და მიმღობის ფორმაშიც დასტურდება: მო-ი-ყვან-ე ბ-ს, შე-უ-გვან-ე ბ-ელ (ლ. 17,1). -ან სუფიქსი იხმარება გარკვეულ ფუძეებთან.

3. ზმოვანი პრეფიქსები სტატიკურ ზმნებში სუბიექტისა და ობიექტის სივრცობლივ მიმართებას ასახავენ: დგას, ა-დგს, „ზედ ადგას“, უ-დგს „გვერდით, ახლოს, უდგას“.

4. ინვერსიულობა სტატიკურ ზმნებში ზოგიერთ შემთხვევაში საქვეო სისტემის დაშლის შედეგი უნდა იყოს. ზოგი ინვერსიულ სტატიკური ზმნა წარმოშობით საობიექტო ქცევის ფორმას წარმოადგენს.

5. აშუენებნ, აპირვებს, სძაგებს და სხვ. ე' წ. „პირველადი კაუზატივების“ შესაბამისი სტატიკური ჰ-შუენი-ის, ს-ჰირ-ის, ს-ძაგ-ის ზმნები ორპირიანია (ინვერსიული), თუმცა ამოსავალში ერთპირიანი იყო სავარაუდოდ. ძველ ქართულში დადასტურებული ერთპირიანი შუენი-ინ „მშენიერია“ აღგვადგენინებს ერთპირიან ჰირს, ძაგს ფორმებს. ეს გარეპობაც გვაფიქრებინებს, რომ ზოგი ინვერსიული სტატიკური ზმნა წარმოშობით საობიექტო ქცევის ფორმაა.

6. შეიზჩნევა ტენდენცია ინვერსიულ სტატიკურ ზმნათა პარალელურად პირდაპირი წყობის ფორმათა წარმოქმნისა: უყუარს //ყუართს...

7. სუფიქსები, რომლებიც სტატიკურ ზმნებს აფორმებენ, ზოგჯერ ერთმანეთს ენაცვლებიან: უძნავ-ს // შეუძლ-ი-ან, ადგას // ადგ-ი ა, ჰგონ-ი-ეს // ჰგონ-ი-ა, ცრემლ-ო-ვ-ო-და // ცრემლ-ე-ვ-ო-და, ორგულ-ე-ბ-ს // ორგულ-ო-ბ-ს... ამ შენაცვლებით სტატიკური ზმნის შინაარსი არ იცვლება.

8. -ავ, ასევე -ებ, -ობ, -ი, სუფიქსები სტატიკურ ზმნებში (ჰკიდავ-ს, შორავ-ს, ელ-ის ვაებ-ს, სწუნ-ობ-ს და ა. შ.) და დინამიკურ ზმნებში (ხატავ-ს, აპირვებ-ს და ა. შ.) სხვადასხვა ოდენობა ჩანს. დინამიკურებში ისინი აწმყოს სუფიქსებია ნამყოს საპირისპიროდ. სტატიკურ ზმნებში კი დროში დაპირისპირება არ გვაქვს და -ავ და სხვ. განგრძობითობას (resp. სტატიკურობას) გამოხატავს. ზმნის ფუძის შინაარსი ამ შემთხვევაში განსაზღვრავს

ზმნის ფორმას. შემთხვევითი არ არის, რომ სტატიკურ ზმნათა აღწერით წარმოებაში მეშველი ზმნა იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც სუფიქსები ასრულებენ სტატიკურ ზმნათა ორგანულ წარმოებაში.

## მაგი 11

### სტატიკური ზმნები „ვეფხისტყაოსანში“

ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება — განვითარების ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება „ვეფხისტყაოსანს“, მის ენობრივ მასალას, გრამატიკულ სტრუქტურას.

„ვეფხისტყაოსნის“ ენის მორფოლოგიურსა და სინტაქსურ სტრუქტურაში გამოიჩინება კომპლექსი მოვლენებისა, რაც ძველი ქართულისათვისაა დამახასიათებელი.

მოგვეპოვება ზოგი ისეთი მოვლენაც, რაც ძველი ქართულისათვის უცხოა, აბალ ქართულში კი ჩვეულებრივი გამხდარა, ანდა გარდამავალ საფეხურს წარმოგვიდგენს ძველიდან ახალი ქართულისაკენ<sup>1</sup>.

სტატიკური ზმნებიც ამ თვალსაზრისით განიხილება „ვეფხისტყაოსანში“ და იმავე თანმიმდევრობით, რაც ძველი ქართულისათვის გვაქვს გამოყენებული.

### § 20. მარტივფუძიანი სტატიკური ზმნები

ძველი ქართულისაგან განსხვავებით „ვეფხისტყაოსანში“ დასტურდება ახალი ფორმებიც მარტივფუძიანი სტატიკური ზმნებისა: ბუქ და ვარგა, მგამა... ძირითადად კი მარტივფუძიან სტატიკურ ზმნათა ფონდი აქ იგივეა, რაც ძველ ქართულში.

ბუქ-ს: წამწამთაგან ბუქი ბუქ და (974,3). ძველ ქართულში ეს ზმნა არ შეგვხვედრიან.

წვიმ-ს: მუნვე წვიმს წვიმა ბროლისა (85,3).

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, ძველისა და ახალი ქართულის კომპონენტებისათვის „ვეფხისტყაოსნის“ ენის მორფოლოგიურსა და სინტაქსურ სტრუქტურაში, იკვ, XV, გვ. 5.

ღირს-ს: ოდეს ტურფა გაიფედეს, აღარა ღირს არცა ჩირად (868,4).

ძე-ს (უ-ც): გონება უც ვითა მტრელი (1172,4).

ეჭვ-ს: ვეჭვ, კმუნვასა, ესე სჯობდეს (106,4).

მატ-ს: ჩემი კმუნვა ჭირსა ჩემსა არცა მატს და არცა სდილობს (745,1). „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება ამ ზმნის -ობ სუფიქსიანი ფორმა — მეტობს: მისივე მეტობს ყვავილთა სული და ტურფა ფერობა (37,3).

ხამ-ს (ძვ. ქართული, ჰამ-ს): ხამს ყოვლისა დაჯერება (1038,4).

ძველი ქართულის ჯამ-ს პირნაკლი ზმნაა, ოდენ მხოლოდობითს მესამე პირში გვხვდება (უქცეო ფორმაში). ქცევიანი ფორმა ამ ზმნისა მ-ი-კ-მ-ს, გ-ი-კ-მ-ს, უ-კ-მ-ს მხოლოდ ობიექტური წყობითა გვაქვს დადასტურებული. „ვეფხისტყაოსანში“ უქცეო ფორმა დასტურდება (სუბიექტური წყობისა) პირველი პირისა: თუ მიჯნური ვარ, ერთი ვხამ ხელი მინდოროთა მე რებად (775,1).

სძაგ-ს: ღმერთსა თურმე ასრე ვსძაგდი (579,4);

სცალ-ს: მიკვირს, რად სცალს წყლიანობად (755,2); ნამყო უსრული: ვეცდებოდი. არა მცალდა სევდისაგან თავის კრძალვად (362,1).

სძულ-ს: მძულს ცული ნაქადებია (1415,4); სძულს ზმნის „კაუზატივის“ ფორმაში -ვ- ფორმანტი აღდგება: მო-ი-ძულ-ვ-ნ-ე-ს: მათთა ცოლთა მოიძულენეს ქმარნი, დარჩეს გაბასრულად (1063,4); სტატიკური იქნებოდა: \*ს-ძულ-ავ-ს.

კშურ-ს: ერთგულთათვის კარგი ნუ გშურს (771,2).

სჭირ-ს: სჭირს ერთმანერთის მონება (6,4).

უკვირ-ს: მიკვირს, კაცი რად იფერებს საყვარლისა სიყვარულსა (30,1); ი- პრეფიქსი შეიძლება დაიკარგოს: ღმრთისა ამაღ არა მკვირსა (409,2); მიკვირს // მკვირს.

უყუარ-ს: მე გამიკვირდა: სით ვუყვარ (353,1).

უმძიმ-ს: ეგე არ მიმძიმს ვაზირო (62,1); ნეტარ, რა უმძიმს, რა სჭირსო (56,4); ნამყო უსრული: რა უმძიმდა, არ ფიცოდი (108,3).

ვარგა (ძველ ქართულში არ გვხვდება): შენგან კიდევ არვინ ვარგა (161,1). უთხრა: ვიცი, აღარ ვარგხარ (243,1). არად ვარგხარ არცა სხვად რად (748,4).

ჩნდება მეშველზმნიანი წარმოება, რაც ძველი ქართულიათვის უცხო იყო.

მ გ ა მ-ა<sup>2</sup>: გამიშვია შექირვება, არად მ გ ა მ ა ყოლა მეო (117,4); ვიტყვი, მოვკვდე, არა მ გ ა მ ა (742,4).

## § 21. -ი სუფიქსიანი სტატიკური ზმნები

ზ-ი-ს: რად ვ ზ ი ქუშად და დაღრეჯით (124,4) თვით ზ ი ს ლალი და წყნარია (34,3), ვა, სოფელო უხანოო, რად ზ ი სისხლთა ჩემთა ხერეტად? (522,4).

საობიექტო ქცევის ფორმებში ამ ზმნას კუთვნილების შინაარსი აქვს (= ჰყავს): ერთად შ ი ზ ი ს ასული (63,1).

ა რ-ი-ს // ა რ-ს: რაცალა ა რ ი ს, არ ა რ ი ს (214,2); მიჯნურობა ა რ ი ს ტურფა (24,1); შდრ. ა რ ს ერთი ქალი საძეო (507,3); ა რ ს უნახავი თვალისა (476,2), მისვან ა რ ს ყოვლი ხელმწიფე (1,4).

უ-ვ-ი-ს: შენგან კიდე ბორციელი, დაო მი ვ ი ს არასადა (272, 2); ყმა არ მოგვცა, ქალი გ ვ ი ვ ი ს (501,3).

ჰ-ყ ი ვ-ი-ს: ნუ ჰყ ი ვ ი აგრე ხმიანი (230,4); ეძებს, უზახის, უყ ი ვ ი ს (854,2). „კაუზატივში“ დაჩნდება -ნ; ა-ყ ი ვ-ნ-ე-ბ-ს: რად აყ ი ვ ნ ე ბ ს (30,2); მოყვარესა აყ ი ვ ნ ე ბ დ ე ს (28,2). მიმლეობის ფორმაში -ა ვ-ს არ ენაცვლება: მ-ყ ი ვ-ა რ: ხმა-მალლად გა ხ მ ა მყ ი ვ ა რ და (565,3).

ტ-კ ი ვ-ი-ს: ჩვენ უფრო გ ვ ტ კ ი ვ ი ს იგი, ვინ დაგვაკლდა სწორად თავისა (329,1); „მო მი ტ კ ი ვ ნ ე ბ ს“ ფორმა (გულსა წყლულსა მომიტკივნებს (752,2); მ-ტ კ ი ვ-ან მიმლეობიდან იწარმოება: „გაბატკივარდა“ (მართ მისგან გაბატკივარდა 565,2); ს-ატკივ-არობიექტური მიმლეობიდანაა ნაწარმოები. აქაც -ან და -არ ფორმანტები ენაცვლებიან ერთმანეთს.

ი-ც ი ნ-ი-ს: მეფე ჰკითხავს: „რას ი ც ი ნ ი“ (64,4); აღარ გ ი ც ი ნ ი ს პირიო (60,1); ი-ც ი ნ-ი-ს, უ-ც ი ნ-ი-ს (შდრ. ძვ. ქართული: ი ც ი ნ-ი-ს; ე-ც ი ნ-ი-ს).

ჩ ი ვ-ი-ს: ზაფხულის მზისა სიახლე დასწვავს, გვალვასა ჩ ი ვ ი ან (1334,2); ნამყო უსრულია: იგინებოდა, ჩ ი ო და (585,4).

ლ ა მ-ი-ს: დამცთარა თქვენი პატრონი, ჩემსას თუ ლ ა მ ი ს სძლობასა (1180,3); ორისაგან ერთი ქმენით, ამის მეტსა ნურას ლ ა მ ი თ (1095,1); გულსა შე ლ ა მ ი ს დაღებად (1362,3); ნამყო

2 იხ. ავ. შ ა ნ ი ძ ე, არა მ გ ა მ ა „ვეფხისტყაოსნის“ საკითხები, თბილისი, 1966, გვ. 77—84; მგამა < გ ა მ მ ა < გ ა-მ-ვ ა < გ ა მ-ვ ა ლ-ს — „მედარდება, მენაღლება“.

უსრული: მეზვეწებოდა, ლამოდა ჩემგან რასამე სმენასა (299,1).

ჰ-რ ცხეენ-ი-ს: უბრძანა: აჰა, შერპადინ, ამად მე შენგან მრცხეენიან (149,1); ნამყო უსრული: არვრგან რცხეენოდა (121,1).

„ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება ი-რ ცხე-ის / ე-რ ცხე-ის ფორმა: მაგრა ირცხვის მეფისაგან, შუქი ბნელად მოევანა (1515,4); უბრძანა: ადგე, ნუ ირცხვი, შენ ზნენი გამოგჩენიან: რათგან შერჩიო, ნუ მერცხვი, გაუ, რასალა გრცხეენიან (1517—3,4).

ე-შ ი-ნ-ი-ს: მე შინიან, თუცა შიშა მოციქული არ ღარილობს (745,2); გვხვდება გეშის ფორმა: ნუ გეშის, ღმერთი უხვია (920,3); სხვად არას გიზამ, ნუ გეშის (230,4).

ჰ-შ ვეენ-ი-ს: ტურჯად გშეენიან (479,2); ნამყო უსრული: ავად შვენოდა მორყენა (292,4).

ი-ნ ან-ი-ს: არ ვინანი გარდასრულა (849,2); რაცა ვთქვი, მასცა ვინანი (808,4).

ი-ნ ავლ-ი-ს: ნუ ინავლი მაგას მაგად! (623,2):

ძრწ-ი-ს: ძრწის და მიეცა ძრწოლასა (1088,1). სტატიკური ძრწის ფორმის დინამიკური (უგვარო) ცალია ძრწების: ვითა კაკაბი არწივისა ქვეშე მი და მო ძრწებოდა (229,2); ნამყო ძირითადი: გამოძრწა და გამოშელდა (752,2).

ყურადღებას იქცევს ი-ძრწ-ი ვ-ე-ბ-ს ფორმა: მართ ველარას ვერ იძრწივებს (752,2); შდრ., რომელმან ესოდენი ერი შეაძრწუნა (სინ. მრ. 80,30). -უნ სუფიქსის დაშლა თითქოს შესაძლებელი ხდება.

ბ-ც ვივ-ი-ს: ფურცელნი ჩამოსცვივიან (1334,1).

კმარ-ი-ს (ძველი ქართულისათვის აღწერილად იწარმოება: კმარას): კმარის ესე ჩემად დავლად (787,4); კმარის, მისცეს სულთა ღებნა (10,3); შენ აქა ნახე, კმარიან იქა ნახვისად უმანია (544,4).

უხარ-ი-ს: უხარის ეგრე სიკეთე (81,2).

რიგი სტატიკური ზმნა „ვეფხისტყაოსანში“ მხოლოდ ნამყო უსრულის (ან კავშირებითი I-ის) ფორმით შეგვხვდა.

ც-ო-ღ-ე-ს: ცოდეს ბრძოლისა ცვართა (1316,1); კ-ო-ღ-ე-ს: კიოდეს და მოდიოდეს (1026,1); ტყუ-ო-ღ-ა: არ მონა იყო, ტყუოდა (1217,2).

ს-წყ-უ-რ-ო-ღ-ე-ს: სწყუროდეს, წყალსა ვინ დაღვრის (908,1).

უ-ჩ უ მ-ო დ-ა: იგი ღმერთსა აღიდებდა, სხვა ყველაი უ ჩ უ-  
ნ ო ღ ა (348,4).

ეს ფორმა ძველ ქართულში თითქოს არ ჩანს. ძველი ქართულ-  
ლის აკლს ფორმა „ვეფხისტყაოსანში“ აკლია ფორმით გვხვდე-  
ბა: აკლია მიჯნურთ ზნეობა (23,4); თუცა ჰირი არ გააკლია  
(270,3); მაკლია ღმრთისა წყალობა (367,4); ნაწყო უსრული: არ  
აკლდა კვნესა (445,4).

ასევე, ძველი ქართულის -ი-ე დაბოლოებიანი ფორმები -ი-ა  
დაბოლოებაზე გადავიდა (ძველ ქართულში ერთეული შემთხვევა  
დასტურდება -ი-ა დაბოლოებით).

ჰ-გ-ი-ა: სახნისი ჰგია ძელითა (1025,4); ჰგია გიშრისა ლა-  
რი საღ (85,3).

ჰ-გ ო ნ-ი-ა: თავი ყოლა ნუ ჰგონია (15,2); ჩემი სიკვდილ-  
შენ ჩემად პატიჟდ ნურად გგონია (239,1); გგონივარ ვინწუ  
ვაქარი (1250,1).

ძვ. ქართული ა-ბ-ს, აქ: ა-ბ-ი-ა: ჯაჰენი მაბიან, რკინანი!  
(827,2); ხრმალნი ცუდად რას გვაბიან! (433,4).

ა-რ ტ ყ-ი-ა: ეს სჯობს: მოგვეცე საჭურჭლე, მძიმე მარტყა  
ტანასა (1182,3).

ძველ ქართულში ამ ზმნის სტატიკური ფორმა არ შეგვხვდ-  
რია. გვხვდება „ერტყა“ (მათ. 3,4; მრკ. 1,6).

ძველი ქართულის ს-წ ა დ-ი-ს „ვეფხისტყაოსანში“ ორი ფორ-  
მით დასტურდება: ს-წ ა დ-ს და ს-წ ა დ-ი-ან: აწ მე მწადს (309,  
3); არს უკეთესი, რაცაღა სწადს განგებასა ზენასა (299,4); ნამ-  
ყო უსრული: მწადდა არა-თქმა (124,2); ვიცოდი, სწადდა  
არვისგან ნახვა მის მზისა ღარისა (336,1).

ს-წ ა დ-ს — ს-წ ა დ-და (შდრ. ძვ. ქართ. ს-წ ა დ-ი-ს — ს-წ ა დ-  
ო დ-ა): ცხენსა შეჯდომა მწადიან (349,3); გითხრა, თუ ცოდ-  
ნა გწადია ჩვენისა შენ სახელისა (257,1); მასღარი: წადილ-ი-ი:  
აწ იგი იქმნას, რაცაღა ენებოს ღმრთისა წადილსა (600,1).

ჰ-ქ ვ-ი-ან: მოშაირე არა ჰქვიან (15,1; 17,4).

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ „ვეფხისტყაოსანში“ უწყ-  
ი ს ზმნა არ გვხვდება. უკვე „ვეფხისტყაოსანის“ ეპოქისათვის უწყ-  
ყის არქაიზმი ჩანს.

ი ც ი ს ზმნა „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება სუბიექტური და

---

3 იხ. ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგ. ისტორიისათვის..., I,  
გვ. 198.

ობიექტური წყობით. ობიექტურ წყობაში ზმნა ორპირიანია და „ცნობის“ მნიშვნელობა აქვს, ისევე როგორც ძველ ქართულში: რა ი ც ი ს ამბავი (351,4); შენ გ ი ც ი კარგი მოყვარე (1251,1); აწცა მ ი ც ო დ ი საშენოდ მითვე პირითა მტკიცითა (406,2).

### § 22 -ან სუფიქსიანი სტატიკური ზმნები

ახალი ფორმები სტატიკური ზმნისა -ან სუფიქსით „ვეფხისტყაოსანში“ არ იწარმოება. -ან უკვე ძველ ქართულშივე აღარაა მოქმედი სუფიქსი.

ღ-ა-ს: ნულარ ს დ გ ა თ (442,2); მიკვირს, სულნი რადლა მ ი დ გ ა ნ (403,2).

ჰ-გ-ა-ვ-ს: თქვა, თუ: ჰ გ ვ ა ნ ა ნ მეკობრეთა (193,3); რომე ჰ გ ვ ა ნ დ ა სიუხვითა ბუქსა, ზეცით ნაბუქალსა (55,3).

მ-ი-ნა: ..აქა მომხრეთ არეინ მ ი ნ ა (169,1); ქალმან უთხრა: ყმაო, ღმერთმან მოგცა ყამად, რაცა გ ი ნ ა (261,1); მანდაურთა მეონართა ანგარიში წვრილად გ ვ ი ნ ა (1261,3). მ-ი-ნ-ა//მ-ი-ნ-დ-ა: აწ ენა მ ი ნ დ ა გამოთქმად (6,1); კარგნი გ ვ ი ნ დ ა ნ და ცოტანი (1373,1); ნამყო უსრული: თუ ჩემი ქალი გ ი ნ დ ო დ ა, რად არა შემაგებინე (555,2).

რათ ქმა უნდა, დასტურდება ჰ-ყ-ა-ვ-ს და ა-ქ-ვ-ს ფორმები.

### § 23 -ავ სუფიქსიანი სტატიკური ზმნები

ქ მ უ ნ-ა-ვ-ს: ნუ ს ჰ მ უ ნ ა ვ თ ჩემთვის მეფენი (798,3).

ფ რ ი ნ-ა-ვ-ს: სხვაგან არის, სხვაგან ფ რ ი ნ ა ვ ს (1172,4).

ჰ-ბ-უ-რ-ა-ვ-ს: ბროლ-სადაფნი მარგალიტსა ლალის-ფერსა ს ც ვ ე ნ დ ა ჰ ბ უ რ ვ ე ნ (846,1).

ა-ხ-ლ-ა-ვ-ს: ერთილა ა ხ ლ ა ვ ს ავთანდილ (102,1, 36,3); უბრძანა: მ ა ხ ლ ა ვ რად არა (105,4).

ჰ-ფ-ა-რ-ა-ვ-ს: ღმერთი გ ფ ა რ ა ვ ს, სწორად გაჰყვეთს, შეშა ვის ჰკრა, თუნდა ხრმალი (1034,4).

ს-ც-ა-ვ-ს: გვირაბის კარსა ნიადაგ მოყმე ს ც ა ვ ს არ პირნასები (1231,1).

### § 24. -ოვ სუფიქსიანი სტატიკური ზმნები

-ო-ვ-ი სუფიქსიანი ზმნები „ვეფხისტყაოსნისათვის“ უცხოა.

ა-ხ-ს-ო-ვ-ს: მე ღიკვდილსა აღარ ვ ა ხ ს ო ვ (281,4); ძველ ქართულში ეს ზმნა სუბიექტური წყობით არ შეგვხვებოდა. იტყვის

მახსოვს ეგე საქმე (289,2); გახსოვსცა, ოდეს დახოცე მონები არ-საპყრებია (283,4); მასლარი ხს-ო-ე-ნა: ხსოვნა არა ზამს კირისა (587,2).

### § 25. -ებ და -ობ სუფიქსიანი სტატიური ზმნები

ე-ა-ე-ბ-ს ერთადერთი მაგალითია -ე-ბ-იანი სტატიური ზმნისა „ვეფხისტყაოსანში“.

ტირს და სულთქვამს, ვაებეს, უობს (767,2); დღისით და ღამით ევაებდი (328,2).

სამაგიეროდ უხეად გვაქვს წარმოდგენილი -ობ-იანი სტატიური ზმნები.

ხვალისა მეფე არაბთა კვლა პურობს არ დაფალა (1540,1); მელიქ სურხავი ხელმწიფობს (1053,4); იგი ყმა ვაქრობს, თავადობს და თავსა მალავს ამითა (1050,4); იგი ნადირობს, შეუკრავს, ნაპირი ველ-შამბნარისა (966,4); მზე აღარ მზეობს ჩვენთანა, დარი არ დარობს დარულად (811,4); ამას მით ვაზრობ (839,4). კაცსა არას არ იახლებს, ერიღების ჰკრთების, ქსუობს (767,3); ღმერთსა ჰგმობს და აგრე ცრუობს (767,4); თუმცა მისი არ გაწირვა ჩემგან მტკიცობს, არსათუობს (767,1); ქუშობს, ჭერთ არ დამტებარია (241,1); სიცილით ღაღობს (81,4); შდრ. ძვ. ქართ. ნუ ჰლაღოი შენ შორის მყოფისა მაგის სიბრძნისა (დამასკ. 159,4)<sup>4</sup>. -ო-ე-ი სუფიქსს -ობ ენაცვლება. მით რომე შმაგობს მისისა ვერ-მიხვდომისა წყენითა (22,2): მუშა მიწყვი მუშაკობდეს, მუომარი გულოვნობდეს (11,2); დღისით ვერნათობს სანთელი (977,4).

### § 26. დასკვნები

„ვეფხისტყაოსანში“ შეიმჩნევა სტატიურ ზმნათა განვითარების გარკვეული ტენდენციები:

წარმოიქმნება ლექსიკურად ახალი სტატიური ერთეულები: ბუქ-დ-ა, კმარ-ის, ვარც-ა, უჩუ-მ-ოდ-ა..., უმეტესობა ახლად წარმოქმნილი სტატიური ფორმებისა -ობ სუფიქსიანია. ნებისმიერი სახელიდან შესაძლებელი ხდება ამგვარი წარმოება: პურობ-ს, ხელმწიფობ-ს, სათუ-ობ-ს, მტკიცობ-ს და ა. შ.

-ობ სუფიქსი ცდილობს დამკვიდრდეს და განზოგადდეს ნასა-

<sup>4</sup> ვიშნოვიტს ივ. ქავთარაძის წიგნიდან „ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის“..., გვ. 148.



ხელა სტატიკურ ზმნებში: ძვ. ქართ. „ე-ც რ უ-ი-ს“ (მაგ. სწ. 30, 28) — „ვეფხ“. ც რ უ-ო ბ-ს, ძვ. ქართ. ლ ა ღ-ო-ი-ნ (ლ ა ღ-ო ვ-ი-ნ) — „ვეფხ.“ ლ ა ღ-ო ბ-ს. „ვეფხისტყაოსანშივე“ პარალელურად იხმარება კ მ ა ტ-ს და მ ე ტ-ო ბ-ს ფორმა. -ე ბ სუფიქსით ნასახელარ სტატიკურ ზმნათა წარმოება ნაკლებად გვხვდება.

ძველი ქართულის -ი-ე დაბოლოებიანი ფორმები „ვეფხისტყაოსანში“ — ი-ა დაბოლოებას გვაძლევს (ჩანახაჩი ამ პროცესისა უკვე ძველ ქართულში დასტურდება): კ-გ-ი-ე-ს, კ-გ-ო-ნ-ი-ე-ს ნაცვლად კ-გ-ი-ა, კ-გ-ო-ნ-ი-ა ფორმები გვაქვს.

-ი-ა დაბოლოება აქვს ძველი ქართულის ზოგ მარტივფუძიან ზმნას: ა-კ-ლ-ს, მაგრამ „ვეფხ“. -ა-კ-ლ-ი-ა, ა-ბ-ს, მაგრამ ა-ბ-ი-ა. -ი-ა სუფიქსი ამ ზმნებში საშუალებას გვაძლევს 1. \*ა-კ-ლ-ი-ს ან \*ა-კ-ლ-ი-ე-ს, \*ა-ბ-ი-ს ან \*ა-ბ-ი-ე-ს ფორმები აღვადგინოთ ამ ზმნათა თავდაპირველ სახედ, ან 2. -ი -ა სუფიქსი ა-კ-ლ-ი-ა. ა-ბ-ი-ა ფორმებში ანალოგიით ავხსნათ.

„ვეფხისტყაოსანისათვის“ უცხოა ძველი ქართულის -ო-ე-ი სუფიქსი. ცალკეულ შემთხვევაში ძველი ქართულის -ო-ე სუფიქს-ობ ენაცვლება.

დასტურდება ტენდენცია -ი განგრძობითობის სუფიქსის დაკარგვისა, რაც ძველ ქართულშია შემჩნეული (დ უ მ-ს//დ უ მ-ი-ს, წ უ ხ-ს, შდრ. წ უ ხ-ი-ლ-ი და მისთ.). „ვეფხისტყაოსანში“ გვაქვს ს-წ ა დ-ს (ძვ. ქართ. ს-წ ა დ-ი-ს) და პარალელურად ს-წ ა დ-ი-ან, ნამყო უსრულიც აქ ახალი გაკეთდა ს-წ ა დ-და (შდრ. ძვ. ქართ. ს-წ ა დ-ო-დ-ა); ისევე, როგორც ძველ ქართულში პარალელურად იხმარება ა რ-ს და ა რ-ი-ს; გამოკრთება სტატიკური ზმნის მეშველ-ზმნიანი წარმოება: გ-გ-ო-ნ-ი-ვ-ა-რ.

ძველ ქართულში კ ა მ-ს პირნაკლი ზმნაა. „ვეფხისტყაოსანში“ დასტურდება პირველი პირის ფორმით ვ-ბ-ამ. კ ა მ-ს ზმნის პირ-ნაკლობა ძველ ქართულში შესაძლოა მეორეული იყოს.

გვხვდება „მიცემითსუბიექტიან“ ზმნათა სუბიექტური წყობის ფორმები, მაგრამ ისევე შეზღუდულად. როგორც ძველ ქართულში: ვ-უ-ყ ვ-არ, ვ-ა-ხ ს-ო-ვ.

ძველ ქართულში ი-ც ი ნ-ი-ს და ე-ც ი ნ-ი-ს ფორმები უპირის-პირდებიან ერთმანეთს (ერთ- და ორპირიანი) აქ: ი-ც ი ნ-ი-ს და უ-ც ი ნ-ი-ს;

„ვეფხისტყაოსანში“ არ გვხვდება უ-წ ყ-ი-ს ზმნა, რაც უცილობლივ მოწმობს, რომ „ვეფხისტყაოსანის“ ეპოქის მეტყველებისათვის უ წ ყ ი-ს არქაიზმია.

აქაც, ისე როგორც ძველ ქართულში, სტატიკურ ზმნას შეიძლება ხმოვანი პრეფიქსი დაეკარგოს: მ-კვირ-ს-ა (< მიკვირსა).

სტატიკურ ზმნათაგან ნაწარმოებები ფორმების ანალიზი შეიძლება ვივარაუდოთ სტატიკური ზმნის ფუძეში -ა ვ-და -ა ნ- სუფიქსის აღდგენა: ძ უ ლ-ს და მ ო ი ძ უ ლ ვ ე ბ ს, ტ კ ი ვ ა და მ ო ი მ ტ კ ი ვ ე ნ ე ბ ს...

### თავი III

#### სტატიკური ზმნები ახალ სალიტერატურო ქართულში

ჩვენ მიმოვიხილეთ სტატიკურ ზმნათა თავისებურებანი ძველი ქართულის სამწერლობო ძეგლების მიხედვით (X საუკუნის ჩათვლით)<sup>1</sup>. საშუალო პერიოდის ქართულის სტატიკურ ზმნათა დასახასიათებლად გამოვიყენეთ „ვეფხისტყაოსანი“, თვალი გავადევნეთ იმ ცვლილებებს, რაც ჩვენთვის საინტერესო ამ ზმნებმა განიცადეს ძველ ქართულთან შედარებით.

ახალი პერიოდის სალიტერატურო ქართულიდან სტატიკურ ზმნებს წარმოვადგენთ ილიას, აკაკის, ვაჟას და იაკობ გოგებაშვილის თხზულებათა მიხედვით.

ჩვენი მიზანია აღვნიშნოთ ის არსებითი ცვლილებანი, რაც სტატიკურმა ზმნებმა განიცადეს განვითარების მთელ ამ მანძილზე.

#### § 27. მარტივფუძიანი სტატიკური ზმნები

ს-ძ გ ე რ-ს: იმ გულზე, რომელიც სამშობლოსათვის ს ძ გ ე რ და, ცივი ბელები დააკრეფინეს (აკაკი 123,16);

ს-ჩ ქ ე ფ-ს: აწ აღარა ს ჩ ქ ე ფ ს წყარო ცხოველი (ილია 98,21).

ს ტ ვ ე ნ-ს: ქარი ს ტ ვ ე ნ და (ვაჟა, V, 10,26).

ს-წ უ ე თ-ს: ტვინი მეწოდა, გესლი მწვეთ და (ილია, 35,9);

მე კი თითებიდან ზეთი და ერბო მწვეთ და თუ (ილია, 341,36).

ს-წ ა მ-ს:<sup>2</sup> ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს (გოგ. V, 368,17).

ს-ც უ ც ქ-ს: დედა-კატა კარს უკან ს ც უ ც ქ ს (გოგ. V. 355,7):

<sup>1</sup> ჩვენ მიერ გამოყენებული მასალა, რა თქმა უნდა, შეზღუდულია.

<sup>2</sup> არ ი რ წ მ ე ნ ს (ილია, 91,22), მოსალოდნელი იყო ი რ წ მ-უ ნ-ე ბ-ს.

ს-წყინ-ს: დედაჩემსა სწყინს (ილია, 356,33) .

ახ. ქართულში აწყინებს „კაუზატივის“ ფორმა არ გვხვდება. გვაქვს აწყენს: განა ღმერთი გიწყენს (ვაჟა, VI, 67,26).

ჰსურ-ს: ყოველთვის ჰსურს რომ თავისი გულის პასუხი სხვებსაც გადასცეს (აქაკი, VII, 12,35); ნამყო უსრული: ჰსურდა-ა: ეჰ, რაც ჰსურდა არ დასცალდა (ილია, 144,3). არ ჰსურდათ სიტყვის გატეხა (აქაკი, VII, 98,4). შდრ., ძვ. ქართული: ჰსურ-ი-ს — ჰსურ-ო-და.

ვარგა-: მზეში ყოფნა და წანწალი არ ვარგა (აქაკი, 24,4). თავად არ ვარგხარ (აქაკი, 67,16); შიათომ არ ვარგივარ შენ ჰკვაში (ვაჟა, V, 261,14); ნამყო უსრული: კაცად აღარ ვარგო-და (ვაჟა, V, 251,2); ილიასთან: ვარგ-და-ა: ჩვენი სახლი აღარ ვარგდა (59,33).

კმარ-ა: ცოდნა ცოდვისა არა კმარა (ვაჟა, V, 277,5);

შდრ. ძვ. ქართ. კმარს; „ვეფხ.“: კმარ-ი-ს. ეს ფორმა გვაქვს ილიასთან და აქაკისთან: და არა ჰკმარის, რომ ზულს დაუდგა წმინდა საყდარი უკვდავებისა (ილია 164,20); თქვენ სამი-ცა კმარისხართ (აქაკი, VII, 142,21);

ტკივ-ა: (ძვ. ქართ. ტკივ-ი-ს): ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული (ილია, 91,26); სიფრანხილეს თავი არა სტკივა (აქაკი, VII, 140,13); გული სტკივათ, ძალიან სტკივათ (ვაჟა, V, 338,14); კენესის და არა სტკივარა (გოგ. VI, 359,12).

ცვივ-ა: შემოდგომაზე ფოთოლი მცვივა (ვაჟა, VI, 140,19); შდრ. ძვ. ქართული: ცვივ-ი-ნ.

ს-ჯერ-ა: თითქოს სჯერა კიდევ და არცა სჯერა ის, რასაც თვალთ ჰხედავდა (ილია, 250,3); საინტერესოა, რომ ამ კონტექსტში სჯერა ფორმას ნამყო ღროის მნიშვნელობა აქვს.

ვაჟასთან დასტურდება სუბიექტური წყობის ვ-ჯერ-ვარ-თ: ვჯერვართ იმას, რასაც დედამიწა გვაძლევს (ვაჟა, VI, 141,29);

ნამყო უსრული ამ ზმნას -ოდ სუფიქსით ეწარმოება. თუმცა აწყო -ი სუფიქსიანი არ არის: ბევრს არც კისჯეროდა (ვაჟა, V, 58,6); ილიასთან გჯერს ფორმაც გვხვდება: ნუ გჯერსო — მითხ-რა (88,19). მასდარი ჯერ-ვ-ა, ამოსავალში \*ჯერავ-ს ფორმას ვა-რაუდობს: მაგ ჯერვამ თვალი რას მოაბას (ილია, 379,38).

უ-შავ-ს: არა უშავს რა (ილია, 172,10); მაინც არა უშავთ რა (აქაკი, VII, 164,8);

უ-შავ-ს ზმნა მიცემითსებ-ექტიანია. ძველ ქართულში არ დასტურდება.

სული კბილით მიკირავს (ვაჟა, V, 220,4).

მო-ს-წონ-ს: როგორღაც არ ექაშნიკება, არ მოსწონს (ილია, 173,4); ყველას მოსწონს თავი (ვაჟა, V, 35,28).

ძალუძ-ს: იქ ძალუძს კაცსაც (ილია, 89,2); ერთი ზეორის შველა არ ძალგვიძს (ვაჟა, VI, 47,5);

სკირ-ს//უ-კირ-ს: მონადირეებს საერთოდ ერთი ცუდი ზნე სკირთ (ვაჟა, VI, 190,15); კლდეს რა უკირს (ვაჟა, V, 133,3); ვისაც არ უკირს, წას გააძღობს (ილია, 37,19). ნამყო უსრული: მეჭინბის ჯავრი სკირდა (ილია 366,36). თუმცა ნე სამხიარულ-ლო არა მკირდა-რა (ილია 172,28); რა უკირდა ლუარსაბსა (ილია, 257,7), თვალ-ტანდაც არაფერი მიკირდა (ილია, 223,31); ფოთლებს დაცვენით არა უკირს-რა (აკაკი, VII, 191,35).

თუ დაჯაკირდებით, სკირ-ს და უ-კირ-ს ფორმათა მნიშვნელობა ოდნავ განახვევებული ჩანს. ს-კირ-ს ნიშნავს „ქონებას“: წყლული არსად არა სკირდა (ვაჟა, V, 127,28); ზნედა სკირდა (ვაჟა, V, 281,36); მაგრამ ეს უარყოფითის, ნეგატიური ქონებაა: უკირს ნიშნავს „გაქირვებულა“.

მარტოფეუძიანია ქართულში ცივა, გრილა, ცხელა, ბნელა და მისთანა ზმნები:

ცივა: უპ, უპ, რა ცივა! (ილია, 158,25). ნამყო უსრული: ცი-ო-ღა: ძალიან ციოდა (ვაჟა, VII, 71,5); ცხელ-ა: რა მაგისი მცხელა? (ვაჟა, V, 191,20); ნამყო უსრული: სამინლად ცხელოდა (ვაჟა, V, 17,9); ბნელ-ა: დაბნელდა სული, გარშემოც ბნელა (ილია, 48,1); გრილ-ა: გრილა, ღამე რთვილს აგდებს (ვაჟა, VII, 247,34).

## § 28. ი-სუფიქსიანი სტატიკური ზმნები

ა-რ-ი-ს: ახალ ქართულში ა-რ-ი-ს ფორმაა გაბატონებული. ა-რ-ს გეხვდება როგორც არქაიზმი:

არარა არს რა, გარდა სიზმრისა (ილია, 77,8).

არქაიზმია ახალი ქართულისათვის უ-ვ-ი-ს ფორმაც: უმადლ-უნუგემ მივი-ს-და გული (ილია, 70,15);

ყვირ-ი-ს: ჩვენი მტერი ეგრე არა ყვირილს (ვაჟა, V, 16,17); ჰყვიროდა კნენი და იცემდა თავში (ილია, 309,5).

მრავლადაა ახალ ქართულში ე. წ. ყივი-ის ტიპის ზმნები: ერთი მამალი კი ჰყივი (ვაჟა, V, 9,27); ერთი ძერას ხმაზე

წივის (ვაჟა, V, 58,20; იქილამ ვკნავით (ილია, 63,5): წამღუწუმ ღნაოდა და კნაოდა (ვაჟა, VI, 178,35): თანაც კიდევ დასკვივის და დაჰკვივის (ვაჟა, V, 85,20): თერგი მაინც ჰბღავის (ილია, 182,27); სბო ბღავის, დღას ეძახის (გოგ. 481,30); ბუზი ბევრი ბზუის, ფუტკართან ყველა ტყუის (გოგ. V, 384,15); ქარი ზვიოდა (ვაჟა, VI, 60,24); მიდის, მიშხუის, ზღვისაკენ თავმიცემული (აკაკი, VII, 7,20); მწუხარე კილოზე უივიან (ვაჟა, VI, 22,36); მგლები ღმუიან, მელეები ჩხავიან (ვაჟა, V, 254,16); ჯერ იმ ღამეს იყო შაწუხებული. ყუოდა (ვაჟა, V, 143,33); მართო ქარიღა დაღის და ქშუის (ილია, 168,22); მისთვის ღვივის ცეცხლი გულში (ილია, 40,11); წითლად და ყვითლად მზისგან ჰღუევოდა (ილია, 156, 14); ის აღარ ჰყვავის (ილია, 25,3); უგემურად ხვნეშოდა (ვაჟა, VI, 64,21).

ყველა ამ ზმნის (გამონაკლისია ხვნეშ-ის) ფუძე -ვ თანზომონით ბოლოვდება და -ოდ სუფიქსიანია.

ე-რჩ-ის-: სზერსასაც ისე ერჩის, როგორც თავისას (ილია, 366,21); ნაძყო უსრული: ვინ რას ერჩოდა ჩემ საცოდავ სახლს (აკაკი, VII, 174,10); იმას არავინ არ ერჩოდა (ვაჟა, VI, 125,14). შდრ., ძვ. ქართული: „ერჩიდა“.

ტირ-ის- (ძვ. ქართ. ტირ-ს): ნუსტირი დედი (ილია, 212,13); მაგრამ: ვსტირ და გირჩევ თავგანწირვას (ილია, 137,3).

და-ჰ-ნათ-ის-: ერთადერთი ვარსკვლავი... ზედ დაჰნათიდა (ილია, 180,32); მოსალოდნელი იყო: დაჰნათოდა.

ინადვლ-ის-: ძალიანაც არ ვინადვლიდი (ილია, 304,8).

შვენ-ის-: ვითარცა შვენის ნამდვილ შაჟულიშვილს (ვაჟა, V, 281,35); მაგრამ: ასე შვენის მეფე იმ დღეს ტანად, თვალად, იერთა, მნახველთ თვალი ვერ გაიძღეს იმის ჰკრეტით, ყურებითა (ილია, 133,5).

შვენის აქ: „შვენეირია“, შენოდა იგი ქაბუჯი ცხენზედა, ვით ალვა რგული (ილია, 46,10); შეენოდა აქ — „შშვენეირი იყო“.

უწყის არქაიზმია ახალი ქართულისათვის: უწყის მღვდელმა, რომ თითონ მწყემსია (ვაჟა, V, 255,4).

საინტერესო ასაა, რომ „მგზავრის წერილებში“ ილია ამ ზმნას მოხვევს ათქვევინებს: რაიც უწყი, შეგასმენ (ილია 184,30).

ილიასთან გვაქვს უწყის ზნის -ი სუფიქსოკვეცილი ფორ-  
მა: ვინ უწყს, რავდენი საუნჯენი დავმარხეთ ჩვენა (ილია,  
40,7);

უწყის ზნა ნამყო უსრულში ჩვეულებრივ -ოდ სუფიქ-  
სიანია, ამით უწყის და იცის ზნა გამონაკლ-ის ქმნის გარ-  
დამავალ ზნათა ნამყო უსრულის წარმოებაში. საყურადღებოა ამ  
მხრივ ვაქასთან დადასტურებული უწყი-დ-ე: უწყიდე, ამას  
(ვაქა, IV, 327,11); იმატებს ტანჯვა? — უწყიდე, ტრფობაც აი-  
წევს მეტადაა (ვაქა, II, 123,25): უწყიდე: რომ ჩემი ცალი  
ბრჯალი მუდამ იქნება ჩაქიდული ადამიანის გულზე (ვაქა, VI,  
201,30); უწყიდე ეს, უწყიდე კარგად! (ვაქა, VI, 201,32).

უწყიდეთ მხოლოდ. ეს იქნება მსგავსი ბუნების გაზაფხუ-  
ლისა (ვაქა, IX, 386,28). პარალელურად ვაქასთან -ოდ-იანი ფორ-  
მაც გვაქვს:

უწყოდეთ, ბედნიერ ყოფა ამ მოძღვრებაზე ჰკიდია (ვაქა,  
IV, 179,22).

უწყი-დ-ე ფორმა ხევსურულისათვის დამახასიათებელი ბრძა-  
ნებითის ანალოგიით ხომ არ უნდა გვქონდეს ნაწარმოები?<sup>4</sup>

როგორც ცნობილია, სტატიკურ ზმნებში მხოლოდ საობიექტო  
ქცევა შეიძლება გვქონდეს.

იცი-ნი-ს, უცი-ნი-ს: გველი იცინის (ვაქა, V, 302,40):  
სახე მუდამ ერთი განსაკუთრებული სუფლულობით უცი-ნი-ს  
ხოლმე (ილია, 256,22). (მდრ. ძვ. ქართული: იცი-ნი-ს, ეცი-ნი-ს).

თრ-თ-ის, უ-თრ-თ-ის: მთელის ტანითა თრ-თ-ის (ვაქა, VII,  
40,29); გული მიტოკავს და მკლავი მითრ-თ-ის (ილია, 181,37).

ქყ-ა-ე-ის, უ-ქყ-ა-ე-ის: ფულეები ბლომად უქყ-ა-ე-ის (ვაქა,  
V, 280,11); უ-ქყ-ა-ე-ის, აქ „აქვს“.

ქრ-ის, უ-ქრ-ის. შიშის ქარი უქროდათ (აკაკი, VII,  
157,8); უქროდათ, აქ — „ჰქონდათ“. ფუნქციის შეცვლა საო-  
პოზიციო წვერთა არათანაბარი ღირებულებითაა გამოწვეული.  
უკუთვნილი წვერი უპირისპირდება კუთვნილებითობის  
მატარე-  
ბელს.

---

4 იხ. არნ. ჩიქობავა. ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა..., 1. გვ. 81;  
აღ. კინკარაული, ხევსურულის თავისებურებანი, გვ. 107—113.

§ 29. -ი-ა სუფიქსიანი სტატიკური ზმნები<sup>5</sup>

ა-ბ-ი-ა: რკინის ხარს ბამბის კული აბია (გოგ. 357,3); ბაგა-ზე აბია რქამოტეხილი ხარი ნიკორა (ვაჟა, VI, 23, 34).

გ-დ-ი-ა: აგურებზედ უძრავად ჰგდია (ილია, 307,36): ეხლა, ეგა ადგილობრივა გდია (ვაჟა, V, 124,28).

ა-ბ-ა-დ-ი-ა: კაცი არა ჰყავს და არ აბადდია (ილია, 269,7); არა აბადდია რაო?! (აკაკი, VII, 101,26).

ა-კ-ე-რ-ი-ა: ორასი თუმანი თეთრი ნაღდად აკერი (ილია, 282,26); ენაზედაც ხომ გვაკერი და გვაკერი (ილია, 382,39).

ა-კ-ლ-ი-ა (ძვ. ქართ. ა-კ-ლ-ს): თუმცა ბევრი რამ მე აქ მაკ-ლია (ილია, 115,3); ყმაწვილი ხარ და წინდახედულება გაკლია (აკაკი, VII, 138,10); ვიცი, რომ არც შენ გაკლია (გოგ. V, 362,2); ნამყო უსრული: ფერი აკლდა თუ ხორცი (ილია, 257,7).

უ-გ-ი-ა: ძირს ფუტურო მიგია რბილად (ვაჟა, VI, 94,14); ღამით ქვეშ რა გიგიათ? (გოგ. V, 347,1).

ს-წ-ე-რ-ი-ა: წაიკითხე მეთქი, რა სწერია (ილია, 331,35); ჩემს კარაბადონში ეგ არა სწერია (ვაჟა, VI, 96,9).

ა-ც-ხ-ი-ა: თუ ის კაცია და კაცობისა რა აცხია (ვაჟა, VI, 32,14).

ა-ც-ვ-ი-ა: ეგეც არამია მაგაზე, რაც ტანთ აცვია. (ვაჟა, VI, 239,10); ტანზედ რა გააცვიათ? (გოგ. V, 346,20).

უ-დ-გ-ი-ა: უდგია ეშმაკს იესო უკვე დაჯვკაცებული (ვაჟა, VI, 202,1); თვალწინ მიდგია ისლით გადახურული სახლი (აკაკი, VII, 10,3).

მ-ი-ქ-დ-ე-ვ-ი-ა: გულში ღრმად მიქდევია (ვაჟა, VII, 41,36).

მ-შ-თ-ე-ნ-ი-ა: ჩემის სიბერის მისაყრდნობად ისლა მშთენია (ილია, 105,17).

ჰ-ფ-ე-ნ-ი-ა: ნეტა მას, ვისაც იმ რწმენის შუქი ერთხელ მიინ-ცა გულსა ჰფენია (ილია, 70,19).

უ-ხ-ე-ლ-ი-ა: იმიტომ უხელია მძინარა კურდღელს თვა-ლებიო (ვაჟა, V, 60,18).

ჰ-ყ-უ-ნ-თ-ი-ა: გავცქერი, ვხედავ სოფელსა თავმოსაწყლებით ჰყუნთია (ვაჟა, V, 279,14).

ა-ხ-უ-რ-ი-ა: თავზედ ბუზრის ქული ახურია (ვაჟა V, 51,20):

<sup>5</sup> აკ. შანიძეს 79 სტატიკური ზმნა აქვს ჩამოწერილი -ი-ა სუფიქსით. „ყვე-ლა რომ ჩამოიწეროს, ალბათ საერთო რიცხვი 120-ს ძლივს მიაღწევს“. იხ. ქარ-თული ენის გრამატიკის საფუძვლები, § 387, გვ. 324—327.

ც ა ხ უ რ ი ა თავზედა (გოგ. V, 356,8). პარალელურად იქვე გვაქვს  
ჰ-ხ უ რ-ა ვ ფორმა; თავზე ჰ ხ უ რ ა ვ თ ერთი ქუდი (გოგ. V, 337,22).

ა-ვ ლ-ი-ა: იმათს ჭარსა და ლხინს ცალკე ღობე ა ე ლ ი ა (ილია.  
379,16).

ვ ვ-ა-კ რ-ი-ა: ზურგზედ ტყავ აღარ გ ვ ა კ რ ი ა (ვაჟა, V, 10,7).

ა-ზ ჩ ნ ე ვ-ი-ა: იმ ხიდს ზედ ა მ ჩ ნ ე ვ ი ა ყოველთვის ღვთის  
მადლი (ილია, 210,11).

უ-ყ უ ლ-ი-ა: პირდაპირ უ ყ უ ლ ი ა ხმალი (ვაჟა, V, 133,7).

უ-ჰ ყ ე ტ-ი-ა: სძინავს, თვალები უ ჰ ყ ე ტ ი ა (ვაჟა, V, 60,2).

ა-ხ ვ ე ვ-ი-ა: ქვიშაზედ უამრავი ჯარი ა ხ ვ ე ვ ი ა თურმე (ილია.  
263,40).

ა-ს ვ ე ნ-ი-ა: იმაზედ ა ს ვ ე ნ ი ა მისი გვამი (ვაჟა, V, 21,8).

უ-წ ყ ვ-ი-ა: მუდამ თვალწინ უ წ ყ ვ ი ა (ვაჟა, V, 201,20).

ა-რ გ-ი-ა: მას აღარ არ გ ი ა (ვაჟა, VI, 22,22); რაში მ ა რ გ ი ა  
მაგათი ფოთლები (ვაჟა, VI, 95,26).

ჰ-მ ა რ ხ-ი-ა: აგერ, მახათაზე ჰ მ ა რ ხ ი ა (ვაჟა V, 293,1).

ა-რ ტ ყ-ი-ა: გარს გაღავანი ა რ ტ ყ ი ა (გოგ. 356,8).

ა-ბ ა რ-ი-ა: მარტო მეღა მ ა ბ ა რ ი ა (ილია, 204,19).

მ-ი-ა ჩ ნ-ი-ა: მე კი ყველაზე საწყლად ის მი მ ა ჩ ნ ი ა (ვაჟა.  
V, 60,7). ნაპყო უსრული: წყლულები სურდო-ხველადაც არ მი ა-  
ჩ ნ დ ა (ვაჟა, V, 128,19).

უ-რ ჩ ე ვ-ი-ა: უწმინდურ სიკოცხლეს მე წმინდა სიკვდილი  
მი რ ჩ ე ვ ი ა (აკაკი, VII, 154,16); გიჟაეი ხევის წყალი მი რ ჩ ე-  
ნ ი ა (აკაკი, VII, 8,9).

ი-ა სუფიქსი აქვთ ძველ ქართულში მარტავი ფუძით დადას-  
ტურებულ ა ბ ს, ა კ ლ ს ფორმებს — ა ბ ი ა, ა კ ლ ი ა...

ა-ს ხ-ი-ა (ძვ. ქართ. ა-ს ხ-ს): შეიტყობდი, რო რკობები ამ ჩემს  
ტოტებს ა ს ხ ი ა ო (გოგ. V, 480,18).

ს-ც ა ლ-ი-ა (ძვ. ქართ. ს-ც ა ლ-ს): ჯერ არა მ ც ა ლ ი ა (აკაკი,  
VII, 69,35).

ს-ჯ ო ბ-ი-ა // ს-ჯ ო ბ-ს (ძვ. ქართ. სჯობს): სულ არარაობას  
ცალუღელა ხარი ს ჯ ო ბ ი ა ო (გოგ. 356,6); ის კი ს ჯ ო ბ ს (ილია,  
205,33).

ძველ ქართულში გვხვდება უ-ძ ლ-ა ვ-ს ფორმა. იშვიათად  
შე-უ-ძ ლ-ი-ან, ახალ ქართულში შე-უ-ძ ლ-ი-ა ფორმა გაბატონ-  
და: რაე შე უ ძ ლ ი ა, ის კი დაუმარხავს (აკაკი, VII, 113,18).

ძველ ქართულში ჰ-კ ი ლ-ა ვ-ს ფორმა გვაქვს, ახალში ჰ-კ ი ლ-  
ი-ა: ყველა იმის ზურგსა ჰ კ ი ლ ი ა (ვაჟა, V, 218,5).



ძველი ქართულის ზოგი -ი- სუფიქსიანი ფორმაც ახალ ქართულში -ი-ა დაბოლოებაზე გადადის: ნუ იქ ავაა, ავისაც ნუ ვე-ში ნი ი ან (გოგ. V, 338,25); შღრ. ძვ. ქართული: გ-ე-ში ნი-ის.

ძველ ქართულში ჰ-მ-ში-ი-ის ფორმის გვერდით ჰ-ში-ი-ან ფორმაც დასტურდება, ახალ ქართულში ეს უკანასკნელი გაბატონდა. პური გეშიანო — იძახიან (ვაჟა, V, 21,26).

უ-ხ-არ-ი-ან: რად უ-ხ-არ-ი-ან ჩემგან წასვლა (ილია, 360,14). შღრ., ძვ. ქართული: უ-ხ-არ-ის.

პ-რ-ც-ხ-ე-ნ-ი-ან: არაფრისა აღარ პ-რ-ც-ხ-ე-ნ-ი-ანთ (ილია, 274,16), ძვ. ქართული: პ-რ-ც-ხ-ე-ნ-ის.

ს-წ-ად-ი-ან: შენი უნებური საქმე მწადიან (ილია, 354,38); უნდა გავიგო, რა სწადია (ვაჟა, VI, 152,12).

ძვ. ქართულში ს-წ-ად-ის გვაქვს, აქ ორი ტენდენცია მოქმედებს ენაში, ერთი -ი-ა დაბოლოებაზე გადასვლა სტატისტიკური ფორმებისა, მეორე -ი სუფიქსის დაკარგვა: რად გწადს მომკვეთო თავიო (ილია, 148,2); კავშ. I. თუ გწადდეს, უქადაგე ხალხს (ილია, 75,25).

ეს ტენდენცია ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსანში“ გამოჩნდა. -ი სუფიქსიანი ფორმის დაკარგვასთან ერთად იკარგება -ოდ სუფიქსიანი ნამყო უსრული ამ ზმნისა.

ს-წ-ყ-უ-რ-ი-ან (ძვ. ქართ. ს-წ-ყ-უ-რ-ის): მზერა კვლავ სწყურიან თვალსა (ილია 73,7); იმასაც სიციოცხლე სწყურია (ვაჟა, VI, 9,23). დასტურდება უსუფიქსო ფორმაც: ს-წ-ყ-უ-რ-ს: არამედ სწყურს მე (ილია, 15,6).

ნამყო უსრულის ორი ფორმა გვხვდება, სწყურ-ოდ-ა და სწყურ-და: სიკეთის ქმნა... სწყუროდა (ილია, 215,32); და რაცა სწყურდა აქამდე მის სულს, იგივე უნდა ბოლომდის სწყურდეს (ილია, 166—11, 12).

ძველი ქართულის -ი-ე სუფიქსიანი ფორმები უკვე „ვეფხისტყაოსანში“ მთლიანად იცვლება -ი-ა სუფიქსით, ასეა ახალ ქართულშიც: წიგნი ხელთ გვიპყრია (ილია, 364,3); როგორა გგონიათ? (ვაჟა, V, 217,4); მე რაღა ჰქვიანი გგონივარ! (ვაჟა, V, 229,27).

ამ ზმნის პირველი სუბიექტური პირის ფორმას ხშირად -ა ეკვეცება და დადასტურებითი ნაწილაკის ფუნქციით გამოიყენება:

6 ქვეყანა ღონიერია, ნუ გეშისო (ილია, 341,37); შღრ. „ვეფხ.“ გემის.

ნ გ ო ნ ი, მაშინ იმას სწავლაზედ გული აცრებელიცა ჰქონდა (ილია, 196,39).

ყურადღებას იქცევს უფუნქციო -ნ: ს წ ა დ-ი-ა ნ, ჰ-რ ც ხ უ ე-ნ ი-ა ნ და ა. შ. შენი უნებური საქმე მ წ ა დ ი ა ნ (ილია, 354,38); ნუ გ რ ც ხ ვ ე ნ ი ა ნ ჩემი ქალო (ვაჟა, V, 11,13); რად უ ხ ა რ ი ა ნ ჩემგან წასვლა (ილია, 360,14); ნუ გ ე შ ი ნ ი ა ნ (ილია, 215,20); სათქვენოდ არა ს ც ა ლ ი ა ნ მოკლიასაო (ვაჟა, V, 26,33).

ეს -ნ ფუძისეულად გაიზარება. ზოგჯერ ბოლოს დაერთვის მიცემითში დასმული სახელის მრავლობითის -თ სუფიქსი: არაფრი-სა აღარ ჰ რ ც ხ ვ ე ნ ი ა ნ თ (ილია, 274,16); არა გ რ ც ხ ვ ე ნ ი ა ნ თ (ვაჟა, V, 173,23); ნუ გ ე შ ი ნ ი ა ნ თ (ილია, 313,7). ყველანი უნ-და მოემზადნეთ; ვისაც წამოსვლა გ წ ა დ ი ა ნ თ (ვაჟა, V, 117,32). ამ გარეულ ცხოველებს რა საერთო სახელი ჰქვია ა ნ თ (გოგ. V, 364,26).

რიგ შემთხვევაში -ა ნ შეიძლება სახელობითში დასმული სა-ხელის მრავლობითის ნიშნად მოგვევლინოს: რატომ თავისთვის არა ყ რ ი ა ნ (ვაჟა, VI, 260,19). მაინც ქართველები ს ჯ ო ბ ი ა ნ (ილია, 177,21); მაგრამ მოკლე სიტყვა ს ჯ ო ბ ი ა (ილია, 284,38).

გამოთქმულია ვარაუდი<sup>7</sup>, რომ ს წ ყ უ რ-ი-ა ნ, ჰ-შ ი-ა ნ, ს-ც ა ლ-ი-ა ნ, ს-წ ა დ-ი-ა ნ... ზმნათა -ა ნ დაბოლოება ისტორიულად სახე-ლობით ბრუნვაში დასმული სახელის მრავლობითი რიცხვის ნი-შანი იყო. სახელობით ბრუნვაში დასმული სახელის სინტაქსური ძალის შესუსტებასთან დაკავშირებით ზმნის -ი-ა ნ დაბოლო-ებანი ფორმები კარგავს მრავლობითი რიცხვის გაგებას და უფუნქ-ციითა და ფორმითაც უთანაბრდება -ი ა დაბოლოებიან სტატიკურ ზმნებს.

ახალ ქართულში -ი-ა დაბოლოებიანმა ზმნებმა შეიძლება შე-ქმნან სამწევრიანი და ორწევრიანი საქცეო სისტემა:

ყ რ-ი-ა, ა-ყ რ-ი-ა, უ-ყ რ-ი-ა: რატომ თავისთვის არა ყ რ ი ა ნ (ვაჟა, VI, 260,19); მონადირეებს რომელს ა ყ რ ი ა ხეირი (ვაჟა, VI, 191,10); მე თავში ბზე მი ყ რ ი ა? (ვაჟა, VI, 185,27).

ორწევრა სისტემა: ა-ნ თ-ი-ა, უ-ნ თ-ი-ა: ღვთისაგან ანთებუ-ლი ცეცხლი ა ნ თ ი ა (ილია, 207,33).

7 მ. შინჭიაშვილი, „შჰიან, ჰქვიან, ურჩვენიან“ ტიპის წარმოება ზმნე-ბისა და მათი მართლწერა თანამედროვე ქართულში: ენათმეცნიერების ინს-ტიტუტის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო კონ-ფერენციის (1968 წ. მაისი) თეზისები.

-ა ნ მრავლობითობის ნიშნად გვევლინება „ვეფხისტყაოსანში“.

ყოველ კაცს გულში უნთიაო (ილია, 215,30).

ჰ-კ ი დ-ი-ა, უ-კ ი დ-ი-ა:

ყველა იმის ზურგზე ჰკილია (ვაჟა, V, 218,5); თოფი კარჩხას  
უკილია (გოგ. 369,14).

ორპირიანი ზმნები უზმოვანპრეფიქსოდ მეორეული ჩანს:

ჰ-ხ უ რ-ა ვ // ა-ხ უ რ-ი-ა...

### § 30. -ან სუფიქსიანი სტატიკური ზმნები

-ან სუფიქსის ხმარების არე ანალ ქართულში ძველი ქართულისათვის დადასტურებული ფუძეებით იფარგლება.

ჰ-ყ ა ვ-ს: ძალთოდენი ბიძა-ბიძაშვილები ჰყვანან (ვაჟა, V, 57,2).

ძველ ქართულში სუბიექტური წყობით ეს ზმნა არ შეგვხვედრია. ანალში სუბიექტური წყობაც დასტურდება. რადა ვყვერ-ვარ, მიკვირს მამას სხვის შვილად (ვაჟა, V, 32,26). ნამყო უსრულში ჰ-ყ ვ-ან-და ფორმის გვერდით ჰ-ყ ა ვ-და გვაქვს: მე მამა მყვანდა მხნე კაცი (ილია, 119,33); ჭერიანივით ლამაზი გოგო ჰყავდა (ილია, 223,16).

ორივე ფორმას ხმარობს ვაჟაც:

მანამ დედა მყვანდა ცოცხალი, სულ ალერსში ვყვანდი (ვაჟა, V, 13,7); ისიც ისე ჰყავდა მიღებული, როგორც ყველა სხვა არსება (ვაჟა, V, 301,20); ცხრა ძმას ცხრა ხარი ჰყვანდა (გოგ. 356,2).

ა-ქ უ-ს: ანალ ქართულში ჰქონდა ფორმაა ვაბატონებული. ილიასთან დასტურდება აქვნდა ფორმაც (შდრ., ძვ. ქართული: ჰქონდა // აქუნდა): თითქო სინათლე მხოლოდ იქ აქვნდა (ილია, 76,20).

პარალელურად იხმარება ჰგვანდა და ჰგავდა ფორმები. ეს უკანასკნელი უფრო ხშირი ჩანს: ჰგვანდა წმინდანსა იგი წამებულს (ილია, 155,18); ცის დაელნებასა ჰგვანდა (ვაჟა, VI, 169,14); ჭალა რაღას გავდა (ვაჟა, V, 301,10); გულდასვენებულს ჰგავდა (ვაჟა, V, 33,27); არ ჰგავდა იმ ზოგიერთებს (აკაკი, VII, 110,4).

დგას ზმნასთან დაკავშირებით მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ანალ ქართულში გვხვდება ამ ფუძიდან ნაწარმოები „კაუზატივის“ გასტატიკურებული ფორმები (შდრ. ძვ. ქართულში: მ-ოს დ-გ-ა მ-ს): დიდის მთის კალთა რომოს დგამს (ვაჟა, III, 89,3); ძირს მის დგამს ბეჭი მღუმარე (ვაჟა, III, 219,5); გორი რამ ჩას-

დგამს შების წერად (ვაჟა, III, 141,11): სასლს უკან ჩამოს-  
დგამს გვერდა (ვაჟა, V, 23,10).

ეს მეორეული სტატიკურა ფორმებია, მიღებული ფუნქციის  
ბეცვლით<sup>8</sup> (ეგვევ ფორმები მოსალოდნელია გარდაშავალი დინამი-  
კური ზმნის მნიშვნელობითაც შეგვხვდეს). საინტერესო აქ ისაა,  
რომ მოსდგამს, მისდგამს, ჩასდგამს „ზიციემითსუბიექ-  
ტიანი“ ფორმებია.

მნიშვნელობის სხვაგვარი გააზრებით შეიძლება სხვა გარდა-  
შავალ ზმნასაც მიეცეს ხოლმე სტატიკური შინაარსი: დიდი ულვა-  
შები აქეთ-იქით ტოტებად სცემდნენ სივრძისად (აკაკი, 159,22).  
სცემდნენ აქ — „ჩამოკიდული ჰქონდა“, „ეკილა“.

### § 31. -ავ სუფიქსიანი სტატიკური ზმნები

გორავ-ს: ჰგორავს, თამაშობს სამინდში (ვაჟა, V, 115,5).  
ნამყო უსრული: ჰგორავდა დაბლა (ვაჟა, V, 122,38).

ღელავ-ს: მინდორში ჰღელავს ჭეჭილი (ვოგ. V, 407,2).

ფრინავ-ს: გვრიტო, გვრიტო, სად მიფრინავო (ვოგ. V,  
353,23). იხპარება ფრენ-ს ფორმაც: კუდიანები რომ ფრენენ  
(აკაკი, 63,3); კუდიანები არ ფრენენ (აკაკი, 65,4); თურმე იქ  
ჰფრენდა (ილია, 79,4).

მასდარი: ფრენა-შდრ. ძვ. ქართული ფრინვა): სად შე-  
უძლო ჰაერში ფრენა (ვაჟა, VI, 64,11). მიძლეობა: მ-ფრინავ-ი:  
მფრინავი არავის უნახავს (ვაჟა, VI, 8,3). (თითქოს ისე ჩანს,  
რომ სუფიქსის დართვა იწვევს ენ>ინ ფონეტიკურ პროცესს).

გვრინავ-ს: ამ ტირილს მთიულები გვრინვენ (ვაჟა, V,  
28,36).

ქშინავ-ს: სიმამლრით ძლივსლა ქშინავდა (ვაჟა, VI,  
7,14).

ფშვინავ-ს: თან ფშვინავს და დუდუნებს რალაცას  
(ვაჟა, VII, 56,13).

გმინავ-ს: მწარედ გმინავდა (ვაჟა, VI, 39,27).

დაგოგავ-ს: ბეჩავი ტორუა, გარინდული დაგოგავს  
(ვაჟა, V, 41,9).

<sup>8</sup> ზმნისწინის დართვამ მნიშვნელობა შეუცვალა ფუძეს და ამან გამოიწ-  
ვია ზმნის სტრუქტურის შეცვლა. ზმნისწინის გარეშე დგამს-გარდაშავალი  
და დინამიკური.

ტოკავ-ს: გული ტოკავს (ვაჟა, V, 9,36).

მიფორთხავ-ს: მიფორთხავს შაშვი (ვაჟა, VII, 74,13).

ახლავ-ს: მობანე კლდენი გვერდით არ ახლავს (ილია, 173,18); ნაქართლი გახლავსო (აკაკი, VII, 43,29).

ჭშორავ-ს: კაცი კაცისაგან რამდნითა ჭშორავს (ვაჟა, IV, 234,16).

ახალ ქართულში შეინიშნება პარალელური ხმარება -ავ-იანი და -ი -ა სუფიქსიანი ფორმებისა: ჰხურავ-ს // ახურავ-ს: ქუდიც იმასა ჰხურავს (ილია, 200,16); თავზედ ბუხრის ქუდი ახურავს (ვაჟა, V, 51,20).

აკრავ-ს//აკრავ-ს: არც ზორცი აკრავთ არც ტყავი (ვაჟა, VII, 56,31); დაკმუქნილი, ხმელი ტყავი გვაკრავს (ვაჟა, V, 217,3); შდრ., ზურგზედ ტყავ აღარ გვაკრავს (ვაჟა, V, 10,7).

უჭირავ-ს: თვალი სულ ჩემსკენ უჭირავს (ვაჟა, V, 35,5); სული კბილით მიჭირავს (ვაჟა, V, 220,4).

ოხრავ-ს (შდრ., ძვ. ქართული: ოხრ-ის): ხანდახან კლდე ოხრავს (ვაჟა, V, 201,13).

ბორგავ-ს (ძვ. ქართული: ბორგ-ის): გულში ჰბორგავდა (ვაჟა, V, 305,21).

შფოთავ-ს (ძვ. ქართული: შფოთ-ებ-ს): ბრაზობდა გზადგზა, შფოთავდა (ვაჟა, V, 282,28).

ჰფარავ-ს: მესამე ღამე, რაც იმათ ტყის ჰერი ჰფარავს (ვაჟა, VI, 253,1); საფლავს, სადაც იყო დაპარბულო ქრისტე ჰფარავს ანგელოზნი (ვაჟა, V, 83,17).

ჰფარავ-ის-ან გვიდასტურებს შესაძლო \*ჰფარავ-ის-ის ფორმას.

აღარ მოვიყვანთ სხვა -ავ- სუფიქსიან სტატიკურ ფორმებს სძინავ-ს, ჰნებავ-ს... და ა. შ., რადგან განსხვავებულს არაფერს გვიჩვენებენ.

-ევ სუფიქსიანი სტატიკური სუფევ-ის ზმნა ახალ ქართულში ნაკლებადაა გამოყენებული: ჩემი მაზლი დავითი ხომ კარგად სუფევს (ილია, 268,37); სიჩუმე ჰსუფევს სოფელში (ვაჟა, III, 51,34). ნამყო უსრული: დაეშეებოდა ჩალურისკენ, სადაც მოსამსახურენი სუფევდნენ (ილია, 258,11).

## § 32. -ოვ სუფიქსიანი სტატიკური ზმნები

ასეთი ორიოდ სტატიკური ზმნაა გვაქვს ახალ ქართულში:  
ა-ხს-ო-ვ-ს: აღარც ხალხს ვა ხ ს ო ვ ა რ (ვაჟა, VI, 153,37): დღე-  
ვანდღამდინ მ ა ხ ს ო ვ ა ნ (ილია, 209,8).

დასტურდება ი გ ლ ო ვ-ს ფორმაც, მხოლოდ ორპირიანი: ნუ  
გეშინია, მე ისა ვარ, ვისაც შენ ი გ ლ ო ვ (აკაკი, VII, 178,31). მის  
წინ იდგა ის, ვისაც ის ი გ ლ ო ვ და (აკაკი, 178,28): გიყურე, სა-  
ცოდრე ჩემ დას რომ ჰ გ ლ ო ვ დ ი (აკაკი, 179,35). ი გ ლ ო ვ-ს ფორ-  
მაში სტატიკური შინაარსი „საერთოდ იგლოვს“, „გლოვაშია“ აქ  
არ ჩანს.

## § 33. -ებ სუფიქსიანი სტატიკური ზმნები

ბ უ ყ ბ უ ყ-ებ-ს: ჯერ დაუდულარი მაქარია და ბ უ ყ ბ უ ყ ე ბ ს  
(ილია, 359,10).

ე ლ ვ ა რ-ებ-ს: მალა ფოთლებში ე ლ ვ ა რ ე ბ ს (გოგ. 401,  
17).

ვ ა-ებ-ს: მღვდელმთავარი სწუხს და ჰ ვ ა ე ბ ს (ილია 140,9).  
საინტერესოა ილიასთან დადასტურებული მოქმედებითი გვა-  
რის ფორმა ვ ა ე ბ ს ზმნისა: იმ სიკვდილით შენით ვ ი ვ ა ე ბ  
(ილია, 105,34).

კ ა კ ა ნ-ებ-ს: ეს ქათამი ჩვენსას კ ა კ ა ნ ე ბ ს (გოგ. 370,20).

კ ა შ კ ა შ-ებ-ს: ისე კ ა შ კ ა შ ე ბ ს, როგორც... მზე (ვაჟა, V,  
289,32).

ლ ა პ ლ ა პ-ებ-ს: მზესავით ლ ა პ ლ ა პ ე ბ და (ვაჟა, V, 27,21).

მ დ უ მ ა რ-ებ-ს: სხვა ყველაფერი მ დ უ მ ა რ ე ბ ს (ვაჟა, VI,  
19,23).

ქ ლ უ რ ტ უ ლ-ებ-ს: ქ ლ უ რ ტ უ ლ ე ბ ს თურმე მძინარა  
(ვაჟა, VI, 8,5).

ფ ა რ ფ ა შ-ებ-ს: მეფე აღარ ფ ა რ ფ ა შ ე ბ ს (აკაკი, 119,5).

ქ ე თ ი ნ-ებ-ს: ისე ჰ ქ ე თ ი ნ ე ბ ს, რომ ჭირისუფალს გუ-  
ლის სიღრმემდე უწევს (აკაკი, 119,13).

ღ ა ღ ა ნ-ებ-ს: ჯეჯილი ღ ა ღ ა ნ ე ბ ს (ვაჟა, V, 253,18).

ღ რ ი ა ლ-ებ-ს: თითონ ხომ ღ რ ი ა ლ ე ბ ს (ვაჟა, V, 63,19).

ღ უ ლ უ ნ-ებ-ს: მხოლოდ ქარი ღ უ ლ უ ნ ე ბ ს (ვაჟა, VI,  
19,22).

ხ რ ი ა ლ-ებ-ს: არუთინა გამწარებული ყვიროდა და ხ რ ი-  
ა ლ ე ბ და (ვაჟა, V, 53,16).

ჩხიკვინი-ე-ბ-ს: უგეჰურად ჩხიკვინი-ე-ბ-ს (ვაჟა, VI, 55,9).  
უმეტესობა - ე-ბ- სუფიქსიანი სტატიკური ზმნებისა პირველადი  
მასდარებიდან ჩანს ნაწარმოები.

#### § 34. -ობ სუფიქსიანი სტატიკური ზმნები

ბიკ-ობ-ს: ეგ ციხელი როგორღაც ბიკობს, ყოყორობს  
(ვაჟა, VI, 161,9).

ბუღ-ობ-ს: აქა ჰბუღობს უმეტრება (ვაჟა, V, 252,3).

გულცივ-ობ-ს: როგორ გულცივობს (ვაჟა, VI, 243,21).

(ს)-ღუმ-ობ-ს: ყველა დაღუმდა და შენ არსღუმობ (ილია,  
181,30).

დარბაისლ-ობ-ს: ვაქრობის დროს დარბაისლობს  
(ვაჟა, V, 51,15).

(პ)-ვარგ-ობ-ს (შღრ. ვარგა): ბიქს მაშინ დაგიძახებდი, თა-  
ვისთავადა ჰვარგობდე (ვაჟა, I, 271,17).

მეფ-ობ-ს: იქა მეფობს უზრუნველობა (ვაჟა, V, 252,5).

მწვან-ობ-ს: ბუნება ისევ ჰყვავდა და მწვანობდა  
(ვაჟა, V, 306,3).

მეტ-ობ-ს: გთხოვთ ამომირჩიოთ თქვენში ვინც უფრო მე-  
ტობს სხვებზე (ვაჟა, V, 345,22).

მხნე-ობ-ს: მხნეობს, თითონ იკლებს და შვილებს სკო-  
ლაში ზრდის (ვაჟა, V, 255,28).

მწირო-ობ-ს: ამ სიკეთით მწირობს ჩემი ქვეყანა (ვაჟა, V,  
345,21).

სადგურ-ობ-ს: ჰემპარიტი დედა-შვილური სიყვარული  
ჰსადგურობს (ილია, 353,4).

სულ-ობ-ს: სული ისევე სულობს (ილია, 220,27).

ფიქრ-ობ-ს: ქირ-ვარამზე კი არ ჰფიქრობს (აკაკი, VII,  
118,32).

ფრიალ-ობ-ს: ქარის ტრიალზედ გაწეწილი ფრიალობ-  
და (ვაჟა, V, 10,25).

ფხიზლ-ობ-ს: ძალღები ჰფხიზლობენ (ვაჟა, VI, 21,26).

ჩარჩ-ობ-ს: ფშავში ჩარჩობს (ვაჟა, V, 51,7).

ჩუმ-ობ-ს: ყოველი ჰჩუმობს გარშემო ჩემსა (ილია, 16,16).

ცხოვრ-ობ-ს: მგელი სადა სცხოვრობს (ფოგ. V,  
364,23).

ილიასთან და ვაჟასთან პარალელურად დასტურდება ცხოვრ-  
ობ-ს, ცხოვრ-ე-ბ-ს ფორმები: დღე დღეურად ძლივა სცხოვ-

რობს (ილია, 199,34); ბევრი არა ს ც ხ ო ვ რ ო ბ ს კურდღელივით (ვაჟა, V, 60,5); მაგრამ: აქ ს ც ხ ო ვ რ ე ბ და ტკბილად და აუპლვრეველად (ილია 255,11); იმავე სოფელში ს ც ხ ო ვ რ ე ბ ს მარტოხელი, ალალ-მართალი კაცი ჭაბანა (ვაჟა, V, 51,35).

ს-ჯ ო ბ-ს: საქმის დანახვა ს ჯ ო ბ ს ცრემლით თვალების აბმასა (ილია, 212,20).

ნებისმიერი სახელიდან შესაძლებელი ზღვება -ობ სუფიქსის დართვით ვაწარმოოთ სტატიკური შინაარსის ზმნა, ამიტომ რაოდენობა ასეთი ზმნებისა თითქმის განუსაზღვრელია. ჩამოთვლილთ ზოგიერთს: ა მ ა ყ - ო ბ - ს, კ ა ც - ო ბ - ს, ჰ - ს ა ქ მ - ო ბ - ს, ტ ყ ო ბ ი ლ - ო ბ - ს, ჰ - კ მ ა - ო ბ - ს, ჯ ა ხ ი რ - ო ბ - ს, გ ლ ო ვ - ო ბ - ს, მ - კ ე ი დ რ - ო ბ - ს, ხ უ მ რ - ო ბ - ს, ჯ ა ვ რ - ო ბ - ს, მ ე დ ი დ უ რ - ო ბ - ს, ც რ უ - ო ბ - ს, ყ ო ყ ო ჩ - ო ბ - ს, ც ო ტ ა - ო ბ - ს, ლ ო თ - ო ბ - ს, მ ტ კ ი ვ ნ - ო ბ - ს, ყ უ ჩ - ო ბ - ს და სხვა მრავალი.

შენიშნება ფორმათა პარალელური ხმარება: დ უ მ ს და ს დ უ მ - ო ბ - ს, ჰ კ მ ა ვ - ი - ს და ჰ კ მ ა - ო ბ - ს, ვ ა რ გ ა და ვ ა რ გ - ო ბ - ს, ც რ უ - ი - ს და ც რ უ - ო ბ - ს, ი - ნ ა ღ ვ ლ - ი - ს და ნ ა ღ ვ ლ - ო ბ - ს (ორივე ილიასთან), შ ო რ - ა ვ - ს და შ ო რ - ო ბ - ს: ჩემიდან არა შ ო რ ო ბ და (ვაჟა, IV, 203,32); ე შ ი ნ - ი - ა და შ ი შ - ო ბ - ს: ნუ ჰ შ ი შ ო ბ! (ილია, 231,27).

ჰ - შ ვ ე ნ - ი - ს და შ ვ ე ნ - ო ბ - ს: სიცოცხლე შ ვ ე ნ ო ბ ს შენითა (ვაჟა, I, 88,21).

უ - კ ვ ი რ - ს და კ ვ ი რ - ო ბ - ს: კ ვ ი რ ო ბ გონება დამებნა (ვაჟა, 1, 281,23).

ხომ არ ცდილობს ენა უნიფიცირება მოახდინოს სტატიკური ზმნებისა -ობ სუფიქსით<sup>9</sup> ისევე, როგორც ამას -ი — -ა დაბოლოება აკეთებს? კიდევ ერთი: ე შ ი ნ - ი - ა — შ ი შ ო ბ ს, ჰ შ ვ ე ნ ი ს — შ ვ ე ნ ო ბ ს, უ კ ვ ი რ ს — კ ვ ი რ ო ბ ს, უ ხ ა რ ი ა — ხ ა რ ო ბ ს... ინვერსიულ ზმნებს პირდაპირი წყობის საპირისპირო ცალები უჩნდება.

## § 35. დასკვნები

ახალი ქართული, ისევე როგორც „ვეფხისტყაოსანში“, გამოორიცხავს -ი -ე და -ოვ -ი სუფიქსებით სტატიკურ ზმნათა გამოთქმას. ი-ე სუფიქსი იცვლება -ი -ა დაბოლოებით. -ი -ა გა-

<sup>9</sup> ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ -ობ სუფიქსი გარდამავალ დინამიკურ ზმნებში შეზღუდულადაა წარმოდგენილი.



ფორმებაზე გადადის რიგი ძველ ქართულში მარტივი ფუძით წარმოდგენილი სტატიკური ზმნა, ზოგი -ი სუფიქსიანი ზმნა, ჩნდება ახალი ლექსიკური ერთეულები -ი -ა სუფიქსით. -ი -ა სუფიქსის პარალელურად მოხალღნელია ი-ან.

პარალელურად მოქმედებს მეორე ტენდენცია — სტატიკურ ზმნათა ფუძეში იკარგვის -ი- სუფიქსი: ს უ რ-ს (ძვ. ქართ. ს უ რ-ი-ს) დ უ მ-ს (ძვ. ქართ. დ უ მ-ი-ს//დ უ მ-ს), ენაში ამ ორი ტენდენციის მოქმედების შედეგია ს-წ ა დ-ი-ა (ნ) და ს-წ ა დ-ს, ს-წ ყ უ რ-ი-ა (ნ) და ს-წ ყ უ რ-ს, ს-ჯ ო ბ-ი-ა(ნ) და ს-ჯ ო ბ-ს... ფორმათა ხმარება. ეს იწვევს რიგი, მორფოლოგიური ხასიათის ცვლილებას: ნამყო უპარულში გვაქვს: ს-წ ა დ-დ-ა, ს-წ ა დ-ო დ-ა-ს ნაცვლად, ს უ რ-დ-ა. ს უ რ-ო დ-ა-ს ნაცვლად, ს-წ ყ უ რ-დ-ა // ს-წ ყ უ რ-ო დ-ა (წ ყ უ რ-ს ფორმა სალიტერატურო ქართულში არ შეგვრჩა და ს-წ ყ უ რ-დ-ა-ც არ გვაქვს).

შეინიშნება საწინააღმდეგო მოვლენაც ძველ ქართულთან მიმართებით. -ი სუფიქსი დაჩნდება ძველი ქართულისათვის მარტივ ფორმებში: ტ ი რ-ი-ს (ძვ. ქართ. ტ ი რ-ს), ა-კ ლ-ი-ა (ძვ. ქართ. ა-კ ლ-ს): -ი- სუფიქსიანი ფორმა ივარაუდება ამოსავლად ძველი ქართულისათვისაც (შდრ. ტ ი რ-ი-ლ). ახალი ქართულის ფაქტი ან ძველი ვითარების ნაშთია, ან ინოვაცია.

სტატიკური ზმნის ფუძის სუფიქსაციაში სხვა რიგის ცვლილებაც დასტურდება (ისევე ძველ ქართულთან მიმართებით): ბ ო რ-გ-ა ვ ს ძვ. ქართული ბ ო რ-გ-ი-ს, ო ხ რ-ა ვ-ს ძვ. ქართული. ო ხ რ-ი-ს, შ ფ ო თ-ა ვ-ს, ძვ. ქართული: შ ფ ო თ-ე ბ-ს.

ფართო მოქმედების არე აქვს -ო ბ სუფიქსით სტატიკურ ზმნათა წარმოებას. თითქმის ნებისმიერი სახელიდან შესაძლებელი ხდება -ო ბ სუფიქსით ვაწარმოოთ სტატიკური ზმნა (ღინამიკურ ზმნებში ამ სუფიქსის ხმარება საკმაოდ შეზღუდულია). თავს იჩენს ტენდენცია (ილიასთან, ვაჟასთან). სტატიკურ ზმნათა სუფიქსაციის უნიფიცირებისა -ო ბ სუფიქსით: დ უ მ-ს — დ უ მ-ო ბ-ს, შ ო რ-ა ვ-ს — შ ო რ-ო ბ-ს, ც რ უ-ი-ს — ც რ უ-ო ბ-ს, ჰ შ ვ ე ნ-ი-ს — შ ვ ე ნ-ო ბ-ს, ე-ში ნ-ი-ა — შ ი შ-ო ბ-ს, ჰ რ ც ხ უ ე ნ-ი-ა — ჰ ო რ ც ხ ვ-ო ბ-ს... და ა. შ.

ყველა ზემოაღნიშნული ცვლილება სტატიკურ ზმნათა სუფიქსაციაში ძველი ქართულის სამწერლობო ძეგლებშიც გამოჩნდას მეტ-ნაკლებად: -ი -ა სუფიქსი -ი -ე-ს ნაცვლად (ერთეული შემთხვევა), -ი ან- სუფიქსიანი სტატიკური ფორმა (შ ე-უ-ძ ლ-ი-ან)

-ი -ს დაკარგვა დ უ მ-ს//დ უ მ-ი-ს, ა რ-ს//ა რ-ი-ს (ძ უ ლ-ს და ძ უ ლ-ო ბ-ს) -ო ბ და -ე ბ სუფიქსთა შენაცვლება და ა. შ.

მაგრამ, თუ ძველი ქართულის საპწერლობო ენაში სტატიკურ ზმნათა გაფორმებაში -ი სუფიქსი ქარბობს, ახალ ქართულში პრიორიტეტი -ი -ა და -ო ბ- სუფიქსებს ენიჭება. ეს სუფიქსები სტატიკურ ზმნათა უფრო დიდ ნაწილს მოიცავს (ეგრძოდ, -ი -ა სუფიქსი აერთიანებს ძველი ქართულის -ი -ე სუფიქსიან, რიგ მარტივფუძიან, -ი და -ა ვ სუფიქსიან, -ი -ან და საკუთრივ -ი -ა წარმოებას).

სუფიქსაციის გარდა ძველ ქართულთან მიმართებით განსხვავება სხვაგანაც დასტურდება:

-ი და -ი -ა სუფიქსიანი სტატიკური ზმნები მთლიანად გადადის მეშველზმნიან წარმოებაზე (სუბიექტურა წყობის მეშველი ზმნით წარმოება „ვეფხისტყაოსანში“ გამოკრთება).

ნამყო უსრული -ა ვ-დ დაბოლოებას ღებულობს.

„საქცეო“ სისტემა სტატიკურ ზმნებში განსხვავებას არ გვაძლევს. ახალ ქართულში გვაქვს სამწევრიანი, ორწევრიანი სისტემა და „უქცეო“ ფორმები. თუ სამწევრიანი სისტემა გვაქვს სტატიკურებში. მაშინ აქ სუბიექტ-ობიექტის სივრცეში განლაგება უფრო აისახება ვიდრე კუთვნილება.

აქვე გამოვთქვამთ მისაზრებას სტატიკურ და დინამიკურ ზმნებში იდენტურ სუფიქსთა განსხვავებულ ღირებულებას შესახებ.

## თავი IV

### სტატიკური ზმნები უზაურსა და ხევსურულში

ქართული სალიტერატურო ენის წარმოქმნისა და მისი შემდგომი განვითარების ისტორიის კვლევისათვის დიალექტურ მონაცემებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. დიალექტის ფაქტებს შეუძლია მრავალ ენობრივ მოვლენას ახსნა მოუძებნოს.

სტატიკური ზმნები მთის დიალექტებში რიგი საინტერესო თავისებურებებით ხასიათდება. ეს თავისებურებანი სტატიკურ

ზმნათა წარმოებას მთის დიალექტებში განსხვავებს ანალოგიური წარმოებისაგან სალიტერატურო ქართულში: ზოგ შემთხვევაში ძველი ქართულის მონაცემებს იმეორებს, ზოგჯერ კი არც ძველსა და არც ახალ ქართულს არ ემთხვევა.

ფშაურისა და ხევსურულის მასალა, ჩვენი აზრით, საკმაოდ უასეულია სტატიკური ზმნების წარმოების ზოგიერთი საკითხის განსამარტავად.

სასურველი იქნებოდა ამ თვალსაზრისით სხვა დიალექტების შესწავლაც.

## § 36. ფშაური

36. 1. მარტივფუძიანი სტატიკური ზმნები. მარტივფუძიან სტატიკურ ზმნათა წარმოებაში თავისებურება ფშაურშიც არ უნდა იყოს მოსალოდნელი. სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით ზოგი გადახრა მაინც გვაქვს: აქ ძალდი ჰყეფავს (ვაჟა, IV, 322,37); შდრ. ყეფ-ს. ნამყო უსრულში -ავ სუფიქსი არ ჩანს: ჰყეფდიან ხშირახშირასა (ვაჟა, III, 89,7).

ვაჟასთან პარალელურად გვხვდება ვ-ჭე-რ-ვარ და ვ-ჭე-რ-ი-ვარ ფორმები: რომ ვერ ვიშოვეთ ვერსადა, ვ-ჭე-რ-ვართ, რომ აღარ არიო (ვაჟა, II, 336,21).

სრულიად არ გთხოვ, ვ-ჭე-რ-ი-ვარ ცოტას თქვენს გამოცემულსა (ვაჟა, IV, 133,35).

ჩანს (მარტივფუძიანებში პირობითად შეგვაქვს): აღარსად გუშაგები ჩნან (ვაჟა, I, 47,29); აღარსად სამელავენი ჩნან (ვაჟა, III, 16,12).

36.2. -ი სუფიქსიანი სტატიკური ზმნები. ს-წად-ი-ს: ახალ ქართულში ეს ზმნა -ი -ა სუფიქსით გვხვდება; ფშაური ძველ ქართულს იმეორებს:

დგომა არ სწადისთ მინდვრადა (ვაჟა, III, 275,4).

ტირ-ს: პირქვე მწოლარე მწარედა სტირდა (ვაჟა, IV, 126, 38); შდრ., ძვ. ქართული: ტირ-ს — ტირ-ოდ-ა; ახ. ქართული: ტირ-ი-ს — ტირ-ოდ-ა.

ჰ-ქავ-ი-ს: ვისც თავში ტვინი ჰქავისა (ვაჟა, II, 360,26).

36.3. -ავ -ი დაბოლოებიანი სტატიკური ზმნები.

ეს დაბოლოება უცხოა, როგორც ძველი ისე ახალი ქართული-სათვის:

გვი-ნ-თ-ავ-ი-ს: გარეთ ცეცხ გვინთავის (ფშ. 135,10); შდრ., ძვ. ქართული ჰნთიენ; ახ. ქართული ანთია.

უ-ბ ა ვ-ი-ს: აღარ უ ბ ა ვ ი ს კ არ ი ა (ვაჟა, V, 10, 12).

პარალელურად -ი -ა სუფიქსიანი ფორმაც იზმარება: შინ წა-  
ვლა გიჯობსთ; მინამ თავები გ ბ ი ა თ ტ ა ნ ზ ე დ ა (ვაჟა, III, 54,28):  
//პ-ბ-ავ: ლურჯაი ჰ ბ ა ვ (ვაჟა, I, 62,10).

ს-ჩ რ-ა ვ-ი-ს: ცხენის საბმელად ს ჩ რ ა ვ ი ს ო (ვაჟა, IV,  
165,22). პარალელურად იზმარება ს ჩ რ ა ვ ფორმაც: ყალიონი  
ს ჩ რ ა ვ პ ი რ შ ი ა (ვაჟა, I, 85,27); სული რადა მ ჩ რ ა ვ პ ი რ შ ი ა (ვა-  
ჟა, II, 345,12).

მ-კ მ-ა ვ-ი-ს (შდრ., ძვ. ქართ. კ მ ა ა რ ს, „ვეფხ“, კ მ ა რ -ი-ა.  
ახ. ქართ. კ მ ა რ -ა): ნუგეშად მ კ მ ა ვ ი ს ბ ე ჩ ა ვ ი ს ტ ვ ი რ ი (ვაჟა, I,  
90,9).

ამ ზმნის „კაუზატივია“ ა კ მ ა ვ ე ბ ს: საწყალსა ა კ მ ა ვ ე ბ ს  
უფალი (ვაჟა, IV, 128,21); პარალელურად ვაჟასთან მ-კ მ ა რ -ი-ა  
ფორმაც დასტურდება: ცოცხალს სიციოცხლე მ კ მ ა რ ი ა (ვაჟა, I,  
69,24); ყველადა ვ კ მ ა რ ვ ა რ თ მ ტ რ ი ს ი ა დ ა (ვაჟა, III, 163,10).

36. 4. -ავ სუფიქსიანი ატ-ტიკური ზმნები. -ავ -ი სუფიქსის  
პარალელურად სალიტერატურო -ი -ა სუფიქსის მონაცვლედ  
ფშაურში -ავ სუფიქსიაც გამოდის (ს-ჩ რ-ა ვ-ი ს//ს-ჩ რ-ა ვ). ამო-  
სავალი ასეთი -ავ- სუფიქსიანი ფორმებისათვის თითქოს ა ვ-ი  
ჩანს, მაგრამ შესაძლოა პირიქითაც იყოს.

ა-კ ლ-ა ვ: სხვებს რაკი ა კ ლ ა ვ შ ე ვ ნ ე ბ ა, წელანაც დავიყბე-  
დია (ვაჟა, IV, 103,37).

ა-ჩ რ-ა ვ: როგორღაც საძნელად მ ა ჩ რ ა ვ (ვაჟა, IV, 80,18):  
სრუ ძმად მ ი ა ჩ რ ა ვ დ უ ნ ი ა (ვაჟა, I, 199,33).

პ-ს-ჩ-ა ვ: ჩვენც ყურები გ ვ ს ს ა ვ მ გ ო ნ ი ა ? ! (ვაჟა, IV, 14,32).

პ-რ ტ ყ-ა ვ: დაღვრემილს წელზე ხმალი პ რ ტ ყ ა ვ (ვაჟა, IV,  
8,1).

პ-კ ი დ-ა ვ: რად გ კ ი დ ა ვ ხ მა ლ ი (ვაჟა, I, 25,1); ყელ თავქვე  
ვ კ ი დ ა ვ მ უ დ ა მ ა (ვაჟა, I, 66,19); შდრ., ძვ. ქართ. პ-კ ი დ-ა ვ-ს,  
ახ. ქართ. პ კ ი დ-ი-ა.

პ-ხ უ რ-ა ვ: თავზედ რად მ ხ უ რ ა ვ ქ უ დ ი ო (ვაჟა, I, 35,25).

უ-ჭ ე რ-ა ვ: ხელში უ ჭ ე რ ა ვ ფ რ ა ნ გ უ ლ ი (ვაჟა, I, 36,22):

//უ-ჭ ი რ-ა ვ: აქეთ უ ჭ ი რ ა ვ თ ვ ა ლ ე ბ ი (ვაჟა, IV, 242,2).

გ ვ-ი-გ ა ვ: ლეიბად გ ვ ი გ ა ვ ლ ე ლ ი ა (ვაჟა, I, 64,28).

ა-ვ ლ-ა ვ: არშია ა ვ ლ ა ვ ძ ვ ი რ ი ა (ვაჟა, I, 76,1).

მ-გ ო ნ-ა ვ: მე მ გ ო ნ ა ვ, ი ყ ო ს ა ვ ა დ ა (ვაჟა, I, 250,27).

ა-წ ყ ვ-ა ვ: რამდენი სიბები ა წ ყ ვ ა ვ (ვაჟა, III, 141,19).

პ-ყ უ ლ-ა ვ: იქვე კლდე პ ყ უ ლ ა ვ ყ ვ ი თ ე ლ ი (ვაჟა, III, 30,9).

ჰ-ყ რ-ა-ე: ცხვრის თავები ჰყ რ ა ე ყორედა (ვაჟა, III, 49,4).

გ-ც ვ-ა-ე: ტანზე რადა გც ვ ა ე ჩვარები (ვაჟა, III, 90,11).

უ-ბ ჯ ე-ნ-ა-ე: ქალას უ ბ ჯ ე ნ ა ე ცხვირია (ვაჟა, III, 267,4).

უ-რ ჩ ე ვ-ნ-ა-ე: რო მოკვდეს, ის არ უ რ ჩ ე ვ ნ ა ე აა?! (ვაჟა, V, 54,38).

ა-წ ე რ-ა-ე: ზედ აწ ე რ ა ე ქვას (ფშ. 135,7).

უ-ქ ა ნ-ა-ე-ს: თუჰკ მკერდში გული უ ქ ა ნ ა ე ს ბოღმა-ნასკა-ში, ლოთია (ვაჟა, III, 302,7).

36.5. -ი -ა სუფიქსიანი სტატიკური ზმნები. -ავ -ი და -ა ე სუ-ფიქსთა გვერდით ფშაურში -ი-ა სუფიქსიც გვაქვს. ზოგჯერ ეს სუფიქსები ფუძეში თავისუფლად პონაცვლეობენ: უ-ყ უ ლ-ი-ა: და უ ყ უ ლ ი ა თავით ფანდური (ვაჟა, IV, 266,8)//ჰ-ყ უ ლ ა ე<sup>1</sup>.

მ-ც ვ-ი-ა: არ მც ვ ი ა ტყავი ვეფხისა (ვაჟა, IV, 286,18):  
// მ-ც ვ-ა ე.

ჰ-ხ უ რ-ი-ა: ამბობენ: „რადა კაცია. ქული რისთვისღა ჰხ უ რ ი ა“ (ვაჟა, IV, 151,24); თავზედა ქული მხ უ რ ი ა (ვაჟა, I, 41, 22); // ჰ-ხ უ რ-ა ე.

გ ვ-ს ხ-ი-ა: რისათვის გ ვ ს ხ ი ა ტანზედ მკლავები (ვაჟა, III, 54,20): // გ ვ-ს ხ-ა ე.

ს-ჭ ი რ-ი-ა: ვაჟაკი ჩან-გულოვანი სოფელს მუდამაც სჭ ი რ ი ა (ვაჟა, IV, 246,28).

ვ ა რ-გ-ი-ა: როგორღაც არა ვ ა რ გ ი ა (ვაჟა, IV, 139,38): შღრ.. ვ ა რ გ-ა.

უ-რ თ-ი-ა: დიდი ქანდრები უ რ თ ი ა გაჩაღებულს ცეცხლ<sup>ა</sup> შეშადა (ვაჟა, IV, 134,33); შღრ., ძვ. ქართული: რამეთუ იგი ხო-ლო გ უ რ თ ა ე ს ჩვენ შორის მოწამედ (სინ. მრ. 66,30).

ს-ძ ი ნ-ი-ა: შენ გაფითრებულს გ ძ ი ნ ი ა (ვაჟა, I, 19,20): რომ მოისურვებს, ს ძ ი ნ ი ა (ვაჟა, II, 247,11).

ყ უ ნ თ-ი-ა: სულ იის გვერდით ყ უ ნ თ ი ა (ვაჟა, II, 102,20).

ს-ც ხ-ი-ა: სულ სისხლი ს ც ხ ი ა ხელზედა (ვაჟა, II, 250,11).

ა-კ რ-ი-ა: ნაქაში ფაფის წკინტოლი ყველას აკ რ ი ა ჩოხებზე (ვაჟა, II, 256,10); შღრ., ა-კ რ-ა ე-ს.

უ-ღ ვ-ი-ა: თავი უ ღ ვ ი ა მკლავზედა (ვაჟა, I, 18,19).

---

<sup>1</sup> ვაჟასთან ჰყ უ ლ ა ე, ჰყ უ ლ ი ა ფორმების მასდარია ყ უ ლ-ი-ლი: დღე-და-ღამ ფეხზე ყ უ ლ ი ლი, გადაყრა წვიმა-შხეპისა. იხ. ვაჟა ფშაველას მკირე ლექსიკონი. შეადგინა ალექსი ჭინჭარაულმა. თბილისი, 1969, გვ. 285: იქვე მოყვანილია მოქმედებითი გვარის ფორმა ჰ-ყ უ ლ-ე-ბ-ს: და ფეხსა ჰყ უ ლ ე ბ ს უბირი...

ჰ-ხ ი რ-ი-ა: მთა კი ოზლადა ჰ ხ ი რ ი ა (ვაჟა, I, 316,38).

ჰ-ლ ი რ-ი-ა: ჩემთვის რა ძვირად ჰ ლ ი რ ი ა (ვაჟა, III, 119,12);  
შღრ., ღ ი რ-ს

გ-კ მ ა რ-ი-ა: სამაგალითოდ გ კ მ ა რ ი ა (ვაჟა, III, 276,2).

// გ ვ ე მ-ა ვ-ი-ა: სახნავ-სათიბიც გ ვ ე მ ა ვ ი ა (ვაჟა, III, 321,20);  
პარალელურად იხმარება მ-კ მ ა ვ ი-ს ფორმაც.

36. 6. -ან სუფიქსიანი სტატიკური ზნებში<sup>2</sup>. ჰ-გ ა ვ-ს: შვილის  
წლის ნაცივარს ჰ გ ვ ა ნ ა ნ ფერდაკარგული ხეები (ვაჟა II, 157,  
21); -ა ვ სუფიქსი ფუძეში -ე ვ-ს გვაძლევს -ი-ს დართვის შემ-  
დეგ: ხმითაც ჩემს მეკვლეს ჰ გ ე ვ ი ხ ა რ (ვაჟა, I, 283,2); ნამყო  
უსრული: შავგრემანაი ნისლს ჰ გ ვ ა ნ დ ი ს (ვაჟა, III, 261,1).

ღ გ-ა-ს: გან-განზედა ღ გ ა ნ ა ნ (ფშ. 131,126); ზოგჯერ -ან  
იკარგვის: შტერად ს ღ გ ა ნ ფშაველთ... ქოხები (ვაჟა, IV, 43,9).

წ ე ვ-ს: ი ციხეშია წ ე ვ ა ნ ა ნ ორნივა (ფშ. 139,5).

ჰ-ყ ა ვ-ს: ქეთევანს ნუშანი ჰ ყ ვ ა ნ ა ნ ო (ფშ. 129, 12); მა-  
ნამ ცოცხალი ვ ვ ე ე ვ ი ხ ა რ (ვაჟა, IV, 27,11); შესაძლოა: ჰ-ყ ე ვ-  
ი-ხ ა რ < ჰ-ყ ა ვ-ი-ხ ა რ, -ი შეიძლება დაიკარგოს: ჰ ყ ე ე ვ ი ხ ა რ  
(ვაჟა, I, 64,6).

ა ქ ვ-ს: ნეტავინ ხელით შემახო შენ რო ვარდი გ ქ ო ნ მკერდ-  
შია (ვაჟა, I, 28,24); ფეხნი გ ქ ო ნ ეკლით ნაშაშრნი (ვაჟა, I,  
64,18).

ვ-ი-ნ-ღ-ა: ვის ვ ი ნ .ღ ა ნ ა ნ თ ესენიო? (ფშ. 133,38).

გ-ი-ნ-ღ-ა-ნ-ა-ნ-თ ფორმა მოულოდნელი ჩანს, ის მეორეულია:  
ნამყო უსრულის ფორმა ენამ გამოიყენა აწმყოს გადმოსაცემად და  
აწმყოს სუფიქსი დაურთო. ეს ერთეული შემთხვევაა: იანაც მი ნ-  
ღ ა ნ მტირალნი (ვაჟა, I, 56,1). -ან სუფიქსთან დაკავშირებით გან-  
ვიხილავთ ფშაურისათვის (მთის კილოებისათვის საერთოდ) და-  
მახასიათებელ ა-ხ-ს-ო-ნ-ს ფორმას. ძველსა და ახალ ქართულში:  
ა-ხ-ს-ო-ვ-ს (ა-შ-ს-ო-ვ-ს) გვაქვს: თუ გა ხ ს ო ნ ს, ერთს ლექს  
ხმლითა ვეც (ვაჟა, III, 174,26); ზოგის საბელიც კი არ მა ხ ს ო ნ  
(ფშ. 128,6).

ქართულში -ო ნ სუფიქსი არ იცის, თუ მბეღველობაში არ მი-  
ვიღებთ ჰ ქ-ო-ნ-ა-ნ, ჰ ქ-ო-ნ-ღ-ა ფორმებს ძველსა თუ ახალ ქარ-  
თულში (გ ქ-ო ნ, ფშაურში), სადაც -ო ნ ფონეტიკურადაა  
მიღებული: ო ნ < \* უ-ა ნ // \* ვ-ა ნ, ა-ხ-ს-ო-ვ-ს // ა-ხ-ს-ო-ნ-ს; ა ქ ა ნ

<sup>2</sup> ყურადღებას იქცევს ვაჟასთან მ წ ყ უ რ ა ნ ფორმა: ვისთვისაც სიკოცხ-  
ლე მ წ ყ უ რ ა ნ (I, 75,3).

-ვ- და -ნ- სონორების მოსაცვლეობაა ფორმანტი. ან -ონ- სუფიქსი აქაც ფონეტიკური გზითაა მიღებული.

36.7. -ო ვ-ი სუფიქსი სტატიკურ ზმნებში. ფშაურში -ოწ-ი სუფიქსიც დასტურდება სტატიკური ზმნის ფუძეში, ძველი ქართულის მსგავსად:

ღ ა-გ ვ-ნ ა თ-ო-ი-ს: რა დაპავეიწყებს იმ წამსა როს დაჰნათოის მთვარეო (ვაჟა, II, 219,31); არღ აგვენათოის თავზელა (ვაჟა, I, 91,31); ღ ა-გ ვ-ნ ა თ-ო-ი-ს < ღ ა-გ ვ-ნ ა თ-ო ვ-ი-ს.

### § 37. ხევსურული

37. 1. მარტივფუძიანი სტატიკური ზმნები განსაკუთრებული თავისებურებით არც ხევსურულში ხასიათდება, მაგრამ ზოგი ფაქტი მაინც ყურადღებას იქცევს.

ჭ ი რ-ს: ერთპირიანი ფორმა ძველ ქართულში არ დასტურდება: მაგრამ როსაც საქმეი ჭ ი რ დ, რას იქმოდ? (წელიწად. 199,13); პარალელურად გვხვდება ს-ჭ ი რ-ს და უ-ჭ ი რ-ს ფორმა: თუ ძალიან ჭავრი ს ჭ ი რ ს, უძახებს (წელიწად. 137,29); რო ხალხიც ღნახავს, მართლა უ ჭ ი რ ს, მაშინ ეს გაკვირებულ კაც იქამს ონჩხარს (წელიწად. 129,18).

მცირეოდენი სემანტიკური ვადახრა ს ჭ ი რ ს, უ ჭ ი რ ს ფორმებს შორის შეინიშნება და ეს მოსალოდნელიც იყო.

განსხვავებულად იწარმოება ზოგიერთი მარტივფუძიანი სტატიკური ზმნის კაუზატივი: ზოგჯერ მეტისასაც აღუღალე ბ ე ნ (ხევს. თ. 335,5); რა გატირილებს (წელიწად. 216,25).

რიგ ზმნასთან მასდარიდან ნაწარმოები კაუზატივი სალიტერატურო ქართულისათვის ნორმაა: ა ყ ი ვ-ლ-ე ბ-ს, ა-კ ი ვ-ლ-ე ბ-ს და ა. შ.

წ უ ზ-ს: ხევსურულმა მოქმედებითის ფორმაში ამ ფუძის პირვანდელი მნიშვნელობა შემოგვინახა: დ ა ვ ი მ წ უ ზ ხ ა ე თ თ ვ ა ლ-თ ა ო (ხევს. თ. 429,16); თ ვ ა ლ ნ ი (ლ) დ ა ი მ წ უ ზ ხ ე ნ ი ო (ლ ა) (ხევს. თ. 356,8).

სუბიექტური მიმღეობა ამ ზმნასა თავისებურად იწარმოება: მ-წ უ ზ ხ-ი-ა რ-ე: ნ ე ტ ა ვ ი მ წ უ ზ ხ ა რ ე ს ა კ მ ა თ ქ ვ ე ნ ი მ ც მ ა მ ა დ ი ნ ა ო (ხევს. თ. 347,1).

უ-ყ ო რ-ს (< უ-ყ ვ ა რ-ს): ი მ ის პ ა ტ რ ო ნ ს უ ყ ო რ ს (ხევს. თ. 326,20).

ჩინ-ს: ძველსა და ახალ ქართულში ჩან-ს გვაქვს. კაკუ ჩინ-ს ავ (ხევს. თ. 339,32); აგერაღევ მთარო ჩინს ავ (ხევს. 18,8); ნამყო უსრული: დღისით ქვე არა ჩინდ (წელიწდ. 196,12); ვნე-ბითი: ავზლა გამაჩინდების, ვინ ამიგდებს მტრის ჯავრს (წელიწდ. 162,2); საბარის მთაზე ცოტა ღურბელი გაჩინდა (წელიწდ. 193,22).

კვირ-ს: მთელი ქვეყანა ხკვირსაო (ხევს. პ. 88—209,8); წავიდა სარუსეთოდა, საქართველოი ხკვირსაო (ხევს. პ. 25, 63,4).

კვირ-ს // კვირ-ობ-ს: იმას ხკვირვობდეს სხვანია (ხევს. პ. 61—151,4).

ერთპირიანი ფორმა ამ ზმნისა არც ძველ და არც ახალ ქართულში არ დაგვიდასტურებია.

37.2. -ი სუფიქსიანი სტატიკური ზმნები. არ-ი-ს: პირველსა და მეორე პირში ძველი ქართულისებრი წარმოება გვაქვს: ვ-არ-ი, ხ-არ-ი: დამბრუნავ არა ვარია (წელიწდ. 181,12); უმაწვილო ვისი ხარია? (წელიწდ. 181,11); სუმბატა ხარია ევ? (ხევს. თ. 341,8); არ-ს > ას: დიდი ას თქვენი ხთიშვილი (წელიწდ. 122,22).

ძ-ი-ს: იქ ძის ცეცხლთან (ხევს. თ. 327,25); საქვაბის კარზე ძისაო (ხევს. თ. 382,29); დედა გვერდს მიძის მტირალი (ხევს. თ. 407,20); გზას უძის ტურაიშვილი (ხევს. თ. 385,21).

ბესარიონ გაბუურის ტექსტებში ძის ფორმა არ გვხვდება: ზენ-უბან ბანზე ვზივარი (წელიწდ. 233,7); ერთ მიზის ქალის ციცი (წელიწდ. 228,28).

ი-ცი-ი-ს: მე კი ვიცინ (ხევს. თ. 341,6), ბოლოში -ი იკარგება. ხევსურული ბრძანებითი: გაიცინი დივ, თუ გავეცი-ბისავ (წელიწდ. 156,26).

ს-ცალ-ი-ს: არ სცალის ბერსა ბერდიას (ხევს. პ. 31—80, 13); გვცალის, ვერ დავძლებითა (ხევს. პ. 175—460,13); ძვ. ქართ. ს-ცალ-ს.

ი-ცი-ი-ს: ბალო შენ სახელ ვერ ვიცე (ხევს. თ. 407,8); ვიცეხლა იმის ხასიათ (ხევს. თ. 340,16); არ ვიცი, ჯარეგას დავიანდაო (ხევს. თ. 423,2). ნამყო უსრული: ეგიცოდ შენმა ცხვრის ნდობამაო (ხევს. თ. 425,22); ანაბრავ იცოდის, რო საგინასავ ჯარ ხყავავ მასხმულივ (ხევს. 14,38); კავშ. I: იცოდათ ყველამ (წელიწდ. 123,23); გვაქვს ორმაგი სუფიქსით ნაწარმოები:



ნაყო უსრული: არ იცოდოდი თა (ხევს. თ. 368,25); შენ ეგიც არა იცოდოდიო (ხევს. თ. 427,6); ვიცოდოდიო, რო ჩაღბ ქალს უერთოდ არ გამოგვაყოლებდის (ხევს. თ. 338,15). აღინიშნება ობიექტის მრავლობითობა: ვინც კურთხევან იცნის ის აგძელებს (ხევს. თ. 332,32); კერნატეს ციხენ შენც იცნი (ხევს. თ. 382,31).

ს-ტკივი-ის: მტკივიან გულას ფიცარნი (წელიწდ. 207,1); რაად მჭრიაე, მტკივაე (პევს. 18,21).

თუ ქცევის მაწარმოებელს დაუერთავთ ს-ტკივი-ის//ს-ტკივი-ა ფორმა სამპირიანად იქცევა, „ურთიერთობა პარებს შორის ისეთია, რომ ერთი ირიბი მეორის კუთვნილებაა ან სუბიექტი ერთერთ ირიბს ეკუთვნის“<sup>3</sup>. ყმაწვილებს ხო არა გიტკივ? (წელიწდ. 128—30,31); გიტკივ შენ ყმაწვილებს იგი.

ს-ტკივი-ა წარმოშობით საობიექტო ქცევის ფორმა ჩანს (ს-ტკივი-ა//უტკივა). რადგან ქცევის საობიექტო ცალი არ უჩანს, ფუნქცია გამკრთალდა და შემდგომ ნიშანიც დაიკარგა ხელმეორედ დართვა ქცევის ნიშნისა იწვევს სამპირიანობას (მესამე პირის ფორმა, ისევე როგორც პირველისა, ობიექტიანი იქნება).

ზოგიერთი ზნა შეიძლება შეგვხვდეს, როგორც ძველი ქართულის დამახასიათებელი -ი სუფიქსიან, ასევე ახალი ქართულის -ი -ა (ნ)- გაფორმებით: ე-ში-ნი-ის//ე-ში-ნი-ი-ან: ძალია ეშინის ხალხს (პევს. 8,35); ნუ გეშინიანთ (წელიწდ. 127,22; 217,17).

ს-ცხვენი-ის//ს-ცხვენი-ან:

ს-ცხვენის თავის ხალხთან (წელიწდ. 167,31); ნუ გცხვენიან (წელიწდ. 167,34).

საინტერესოა ამ ზნის მოქმედებითისა და ვნებათის ფორმები: რა გარცხენის, რა გატირლებს (წელიწდ. 216,25; 167,33); ამ ეშმაის მამყვანებს შას-ცხვენდ, რომ გაიციენ (წელიწდ. 156,31); შდრ., „ვეფხ“. ანუ ჩეჰგან რას შეგარცხვენდა (64,4).

ს-წად-ის//ს-წად-ი-ან: ლექსის თქმა მწადის (წელიწდ. 221,20); თუ ღალატ სწადიან, მე მამკლენ (წელიწდ. 169,1).

უ-ხარ-ის//უ-ხარ-ი-ან: ხალხს უხარიან (პევს. 9,2); კაის ვაჟისა ცოლობა, ნუ გიხარიან, ქალაო (ხევს. პ. 279,1).

-ი -ა (ნ) დაბოლოებით შეიძლება ისეთი ფუძეებიც შეგვხვდეს რომლებიც ხევსურულში ჩვეულებრივ ავ-(ი)ზე ბოლოვდებიან:

<sup>3</sup> ავ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, § 411, გვ. 353—354.

კონთოს ღბიან მგლის ლეკვი (ხევს. თ. 367,5); ხკიდიან ღვიანი (ხევს. თ. 409,34); თავად შინ წავალ—ღგონია (ხევს. თ. 389,2); შიგ ბებერი ხყუღია (ხევს. თ. 417,23); ზედ ირმის რქანა ხკრიანა (ხევს. თ. 390,19).

ჰ-ქე-ი-იან ფორმა შეიძლება სამპირიანად წარმოგვიდგეს: ამას გვიქვიან პეესურთ თავ-მასაპარსავო (წელიწდ. 131,10); სტუ-მარი ჩვენ გვიქვიან სხვა სოფელშით მასულს (წელიწდ. 126, 10); ქკვა მაგას არ მიქვიანა (პეეს. 13,19).

ხევსურულში გვაქვს ძველ ქართულში დადასტურებული გლი-ი-ან: ვაუების გულსა გლიანო (ხევს. პ. 160—411,2; 239—585, 4); გულს უგლის ღამის სიბნელე (ხევს. პ. 45—118,8); გლი-ს, უ-გლი-ს.

37. 3. სტატიკური ზმნები ავ-ი სუფიქსით ხევსურულში. ღ-გ-ღ-ავ-ი-ს: ცხრა-ათი ჟიქვი ღგდავის მკვდარი (წელიწდ. 195—5).

ხ-კიდ-ავ-ი-ს: ბევრის სახლში ხკიდავის (წელიწდ 225, 27); თოფი გკიდავის მხარზედა (ხევს. თ. 408,11).

მ-ბარ-ავ-ი-ს: ცხვარი მბარავის სხვისაო (ხევს. თ. 404,28).  
ღ-გონ-ავ-ი-ს: იმათ ღგონავის: კვირია მაგყვების თო-ფის კმაზედა (წელიწდ. 217,2).

ს-ტან-ავ-ი-ს: მიხას სტანავის ლეკოი... (ხევს. თ. 40?.. 29).

ს-ცე-ავ-ი-ს: ლურჯ ჯაჰე ხოსცეავის ტანზედა (ხევს. თ. 366,7).

გ-ხვე-ავ-ი-ს: სარტყლად გხვეავის კლდეები (ხევს. თ. 409,4).

ღ-გულ-ავ-ი-ს: ღგულავის გადალაცვაი (ხევს. თ. 402,19); ჯარის გაგზავნა ხგულავის, ნარჩევის ყაზახებისა (ხევს. პოეზ. 220,13).

უ-წყ-ავ-ი-ს:... სკამზე გვიწყავის ისარი... (ხევს. პოეზ. 2,7).

ხ-ყრ-ავ-ი-ს: ...ბევრკან კი ხყრავის, კაგაო, შენი კირიმის ტყვიანი (ხევს. პოეზ. 207,9).

-ი იკარგვის ხოლმე ხშირად და ვიღებთ -ავ სუფიქსთან სტა-ტიკურ ფორმებს. ზოგჯერ პარალელურად ორივე ფორმით გვხვდე-ბა ხოლმე ერთი ფუძე (-ავი // -ავ).

ხ-ყუღ-ავ: რაველ ხყუღავა აკრინტულიო (ხევს. თ. 423, 32).

ხ-კ რ-ავ: ჩინებ რად არ ხკ რ ავ მპარზედა (ხევს. თ. 366,6).

უ-წ ყ ვ-ავ: ჯარ უ წ ყ ვ ავ გილდებისაო (წელიწდ. 198,21).

ს-ტ ა ნ-ავ: ერთ სხვა ამხანაგი-ს ტ ა ნ ა ვ (წელიწდ. 168,16);  
მე ამ მამკალში თაოდ მენადირეები სამ კაცი მ ტ ა ნ ა ვ (წელიწდ. 191—21,22).

ს-ჰ ა რ ბ-ავ: ეგ უნდ, არ სჰ ა რ ბ ა ვ ცხენის მქამლებს (წელიწდ. 170,9).

ს-რ ტ ყ-ავ: ...წელთ ს რ ტ ყ ა ვ სისხლიან ჰმალია (წელიწდ. 212,27).

ს-წ ე რ-ავ: ზედ ს წ ე რ ა ვ სახელ-გვარია (წელიწდ. 227,34):

ღ გ უ ლ-ავ: რა გ უ ლ ა ვ? (წელიწდ. 138—4,6); რა გ უ ლ ა ვ  
სასაცილოვო, რაი? (წელიწდ. 137,2); ღ გ უ ლ ა ვ შორს გავლა ვ ზი-  
საო (ხევს. თ. 402,18).

ღ-გ ო ნ-ავ: მ გ ო ნ ა ვ მიიღებთ (წელიწდ. 258,4); მ გ ო ნ ა-  
ვ ა ვ, რო გავიშარჯებავ (წელიწდ. 159,7). მაგრამ: მამსონან, მ გ ო-  
ნ ე ვ (ხევს. თ. 402,5); მ გ ო ნ ე, არ ვლგონივარ მთელი (ხევს. პ. 175—  
459,20):

ხ-ყ რ-ავ: დილისად, გათენებისად ხოშარდალოს ხ ყ რ ა ვ  
მკვდარია (წელიწდ. 243,11).

ს-ც ვ-ავ // ა-ც ვ-ავ: ჯაჰვ აღარ ს ც ვ ა ვ ა-ო (ხევს. თ. 365,19);  
აისიავ, აი სისვ სკლატ რო ს ც ვ ა ვ ა ვ (ქევს. 13,25); ისეთი ჯა-  
ჰვი ა ც ვ ა ვ, რომ იმას იარალი არ ჰრის (წელიწდ. 187,13).

ს ხ ა ვ- // ა-ს ხ-ავ: მპართა ს ხ ა ვ ბეჰდენკაები (წელიწდ. 198,20);  
ს ხ ა ვ მოყვანილ შავალითში ორპირიანია: ჰმოვანი პრე-  
ფიქსი დაკარგული ჩანა ამ ფორმაში; შდრ. წელთ ა ს ხ ა ვ ჩაწყუ-  
ლაები (წელიწდ. 215,27; 167,13); ს ხ ა ვ ხალხი... (ხევს. თ. 327,21);  
შიგა ს ხ ა ვ მეთოფეები... (ხევს. თ. 387,27); ამ შემთხვევაში  
ს ხ ა ვ ერთპირიანია, სუბიექტი სახელობით ბრუნვაში დგას

...მკვდრის ტალავარი და იარალი უ ს ხ ა ვ ტაბტში (წელიწდ. 136,19);  
არ ში ს ხ ა ვ ა ვ თამბაქოვ (ხევს. თ. 342,28); ს ხ ა ვ.  
ა-ს ხ ა ვ, უ-ს ხ ა ვ.

ა-კ ლ-ავ: თუ თაოდ პურ ა კ ლ ა ვ, იმას ეტყვის... (წელიწდ. 129,22);  
ცოტა სვე ა კ ლ ა ვ... (წელიწდ. 126,22); სამპითმატირ-  
ლოვებ ა კ ლ ა ვ მარტო (ხევს. თ. 334,18); წვრილა კიდევ გ ვ ა კ ლ ა ვ  
(წელიწდ. 202,9).

ა-ჩ ნ-ავ: ეს ნადირობა არაად ა ჩ ნ ა ვ პირჩლას (წელიწდ.

188,20); ეს თოლის თავზე გადაშლა ხალხს დიდად რაადამ აჩნავ (წელიწდ. 143,27).

ღ-ბ-ავ: ბადრი ღბავ დევთა ბაგასა (ხევს. თ. 343,32) სრუამც გბავ, ნანაისძეო, რაიც ამანდ გებ კმალია (ხევს. თ. 387,5); ...ალ უბავ თოფის პირსაო (ხევს. თ. 378,17); (თურმ. თეთრტარა ხანჯარ ღმბიყვ — ხევს. თ. 338,27).

უ-ჭ-ე-რ-ავ: უჭერავ ხის ცელი (წელიწდ. 155,9); მინდიას ხე უჭერავ (წელიწდ. 177,14); ქისტებს შამაყენებული თოფები უჭერავ პელში (წელიწდ. 171,1); თას თუ გიჭერავ ჰელჩია (კევს. 14,28); სალიტ. გ-ი-ჭ-ი-რ-ავ-ს.

ხ-კ-ი-ღ-ავ: ფეკებზე ხკიღავ კვეთა... (წელიწდ. 135,27); ცას ბეწვით ჩამამბული ორ, კერში რო ხკიღავ ქირჭოი (წელიწდ. 228,29).

ამ ზმნის სამპირიანი ფორმა საობიექტო ქცევისაა პირველსა და მეორე პირში: კლდეთა გიკიღავ პატრონი (ხევს. თ. 343,18); სათოფე არა გვიკიღავავ... (ხევს. თ. 362,31); თაოდ იფიქრეთ რა ვის გიკიღავთ ერთმანეთს (წელიწდ. 123,27).

შ-ა-უ-ძ-ღ-ავ: რომენსაც შაუძღავ, სრუ მიხყება (ხევს. თ. 322,7); რაიც ვის შაუძღავ... (წელიწდ. 130,17); მაშინ ვაღუღებთ ლუღს, რამთენი შაგვიძღავ, იმთვენს (წელიწდ. 130,25); შღრ. მეყვა, რაც შამიძღავისა (ხევს. პ. 174—457,7).

ს-ძ-ი-ნ-ავ: სძინავ ხალხს დილამდე (წელიწდ. 151,3), ბრძ. I: ამაშინ დამეძინიდი, მკლავს რა ვიწვა ბიჭისასა (ხევს. თ. 420,5).

ღ-ბ-რ-უ-ნ-ავ: ვინ ღბრუნავ შიბუს კალასა (წელიწდ. 174,23).

37.4. -ან სუფიქსიანი სტატიკური ზმნები. დ-გ-ა-ს: ვინ იცის, კაცის სულნ რაში დგან (წელიწდ. 124,13); იმ გზაზედ დგან ქისტები (წელიწდ. 189,24); დგან ქისტები: -ან აქ მრავლობითის ნიშნად გვევლინება.

ჭ-გ-ავ-ს: ფშაურის ჰგევიხარ, ჰგეეხარ ფორმებისაგან განსხვავებით ხეესურულში ამ ზმნის რედუცირებული ფუძე გვაქვს<sup>1</sup>:

თვალმაჯას დგევიხარ დალაღსა (წელიწდ. 229,11); ნამყო უსრული: აღიდებულსა დგევანდი წყალსაო (ხევს. თ. 427,11;

<sup>1</sup> იხ. ალ. კინკარაული, ხევს. თავ., გვ. 175.

427,13); ქვევის ფორმანტის დართვით ეს ზმნა სამპირიანი გახდება: წარბნ გ ი გ ვ ა ნ თ მშვილდის მალიქსა (ხევს. თ. 346,22); თავი მთას გ ი გ ა ვ თ, ოშკაცნო (ხევს. თ. 346,20); თვალნი ბუსლომას მი გ ი გ- ვ ა ნ თ (ხევს. თ. 346,23).

ა-ქ-ვ-ს: აღარ მაქვეავ (წელიწდ. 189,16); ხმლის მეტ არაი გვოქ (წელიწდ. 146,23); ფანდურნ თუ გქონა კელშია (ქევს. 14,29); // ა-ქ-ვ-ი-ს: მაშინ ნებაი-აქვის (წელიწდ. 136,26); აიმიოთ აქვის ქისტებსა სრუ არხოტიონთ ჯაჟრია (წელიწდ. 211,9); გვ-ა-ქ-ვის მირგვლივ შაპარტყმული მთები (წელიწდ. 189,22); ნამყო უსრული: მტერობა რაიმ ხქონდისა (ქევს. 13,17).

ჰ-ყ-ავ-ს: პირის შამყრელ ჰყავ ყიბილა (წელიწდ. 211,12); ეგეთ მთავრობაი-გვყოვ! (წელიწდ. 191,5); // ჰ-ყ-ავ-ი-ს: სტუ-მარი მყავის (ქევს. 22,23); რა ნახირ ჩვენ გვყავის (წელიწდ. 149,1); I-სა და II პირში ფუძე რედუცირებულია: უნცროსადამც ხყვიხარ! (წელიწდ. 137,32; 179,3); ნამყო უსრული: მთიბელი ხყვანდა (წელიწდ. 186,20); თურმეობითი I: ორ ფურნ ხყვან-ნიან საგინას (ქევს. 14,7; 7,5); მაგრამ ვაზუაიც ხყოლივ თან (ქევს. 15).

37. 5. -ოვ-(ი) სუფიქსიანი: სტატიკური ზმნები ხევსურულში. ხევსურულში დადასტურებულია ოვ-ი-ანი წარმოება სტატიკური ზმნებისა<sup>5</sup>.

გ-ი-ჭ რე-ო-ი-ან:... ყმაწვილო ბეწინიკაო, რას თვალნი გ-ი-ჭ რელოიან? (ხევს. პოეზ., 310).

და-მ-ლალ-ო-ი-ან: ესენ კი დამლალოიან, როგორც ჩობნებ მსუქნებს ცხვრებსა (ხევს. პ., 452,6); ძვ. ქართული ლალ-ო-ი-ან.

მიღბაზ-ო-ის (შეჰნატრის)<sup>6</sup>: აიმიოთ ვაყეთ, რო თავისა ხქონ-დასავ დღეესწველჩიავ (დღეობებში), სხვათ ნუ მიღბაზოიან-ნავ (მივლ. მას).

მიზეზ-ო-ის: ...აი ნაქრევ უმიზეზოის იქავ, ვერ რაადამ გამაიკათ ჯერ (მივლ. მას).

ჩქარ-ო-ის: ...ლეკოს მარჯვენა ჩქაროის, კელით უჭერავ კელია (მივლ. მას).

მიცრემლ-ო-ის: ...მარჯვენა თვალ რაადამ მიცრემლო-ის, ანაბრივ რაიმ ჩამივარდ (მივლ. მას).

<sup>5</sup> ვემყარებით ალ. ქიწარაულის მოპოვებულ მასალებს (ხევს. თავ., გვ. 151).  
<sup>6</sup> ახსნაც მასვე ეკუთვნის.

ე ღ მ უ თ-ო-ი-ს (მოდრუბლულია და ცრის): ...მონა დარბ,  
ქალო, სრუ რასამ ე ღ მ უ თ ო ი ს, წვიმს, იღურბლების (მივლ. მას.).

წ ა-ს-წ ი თ-ო-ი-ს: ...მალეგონა-ღვიძლისფერ რაქელიმ იყვ.  
ზურგზე ქვე წ ა ს წ ი თ ო ო ღ ც ო ტ ა ა დ (მივლ. მას.) შდრ., წ ი თ-ს.

წ ა-ხ-ყ ვ ი თ-ო-ი-ს:... კ ა ლ უ ღ ბ, მაგრემ დაფერულ ვერ-ა, წ ა ხ-  
ყ ვ ი თ ო ი ს (მივლ. მას.).

### § 38. დასკვნები

ფშაურ-ხევსურულში სტატეკური ზმნებისათვის ძირითადად  
- ა ვ - ი // - ა ვ სუფიქსია დამახასიათებელი: ეს სუფიქსი ახალი ქარ-  
თულის - ი - ა სუფიქსის მონაცვლედ გვევლინება ამ დიალექტებში:  
ხ-კ ი დ-ა ვ-ი-ს // ხ-კ ი დ-ა ვ; ღ-გ უ ლ-ა ვ-ი-ს // ღ-გ უ ლ-ა ვ;  
ხ-ყ რ-ა ვ-ი-ს // ხ-ყ რ-ა ვ; ღ-გ ო ნ-ა ვ-ი-ს // ღ-გ ო ნ-ა ვ.

პარალელურად შეიძლება ახალი ქართულის - ი - ა სუფიქსიც  
შენაცვლოს ა ვ-ი // - ა ვ სუფიქსს: ღ-გ ო ნ-ა ვ-ი-ს // ღ-გ ო ნ-ა ვ/ღ-  
გ ო ნ-ი-ა, ხ-კ რ-ა ვ/ხ-კ რ-ი-ა ს-ც ვ-ა ვ//ს-ც ვ-ი-ა და სხვა.

არც ძველი და არც ახალი ქართულის ფაქტებში - ა ვ-ი სუ-  
ფიქსი არ ჩანს<sup>7</sup>. ძველ ქართულში გვაქვს: უ-ძ ლ-ა ვ-ს// შე-უ-  
ძ ლ-ი-ა ნ, ჰ-კ ი დ-ა ვ-ს. ხევსურულში ეს ფორმები - ი სუფიქსითაა  
გართულებული.

მეყვა რაც შ ა მ ი ძ ლ ა ვ ი ს ა (ხევს. პ., 174—457,7).

თოფი გ კ ი დ ა ვ ი ს მ ქ არ ზ ე და (ხევს. თ., 408,11).

ფშაურმა და ხევსურულმა შემოგვინახა ძველი ქართულის  
- ო ვ-ი სუფიქსიანი წარმოების ანალოგიური წარმოება სტატეკური  
ზმნებისა: დ ა-მ-ლ ა ღ-ო-ი-ა ნ, დ ა-გ ვ-ნ ა თ-ო-ი-ს-ი-ს, წ ა-ს-წ ი თ-  
ო-ი-ს და სხვა.

დასტურდება ძველი და ახალი ქართულისათვის დამახასიათე-  
ბელი სტატეკური ფორმების პარალელური ხმარება:

ს-წ ა დ-ი-ს // ს-წ ა დ-ი-ა ნ; უ-ხ ა რ-ი-ს // უ-ხ ა რ-ი-ა ნ; ს-ც ხ ვ-  
ე ნ-ი-ს // ს-ც ხ ვ ე ნ-ი-ა ნ და ა. შ.

ძვ. ქართ. ს-ც ა ღ-ს, ახ. ქართ. ს-ც ა ღ-ი-ა, ხევს. ს-ც ა ღ-ი-ს;  
ნამყო უსრულის ფორმა ძველ ქართულში „ს ც ა ღ-ა“ თითქოს  
- ი სუფიქსის მეორეულობას ვარაუდობს.

ძვ. ქართ. ტ ი რ-ს, ნამყო უსრული: .. ტ ი რ-ო დ-ა; ახ. ქართ.  
ტ ი რ-ი-ს, ტ ი რ-ო დ-ა, ფშ. ტ ი რ-ს, ტ ი რ-დ-ა.

<sup>7</sup> თეორიულად ძველ ქართულში დაეუშვით ასეთი წარმოება: \*ჰ-ს უ რ-ა ვ-  
ო-ს, \*ს-წ ყ უ რ-ა ვ-ი-ს და მისთ.

ძველ ქართულში ს-ძ ი ნ- ა ვ- ს, ახ. ქართ. ს-ძ ი ნ- ა ვ- ს. ვაჟას-  
თან სრულიად თავისებური ს-ძ ი ნ- ი- ა ზ.

ძვ. ქართ. პ რ თ- ა ვ- ს (მათ. 13,27); ვაჟასთან უ რ თ ი ა.

ხევსურულში დასტურდება ძველი ქართულისათვის დამახა-  
სიათებელი ვ ა რ- ი, ხ ა რ- ი, (არ-ს), ა-ს ფორმები.

ძვ. ქართ. ა-კ ლ- ს, უ-ბ- ნ, ა-ს ხ- ს, ღ ი რ- ს... და სხვა. ხევს.  
ა-კ ლ- ა ვ, ა-ბ- ა ვ, ს-ხ- ა ვ, ჰ ღ ი რ- ი- ა და სხვა.

ახალ ქართულში ამ ფორმებს (გამონაკლისი: ღ ი რ- ს) - ი - ა  
სუფიქსი აქვთ.

ახალი ქართულის ფორმებთან შედარებით (ზოგჯერ ძველი  
ქართულის ფორმებთანაც) ხმოვანი პრეფიქსი დაკარგული ჩანს:  
ა-წ ე რ- ი- ა, ს-წ ე რ- ა ვ; ა-კ ლ- ი- ა, ა-კ ლ- ა ვ; ა-ბ ა რ- ი- ა, მ-ბ ა რ- ა ვ-  
ი- ს; ა-კ რ- ა ვ- ს, ხ-კ რ- ა ვ//ხ-კ რ- ი- ა; ა-გ დ- ი- ა//გ დ- ი- ა, ღ-გ დ- ა ვ-  
ი- ს; ა-ც ხ- ი- ა, ს-ც ხ- ი- ა, ა-ს ხ- ი- ა, ს ხ- ა ვ, მაგრამ ა-ს ხ- ა ვ; ა-ყ რ-  
ი- ა, ჰ-ყ რ- ა ვ, ა-ც ვ- ი- ა, ს-ც ვ- ა ვ, მაგრამ ა-ც ვ- ა ვ; ა-ხ უ რ- ა ვ- ს,  
ჰ-ხ უ რ- ა ვ.

როგორც ვხედავთ, ხევსურულშივე შეიმჩნევა პარალელური  
ხმარება ხმოვანპრეფიქსიანი და უხმოვანპრეფიქსო ფორმებისა:  
ს-ტ ა ნ- ა ვ- ი- ს // უ-ტ ა ნ- ა ვ- ი- ს; ბრალ არ გ ი ტ ა ნ ა ვ, დავითო  
(ხევს. პ., 539,17).

ხევსურულში დასტურდება მიცემითსუბიექტური ზმნათა აბ-  
სოლუტური წყობის ფორმები: კ ვ ი რ- ს ი გი (//კვირობს), ჰ ი რ ს  
ი გი, ს ხ ა ვ ი გი, ღ ბ ა ვ ი გი<sup>9</sup>; საქცეო სისტემა აქ ასეთი სახით წარ-  
მოგვიდგება:

კ ვ ი რ- ს, უ-კ ვ ი რ- ს; ჰ ი რ- ს, ს-ჰ ი რ- ი- ა (-უ-ჰ ი რ- ს); ს ხ- ა ვ,  
ა-ს ხ- ა ვ, უ-ს ხ- ა ვ.

ხევსურულში მ-გ ო ნ- ა ვ- ი- ს//მ-გ ო ნ- ა ვ ფორმების გვერდით  
მ-გ ო ნ- ე ვ ფორმაც შეგვხვდა:

მაკსონან მ გ ო ნ ე ვ (ხევს. თ. 402,5); მ გ ო ნ ე არ ეგონივარ  
მთელი (ხევს. პ., 175—459,20).

ნომ არ არის - ე ვ ფონეტიკური გზით მიღებული: ა ვ- ი >  
ე ვ? ამოსავალი იქნებოდა მ-გ ო ნ- ა ვ ფორმა. აქაც - ი სუფიქსის

<sup>8</sup> ძვ. ქართ. ს წ ყ უ რ- ი- ს, ახ. ქართ. ს წ ყ უ რ- ი- ა//ს წ ყ უ რ- ს, . ვაჟასთან  
ს წ ყ უ რ- ა ნ.

<sup>9</sup> ს ხ ა ვ, ღ ბ ა ვ რელატიური ფორმითაც დასტურდება: მკართა სხავე ბქა  
ღენკაები (წელიწად. 198,20); მაგრამ ეს მეორეული უნდა იყოს ს ხ ა ვ (მას იგი)  
< ა-ს ხ- ა ვ (მღრ. ძვ. ქართულში დადასტურებული უ-კ ვ რ- ს//ჰ-კ ვ რ- ს) >

მეორეულობის საკითხი დაისმის (შდრ. ფშ. ჰყევი-ხარ // ჰყევი-ხარ, ჰგევი-ხარ // ჰგევი-ხარ).

ყურადღებას იქცევს ხევსურული ჩინ-ს, ძველსა და ახალ ქართულში ჩან-ს ფორმა გვაქვს (ჩინ-ფუძე ზმნაშიც დასტურდება ძველ ქართულში აჩინ-ებ-ს). ფშაურში (ვაქასთან) ჩნ-ან ფორმა გვხვდება:

ალარსად გუშაგები ჩნან (ვაქა, I, 7,29, III, 16,12).

ფუძის რედუქციის მიზეზი ჩანან > ჩნან -ან მრავლობითობის სუფიქსი არ უნდა იყოს. შდრ., დგანან, წვანან; ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩან-ს ფორმა -ი სუფიქსითაც გვხვდებოდა \*ჩან-ი-ს; ფუძისეული -ა(ნ), -ი სუფიქსის გავლენით დავიწროვდებოდა: ჩან-ი-ს > \*ჩენ-ი-ს (// \*ჩენ-ს) > ჩინ-ს; შუალედი საფეხური ჩენ-, ახალ ქართულში გვაქვს აჩენ-ს ზმნაში. ეს, რა თქმა უნდა, ვარაუდებია, თუმცა არც უსაფუძვლო<sup>10</sup>. შდრ. იმისთანა ყისპათის კაცი სჩნხარ (ვაქა, VI, 168,22).

ძველ ქართულში გვაქვს ჰ-ლამ-ის ზმნა, ნამყო უსრულში: ლამ-ო-და, ხევსურულში ნამყო-უსრულში -ე-სუფიქსი გვაქვს: „დაგროვდეს შაბუს ჰალაჩი, ჭუთისკე ლამევი დიანო (ხევს. პ. 175,3)<sup>11</sup>. ნამყო უსრული აღგვადგენინებს ხევსურულისათვის ლამ-ავ-ს//ლამ-ე-ს ფორმას. მასდარის ფორმა ლამ-ი-ნ-ი: ძმობილისაყენ ლამინობს (ხევს. პ., 359,16) აწმყოში ლამ-ის ფორმას ვარაუდობს ხევსურულშიც.

რაც არ უნდა იყოს, ეს მოვლენები დიალექტებისათვის<sup>12</sup>—არქაიზმი, ნეოლოგიზმი, დიალექტების შემოქრა — ეს მაინც იმას გახაზავს რომ მსგავს მოვლენათა არაერთდროული, დამოუკიდებელი წარმოქმნა ენის შინაგანი ბუნებისათვის დამახასიათებელია, რომ პროცესი, რომელიც დიალექტებში მიმდინარეობს ძირითადში მთლიანი ენის განვითარების პროცესია. სტატიკურობა კი ქართულისა და მისი დიალექტებისათვის ერთ-ერთი ასეთი ძირითადი საერთო ნიშანი ჩანს ზმნის უღვლილებაში.

<sup>10</sup> შდრ. ძვ. ქართ. დგან-ს, ა-დგ-ი-ნ-ებ-ს, ერთ შემთხვევაში დადასტურდა დგენ, ახ. ქართ. ა-დგ-ენ-ს -ან, -ენ -ინ სუფიქსთა მონაცელებობის შესახებ ზმნებში ვარაუდი გამოთქმული აქვს ალ. კინჰარაულს (ხევს. თაე., გვ. 148, 165):  $ინ < ენ$ . ა. თაყაიშვილი: კალხატივის მაწარმოებელთა განაწილება ფუძეების მიხედვით ქართულში. თეზისები, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXVI სამეცნიერო სესია, 1970 წ. ივნისი.

<sup>11</sup> შდრ. სალაშქროდ ლამებდიანო (ხევს. პოეზ., 170,2).

<sup>12</sup> სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით.



39. 1. სტატისტიკური ზმნები ქართულში. სტატისტიკურება ქართულში ის ზმნები, რომლებიც გრამატიკული კატეგორიების წარმოებით უპირისპირდებიან დინამიკურებს, სტატისტიკურებს გრამატიკული კატეგორიები ნაკლულად ეწარმოებათ, დინამიკურებს სრულად.

2. ჩვენი მიზანი იყო თვალი გაგვედევნებინა ამგვარად გააზრებულ სტატისტიკურ ზმნათა დამახასიათებელი თავისებურებისათვის ძველი, საშუალო, ახალი ქართულისა და მთის დიალექტების (ფშაური, ხევსურული) მასალების მიხედვით. განვითარების ამ რეალში (რომელიც შეძლებისდაგვარად ცდილობს მოიცივას განვითარების სიღრმეც და სიგანეც) სტატისტიკურ ზმნათა უღვლილებაში რაიმე არსებითი ხასიათის ცვლილება (ან განსხვავება) არ დადასტურდა, სტატისტიკური ზმნები ყველგან (განვითარების სიღრმეშიც და სიგანეშიც) უსრული, განგრძობითი ასპექტისაა და ხარვეზებიც უღვლილების სისტემაში აქედან გვაქვს. ასევე, სტატისტიკურ ზმნათა ფუძის შინაარსიდან გამომდინარეობს ხარვეზები ღერევატიაშიც.

3. განსხვავება სუფიქსებზე მოდის. სტატისტიკურ ზმნათა ფუძის გაფორმება ძველ ქართულშივე ნაირგვარია. გვაქვს როგორც მარტივი ფუძის, ასევე -ი, -ი-ე, -ავ, -ან, -ოვ-ი, -ებ, -ობ სუფიქსებით გაფორმებული სტატისტიკური ზმნები. აქედან, -ან, -ი-ე, -ოვ-ი, სტატისტიკურ ზმნათა სპეციფიკური სუფიქსებია. სხვა დანარჩენი სუფიქსები სტატისტიკურებს დინამიკურებთან საზიარო აქვს. ძველ ქართულში დადასტურებულ სუფიქსთა ნაირგვარობის ერთ-ერთი მიზეზი დიალექტური სხვაობაა. მხედველობაშია მისაღები ქრონოლოგიური განსხვავებაც (-ებ, -ობ სუფიქსი სტატისტიკურ ზმნებში გვიანდელი ჩანს; -ი-ე და -ოვ-ი-რთული სუფიქსებია). ასეთი დასკვნის გამოტანის უფლებას გვაძლევს ძველი, ახალი ქართულისა და მთის დიალექტების დაპირისპირება სტატისტიკურ ზმნათა სუფიქსაციის თვალსაზრისით. ახალ ქართულში დადასტურებული ყოველი ფორმა სტატისტიკური ზმნისა მთის დიალექტებშიც გვაქვს. თავისებური აქ ისაა, რომ ახალი ქართულის სტატისტიკურობის ერთ-ერთ ძირითად და სპეციფიკურ ი-ა-სუფიქსს აქ შინაარსითა და მნიშვნელობით მისი ტოლფარდი -ავ-ი (//-ავ ენაცვლება: აბ-ა-ა და აბ -ავ -ი -ს // აბ -ავ, სწერ-ი-ა // სწერ-ა-ვ... პარალელურად (მაგრამ უფრო ნაკლები სიხშირით) დიალექტებში გვაქვს -ი-ა სუფიქსიც, -ავ-ი სუფიქსის გვერდით: ზოგჯერ ერთსა და იმავე ფუ-

ძესთანაც კი. ფშაურ-ხევსურულის -ე ვ -ი დაბოლოება ახალ ქართულში არა გვაქვს (იგულისხმება სალიტერატურო ქართული). ახალ ქართულში არა გვაქვს ფშაურ-ხევსურულის -ო ვ -ი დაბოლოება. ეს სუფიქსი უკვე ძველ ქართულშივე ნაკლებად გვხვდება. ის მსგავსება-განსხვავება რაც ახალი ქართულისა და მთის დიალექტების სტატიკურ ზმნათა ფუძეების გაფორმებაშია, უეჭველია, ძველ ქართულსა და მის დიალექტებს შორისაც ივარაუდება.

4. ახალ ქართულს ძველი ქართულისაგან სტატიკურ ზმნათა სუფიქსაციის თვალსაზრისით ისევე ამ -ო ვ -ი სუფიქსის უქონლობა განასხვავებს. ძველი ქართულის -ი -ე სუფიქსი უკვე „ვეფხისტყაოსანში“ -ი -ა სახით გვხვდება. თვით ძველ ქართულშივე აქა-იქ დარჩენილი -ი -ა სუფიქსი იმას უნდა მოწმობდეს. რომ ზეპირი მეტყველებისათვის ის უცხო არ იყო.

5. მთის დიალექტებისაგან ძველ ქართულს მხოლოდ -ა ვ -ი სუფიქსის უქონლობა განასხვავებს. ეს სუფიქსი თითქოს არც ძველი ქართულისათვის უნდა ყოფილიყო უცხო. ძველ ქართულში დასტურდება პარალელური ფორმები: უ ძ ლ -ა ვ -ს და შ ე -უ ძ ლ -ი -ა ნ, ახალ ქართულში შ ე უ ძ ლ -ი -ა, დიალექტებში უ ძ ლ -ა ვ -ი -ს // უ ძ ლ -ა ვ ფორმა გვაქვს: ძველ ქართულში ჰ კ ი დ -ა ვ -ს, ახალ ქართულში ჰ კ ი დ -ი -ა, დიალექტებში ჰ კ ი დ -ა ვ -ი -ს // ჰ კ ი დ -ა ვ.

6. სტატიკური ზმნებისათვის დამახასიათებელი -ა ნ სუფიქსი, რომელიც გამოვლინდება ზოგი სტატიკური ზმნის მრავლობითისა (ჰ რ წ მ -ა ნ -ა ნ...) თუ ნამყო უსრულის ფორმაში (ჰ გ ვ -ა ნ -დ -ა...), რიგ შემთხვევაში კი სტატიკური ზმნიდან ნაწარმოებ მოქმედებითი გვარის თუ მასდარისა და მიმღეობის ფორმაში (მ ო ი ყ ვ ა ნ ე ბ ს, მ ო ყ ვ ა ნ ე ბ ა...) სტატიკურობის თავდაპირველ მორფოლოგიურ ნიშნად მიგვაჩნია.

7. შეინიშნება -ი სუფიქსის დაკარგვის ტენდენცია: ტ ი რ -ს (ტ ი რ -ი -ლ -ი, ტ ი რ -ი -ს, ახ. ქართულში), ა რ -ი -ს // ა რ -ს, დ უ მ -ი -ს // დ უ მ -ს... ძველ ქართულში, ს წ ა დ ს // ს წ ა დ -ი -ა, ს წ ყ უ რ -ს // ს წ ყ უ რ -ი -ა... ახალ ქართულში, ჰ კ ი დ -ა ვ -ი -ს // ჰ კ ი დ -ა ვ, ა ბ -ა ვ -ი -ს // ა ბ -ა ვ, დ გ უ ლ -ა ვ -ი -ს // დ გ უ ლ -ა ვ და სხვა დიალექტებში. ეს პროცესი არ არის ერთდროული და რაიმე გარკვეულ კანონზომიერებას არ ექვემდებარება: ძველ ქართულში ი გ ლ -ო ვ -ი -ს // ი გ ლ -ო ვ -ს; ტ ი რ -ს, ახალში ტ ი რ -ი -ს; შესაძლებელია ტ ი რ -ს ფორმაც შეგვხვდეს, ძველს ქართულში — ს ც ა ლ ს, ახალში — ს ც ა ლ -ი -ა, დიალექტებში — ს ც ა ლ -ი -ს... სტატიკური ზმნის ფუძის შინაარსი აწყო დროის ფუნქციებსაც ითავსებს და რიგ შემთხვევაში ფუძე გაფორ-

შეხვედრის ადარსებებს (დინამიკურ ზმნებში -ი სუფიქსი არ იკარგის).

8. ვგარაუდობთ, რომ სტატიკურ ზმნებში მოქმედი საქცეო სისტემა თავდაპირველად სიერცობრივ მიმართებას ასახავდა: დ გ ა ს. ა-დ გ-ს „ზედ ადგას“, უ-დ გ-ს „გვერდით, ირგვლივ უდგას“.

ზოგიერთი ინვერსიული სტატიკური ზმნა, ჩვენის აზრით, ამ საქცეო სისტემის დაშლის შედეგად მიღებული. სტატიკური ზმნის ნეიტრალური (ერთპირიანი) ცალის დაკარგვის შემთხვევაში, საობიექტო (-ა, უ- ხმოვანპრეფიქსიანი) წევრი საქცეო სისტემაში იკავებს ნეიტრალური წევრის ადგილს და უცალოდ დარჩენილი ინვერსიულად გააზრიანდება. მორფოლოგიური თვალსაზრისით ამგვარი ინვერსია გარდამავალ ზმნებში მოქმედი ინვერსიის რიგისა ვერ იქნება.

ინვერსიულ სტატიკურ ზმნათა ერთპირიანი ცალები განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ენაში დასტურდება (ძველსა, ახალ ქართულსა თუ დიალექტებში): ძვ. ქართ. შ უ ე ნ-ი-ნ „მშვენიერია“. ერთპირიანი შ ვ ე ნ-ი-ს დასტურდება ახალ ქართულშიც (ილიასთან, ვაჟასთან). დიალექტებში გვაქვს კ ვ ი რ ს, კ ი რ ს, ს ხ ა ვ ერთპირიანი ფორმები.

ერთპირიან სტატიკურ ფორმებს ალგვადგენინებს აგრეთვე სტატიკური ზმნებიდან ნაწარმოები მოქმედებითა გვარის ორპირიანი ფორმები: ა შ უ ე ნ ე ბ ნ, ა კ ვ რ ვ ე ბ ს, ა კ ი რ ვ ე ბ ს...

9. სტატიკურ ზმნათა ფუძეში სუფიქსთა მონაცვლეობის ხშირი ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ ამ სუფიქსთა ფუნქცია უთავსდება სტატიკური ზმნის ფუძის შინაარსს. მიზეზი ამისა ის უნდა იყოს, რომ სტატიკურ ზმნებში აწმყო დროის საპირისპირო ნამყო არ იწარმოება; არ გვაქვს დაპირისპირება, არ გვექნება ნიშანიც; აშდენად სტატიკურ ზმნებში დროის გამოხატვის მორფოლოგიური საშუალება არ ივარაუდება. სტატიკურ ზმნებში ეს ნაირგვარი სუფიქსები იმავე ფუნქციას ასრულებენ, რასაც სტატიკურობის თავდაპირველ ნიშნად გააზრებული -ან ფორმანტი. ამგვარად სტატიკურ და დინამიკურ ზმნათა მასალობრივად იდენტურ სუფიქსებს სხვადასხვა ფუნქცია აკისრიათ; ე. ი. სისტემაში მათი ღირებულება განსხვავებულია. სხვა არის -ავ სუფიქსი ჰ კ ი ლ-ავ-ს და სხვა არის ხ ა ტ-ავ-ს ფორმაში; სხვადასხვა ღირებულებისა -ი, ე ლ მ-ი-ს და კ რ-ი-ს ფორმაში; -ო ბ, ც ხ ო ვ რ-ო ბ-ს და ა-თ ბ-ო ბ-ს ფორმაში და ა. შ.

10. სტატიკურ ზმნათა ფუძის სუფიქსაციის სისტემა ვითარდება. სისტემის სწრაფვა უნიფიკაციისაკენ (არ გამოირიცხება დიალექტის გავლენა) დროის გარკვეულ ეტაპზე გამოავლენს რომელიმე სუფიქსის უპირატესობას სტატიკურობის ძირითად განმსაზღვრელად სალიტერატურო ქართულში. ვთქვათ, -ი და -ი-ე სუფიქსი ძველი ქართულისათვის, -ი-ა და -ობ სუფიქსი ახალი ქართულისათვის. მთის დიალექტებში სტატიკურობის ძირითადი ნიშანია -ა ვ -ი// -ა ვ სუფიქსი. უნიფიკაციის მოქმედების შედეგია ის, რომ -ი -ა სუფიქსმა ახალ ქართულში მოიცვა ძველი ქართულის მარტივფუძიანი, -ი-, -ი-ე- და -ა ვ- სუფიქსიანი ზმნები მეტ-ნაკლებად: ა კ ლ-ს — ა კ ლ-ი-ა, ს წ ა დ-ი-ს — ს წ ა დ-ი-ა, ჰ გ ო ნ-ი-ე-ს — ჰ გ ო ნ-ი-ა, ჰ კ ი დ-ა ვ-ს — ჰ კ ი დ-ი-ა..., მთლიანად რომ არ ებატონდა -ი-ა- სუფიქსი სტატიკურ ზმნებში ეს მოწმობს, რომ ენაში საპირისპირო მოქმედების ძალებიც არსებობს: ვთქვათ, ძვ. ქართულის ს წ ყ უ რ-ი-ს ახალ ქართულში ს წ ყ უ რ-ი-ა ფორმით გვაქვს (დასტურდება ს წ ყ უ რ-ს ფორმაც); რომელიმე ჰ ს უ რ-ი-ს, ჰ ს უ რ-ს ფორმით; ე. ი. ერთგან ძვ. ქართულის სტატიკური ზმნის -ი სუფიქსი -ი -ა დაბოლოებას გვაძლევს ახალ ქართულში, მეორე შემთხვევაში სტატიკური ზმნა მარტივი ფუძით წარმოგვიდგება. ეს ცვლილებანი სუფიქსაციაში ცვლის სტატიკური ზმნის სტრუქტურას, რაც შემდგომ შეიძლება საფუძველი გახდეს სტატიკური ზმნის სუფიქსაციის სისტემაში ახალი ტენდენციის გატარებისა.

მაშასადამე, დგება საკითხი განსაზღვრულ ეტაპზე არა მარტო სტატიკურ და დინამიკურ ზმნათა მასალობრივად იდენტური სუფიქსების განსხვავებული ღირებულების შესახებ, არამედ დროის სხვადასხვა მონაკვეთზე თვით სტატიკურ ზმნათა სუფიქსების განსხვავებული ღირებულების შესახებაც: ვთქვათ, განსხვავებული ღირებულება ჰქონდა -ი სუფიქსს ძველი ქართულის ს-წ ყ უ რ-ი-ს, ჰ-ს უ რ-ი-ს ფორმაში. შდრ. ახალი ქართულის ს წ ყ უ რ-ი-ა, ჰ ს უ რ-ს. განსხვავებული ღირებულება ექნებოდა -ობ სუფიქსს ძველ ქართულში, ახალ ქართულთან შედარებით. ახალ ქართულში -ობ სტატიკურობის ერთ-ერთი ძირითადი მაწარმოებელია. ძველ ქართულში -ობ-იანი წარმოება სტატიკური ზმნებისა ნაკლებპროდუქტიულია.

სტატიკური ზმნათა სისტემა ქართულში განსხვავებულ ფაქტებს მოიცავს. ეს განსხვავება სუფიქსებზე მოდის. სუფიქსთა ნაირგვარობას ქრონოლოგიური განსხვავება და დიალექტები გვიხსნის.

39. 2. მსგავსი მოვლენები სტატისტიკურობა-დონამიკურობის შეპირისპირებისა აფხაზურსა და ქართულში. სტატისტიკური ზმნების მიმოზილვისას აფხაზურ ენაში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ აფხაზური ენის ჩვენება სტატისტიკურობა-დინამიკურობის დაპირისპირების თვალსაზრისით საყურადღებო მონაცემია ქართველურ ენათა სტატისტიკურობა-დინამიკურობის გაგებისათვის (აფხაზური ძველ ვითარებას გვიჩვენებს).

სტატისტიკურობა-დინამიკურობის დაპირისპირებამ ამ ენებში, რაგი მსგავსი მოვლენა დაგვიდასტურა.

1. სტატისტიკური ზმნა ქართულში, ისევე, როგორც აფხაზურში, გარდაუვალია — ერთ-ან ორპირიანი, დინამიკური ზმნა გარდაუვალიცაა და გარდამავალიც ერთ-, ორ- და მეტპირიანიც. როგორც სტატისტიკური, ისე დინამიკური ზმნა ქართულშიც და აფხაზურშიც შეიძლება იყოს პირდაპირი თუ ინვერსიული წყობისა.

2. აფხაზურში ყოველი სახელის ფუძე გამოიყენება სტატისტიკური ზმნის ფუძედ. დუჟგ-უჰ „(ის) ადამიანი“, ა-უ ავ ჯ „ადამიანი“. ქართულშიც, ბევრ შემთხვევაში, სტატისტიკური ზმნის სახელური ფუძე თვალშისაცემია: წი თ-ს; წვ მ-ს, ქ რ-ის, ე ჭ უ-ს, ს ა ხ ლ-ობ-ს და სხვა.

3. ზოგი ზმნური ფუძიდან აფხაზურში იწარმოება, როგორც სტატისტიკური, ისე დინამიკური ზმნა: სტატისტიკური: დ-ტ ირ-უ ჰ <\*დ-ტია-უჰ „ის (ადამ.) ზის“. დინამიკური: დ-ტი რ-მღ <დ-ღია -უჰ ა მ ტ „ის (ადამ.) ჯდება“.

შდრ., ქართულში: დ გ-ა-ს — დ გ-ე ბ-ა; წ ე ე-ს — წ ე-ე ბ-ა; კ რ თ-ის — კ რ თ-ე ბ-ა; ფ რ თ-ის — ფ რ თ-ე ბ-ა და სხვ.

4. აფხაზურში „სახელის ფუძიდან დინამიკური ზმნის საწარმოებლად გამოიყენება -ხა სუფიქსი, იგი თავისთავად გარდაქცევას გამოხატავს და უდრის ქართული ენის დ-იან ვნებითს“<sup>13</sup>. ეგე-ვე -ხა სუფიქსი ერთვის რამდენიმე სტატისტიკური ზმნის ფუძესაც და გადინამიკურდება:

ი ლ ჭ გ-უ ჰ- „მას (დედაკ.) ის (რადაკ) აკლია“ (აგრა „ნაკლი“).

ი ლ ჭ-გ-ხ ო მ ტ/ი ლ გ-გ-ნ ა-უ ე მ ტ „მას (დედაკ.) აკლდება“ „ი ს (დედაკ.) ხდება“.

ზომ არ არის ქართულის -დ სუფიქსიანი წარმოება, აფხაზურის -ხა — წარმოების ანალოგიური? დონი ქართულში „მწარმოებელია არა ვნებითისა, არამედ ნასახელარი ზმნებისა, რომელთაც გარ-

<sup>13</sup> ქ. ლ. მ. თ. თ. ი. ძ. ე, სტატისტიკური და დინამიკური ზმნები..., იკე, VI, გვ. 260.

დაუვალი მნიშვნელობა აქვთ და რომელნიც თავისი სინტაქსური თვისებით ვნებიტად მოქცეულ ზმნებს ჰგავს: ქვემდებარე სახელობით ბრუნვაში დგას ყოველთვის...<sup>14</sup> დონი ვნებითის თავდაპირველი ნიშანი არ არის. აქ ჩვენთვის საინტერესო ის არის, რომ დონის დართვა რიგი სტატიკური ზმნის გადინამიკურებას იწვევს:

ჩ ა ნ-ს: რომელ-იგი ჩ ნ და ყ რ მ ა დ ყოველთა უფალი და ე ს რ ზ თ იტყოდა (სინ. მრ. 95,21).

ჭ ა მ-ს: განუყო იგი თითოეულსა მონასტერსა, სადა ჯ მ და (კიმ. II, 210—25).

ს-თ ნ-ა ვ-ს: და ს თ ნ და პეროდეს როკვაჲ იგი მისი (მათ. 14,6).

ფუძის შეკუმშვა (ჩ ნ და, ჯ მ და, ს თ ნ და) შესაძლოა ხმოვნით დაწყებული სუფიქსის დართვამ გამოიწვია ჩ ნ-დ-ა < \*ჩ ა ნ-ე დ-ა, ჯ მ-დ-ა < \*ჭ ა მ-ე დ-ა... ეს დონი იგივე ფორმანტი უნდა იყოს ნასახელარ ზმნებს რომ აწარმოებს. სტატიკური ზმნის ფუძეზე ნასახელარ ზმნათა მაწარმოებლის დართვა საგულისხმო ფაქტია სტატიკური ზმნის ფუძის თვალსაზრისით, როგორც აფხაზურის, ასევე ქართულისათვის.

5. აფხაზურში შეიძლება დინამიკური ზმნის გასტატიკურება: ი ე ზ-ა უბ „ის (რადაც) მოაზრილია, დაფლულია“ (ა ე ზ რ ბ — „თხ:რა“ ზმნისაგან). ეს ეხება გარდამავალ დინამიკურ ზმნებს. ქართულშიც დასტურდება ანალოგიური რამ: ჰ ჰ ვ ი ა; დ გ ა მ ს — მ ო ს დ გ ა მ ს.

6. მიმართულების გამომხატველი პრევერბები სტატიკურ ზმნებს აფხაზურში არ ახასიათებს, რადგანაც წინდებულები, რომლებიც სივრცეში ლოკალიზაციას გვიჩვენებენ, სტატიკურ ზმნათა ფუძეებს წარმოადგენს. რამდენიმე ზმნა მაინც დაირთავს წინდებულს; ეს ისეთი ზმნებია, რომელთა ფუძიდან როგორც სტატიკური, ისე დინამიკური სახეობა იწარმოება.

ქართულშიც, სტატიკურ ზმნათა ნაწილი პრევერბს არ დაირთავს

7. დრო-კილოთა წარმოება სტატიკურ ზმნებს, როგორც აფხაზურში, ასევე ქართულში, ნაკლები აქვთ.

8. ბრძანებითი კილოსათვის აფხაზურში გამოიყენება გადი-

<sup>14</sup> აკ. შ ა ნ ი ძ ე, ნასახელარი ზმნები ქართულში, ტფილისის უნივ. მოამბე, № 1, 1919, გვ. 89.

ნამიკურებული სტატიკური ზმნა. ქართულშიც, სტატიკური ზმნა ბრძანებითი კილოსათვის დინამიკური ზმნის ფუძეს იყენებს.

9. სტატიკური ზმნები კაუზატივს არ იწარმოებენ, აფხაზურშიც და ქართულშიც კაუზატივის რ-პრეფიქსის დართვით სახელური ფუძის სტატიკური ზმნები აფხაზურში გადინამიკურდებიან: სტატიკური ზმნის კაუზატივი გარდამავალ ზმნას გვაძლევს ქართულშიც.

10. ქცევა სტატიკურ ზმნებს ორსავე ენაში ოდენ საობიექტო აქვთ, ირიბი ობიექტისაყენ მიმართული.

11. შეზღუდულია სტატიკური ზმნებიდან მასდარისა და მიმღობის წარმოება.

12. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ აშხარული დიალექტის ორსავე კილოკავში (ყუვინსკისაში, აფსუისაში), სტატიკური ზმნები აწმყოში დაირთავენ სხვა დიალექტებში დინამიკურ ზმნათვის დამახასიათებელ -იტ/-უტ ფინიტობის სუფიქსს. -იტ სუფიქსიანი სტატიკური ზმნების ფუძის „ზმნურობა“ უფრო წარმოჩენილია. შინაარსით ამგვარად გაფორმებული სტატიკური ზმნები ქართული „ცხოვრობს“ ტიპის ზმნებს შეეფერება (ქ. ლომთათიძე).

ქართულშიც, დინამიკურ ზმნებთან საზიარო სუფიქსებით გაფორმებული სტატიკური ზმნები, უფრო მეტ „ზმნურობას“ ამჟღავნებენ, იმ რიგის სტატიკურ ფორმებთან შედარებით, რომელთაც სტატიკურ ზმნათათვის დამახასიათებელი სუფიქსები ერთვის (ვ ა ჳ რ-ო ბ-ს, მ ა გ რ ა მ ა ბ-ი-ა...)

ამგვარად, მთელი რიგი არსებითი ნიშნის მიხედვით დაპირისპირება სტატიკურ და დინამიკურ ზმნებს შორის, აფხაზური და ქართული ზმნის უღვლილებისა და დერივაციის სისატემაში, ერთმანეთთან ახლოსაა.

აფხაზურის ჩვენება სტატიკურობა-დინამიკურობის დაპირისპირებისა, ქართულთან შედარებით უფრო ნათელია. შეიძლება ამას ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ აფხაზურში გვარის კატეგორია ჯერ არ ჩამოყალიბებულა.





„постлан (-а, -о)“, ყრ-ო-ა qṛ-i-a „рассыпан (-а, -о)“, Ⴀს-წერ-ო-ა [s]-წერ-i-a „написан (-а, -о)“... с другой стороны.

«Статические страдательные» глаголы оканчиваются на -ო-ა -i-a и объединение их с глаголами среднего залога приводит ко включению в одну группу глаголов, отличающихся друг от друга по суффиксации. Однако, и глаголы среднего залога используют различные суффиксы, но это не мешает их объединению в одну группу. Более того, различные суффиксы используются и внутри двух групп глаголов среднего залога: ср. т. н. медиопассивные глаголы დგ-ა-ს dg-a-s „стоит“, არ-ო-ს ar-i-s „есть, существует“, მოსდგამ-ს mosdgam-s „прилегает“, „присуще ему“; სახლ-ობ-ს saxl-ob-s „живет“, „обитает“... и т. н. медиоактивные глаголы: წუხ-ს cux-s „беспокоится“, ტირ-ის ṭig-i-s „плачет“, ვორ-ავ-ს vor-av-s „катается“, „катится“, ხარ-ობ-ს xar-ob-s „радуется“, კრიალ-ებ-ს kṛial-eb-s „блестит“, „сверкает“, и т. д. (Различные суффиксы имеют и переходные глаголы, объединяемые в группу глаголов действительного загола).

Глаголы «среднего» залога и «статические страдательные» глаголы выявляют больше сходства друг с другом, чем различия. Они естественно объединяются в одну группу — группу статических глаголов.

Статическому глаголу, не различающему залогов, противопоставляется динамический глагол, также не различающий залогов, стат. დგ-ა-ს dg-a-s „стоит“, динам. დგ-ებ-ა dg-eb-a „встает“, стат. წევ-ს cev-s „лежит“, динам. წევ-ებ-ა cev-eb-a „ложится“, стат. ზ-ი-ს z-i-s „сидит“ — динам. ჯდ-ებ-ა žd-eb-a „садится“, стат. კრთ-ი-ს kṛt-i-s „дрожит“, динам. კრთ-ებ-ა kṛt-eb-a „вздрогивает“ и т. д. Это противопоставление статических и динамических глаголов, которые не различают залогов, видимо, является древнейшим фактом в становлении глаголов грузинского яз ка (К. Ломтатидзе).

Для понимания своеобразия статических и динамических глаголов в картвельских языках не лишено интереса различение статичности и динамичности в глаголе абхазского языка, в структуре которого сохранилось немало архаических черт.

В системе спряжения абхазского глагола четко проводится противопоставление статичности и динамичности (К. Ломтатидзе).

